ფაზლი ხუზანი ესფაჰანის ცნობები საქართველოს შესახებ

სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო

თამარ ლეკვეიშვილმა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების კონკურსი # YS-22-209).

This book is published by the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (Research Grants to Young Scientists # YS-22-209).

რედაქტორი გრიგოლ ბერაძე
Edited by Grigol Beradze

პროექტის ხელმძღვანელი გიორგი სანიკიძე
Project Supervisor George Sanikidze

კონსულტანტები გრიგოლ ბერაძე
ჰიროტაკე მაედა
Consultants Grigol Beradze
Hirotake Maeda

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

Ilia State University
G. Tsereteli Institute of Oriental Studies

წინამდებარე ნაშრომში ასახულია 2022-2024 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის „შაჰ-აბასის მმართველობის ქრონიკა“ – ახალი წყარო მე-17 ს-ის პირველი ნახევრის საქართველოსა და საქართველო-ირანის ურთიერთობების ისტორიის შესწავლისთვის (გამოკვლევა, თარგმანი, კომენტარები)“ – #YS-22-209 – ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგები.

ნაშრომი მიზნად ისახავს, ქართველ მკითხველს გააცნოს XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის, ფაზლი ხუზანი ესფაჰანის ცნობები ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრეფილია ზემოხსენებული ავტორის ვრცელი თხზულებიდან „აფზალ ალ თავარიხ“, რომლის მესამე ტომი შაჰ-აბას I-ის (1587-1629) მმართველობის ქრონიკას წარმოადგენს. ვისარგებლეთ ქიუმარს ღერეღლუსა და ჩარლზ მელვილის გამოცემით (Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015). *A chronicle of the reign of Shah ‘Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust) და მკითხველს ვთავაზობთ ზემოხსენებული თხზულებიდან იმ თავების თარგმანს, რომლებიც შეეხება საქართველოს და იძლევა უხვ (ხშირ შემთხვევაში სრულიად უცნობ) ინფორმაციას ამ პერიოდის საქართველოსა და საქართველო-ირანის ურთიერთობათა ისტორიის შესახებ.

შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, დაგვეცვა ავტორის ენობრივი სტილი, რათა მკითხველს შეექმნას წარმოდგენა კონკრეტული პერიოდის და, ამავდროულად, ფაზლი ხუზანის წერის მანერის შესახებ.

ნაშრომს წინ უძღვის გამოკვლევა თხზულებაში არსებული რამდენიმე საკვანძო საკითხის შესახებ. ამ საკითხებზე გამოქვეყნებულია რამდენიმე სტატია და წაკითხულია მოხსენებები საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, მადლობა გადავუხადოთ ყველა ქართველ თუ უცხოელ კოლეგას, ვინც დახმარება გაგვიწია კვლევის პროცესში – თამაზ აბაშიძეს, მარინა ალექსიძეს, თამარ დემეტრაშვილს, ნათია დუნდუას, ნიკოლოზ ნახუცრიშვილს, თამარ პაპუაშვილს, თეა შურღაიას, გიორგი ხულორდავას, ევა ორტმანს (გიოტინგენის უნივერსიტეტი), ალი ლანგრუდის (გიოტინგენის უნივერსიტეტი), ჯორჯო როტას (ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ირანული კვლევების ინსტიტუტი). განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პროექტის ხელმძღვანელს, გიორგი სანიკიძეს, პროექტის კონსულტანტსა და წიგნის რედაქტორს, გრიგოლ ბერაძეს და უცხოელ კონსულტანტს, ჰიროტაკე მაედას (ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი).

წინამდებარე ნაშრომი, ვიმედოვნებთ, საინტერესო იქნება მე-17 საუკუნის ირან-საქართველოს ურთიერთობის კვლევის სფეროში მომუშავე

ისტორიკოსებისთვის და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი სტატიები და მოხსენებები:

თამარ ლეკვეიშვილი, „ახალი ცნობები ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მე-17 ს-ის დასაწყისში. ირანელი ავტორის, ფაზლი ბეგ ხუზანი ისფაჰანის წყაროს „აფზალ ალ თავარიხის“ მიხედვით: ისა ხან მირზა და შაჰ-აბას I“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე", დეკემბერი,VII (2). ბათუმის შოთა რუსთაველის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2024.

თამარ ლეკვეიშვილი, „ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს და ირანის უთიერთობების შესახებ შაჰ-აბას I-ის მმართველობის დროს“. ახალი მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 (შევსებული ვერსია).

თამარ ლეკვეიშვილი, „შაჰ-აბას I- ის რელიგიური პოლიტიკა საქართველოს სამეფო ოჯახის მიმართ ქეთევან წამებულ“ (The role of religion in the politics of Shah-Abbas I towards the Georgian royal family: The case of Queen Ketevan the Martyr). დავოს (DAVO) - 30-ე საერთაშორისო კონფერენცია. გიოტინგენის უნივერსიტეტი, 2024.

თამარ ლეკვეიშვილი, „ქართული სამეფო საგვარეულოს ქალების აქტივობა სეფიანთა კარზე, ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის მე-17 საუკუნის ქრონიკის, „აფზალ ალ თავარიხის“ მიხედვით“ (Activities of women from the Georgian royal family according to the Fazli Beg Khuzani Isfahani's 17th Century Chronicle *Afzal al Tawarikh*). ირანული კვლევების ევროპული ასოციაციის მე-10 საერთაშორისო კონფერენცია (ECIS). ლეიდენის უნივერსიტეტი, 2023.

თამარ ლეკვეიშვილი, „ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ შაჰ-აბას I-ის მმართველობის პერიოდში : ქართული სამეფო საგვარეულოს ქალების მნიშვნელობა“ (Fazli Beg Khuzani Isfahani about Iranian-Georgian Relations During the Reign of Abbas I: The Significance of Georgian Royal Women). სპარსული საზოგადოებების კვლევის ასოციაციის, მე-9 საერთაშორისო კონფერენცია (ASPS)). სლავურ-სომხური უნივერსიტეტი, ერევანი, 2023.

თამარ ლეკვეიშვილი, „ახალი მასალები საქართველო-ირანის ურთიერთობების შესახებ მე-17 საუკუნის პირველ მესამედში ფაზლი ბეგ ხუზანის „აფზალ ალ თავარიხის“ მიხედვით“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი 2023.

შინაარსი

შესავალი 6
გამოკვლევა 8
ისა ხან მირზა და შაჰ-აბას I 8
ტრაგედია კახეთის სამეფო ოჯახში: ალექსანდრე ხანი,
კონსტანტინე მირზა და ქეთევან დედოფალი 14
ქართველი ქალები სეფიანთა ირანის სამეფო კარზე
ფაზლის თხზულების მიხედვით 22
დამოწმებული ლიტერატურა 32
ტექსტი 34
დამოწმებული ლიტერატურა 158

შესავალი

ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის XVII საუკუნის სპარსულ ენაზე დაწერილი თხზულება შაჰ-აბას I-ის (1587-1629) მმართველობის პერიოდს მოიცავს და წარმოადგენს ფაზლის დაკარგულად მიჩნეული ქრონიკის, „აფზალ ალ-თავარიხის“ (მშვენიერი ისტორია) მესამე ნაწილს.[1] თხზულების აკადემიური ტექსტი 2015 წელს გამოიცა.[2]

ესფაჰანელი ფაზლი ბეგ ხუზანი ირანულ ბიუროკრატიულ ელიტას მიეკუთვნებოდა. მის ნათესავებს ძირითადად მაღალი თანამდებობები ეკავათ. ფაზლის კარიერაც თავიდანვე კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთანაც იყო დაკავშირებული. 1608 წელს შაჰ-აბასმა ბარდავის მმართველად დანიშნა ფეიქარ ბეგი,[3] რომლის ვეზირი გახდა ფაზლის უფროსი ძმა, მოჰამად ბეგი. ფაზლი ხუზანიმ თექვსმეტი წლის ასაკში ფეიქარ ბეგის ადმინისტრაციაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი თავად გახდა ფეიქარ ბეგის ვეზირი. ეს თანამდებობა მას ათი წლის განმავლობაში ეკავა (1616-1625), სწორედ ამიტომ, როგორც სეფიანთა ირანისა და საქართველოს იმდროინდელი მოვლენების დიდი ნაწილის თვითმხილველი, ქართველების შესახებ მრავალი ცნობის ავტორადაც გვევლინება. ფაზლის საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი შაჰ-აბასის მმართველობის პერიოდი და, განსხვავებით ისქანდერ ბეგ მუნშისგან, ნაკლებად პანეგირიკულია შაჰ-აბასთან მიმართებით (Melville 1998: 264).

„აფზალ ალ თავარიხის“ მე-3 ტომი არის მნიშვნელოვანი წყარო არა მხოლოდ სეფიანთა ირანის პერიოდისა (1501-1722), არამედ საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის ისტორიის შესასწავლად.

ზემოთ დასახელებული თხზულება სრულიად ახლებურად გვიხატავს XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიპეტიებს.

თხზულებაში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიისთვის დღემდე უცნობი არაერთი ფაქტი. იგი მოიცავს ისეთ პასაჟებს, რომლებიც ინფორმაციულად ავსებს და განსხვავებული კუთხით გვაჩვენებს საქართველოს ისტორიისთვის უკვე ნაცნობ მოვლენებსაც.

აღნიშნულ თხზულებაში საქართველოს 50 თავი ეძღვნება. ცნობები საქართველოს შესახებ ამ თხზულებაში რაოდენობრივად გაცილებით მეტია, ვიდრე ისქანდერ ბეგ მუნშის „ალემ არაიე აბასიში“, რომელიც ყველაზე ვრცელი ირანული ქრონიკაა აღნიშნული პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობების

---

[1] ტექსტი XX საუკუნის ბოლოს მიკვლეულ იქნა კემბრიჯში, ქრაის ქოლეჯის ბიბლიოთეკაში, ინგლისელი ორიენტალისტის, ჩარლზ მელვილის მიერ.

[2] A chronicle of the reign of Shah ‘Abbas, Fazli Beg Khuzani Isfahani, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust, 2015.

[3] იგივე ფეიქარ ხანი, კახეთის მმართველი (1616-1625).

შესახებ და რომ არა ისქანდერ ბეგ მუნშის „ალემ არა-იე აბასის“ („ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“) ქართული თარგმანი,[4] უცნობი იქნებოდა ძალიან ბევრი ისტორიული მოვლენა არა მხოლოდ XVI ს-ის მეორე ნახევრისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის ირან-საქართველოს ურთიერთობებიდან, არამედ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ფაზლის თხზულების თარგმანი უპირობოდ გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას აღნიშნული ეპოქის საქართველოსა და ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ; ასევე, ვიმედოვნებთ, რომ თხზულების შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილი გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ამ საკვანძო ეპოქის უფრო სრულყოფილ სურათს შექმნის.

[4] „ისქანდერ ბეგ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ“, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. მეცნიერება, თბილისი, 1969.

ქვემოთ წარმოდგენილია გამოკვლევა წყაროში არსებულ რამდენიმე საკვანძო მოვლენასა თუ საკითხთან დაკავშირებით:

ისა ხან მირზა და შაჰ-აბას I

XVI საუკუნის დამდეგიდან გაჩაღებული ირან-ოსმალეთის ომის მთავარ ასპარეზს სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა. 1603 წელს დაწყებულმა ამ ომმა, დროებითი ზავებით, 1639 წლამდე გასტანა. „შაჰ-აბასის მიზანი ამ ომში 1590 წლის ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა იყო“ (ჯამბურია 1973: 246). სეფიანთა ირანის პოლიტიკურ დღის წესრიგში, განსაკუთრებით შაჰ-აბას I-ის (1587-1629) დროს, აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ მე-16-მე-17 სს-ის მიჯნაზე შაჰ-აბასს ახალი და ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა საქართველოში – რუსეთი, „რომელსაც უკვე დაედო მფარველობის ხელი კახეთისთვის“ (ჯამბურია 1973: 246). ქართველ დიდებულებს ირანისა თუ ოსმალეთის წინააღმდეგობის გასაწევად რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდათ. სწორედ ამიტომაც, ბუნებრივია, ირანი არა მხოლოდ ოსმალეთის, არამედ რუსეთის უკუგდებასაც შეეცდებოდა. ასე რომ, „გურჯისტანის საკითხის“ მოგვარება (აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა) ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შაჰ-აბასისათვის ახლად დაწყებულ ომში“ (ბერძენიშვილი 1967:111-113).

ეს არის ურთულესი ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. საქართველო დაყოფილია ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად. მეფეები და დიდებულები გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს. ამ პერიოდში ირანისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ცნობები საკმაოდ უხვია როგორც ქართულ, ასევე ირანულ თუ სხვა უცხოურ წყაროებში (შაჰ-აბასის კამპანიები აღმოსავლეთ საქართველოში, ურთიერთობები ქართველ მეფეებთან, ქართველთა იძულებითი ემიგრაცია ირანში და სხვ.) და სათანადოდ არის შესწავლილი.

„აფზალ ალ თავარიხის“ მესამე ნაწილში ნათლად იკვეთება ქართული სამეფო ოჯახების წარმომადგენლების მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი როგორც საქართველოს, ასევე სეფიანთა კარზე.

განვიხილავთ საქართველოს ისტორიისთვის რამდენიმე უცნობ ეპიზოდს ირანში გაზრდილი, გამუსლიმებული ბატონიშვილის, ალექსანდრე კახთა მეფის (1574-1605), გიორგის ვაჟის, ისა ხან მირზას და შაჰ-აბასის ურთიერთობის ისტორიიდან.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ 1606 წელს კახეთის მეფედ შაჰმა თეიმურაზ I (კახეთის მეფე – 1606-1648; ქართლ-კახეთის მეფე –1625-1632; თუმცა,

მისი მეფობა ხშირ შემთხვევაში ნომინალური იყო), ხოლო ქართლში – ლუარსაბ II (1606-1615) დაამტკიცა. ქრისტიანი მეფეების ქართლ-კახეთში დასმის და ოსმალების ქართლის ციხეებიდან განდევნის მიუხედავად, ქართლიც და კახეთიც ირანის ვასალად რჩებოდა. „შაჰს არ აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის სამეფოების ვასალური დამოკიდებულება. მით უმეტეს, რომ ასეთი „ერთგულება“ მეტად საეჭვო ჩანდა, განსაკუთრებით თეიმურაზის მხრივ“ (ჯამბურია 1973: 262). არაერთხელ გამოუხატავს უნდობლობა და „ურჩობა“ თეიმურაზს შაჰ-აბასის მიმართ, რაც თავისთავად ირანის შაჰის ვასალობის უარყოფას ნიშნავდა. მაგ., ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი, რომლებიც სანადიროდ მაზანდარანში უნდა ხლებოდნენ შაჰ-აბასს, აღნიშნულ ადგილას არ გამოცხადნენ.“ თითოეული მათგანი თავის წასვლას მეორის გამგზავრებას [უკავშირებდა და] სდებდა [სხვა დროისათვის]“ (ფუთურიძე 1969: 80).

1613 წელს შაჰ-აბასი საქართველოსკენ დაიძრა, ხოლო 1614 წლის გაზაფხულზე – კახეთში შეიჭრა. თეიმურაზი იძულებული შეიქნა შაჰისთვის მძევლად დედა, ქეთევან დედოფალი და შვილები გაეგზავნა. ამას მოჰყვა შეტაკება ჟალეთთან ახლოს. ქართველებმა უკან დაიხიეს. ვერც ქართლმა შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, რასაც მოჰყვა თეიმურაზისა და ლუარსაბის იმერეთს თავის შეფარება (ჯამბურია 1973: 264-265).

სწორედ ამ დროს შაჰ-აბასი კახეთის მმართველად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანში გაზრდილ, გამუსლიმებულ ბატონიშვილ ისას (ისა-ხანი) დანიშნავს.

„და მიაბარა შააბაზ კახეთი ნოდარ ჯორჯაძესა და დავით ასლანის-შვილსა, და ქართლი იყო უბატონოდ, რამეთუ თავადნი თჳს-თჳსად მჴარესა მთავრობდენ და ბატონობდენ ურთიერთას იგინი“ (ყაუხჩიშვილი 1959: 400). „კახეთი ალექსანდრეს შვილის შვილს იასეს მისცეს, დავით ასლანიშვილი ვექილათ მოუყენეს“; „კახელებმან ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანეს, ისახან გამოაგდეს.“ (კაკაბაძე, 1925:23). მოკლედ წერს ამავე საკითხზე მალიქ შაჰ-ჰუსეინ სისთანი – ალექსანდრეს შვილიშვილი, თეიმურაზის ბიძაშვილი, კახეთის მმართველად დანიშნეს, რასაც ენით აუწერელი წვეულება მოჰყვაო (Смирнова 2000: 393). ასევე, მოკლედ აღნიშნავს ისა ხანისთვის კახეთის მმართველობის გადაცემის ფაქტს და მის ვექილად დავუდის [ე.ი. დავით ასლანიშვილის] დასმას სეიდ აჰმად ჰუსაინი ხალიფა თავის თხზულებაში (Futuhat-i Gitisitan 2021: 516).

ისა ხანის კახეთის ტახტზე ასვლის ეპიზოდს, განსხვავებით ზემოჩამოთვლილი წყაროებისგან, ვრცლად აღწერს ისქანდერ ბეგ მუნში, რომლის თხზულება („თარიხე ალემ არაიე აბასი“, ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია) ყველაზე ვრცელ ქრონიკად მიიჩნევა ზემოხსენებული პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. თუმცა, აღსანიშნია, რომ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის „აფზალ ალ-თავარიხი“ ზუსტად ასეთივე ვრცელი (შესაძლოა,

მეტადაც) აღმოჩნდა ამავე პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის.

„რადგანაც უბედური თეიმურაზი, როგორც აღწერილი იყო, ბაში-აჩუკში (იმერეთი) გაიქცა, სამყაროს ხელმწიფემ საქართველოს მმართველობა და მფლობელობა უწყალობა ალექსანდრეს ძის, გიორგი-მირზას, შვილს ისა-ხან-მირზას, თეიმურაზის ბიძაშვილს, რომელიც ბავშვობაში უკეთილშობილეს კარზე იყო მოყვანილი, შაჰმა გამოზარდა და ისლამის მიღებით იქნა ამაღლებული. ვექილად დაუდ-ბეგი, ქართველი დიდებული აზნაური, დაუნიშნეს, ქართველების წესისა და რიგის თანახმად, იმ სამეფოს მბრძანებლობის ტახტზე დასვეს და ოქრო გადააყარეს თავზე. ყიზილბაშთა ამირებმა და დიდებულებმაც, მისი უავგუსტოესობის მითითების თანახმად, ქართველებთან ერთად ოქროსა და ვერცხლის ფული ოქროს თასებით და ვერცხლის თაბახებით გადააფრქვიეს [მას თავზე]. ქართველი დიდებულები და წარჩინებულები, იმათ გარდა, ვინც თეიმურაზის ხლება ირჩია, ისა-ხანთან შემოიკრიბნენ და მორჩილება განუცხადეს“ – წერს მუნში (ფუთურიძე 1969: 84-85).

ისა ხანის კახეთში დანიშვნის შესახებ უფრო მეტს ვიგებთ ფაზლი ბეგ ხუზანის თხზულებიდან: „ბრძანების თანახმად, ქართველმა მეფეებმა ისა მირზა მეფურ ხალიჩაზე დასვეს და თავზე ოქრო გადააყარეს. მისმა უდიდებულესობამ გაითვალისწინა რა ქართველთა წესი, ([რომლის მიხედვითაც] დასვამენ რა დავითის მოდგმის ხალიჩაზე თავიანთ მეფეებს, ყველა ფედავი და აზნაური, ოქროს მირთმევის შემდეგ, ფიალა ღვინოს შესვამს თავიანთი მეფის ხელიდან, იმავე ფიალითვე შეჰფიცავენ [მას] ერთგულებას), ამგვარად, ქართველმა აზნაურებმა, იქნებოდა ეს მუსლიმი თუ ურჯულო, ისა ხანს ერთგულება შეჰფიცეს“ (Fazli 2015:646).

ფაზლი, განსხვავებით მუნშისგან, დაწვრილებით მოგვითხრობს ამ წვეულების შესახებ: „დიდებული წვეულება გაიმართა იმ დღეს. ისა ხანი თავისი წინაპრების ტახტზე დაჯდა. მისმა უდიდებულესობამ ჩამოატანინა 35 ზერა’ი სიგრძისა და 24 ზერა’ი სიგანის ოქროს ძაფით მოქარგული, ქერმანში მოთელილი თეთრი თექის კარავი, ერთი ხალიჩა, თექის მოსასხამი [ეს ყოველივე] ქერმანელი ოსტატების, ხალიჩის მქსოველი მირზა ალისა და ნაბდის მთელავი მოჰამად ჰოსეინის ნახელავი იყო. კარვის ბოძები აბანოზის ხისგან გამოეთალათ, ხოლო ოქროს ჯაჭვები ისე დაემზადებინათ, რომ გადაადგილებისას დაშლა-აწყობა არ გაძნელებოდათ. კარავს თორმეტი წყვილი კარ-ფანჯარა ისე დაუყენეს, რომ ყველა მხარეს გადიოდა და სხვა დანარჩენ მისთვის საკადრის კარვებთან ერთად [მისმა უდიდებულესობამ] აჩუქა რა ისა ხანს, ბრძანა, რომ ის სამეფო ალაგას მხარეს გაეშალათ. [ისა ხანი] მისი უდიდებულესობისგან გამარჯვების მომტანი კარვისკენ წავიდა რა, ყიზილბაშმა სულთნებმა და გამარჯვების მომტანმა ლაშქარმა მიულოცა მას. მისმა უდიდებულესობამ კახეთს 1000 თუმანი მისცა. ასევე, მაჰდი ყული ბეგ

ახურბაშიმ აჩუქა [ისა-ხანს] მურასა (მოოჭვილი) ლაგამ-უნაგირიანი ერაყული ცხენი.

ხსენებული ხანი სამი დღის განმავლობაში ემშვიდობებოდა მეგობრებს. დაწერა რა ჰოქმები კახეთისთვის, ისა ხანს ქართველ დიდებულთა „ორბიტა“ დაუდ ბეგი (იგივე დავით ასლანიშვილი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ) დაუნიშნეს ვექილად და [ამ უკანასკნელს] წყალობა აჩვენეს (Fazli 2015:646-47).

გარდა იმისა, რომ ამ კონკრეტულ მონაკვეთში მოტანილია ის დეტალები, რომლებსაც არ ვაწყდებით არცერთ სხვა წყაროში, ზუსტად ამავე დეტალებით (პატივისცემის გამოხატვა, ძღვენის მირთმევა, იმაზე მეტი, ვიდრე უბრალოდ ფორმალობა და ტრადიციაა თუ სხვ.) აისახება შაჰ-აბასისა და ისა ხანის ურთიერთობაც. აქვე, ნათლად ჩანს სეფიანთა კარის დამოკიდებულება დავით ჯანდიერის, ანუ „ქართველ დიდებულთა ორბიტის“ მიმართ.

ყურადსაღებია, რომ ფაზლის თხზულების მიხედვით, შაჰი ხანს კახელი კორუმპირებული დიდებულების დასჯას სთხოვს (Fazli 2015: 647), რაც, ჩვენი აზრით, იმითაც აიხსნება, რომ, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ისა ხანს მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება სურდა. ისქანდერ მუნში წერს, რომ ხელმწიფის შიში და მორიდება ქართველების ქონებას იცავდა, „არც ერთ კაცს გლეხის კალოდან ბზის ერთი ნამცეცის აღებაც კი არ შეეძლო“ , ხოლო როდესაც „რამდენიმე უგუნურმა და ბედოვლათმა კაცმა“ ქართველების დაცარიელებული სახლების ძარცვა დაიწყო, მუცლები დაუფატრეს მათ (ფუთურიძე 1969: 85). ანალოგიურ ინფორმაციას ვკითხულობთ „ფუთუჰათ-ე გითისეთანში“ (Fesharaki 2021: 516), თუმცა, ისა ხანისთვის ამგვარი დავალების შესახებ (გასწორებოდა კორუმპირებულებსა და ნაძირლებს), განსხვავებით ფაზლისგან, სხვა ისტორიკოსები არ გვაწვდიან.

მუნშის მიხედვით, კახეთში რაღაც ჯგუფი უკანასკნელ დრომდე არ დაჰმორჩილებია ისა ხანს (ფუთურიძე 1969: 86). ასევე, ერწოსა და თიანეთის დიდებულებმა „ჯიუტობა გასწიეს, არ მიუვიდნენ ისა-ხანს და არ დაემორჩილნენ ისლამის ლაშქარს“, რის გამოც შაჰმა მათი დარბევის განკარგულება გასცა (ფუთურიძე 1969: 87-88). მუნშის გადმოცემით, რადგან ისა ხანი „ისლამის [მიღებით] გაკეთილშობილებული იყო, ნაკლებად სცემდა პატივს ჯვარსა და ბერებს“, და, რადგანაც ქართველები მასზე განაწყენებულები ყოფილან რჯულის შეცვლის გამო, ისა ხანს შეშინებია მათი, შაჰის ამალის აქ არყოფნის დროს არ მომკლანო, გამგებლობა მიატოვა და არდებილში წავიდა. შემდეგ კი პატიება სთხოვა შაჰს, რომელმაც შეუნდო მას და „მოწყალებით მიიღო უკეთილშობილეს ამალაში“ (ფუთურიძე 1969:92).

ფაზლი ხუზანის ისა ხანისადმი კახელების დაუმორჩილებლობის საკითხი მეტად ვრცლად აქვს გადმოცემული. ფაზლიც, ისევე როგორც მუნში, წერს, რომ კახელებს არ მიაჩნდათ სწორად მუსლიმის მმართველობა და არ აპირებდნენ

დამორჩილებოდნენ მუსლიმ ისა ხანს, რადგანაც ეს მათ ადათ-წესებს არ ექვემდებარებოდა, მაგრამ ყურადსაღებია, რომ ფაზლი ხაზს უსვამს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველდღიურად მოდიოდა საჩივრის წერილები ისა-ხანზე და მის სულთნებზე“ (Fazli 2015: 649). ამ ინფორმაციის მიხედვით, გარდა ტრადიციულად მუსლიმი მმართველის მიუღებლობისა, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მუნშისთანაც ხაზგასმულია და ამგვარ მაგალითებს ხშირად ვაწყდებით ირანულ თუ არაირანულ წყაროებში, სხვა ანგარიშგასაწევ და ადგილობრივი მოსახლეობის შემზღუდავ ფაქტორებთანაც გვაქვს საქმე: კახელი მოსახლეობა, როგორც ჩანს, ასაჩივრებს ისა-ხანისა და მისი დაახლოებული პირების კონკრეტულ მიუღებელ ქმედებებს.

ჩვენ მიერ გამოთქმულ ვარაუდს, შესაძლოა, ამყარებდეს ფაზლი ხუზანის ეს ინფორმაციაც: „მისმა უდიდებულესობამ იცოდა, რომ თუკი ყიზილბაშები ისა ხანს უერთგულებენ, მაშინ მოსახლეობაც დაემორჩილებოდა ამ უკანასკნელს. [ამიტომაც] დარწმუნებულები უნდა ყოფილიყვნენ ყველაფერში, რათა ღმერთი არ გასწყრომოდა და, ბიძამისი კონსტანტინე ხანივით, მის საქციელს არეულობა არ გამოეწვია“ (Fazli 2015: 649). კონსტანტინე ხანს კი, ფაზლის თხზულების მიხედვით, ნამდვილად ჰქონდა მოსახლეობის შევიწროვების მცდელობა. ფაზლი წერს, რომ ისა ხანს არ სურდა ამ საქმეში ყიზილბაშების ჩარევა და თქვა, რომ თავად დაიმორჩილებდა თავის ხალხს თბილი მოპყრობითა და სითბოთი „და რა ურჩობაც არ უნდა გამოეჩინა იმ მხარის ხალხს, მათ მიმართ მოთმინებასა და სიფრთხილეს გამოიჩენდა რა, ყველაფერს ქვეყნის სასიკეთოდ გააკეთებდა“ (Fazli 2015: 649).

ამ პასაჟის მიხედვით, ისა ხანის „შეცდომების“ ერთგვარ აღიარებას ვხედავთ.

შეცდომების ხაზგასმასა და ამასთან ერთად შაჰისგან ისა-ხანის ერთგვარ შეწყნარებას ვაწყდებით ასევე „აფზალ ალ თავარიხის“ მომდევნო თავშიც: „ისა ხანს აუჯანყდნენ და ტყეებში დაიმალნენ. და რადგანაც ეს უკანასკნელი მათ ვერ უმკლავდებოდა, იძულებული გახდა, დიდებული სასახლის ზღურბლზე მთხვევისთვის განჯაში წასულიყო, და იქ ეპოვნა თავშესაფარი. მიუხედავად იმისა, რომ მისმა უდიდებულესობამ მას თავის სამფლობელოში დაბრუნება უბრძანა, მან უპასუხა: „თუკი უბრძანებთ და ყიზილბაშებს გამომაყოლებთ, მაშინ კიდევ შესაძლოა ამ სამფლობელოს შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, აქ, თქვენს მსახურებაში დავრჩებიო!“ (Fazli 2015: 659). ყურადსაღებია ასევე ის ფაქტი, რომ როდესაც ისა ხანი თავის რამდენიმე დიდებულ ნათესავს მოკლავს, მის უდიდებულესობას არ მოეწონება მისი ამგვარი საქციელი, „თუმცა რისხვას არ დაანახვებს მას“ (Fazli 2015: 659).

ისქანდერ მუნშის მიხედვით, შაჰს არ დაუნიშნავს კახეთში სრულუფლებიანი მმართველი. მან თქვა, რომ თუ თეიმურაზი „თავისი დანაშაულის მტვერს გულწრფელი და ერთგული სამსახურის სუფთა წყლით ჩამოიბანს“, კახეთი კვლავ მას გადაეცემა (ფუთურიძე, 1969: 92). ფაზლი კი ხაზს

უსვამს იმასაც, რომ „თუმცა კახელები მმართველის გარეშე დარჩნენ, მის უდიდებულესობას იქ ყიზილბაში დიდებული არ დაუნიშნავს“ (Fazli 2015: 659).

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ფაზლი ბეგ ხუზანის „აფზალ ალ თავარიხის“ მიხედვით, რომელიც ბევრად მეტ ინფორმაციას შეიცავს ისა-ხანისა და შაჰ-აბასის ურთიერთობის შესახებ, ვიდრე სხვა ამავე პერიოდის წყაროები, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორები:

- ისა-ხანის მიერ კახეთში გატარებული პოლიტიკის (იქნება ეს არასწორი ნაბიჯები თუ მათი გამოსწორების მცდელობა) ელემენტები;
- შაჰ-აბასისა და ისა-ხანის ახლო ურთიერთობები;
- შაჰის გულისხმიერება ქართველი უფლისწულისადმი და გარკვეულ შემთხვევებში (პოლიტიკურ გათვლებს მიღმა) შემწყნარებლური ნაბიჯების გადადგმაც ისა-ხანისადმი.

ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, კარგად თავსდება აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ შაჰ-აბასის პოლიტიკის ჩარჩოებში – ადგილობრივი ფეოდალური ელიტის ლოიალური წარმომადგენლების საშუალებით რეგიონში ირანის პოზიციების გამყარება.

ტრაგედია კახეთის სამეფო ოჯახში: ალექსანდრე ხანი, კონსტანტინე მირზა და ქეთევან დედოფალი

ქვემოთ წარმოგიდგენთ ფაზლის ვერსიას იმის შესახებ, თუ როგორ მოკლა კონსტანტინე მირზამ მამამისი, კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) და, ასევე, ცნობას თავად კონსტანტინეს მკვლელობის შესახებ.

ის, რომ კონსტანტინე მირზამ საკუთარი მამა და ძმა მოკლა, საქართველოს ისტორიისთვის ცნობილი ფაქტია, თუმცა ეს სრულიად სხვაგვარადაა აღწერილი ფაზლი ხუზანი ესფაჰანისთან. ამ კონკრეტულ თავში ავტორი გადმოგვცემს კონსტანტინე მირზას, მამამისის, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისა (1574-1601, 1602-1605) და მისი ძმის, გიორგის, შეხვედრის ამბავსა და მათ შორის გამართულ დიალოგს. წამოწეულია ამ კონფლიქტის ის მიზეზები, რომლებიც დღემდე უცნობი იყო საქართველოს ისტორიისთვის; ვერ ვხვდებით ამგვარ ცნობას ვერც ისქანდერ მუნშის წყაროში, მაშინ, როდესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდის ყველაზე ვრცელი ირანული ქრონიკა ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ სწორედ რომ ისქანდერ ბეგ მუნშის ეკუთვნის.

ფაზლი ხუზანი ასევე ვრცლად მოგვითხრობს თავად კონსტანტინე მირზას მკვლელობის ამბავსაც, რომელშიც ნათლად ჩანს ქეთევან დედოფლის[5] როლი საქართველოს ისტორიისთვის ესოდენ მნიშვნელოვან მოვლენაში (იგულისხმება ქართველთა შეთქმულება კონსტანტინეს წინააღმდეგ).

XVI საუკუნის დამდეგიდან გაჩაღებული ირან-ოსმალეთის ომების მთავარ ასპარეზს ამიერკავკასია წარმოადგენდა. ალექსანდრე II ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ირანსა და ოსმალეთთან. იგი იყო ირანის ვასალი, ასევე, ოსმალეთის ვასალი 1578 წლიდან, ხოლო 1589 წელს მან რუსეთის მეფისაგან მიიღო მფარველობის ოფიციალური დადასტურება, იგივე „წყალობის სიგელი“ (გუჩუა 1973:145).

ბუნებრივია, შაჰ-აბას I-ს ხელს არ აძლევდა რუსეთისა და კახეთის დაახლოება, მაგრამ, რადგანაც ოსმალეთთან ბრძოლაში რუსეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მისდამი მტრობას არ ამჟღავნებდა; მიუხედავად ამისა, ფარულად კახეთზე გადამწყვეტ თავდასხმას ამზადებდა და ალექსანდრე II-ის კარზე ინტრიგებსაც აღვივებდა. „შაჰ-აბასი, გასაგებია, კახეთის საკითხში ერანის უფლებების შელახვაზე „მეგობართან“ სიტყვის ჩამოგდებას ეხლა მოერიდებოდა. და მოსკოვიც არ იყო უკმაყოფილო შაჰის ასეთი პოზიციით (თუმცა რუსეთ-კახეთის აქტის იურიდიულად ცნობას ერანის შაჰის მხრით მოსკოვი ამის შემდეგაც დაჟინებით ცდილობდა, მაგრამ ასეთ ცნობას ასეთივე დაჟინებით გაურბოდა შაჰ-აბასი)“ (ბერძენიშვილი 1967:23).

---

[5] იგივე ქეთევან წამებული (გ. 1624 წ.), კახეთის მეფის, დავით I-ის მეუღლე, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის რძალი, თეიმურაზ I-ის დედა.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია (ამასვე წერს ისქანდერ მუნში), რომ ალექსანდრე II-ს, რომელსაც შაჰისათვის ერთგული სამსახურისა და მორჩილების პირობა ჰქონდა მიცემული, თავისი ვაჟი კონსტანტინე ბავშვობიდან შაჰის კარზე ჰყავდა გაშვებული (ფუთურიძე 1969: 36; კაკაბაძე 1926: 18; ყაუხჩიშვილი 1959: 382). კონსტანინე შაჰ-აბასის ერთგული მსახური იყო. შაჰ-აბასი მას შირვანის ბეგლარბეგობას დაჰპირდა. როგორც მუნშისთან ვკითხულობთ, შირვანზე გასალაშქრად კონსტანტინეს მამამისის, ალექსანდრეს, დახმარება სჭირდებოდა და ამ მიზნით იგი საქართველოში მამასთან წამოვიდა; ალექსანდრე კი დახმარებაზე ფეხს ითრევდა. არ უნდოდა დახმარება ასევე არც კონსტანტინეს ძმას, გიორგის. მუნში წერს, მას არ სურდა, რომ კონსტანტინეს მის მეზობლად ჰქონოდა ძალაუფლებაო (ფუთურიძე 1969: 47-48). განსხვავებით ქართველი მემატიანეებისგან, მუნშისთან არაა ნახსენები, თითქოს კონსტანტინე კახეთში კახეთის ტახტის ხელში ჩასაგდებად ჩამოვიდა.

ქართულ წყაროებში ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

ბერი ეგნატაშვილი: შაჰ-აბასმა კონსტანტინე გამოაგზავნა საქართველოში. გამოატანა ხალათი ალექსანდრესთვის (მამამისისთვის) და უთხრა: „დავით ხომ მომკუდარა და სხუა აღარავინ დარჩომილა მამის შენის მეტი, წადი და მოკალ მამა-შენი და ძმა-შენი, და კახეთიც შენ დაიჭირე“... „დღესა ერთსა აწჯა თჳსსა კარავსა მამაცა და ძმაცა თჳსი და უთხრა ესრეთ, ვითარმედ: „ყაენის საქმე მაქუს“, და დაითხოვნა კაცნი და წარვიდენ კარვად თჳსად, და დარჩა მას თანა რუსთველი და ძმა მისი. და რაჟამს ესრეთ დააჴელა, მაშინ დაპირებული ჰყვანდა ყიზილბაშის ჯარი და შემოცვივდენ კარავში და უღალატა და დაჴოცეს“ (ყაუხჩიშვილი 1959: 382-383).

ვახუშტი ბატონიშვილი: „მომკუდარ არს დავით ძმა შენი და არს მამა შენი მოხუცებული და ძმა შენი გიორგი, აწ ვინათგან ხარ შენ რჯულისა ჩემისა მტკიცედ და მეფობისა ჩემისა სარწმუნო, მოგცნე სრულიად სპანი შირვანისანი შემწედ, ხალათი და ნიჭი მამისათვის, წარვედ და მოჰკალ ორნივე და შენ დაიპყარ კახეთი და ჰყავ მაჰმადიან“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 582). „ხოლო დღესა ერთსა ეტყოდა კონსტანტინე მამასა: „მაქუს სიტყუა თავისწინაობასა შინა ბრძანებული ყეენისა“. ალექსანდრემ დამსწრეებს გასვლა უბრძანა, ამ დროს „გამოვიდნენ პაემნით მობირებულნი სპანი და მოურთნეს მახვილნი და მოკლეს მეფე ალექსანდრე და ძე მისი გიორგი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 582).

ფარსადან გორგიჯანიძესთან ვკითხულობთ, რომ ყაენი ალექსანდრეზე ნაწყენი იყო, იმის გამო, რომ იმან განჯის ბეგლარბეგი შეიპყრო და ხელბორკილებით ხონთქარს გაუგზავნა. კონსტანტინეს უთხრა: „მე მამის შენისა დიდი ჯავრი მაქვსო. რა შირვანი დაიჭირო, მამა შენი მოკალო და კახეთიც შენთვის მამიციაო“... „გაუწყრა ღმერთი კონსტანტილეს, სწვალა მამა-შვილობა, მამაც მოკლა

და ძმაცა“ (კაკაბაძე 1925:18). მამისა და ძმის მოსაკლავად უშვებს შაჰი კონსტანტინეს არაქელ დავრიჟეცის თხზულების მიხედვითაც (კუცია 1974:14).

მუნში ამგვარად აღწერს ამ ამბავს: ერთ დღეს კონსტანტინე-მირზა ამირებთან ერთად თავისი ბანაკიდან გამოვიდა ცხენით და მამამისის სადგომში მივიდა. მან ძმაც იხმო, შირვანზე გალაშქრების შესახებ დაუწყო ლაპარაკი და მკვახე [სიტყვებით მიმართა მათ]. თუმცა ამგვარად ელაპარაკებოდა (ე.ი. ასეთი კატეგორიული ლაპარაკი ჰქონდა), მაგრამ ალექსანდრე-ხანმა რამდენიმე მიზეზი დაასახელა და ის (კონსტანტინე) ქართველებში დატოვა, თვითონ კი თავის ოთახში წავიდა. გიორგი-მირზაც მამის მსგავსად მოიქცა და თავისი სადგომისკენ გაემართა. კონსტანტინე-ხანმა მათი ასეთი ქცევა და უყურადღებობა ვეღარ აიტანა, ძმას დაედევნა და როცა დაეწია, დაუწყო ქართულად ლანძღვა. ის გაჩერდა და ძმას ამ სიტყვებზე პასუხი გასცა. კონსტანტინე მასთან ახლო მივიდა, „სისხლისმღვრელი მახვილი იშიშვლა შურისძიების ქარქაშიდან“, დაჰკრა მას და თვალის დახამხამებაში გაათავა. იქიდან გამობრუნდა და მამის ოთახში (ხალვათხანაში) წავიდა. ამირებიდან შაჰმირ-ხანი და ალი-ხან მოვაფეყი მასთან ერთად შევიდნენ ხალვათხანაში. ბექთაშ-სულთან მოვსილუ თორქემანი ყიზილბაშების ერთი ჯგუფით გარეთ იდგა. მან (კონსტანტინემ) მამას ქართულად დაუწყო ლაპარაკი. მამა უგუნურად მის ლანძღვას მოჰყვა. ამ დროს შეიტყო მან გიორგი-მირზას [მოკვლის] ამბავი, ყვირილი ასტეხა და ქართველ აზნაურებს უბრძანა, დაეხოცათ ყიზილბაში ამირები. ალი-ხან მოვაფეყი ხმლით ეცა მას, შაჰმირ-ხანმა კი ბოლო მოუღო“ (ფუთურიძე 1969: 48).

როგორც ვხედავთ, მუნშისგან განსხვავებით, ქართულ წყაროებში შაჰი პირდაპირ მამის მოსაკლავად უშვებს კონსტანტინეს, ხოლო მუნშისთან – მამის დასაყოლიებლად. მუნშისთან ცხადად ჩანს, რომ შაჰს ალექსანდრე შირვანზე გასალაშქრებლად სჭირდება.

მუნშის მსგავსად, თუმცა უფრო მოკლედ აქვს აღწერილი ეს ეპიზოდი ჯალალ ად-დინ მოჰამად იაზდის (Mula Jalal ad-din 1366: 276) და ანალოგიურად აღწერს ამავე ეპიზოდს აჰმად ჰუსაინ ხალიფა თავის თხზულებაში, რომლის ხელნაწერის აკადემიური ტექსტი ახლახან გამოიცა. წყაროს მიხედვით, „საზიზღარმა კონსტანტინემ უხეშად მიმართა მამას და ლანძღავდა მას“, შემდეგ კი სცენა ვითარდება ზუსტად ისე, როგორც მუნშისთან (Sayyid Ahmad Husayanī Khalīfah 2021: 369).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო განსხვავებულად და ვრცლად აღწერს ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი ამ ამბავს: „კონსტანტინე ხან ქართველი მამამის ალექსანდრე ხანთან და სულთნებთან ერთად გურჯისთანის ველაიათში წავიდა, შეთანხმება იყო ასეთი, რომ ნოურუზის შემდეგ შეკრებდა ლაშქარს და სულთნებთან ერთად შირვანისკენ წავიდოდა. კონსტანტინე მირზამ პატივისცემით შეუთვალა თავის დიდებულ მამას, აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ ქვეყანა ვმართო,

გამომდინარე თქვენი მსახურებიდან მისი უდიდებულესობისადმი [და პირობისგან], თუკი ქართველების რაზმს მოგვცემთ, შაჰის ხალხიც საქართველოს გასათავისუფლებლად აღდგება, რათა ჩვენ შევძლოთ, ოსმანთა ტომს სული ამოვხადოთ. ალექსანდრე ხანი დროს განზრახ აჭიანურებდა. ერთი თვის შემდეგ კონსტანტინემ სულთნებს უხმო და თავისი მამისა და ძმის უმადურობის შესახებ უამბო“ (Fazli 2015: 287). თუმცა კონსტანტინე ხანისთვის ცნობილი ხდება, რომ „[როგორც ჩანს,] წინასწარ შუტყვიათ რა ამბავი მისი უდიდებულესობისა და ჯაღალისგან, გამარჯვების კვალის მატარებელი ლაშქარი შეაყოვნეს“ და ფაზლის მიხედვით, სწორედ ამის შემდეგ იღებს იგი ძმისა და მამის მოკვლის გადაწყვეტილებას. „და [კონსტანტინემ] საკუთარი მამისა და ძმის მოკვლა გადაწყვიტა“ – წერს ფაზლი (Fazli 2015: 387).

დილით კონსტანტინემ ალექსანდრე ხანი, შაჰმირ ხანი,[6] ალი ხან სოლთანი და მამამისის მაჯლესის სხვა წევრები შეკრიბა, რათა დალაპარაკებოდა მათ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე უზრდელად ელაპარაკებოდა მამამისს, ეს უკანასკნელი მშვიდად დაჰპირდა მას: „ალაჰის შეწევნით, ლაშქარს მოვუხმობ და გამოგიგზავნიო“, თუმცა კონსტანტინე მირზა მაინც ძალიან აღელვებული იყო და უხეშად ელაპარაკებოდა მამამისს. გიორგი მირზა [უფლისწული გიორგი], შეეწინააღმდეგა ძმას და ქართულად უთხრა: ნეტავ სულ არ დაბადებულიყავიო, რის მერეც კონსტანტინემ იგი ხმლით აკუწა. ამის შემდეგ მივიდა მამასთან და შაჰმირ ხანსა და ალი ხან სოლთანს, რომლებიც ალექსანდრე ხანის მახლობლად ისხდნენ, თბილად ესაუბრებოდნენ მას [ალექსანდრეს] და საბრძოლო საკითხებს განიხილავდნენ, უთხრა: „რას დამდგარხართ, მოკალით ეს ბებერი ურჯულო და მისი ორგულობის სასჯელი აჩვენეთ! მე მოვუღე ბოლო გიორგი ხანს!“ და მაშინვე შაჰმირ ხანმა გადაუგდო რა ხმალი ალი ხან სოლთანს, ამ უკანასკნელმა ბოლო მოუღო ალექსანდრეს“ (Fazli 2015: 388).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაზლის თხზულებაში დაწვრილებითაა აღწერილი მიზეზები, დიალოგი, მთელი რიგი წინაპირობები, რაც წინ უძღვოდა კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის მოკვლას. ასევე, ამ ეპიზოდის დეტალური აღწერაა, რაც ნამდვილად აკლია არათუ ქართულ და სხვა სპარსულ წყაროებს, არამედ თვით ისქანდერ მუნშისაც კი.

კონსტანტინე მამისა და ძმის განძს დაეპატრონა და საქართველოს სრულუფლებიანი მბრძანებელი გახდა (ფუთურიძე 1969: 49). მალევე კახელები აჯანყდნენ, ხოლო კონსტანტინე ტახტის შენარჩუნებას შეეცადა. ქართული წყაროების მიხედვით, კონსტანტინემ თავისი ძმის ცოლს, ქეთევანს, დაქორწინება შესთავაზა: „რამეთუ ჯერ არს სჯულსა მაჰმადისა შერთვა რძლისა და აწ მე დავიპყარ კახეთი ნებითა ყეენისათა, შემირთევ და იყავ კუალადცა დედოფალი და,

[6] კონსტანტინე ხანის ხელქვეითი ამირა, რომელიც წარმოშობით შაქის ველაიათის ძველ ვალიებს ეკუთვნოდა.

უკეთუ არა ინებო, მე ძალით ვყო ესე“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 583). „შეგირთავ ცოლად და შენცა მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 383), ამასვე წერს ფარსადან გორგიჯანიძე (კაკაბაძე 1926: 19).

ისქანდერ მუნშის მიხედვით, კონსტანტინე ხანმა ქეთევან დედოფალთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა, რომ გარდა რამდენიმე კაცისა, რომელთაც ჩემი მოკვლა მოინდომეს, სხვას არავის ვავნებო. წყალობასა და სიკეთეს დაჰპირდა ეს უკანასკნელი სამეფო ოჯახის წევრებსაც (ფუთურიძე 1969: 57). დედოფალიც „კეთილად მოეპყრა და თავაზიანად შეხვდა“ კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ კაცს, თუმცა შაჰისგან თავისი არზის პასუხს ელოდა და როგორც კი შეიტყო, რომ შაჰი კონსტანტინეზე გაბრაზებულია და „მისი ცდა იმ ქვეყანაში გაბატონებისა შაჰის მიერ მოწონებული არ ყოფილა“, შემოიკრიბა მომხრეები და „კონსტანტინესთან ბრძოლა და ჭიდილი იწყეს“ (ფუთურიძე 1969: 57). მუნშის აღწერილი აქვს, თუ როგორ მოკლეს კონსტანტინე, როდესაც თავისი ღოლამის, ღარჩიღა სულთნის დასახმარებლად „მოუთმენლად სიმამაცის ცხენი გააჭენა“. კონსტანტინე რამდენიმე ქართველს უცვნია, ის არ გაქცეულა და ასე მოუკლავთ. მუნში ასევე აღნიშნავს, რომ ქეთევან დედოფალი „სახელმწიფო საქმეების მთავარი გამგებელი იყო“ (ფუთურიძე 1969: 57).

კონსტანტინეს წინააღმდეგ ქართველთა შეთქმულების შესახებ, კერძოდ, კონსტანტინე მირზას მოკვლის ამბავს უფრო ვრცლად და განსხვავებულად მოგვითხრობს ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი და, ასევე, ხაზს უსვამს ქეთევან დედოფლის როლს საქართველოს ისტორიისთვის ამ ესოდენ მნიშვნელოვან მოვლენაში. დედოფალს ავტორი შემდეგი ეპითეტებით ამკობს: „მისი უდიდებულესობის ფრთის ქვეშ მყოფი საქართველოს მნიშვნელოვანი მმართველი, ქეთევან დედოფალი“; „იმ დროის ყველაზე ბრძენი ქალი, ქეთევან დედოფალი (Fazli 2015: 387-389). აფზალ ალ თავარიხის მიხედვით, ქეთევანის შვილები ელენე და თეიმურაზი შაჰის კარზე იმყოფებოდნენ. თავად დედოფალს მორჩილებისა და სიმშვიდის გარდა სხვა გზა აღარ დარჩენოდა და ქმრის ძმას (კონსტანტინეს) დამორჩილდა. თუმცა, შეკრიბა ის ქართველები, რომლებისთვისაც მუსლიმი მეფე მიუღებელი იყო და „რომლებიც დავითის ტახტზე მორასა გვირგვინით შემკულს დასვამდნენ ქალს იმ შემთხვევაში, თუკი არ ეყოლებოდათ მამაკაცი მეფე“.... დედოფალი მიხვდა, რომ [შესაძლოა] ხანს [კონსტანტინეს] ამეფებდნენ, მის წინაშე დაიჩოქა, როგორც ამას ეტიკეტი მოითხოვდა და [მას] პატივი და მორჩილება აღუთქვა“ (Fazli 2015: 388).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუკი ისქანდერ ბეგ მუნშისთან ნახსენებია ქართველების (და ცხადია, ქეთევან დედოფლის) მიერ შაჰ-აბასთან გაგზავნილი წერილი („რომელშიც ისინი მრავალ ცუდ საქციელს უჩიოდნენ კონსტანტინე-ხანს“) (ფუთურიძე 1969: 55), ფაზლი ბეგ ხუზანისთან, სავარაუდოდ, იმავე წერილის

უფრო ვრცელ შინაარსსაც ვკითხულობთ: „[კონსტანტინეს] მმართველობის შემდეგ საქართველოსა და შირვანის ველაიათებში გარემოება შეიცვალა. დიდგვაროვნები, რომლებიც მას გვერდში ედგნენ, ნაცვლად სიკეთის გამომჟღავნებისა, მოიძულა. თვლის რა თავის თავს ამ ველაიათის ბატონ-პატრონად, ხშირად შეურაცხყოფასაც აყენებს მათ! თავისი ძლიერი და მკაცრი ხელი დაატყო რა იმ ველაიათს, მოსახლეობისგან უამრავ საჩუქარს იღებს, დაახლოებით ათას თუმანს, ათ ხარვარ[7] აბრეშუმს, ოცი ხარვარის რაოდენობის მოსავალს.[8] ამგვარი ვითარების გამო, შემახას ციხის აღების შემდეგ, უკვე ამბოხის სუნი დადგა. ის ვეღარ იქნება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ შეიყვარა, ახლობლად მიიჩნია და სიკეთე აჩვენა“ (Fazli 2015: 391). ფაზლი წერს, რომ კონსტანტინეს მიერ ქართველი დიდებულებისადმი გამოხატულმა უნდობლობამ განარისხა ეს უკანასკნელნი და ქეთევან დედოფალი. ისინი არ ენდობოდნენ რა კონსტანტინეს, „და დედოფალმა, რომელსაც ეშინოდა, ლუარსაბ ხანის და დავითის მოდგმის დინასტია არ დამარცხებულიყო, თავისთან იხმო ალექსანდრე ხანის ეშიკაღასი ბაში[9] ქაიხოსრო ბეგი, გვარამის ძე, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოსი იყო, ალავერდის მღვდლები, აზნაურები, მოურავები და მხარის ქედხოდები.[10] მათ ერთმანეთთან მოითათბირეს, [თქვეს,] რომ, თანახმად დავით წინასწარმეტყველისა, რომლის წინასწარმეტყველებასაც მიაწერენ თავიანთი [ბაგრატიონთა] სამეფო შტოს წარმოშობას, არ შეიძლება, კახეთის მეფე მუსლიმი იყოს, თანახმად უფლისა, რომელსაც ისინი ღმერთს უწოდებენ, მამისა და უფროსი ძმის მკვლელი არ ეგების, გამეფდესო!“ (Fazli 2015: 391). ამის შემდეგ ქეთევან დედოფალმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა ერთხმად გადაწყვიტეს კონსტანტინე მირზას მოკვლა.

ფაზლის თხზულების მიხედვით, კონსტანტინე ხანისთვის შეთქმულების შესახებ შეუტყობინებიათ. უთქვამთ, გემდურიან იმის გამო, რომ ფულს ართმევდი მათ და ავიწროებდიო და მისთვის გარკვეული ხარჯის გაღება ურჩევიათ. ხანიც დათანხმებულა, თუმცა მისი მოკვლა უკვე გადაწყვეტილი იყო და, როგორც ეს ქართველებს სჩვევიათ, ყიჟინით შეცვენილან ხანის კარავში. ფირი ბეგ ჩაქერლუმ,[11] რომელიც მის უდიდებულესობას ხანის ამბის გასაგებად გამოეგზავნა, შეიტყო რა ეს ამბავი, მივიდა ხანის კარავში და ალი ხანის[12] კარავში გადაიყვანა იგი [კონსტანტინე]. ალი ხანი რუმელი (თურქი) იყო და მის უდიდებულესობასთან

---

[7] წონის საზომი ერთეული, რომელიც 300 კგ-ის ტოლია.

[8] ავტორს უწერია غروش[ღორუშ] (იხ. Khuzani, 401), ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს კონკრეტულად ძვ. თურქ. Gürüč [გურუჩ] (იხ. Древнетюркский словарь. Академия наук. Институт языкознания. Издательство "Наука", Ленинград, 1969: 195).

[9] თურქ. ობერ ცერემონმაისტერი.

[10] სპარს. მამასახლისი, უბნის უფროსი, გვარის ან ტომის მეთაური.

[11] მოლაზემი ყარაბირი – ასეა ნახსენები ეს პიროვნება ისქანდერ მუნშისთან.

[12] ალი ხან მოვაფეყი.

ერევანში მსახურობდა. როდესაც ყიზილბაშებმა ქართველები დაინახეს, იფიქრეს, თურქების მხარეს გადავიდნენო, ქარნას დააძახეს და ხანი ცხენზე შესვეს. ქართველებმა რომ ქარნას ხმა გაიგონეს, მიხვდნენ, რომ ხანი ცოცხალია და დაიქსაქსნენ. დედოფალი და თავადები საქართველოს გზას გაუდგნენ. ხანმა მათ მთელი ღამე სდია უკან, მაგრამ ვერ დაეწია... დილით ხანი ქართველებს დაეწია. ქართველებმა უთხრეს, ჩვენი დევნა კარგს არაფერს მოგიტანს, სანამ კიდევ ერთი კაცი მაინცაა ცოცხალი ჩვენგან, უკან არ დავიხევთო! სულთნებიც, მიხვდნენ რა, რომ ვერ შეებრძოლებოდნენ, გაბრუნდნენ, – წერს ფაზლი (Fazli 2015: 402). აფზალ ალ-თავარიხის მიხედვით, შაჰი კონსტანტინეს აღარ მიეშველა, რადგან აღარ ენდობოდა მას. როდესაც კონსტანტინე შაჰმა თავისთან იხმო, იგი მას არ ეახლა. ფაზლი წერს, რომ კონსტანტინეს შერცხვა თავისი საქციელის გამო.

ქართული წყაროების მიხედვით, შაჰ-აბასი თეიმურაზს კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ უშვებს კახეთში (კაკაბაძე 1926: 19; ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 583; ყაუხჩიშვილი 1959: 383). ამგვარად გვიამბობს არაქელ დავრიჟეციც (კუცია 1974: 16). ისქანდერ მუნში წერს, რომ შაჰმა შეარჩია ბედნიერი საათი, თავისთან იხმო სახელმწიფოს დიდებულები და მოაწყო მეფური ზეიმი, სადაც თეიმურაზს ხანობა უბოძა (ფუთურიძე 1969: 62).

შაჰ-აბასის მიერ თეიმურაზის საქართველოში გამოშვების ეპიზოდს განსხვავებულად აღწერს ფაზლი: „დედოფალმა და ქართველმა დიდებულებმა გლოვის შემდეგ მისი უდიდებულესობის სახელზე არზა დაწერეს, აზნაურ ფარამარზ ბეგს გაატანეს და თეიმურაზ ხანის ჩამოყვანას სთხოვდნენ [შაჰს]…. კონსტანტინე ხანი, რომელმაც ქართველების დახოცვა და ამ მხარის დაპყრობა გადაწყვიტა, იორს გადმოვიდა და საქართველოში შემოვიდა. ქართველებს ეშინოდათ მისი, თანაც არც მისი უდიდებულესობისგან მოსულიყო პასუხი. ამასობაში ფარამარზ ბეგი მისი უდიდებულესობისგან დაბრუნდა. [შაჰმა] თეიმურაზ ხანს ხანობა და ოლქის მმართველობა უბოძა. ქართველებმა კონსტანტინესთან შებრძოლება გადაწყვიტეს. როდესაც პატივმოყვარე ხანმა ძმისშვილის მოსვლის ამბავი შეიტყო, გაბრაზდა და გრემის ველზე საბრძოლველად დაბანაკდა. ყარჩიღა ბეგს,[13] რომელსაც იგი ძალიან ენდობოდა, ავანგარდი ჩააბარა და გარკვეული რაოდენობის ყიზილბაშებიც მიაშველა. იმის გამო, რომ [კონსტანტინე] მისი უდიდებულესობის ნებართვის გარეშე მოვიდა, შაჰმირ ხანი, ალი ხან სოლთანი და დანარჩენი სულთნები გაბრაზდნენ და განუდგნენ მას. ყარჩიღა ხანსა და მის ჩარხჩიებს[14] ნაძირალა ქართველებიც შეუერთდნენ, რომელთაგანაც ქვეითი ჯარი შეიქმნა (Fazli 2015: 403).

ყურადსაღებია, რომ ფაზლის ქრონიკის მიხედვით, ქეთევან დედოფალი არათუ თავად მიუძღოდა ქვეით ჯარს, არამედ კონსტანტინეს მოკვლის ბრძანებაც

[13] კონსტანტინეს ღოლამი, იგივე ყარჩირა სულთანი.
[14] ცხენოსანი მეომარები (თურქ.), ავანგარდი.

მანვე გასცა. ფაზლი წერს, რომ კონსტანტინე არ ნებდებოდა ქართველებს და აგინებდა კიდეც დედოფალს. ბოლოს ერთ-ერთმა ცხენზე ამხედრებულმა გმირმა აზნაურმა ხანი შებოჭა და, რადგანაც ამ უკანასკნელს არავინ მიეშველა, ყიზილბაშთა ლაშქარიც გატყდა. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ, ფაზლის მიხედვით, ხანის მოკვლის შემდეგ ქეთევან დედოფალმა მუსლიმებსა და ქართველებს ერთმანეთის ხოცვა აუკრძალა.[15] „ვისაც ნახავდნენ ქართველები, გააშიშვლებდნენ და ასე ტოვებდნენ. ხოლო თავად [დედოფალი] თეიმურაზთან ერთად კონსტანტინეს [ცხედრისთვის] წავიდა. იქ მყოფმა რამდენიმე მუსლიმმა და ხოჯა ზია ედ-დინმა, რომელიც იმ დროს მისი მრჩეველი იყო, ხანის ცხედარი კუბოში ჩადო და არდებილის გზას გაუყენა“ (Fazli 2015: 404).

ის, რომ აღმოსავლური წყაროების ავტორთა სტილი ტროპული მეტყველებით გამოირჩევა, ყველასთვის ცნობილია. გამონაკლისი არც ფაზლის თხზულებაა მხატვრული აზროვნებისთვის დამახასიათებელი ლიტერატურულ ხერხებს არა მხოლოდ ტექსტის აქსესუარის ფუნქცია აკისრიათ, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წყაროთმცოდნეობითი საკითხების კვლევის თვალსაზრისითაც. ამა თუ იმ პასაჟის დეტალიზაცია თუ ბელეტრიზირება ტექსტს აზუსტებს და მათ სანდოობასაც კი მატებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამისი ნათელი მაგალითია ფაზლის თხზულებაში დაწვრილებით აღწერილი კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის მოკვლის არა მხოლოდ წინაპირობები თუ მიზეზები, არამედ მათ შორის გამართული დიალოგებიც. ხაზგასასმელია, რომ ასეთი დეტალიზაცია უცხოა არა მარტო ჩვენთვის ცნობილი ქართული თუ ირანული და სხვა უცხოური წყაროებისთვის, არამედ ისქანდერ მუნშის ინფორმატიულად დატვირთული ტექსტისთვისაც კი.

ფაზლის ქრონიკაში ასევე ვხედავთ ისტორიკოსის მიერ პიროვნების როლის წინა პლანზე წამოწევის მცდელობას. ავტორი ხშირად ახასიათებს ისტორიულ პირებს, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საკითხის ზედმიწევნით დაზუსტებას.

ჩვენ მიერ განხილულ კონკრეტულ თავში ნათლად ჩანს ქართული სამეფო ოჯახის ქალი წარმომადგენლის (ამ შემთხვევაში ქეთევან დედოფლის) როლიც პოლიტიკაში როგორც საქართველოს, ასევე სეფიანთა კარზე.

ფაზლის თხზულებაში არსებული ეს ცნობები ავსებს ჩვენს ცოდნას იმ პერიოდის კახეთის მმართველობის სტრუქტურისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ.

[15] ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ.: ალექსიძე, მ. და მაედა, ჰ. Some new information on the lives of Queen Ketevan, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი, 2019: 278-286.

ქართველი ქალები სეფიანთა ირანის სამეფო კარზე ფაზლის თხზულების მიხედვით

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მე-17 საუკუნე ურთულესი ხანაა ქართველი ხალხის ისტორიაში. საქართველო დაყოფილია ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად. მეფეები და დიდებულები გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს. ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებს სპარსეთისა და ოსმალეთის მუდმივი წნეხი. მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ქვეყნის ამგვარი დანაწევრება და მუდმივი შინააშლილობა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. რა თქმა უნდა, ქვეყნის მმართველები რუსეთშიც ეძებდნენ ხსნას.

ქვემოთ განვიხილავთ ამ პერიოდის ქართლისა და კახეთის სამეფო საგვარეულოების ქალი წარმომადგენლების მოღვაწეობას, რომელთაგანაც ნაწილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ნებით თუ ძალდატანებით, იმყოფებოდა შაჰის ჰარამხანაში.

„აფზალ ალ-თავარიხ“-ში ნათლად ჩანს ქართული სამეფო ოჯახების ქალი წარმომადგენლების როლი პოლიტიკაში როგორც საქართველოს, ასევე სეფიანთა კარზე.

ლელა-ელენე ფათემე სულთან ბეგუმი

ლელა-ელენე ფათემე სულთან ბეგუმი ქართლის მეფის, დავით X-ის (1600-1606) ქალიშვილი და ლუარსაბ II-ის (ქართლის მეფე 1606-1615) და იყო. მის შესახებ ქართულ წყაროებში უთანხმოებას ვაწყდებით. მას ხშირად თინათინს უწოდებენ.[16]

ბერი ეგნატაშვილი მის შესახებ წერს: „ოდეს მოკუდა გიორგი მეფე, დარჩა ორი ასული შუენიერი და სატრფიალო: სახელი ერთსა ხორაშან და მეორესა თინათინ. და რაჟამს გამეფდა პატარა ლუარსაბ, მაშინ სთხოვა ყაენმან შააბაზ დაჲ თჳსი ცოლად. და მისცა დაჲ თჳსი თინათინ და ესუა ცოლად შააბაზს (ბერი ეგნატაშვილი 1954: 383).

ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო გიორგი მეფისა შემდგომად გამეფდა ძე მისი ლუარსაბ და ეკურთხა მცხეთასა და დაიპყრა ქართლი... ამისა შემდგომად სთხოვა შაჰაბაზ ლუარსაბ მეფეს დაჲ თჳსი ცოლად თინათინ. ამან მისცა და წარიყვანეს დიდითა დიდებითა და ნიჭითა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 420).

აქ საქმე შეცდომასთან გვაქვს. ლუარსაბის დას არ ერქვა თინათინი. თინათინი ერქვა თეიმურაზ I-ის დას, რომელიც შაჰ -სეფის (1611-1642) ცოლი იყო და რომელიც თეიმურაზმა თავად გაუგზავნა მას. კორნელი კეკელიძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „საიდან გაჩნდა მაინც ეგნატაშვილისა და ვახუშტის თინათინი? ვახუშტის წყარო ეგნატაშვილია, ხოლო უკანასკნელს, ეჭვი არაა,

[16] ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ.: კ. კეკელიძე. ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 4, თბილისი, 1957: 217-225.

ლუარსაბის დად თინათინად შეცდომით მიუღია თეიმურაზ პირველის ასული თინათინი“ (კეკელიძე 1957: 220).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1605 წელს ლელა-ელენეს ხელი რუსმა ელჩებმა რუსეთის მეფის ბორის გოდუნოვის ვაჟისთვის ითხოვეს. მათ გიორგი მეფეს ჰკითხეს: „შენს ასულს თუ მოგვცემ რუსეთის უფლისწულისათვის? რამდენი წლისაა შენი ქალიშვილი? როგორ გამოიყურება იგი?“ (Белокуров 1889: 470). საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ეს ქორწინება არ შემდგარა.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით (იგი სწორად უთითებს ამ ქალის სახელს), გიორგი მეფეს „ორი ქალი ჰყვანდა, უფროსი ბატონის შვილი ლელა რომე ყაენმან სულთან ბეგუმ დარქვა და თვითან შეირთო და ხვარეშან დედოფალი ბატონს თეიმურაზს შერთეს“ (კაკაბაძე 1926/25: 20) ქართული წყაროების მიხედვით, ლელა-ელენე 1622 წელს შაჰ-აბასმა ფეიქარ ხანს მისცა. ამის შესახებ ფაზლისთანაც ვკითხულობთ (Fazli 2015: 905).

ბესარიონ კათოლიკოსის „ლუარსაბის მარტვილობაში“ ვკითხულობთ: „ესე მარტოი ესვათ ორთა ასულთა თანა, რომელთაგან პირველსა ეწოდა ელენე და უმრწმესსა ხუარაშნა“ (ბესარიონ კათოლიკოსი: 408). გიორგი მეფის ორი ქალიშვილი მოიხსენიება ასევე უფლისწულ იოანე ბაგრატიონის ისტორიაში, ერთის სახელი – ელენეა.

კიდევ ერთი ქართველი ბატონიშვილი არის კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის და *ელენე*. კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის (1574-1605) ასული დავით I-ის (1601-1602) (კახეთის მეფე) ქალიშვილი.

1604 წლის აგვისტოში კახეთშიც ჩამოვიდნენ რუსი ელჩები, რომლებიც გიორგისგან რუსეთის მეფის ერთგულების ფიცის მიღებას ითხოვდნენ და ამავდროულად, მათ ჰქონდათ დავალება, შეერჩიათ საცოლე ბორის გოდუნოვის ვაჟისთვის, ხოლო ქალიშვილისთვის – საქმრო. ამ მიზნით სურდათ მათ თეიმურაზ ბატონიშვილის რუსეთში წაყვანა. გიორგი არ ასრულებდა ელჩების მოთხოვნებს. ამ დროს შაჰის ელჩი მაჰმად ბეგი უკვე რამდენიმე თვე კახეთში იმყოფებოდა და თეიმურაზისა და მისი დის, ელენეს ირანში წაყვანას ცდილობდა. კახეთის მაღალჩინოსანთა დიდი ნაწილიც წინააღმდეგი იყო რუსეთის. ალექსანდრეც ხედავდა საქმის ვითარების სირთულეს და გამოსავალს ეძებდა. მისი დასტურით, გიორგიმ ირანში გაგზავნა თეიმურაზი და ელენე. ელენე შაჰ-აბასმა შეირთო ცოლად.

1604 წელს კი რუსი ელჩი ქართლის მეფეს ეუბნება – აი, ახლაც კი წაართვა ალექსანდრე მეფეს შაჰმა შვილიშვილი, გააუპატიურა და უკან დაუბრუნაო (Белокуров 1889: 584).

შემდეგ ელენე მეორეჯერ აღმოჩნდა შაჰის კარზე, როცა დაქვრივებული თეიმურაზი შაჰს წარუდგა, მისცა მას თავისი და და სხვა დიდგვაროვანი გოგო-ბიჭები – წერს ვახუშტი ბატონიშვილი. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით კი, 1613

წელს თეიმურაზმა თავისი და ელენე დედასთან და შვილებთან ერთად გაგზავნა შაჰთან (კაკაბაძე 1926: 21). ქართველი საეკლესიო მოძღვრის იოსებ თბილელის (სააკაძე) „დიდმოურავიანის“ მიხედვით, თეიმურაზმა თავისი და ელენე დედასთან ერთად გაუგზავნა შაჰ-აბასს (ტფილელი 1939: 15).

1618 წელს იღუმენი ხარიტონის ხელით გაგზავნილ წერილში თეიმურაზი სწერდა რუსეთის მეფეს, რომ შაჰმა ჩემი და – დავით მეფის ასული მთხოვა ცოლად და დამპირდა, ქრისტიანობას მივიღებო (Полиевктов 1937: 44). ამრიგად, შაჰს თეიმურაზის და ელენეზე უქორწინია. თეიმურაზ მეფის პოემაში „გაზაფხულ-შემოდგომიანი“ ეს უკანასკნელი თავისი და-ძმის დაკარგვაზე ტირის:

„რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე:
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე, და სად აგე“ (ბარამიძე 1934: 109).

სწორედ 1604 და 1613 წლების ამბებს აღწერს ფაზლი ხუზანი და იგი თეიმურაზის დის შაჰთან ორჯერ ჩასვლაზე მოგვითხრობს:

ჰიჯრის 1013 წლის (1604/05) ამბებში მოთხრობილია: „ბრძანების თანახმად, კონსტანტინე ხანი და ზულფაყარ ხანი, ერგოთ რა მათ პატივი შაჰური გულისხმიერებისა, თავრიზიდან არდებილში წავიდნენ. გიორგის შვილი,[17] კონსტანტინე ხანის უფროსი ძმა, თეიმურაზ (თაჰმურას) ხანი, თავის ქალიშვილთან ერთად, რომელიც ცოლად ჩამოეყვანა მისი უდიდებულესობისთვის, მის უდიდებულესობას ეახლა და შემდეგ წავიდა, ერგო რა პატივი, მოენახულებინა სეფიანთა დინასტიის წმინდა აკლდამა“ (Fazli 2015: 372).

ჰიჯრის 1022 წლის (ქრ.წ.1613) მოვლენების თხრობისას კი ფაზლი წერს: „[დედოფალმა შაჰს] სთხოვა, თეიმურაზ ხანისთვის ცოდვები ეპატიებინა. მისმა უდიდებულესობამ რომ მათი მოსვლის ამბავი გაიგო, ბრძანა, ისა მირზა, ლევან ხანი, თეიმურაზ ხანის ბიძაშვილი ქეშიში, რომელიც მის უდიდებულესობასთან მსახურობდა და ისლამი მიეღო, ახალციხის ვალის, მანუჩარ ხანის ვაჟი ათაბაგ ხანი, იუზბაშები და სხვა ქართველი დიდებულები ფარდულში დახვედროდნენ დედოფალსა (რომელიც ბრძენთა და პატივცემულთა რიგებს მიეკუთვნებოდა) და მის ქალიშვილს“ (Fazli 2015: 634).

თავის ქრონიკაში ფაზლი ხუზანი ესფაჰანი ლელა-ელენესა და ელენეს შესახებ განსხვავებულ კონტექსტშიც წერს. აქ ავტორი ამ ორი ქალის სიძლიერეზე მიუთითებს. მსგავს ინფორმაციას არ ვაწყდებით არც ქართულ და არც სხვა უცხოურ წყაროებში.

„მას მერე, რაც ფეიქარ ხანი კახეთში შევიდა, ბევრ კახელს დაეტოვებინა თავისი ადგილ-სამყოფელი და როცა კი ისინი გაიგებდნენ, თეიმურაზ ხანი

[17] ავტორს ეშლება. თეიმურაზ I დავით I-ის შვილია. გიორგი მისი ბიძაა. შესაბამისად, შეცდომაა ისიც, რომ კონსტანტინე თეიმურაზის ძმა ჰგონია.

მოდისო, ყივჩაყის დაბლობის სულთნებთან ერთად, რომლებსაც ძველი სიყვარული და ნათესაობა აკავშირებთ თეიმურაზ ხანთან, აუჯანყდებიან ფეიქარ ხანს და ალბათ აღარ გააჩერებდნენ იმ ველაიათში. და თუკი ლუარსაბ ხანის და, რომელიც მიეკუთვნება დიდებულის ჰარემის მსახურთ, თუკი იგი გაუბრაზდებოდა ფეიქარ ხანსა და ყიზილბაშებს, მაშინ აუცილებლად დაიჭერდა ქართველების წაქეზების თადარიგს.

თაჰმურას ხანის და, რომელიც შაჰის ჰარემის რიგებში იყო და შაჰის ფარდას იყო ამოფარებული, სწყალობდა მოჰამმად ყოლი ხანს, ხოლო ეს უკანასკნელიც ასევე შეწუხებულია მისი უდიდებულების დაუნდობლობით, მიეცა რა გული მეტად, რათა თავისი ძმა და კახეთის ქართველები დაეხსნა ფეიქარ ხანისგან, გამოეწვია რა ჯანყი და საქმე ვანის აღებისკენ წასულიყო“ (Fazli 2015: 889).

ტექსტში ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ქალები თვით ფეიქარ ხანსაც კი ეწინააღმდეგებიან.

ლუარსაბ ხანის დასთან დაკავშირებით ფაზლი ასევე წერს: „ლუარსაბ ხანმა, იმის გამო, რომ მას დიდი ხნის მტრობა ჰქონდა ყაზაყლარის სულთნებთან, რომლებიც ლურისა და ფანბაქის ველაიათების მმართველები იყვნენ, [მიუხედავად] ბრძანებისა, [რომლის მიხედვითაც] მტრობისა და უთანხმოების ბინდი უნდა მოეშორებინათ და ერთმანეთს შორის სიყვარული და სიკეთე ჩამოეგდოთ, [მიუხედავად ამისა], მიიწვია [ლუარსაბმა] მოჰამად ყაზაყლარი ნადიმზე თბილისში და მოკლა იგი. და მიუხედავად იმისა, რომ მოჰამად ხანის სიკვდილმა მისი უდიდებულესობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც ლუარსაბ ხანის და საპატიო ადგილს იკავებდა შაჰის ჰარემში, ამ ამბავს მნიშვნელოვანი დაძაბულობა აღარ გამოუწვევია“ (Fazli 2015: 890).

ფაზლის ქრონიკაში ამგვარ ცნობასაც ვაწყდებით: „მან (გიორგი სააკაძემ) განაცხადა, რომ ხანების და სულთნების კახეთის ლაშქრობიდან დაბრუნებამდე, მთავარსარდალს მოკლავდა, ციხე-სიმაგრეს ხელში ჩაიგდებდა, ხოლო მუსლიმი მამების შვილები, თავად მუსლიმი სიმონ ხანი და მაზანდარანელი მეთოფეები საერთოდ ვერაფერს დაგვაკლებენო. გამოვიყვან მას [სიმონ ხანს] ციხე-სიმაგრიდან დანარჩენ მეთოფეებთან ერთად და იარაღაყრილსა და შიშველ-ტიტველს განჯაში გავუშვებ. შემდეგ კი ამ მიწებს ხელში ჩავიგდებ რა, მთავარსარდალს მოკლავ და ლუარსაბ ხანის დას, რომელიც ფეიქარ ხანის ცოლია, წამოვიყვან და სიმონ ხანის და მისი ბაბუის ტახტზე დავსვამ“ (Fazli 2015: 901).

ლუარსაბ ხანის დის სიძლიერისა და მნიშვნელოვანი როლის გამომხატველი კიდევ ერთი მონაკვეთი ფაზლი ბეგ ხუზანისთან ასეთია: „ხოლო მოურავ ბეგი ფიქრობს [თურმე], რომ დიდებული დედოფალი, ქართლის მეფის, ლუარსაბ ხანის და, რომელიც მისმა უდიდებულესობამ ცოლად ფეიქარ ხანს გააყოლა, შესაძლოა, ქართლში იმყოფებოდეს. ხანმა რომ ეს გაიგო, იფიქრა, ღმერთმა ნუ ქნას და ამ აჯანყების სულის ჩამდგმელი დედოფალი იყოს! იქნებდა, იმ მოღალატე მოურავს

და თავისი მხარის ქართველებს კაცი გაუგზავნა და არეულობისა და ამბოხის ატეხვა დაავალა და მე კი გამანადგურონ!“

ყურადსაღებია, რომ როდესაც ლუარსაბის დას ფეიქარ ხანმა ჰკითხა, იცის თუ არა მან ამგვარი გეგმის შესახებ რამე, „დედოფალმა, რომელიც იმ დროის ყველაზე ბრძენი ქალი იყო, ეს რომ გაიგო, ბრძანა, მე და ჩემს მსახურ ქალებს ცხენები შეგვიკაზმეთ, აქედან მივდივარო! მერე კი, რაც გინდათ, ის გიქნიათო! აისხა ხმალი და კაპარჭი, მოიხვია თავსაბურავი, მოისხა აბრეშუმის მოოჭვილი მოსასხამი და განრისხებული, როგორც ამას შეიხ ნიზამი აღწერს, ძუ ვეფხვივით სახლიდან გავარდა“ (Fazli 2015: 906).

„თუმცა ქალი ვარ, არ ვარ უძლური,
ამ ქვეყნის ავან-ჩავანი მეც გამეგება
და მე თუ ძუ ლომი ვარ და შენ – ხვადი,
ორივე ერთნაირად ესხმის თავს, როცა ამის დრო დგება.“[18]

ეს კონკრეტული მონაკვეთი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ფაზლიმ თავის თხზულებაში თამარ მეფის ერთგვარი სახეც შექმნა. ზოგადად, თამარ მეფის სახელს ვხვდებით არა მხოლოდ სპარსულ წყაროებში, არამედ სხვა ქვეყნების მხატვრულ ლიტერეტურასა თუ ფოლკლორში.[19] თამარ მეფესთანაა დაკავშირებული ასევე ის პასაჟებიც, რომლებიც ზემოთ უკვე განვიხილეთ და სადაც ავტორი მეფის ტახტზე ქალის ასვლაზე წერს („და რომლებიც დავითის ტახტზე „მორასა“ (მოოჭვილი) გვირგვინით შემკულს დასვამდნენ ქალს იმ შემთხვევაში, თუკი არ ეყოლებოდათ მამაკაცი მეფე“; „ლუარსაბ ხანის დას, რომელიც ფეიქარ ხანის ცოლია, წამოვიყვან და სიმონ ხანის და მისი ბაბუის ტახტზე დავსვამ“). ფაზლი ასევე სიმონ I-ის ქალიშვილზე, სამცხის ათაბაგის მანუჩარის ცოლ ელენე (რომელსაც მოგვიანებით შევეხებით) ათაბაგზე წერს: „რადგანაც ათაბაგ ხანი ჯერ ბავშვი იყო, დედოფალმა, ძველი ქართული წესის მიხედვით, სახელმწიფოს სიძლიერისა და ქვეყნის მართვის სიმბოლო, „მორასა“ (მოოჭვილი) გვირგვინი თავად დაიდგა თავზე“ (Fazli 2015: 501).

„ამ ქალს რამდენიმე წლის წინ მიეღო ისლამი და ყურანის კითხვის პატივით იყო განდიდებული. გამოირჩეოდა რა კეთილსინდისიერებით, გონიერებით, პატიოსნებით, მიზანდასახულობითა და ქველმოქმედებით, ყოველწლიურად საკუთარი ხარჯებიდან 3 000 თუმანს გასცემდა უქონელთა ტანსაცმლისა თუ სხვა საჭიროებისთვის“ – ამგვარად ახასიათებს ფაზლი ხუზანი ლელა-ელენეს, ლუარსაბ ხანის დას (Fazli 2015: 906).

[18] https://ganjoor.net/nezami/5ganj/sharafname/sh33.

[19] ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. Г. Берадзе, Легенды о царице Тамар в Персидском историческом сочинении "Ихйа Ал-Мулук". Источниковедение и текстология средневекового и Среднего Востока. Издательство "Наука", Москва 1984.

ქეთევან დედოფალი

ქეთევან დედოფლის მნიშვნელოვანი როლის შესახებ საქართველოსა თუ სეფიანთა კარზე ზემოთ უკვე ვთქვით, თუმცა აქვე დავამატებთ ორ ცნობას ფაზლის ქრონიკიდან.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თეიმურაზ პირველს არაერთხელ გამოუხატავს უნდობლობა და „ურჩობა“ შაჰ-აბასის მიმართ. ფაზლის ქრონიკაში ვკითხულობთ, რომ ხშირად ამ ურჩობისთვის სწორედ ქეთევან დედოფალს უწევდა შაჰთან შვილის ცოდვებისთვის პატიების თხოვნა. ქეთევანისადმი შაჰის ნდობა და მისდამი თბილი დამოკუდებულება საკმაოდ მკაფიოდ არის ასახული ზემოხსენებულ თხზულებაში: „[დედოფალმა შაჰს] სთხოვა, თეიმურაზ ხანისთვის ცოდვები ეპატიებინა. მისმა უდიდებულესობამ რომ მათი მოსვლის ამბავი გაიგო, ბრძანა, ისა მირზა, ლევან ხანი, თეიმურაზ ხანის ბიძაშვილი ქეშიში, რომელიც მის უდიდებულესობასთან მსახურობდა და ისლამი მიეღო, ახალციხის ვალის, მანუჩარ ხანის ვაჟი ათაბაგ ხანი, იუზბაშები და სხვა ქართველი დიდებულები ფარდულში დახვედროდნენ დედოფალსა (რომელიც ბრძენთა და პატივცემულთა რიგებს მიეკუთვნებოდა) და მის ქალიშვილს. მისი უდიდებულესობა, მიეფერა რა ყველას მეფურად, გამოიჩინა გულისხმიერება მათ მიმართ, დედოფალთან ერთად სასახლის ჰარემში მივიდა. შერმაზან ბეგსაც, რომელიც აზერბაიჯანის ვეზირი ხოჯა მოჰამად რეზას, იგივე სარუ ხოჯას სტუმარი იყო, მეფური გულისხმიერება აჩვენა და ის ღამე ქართველებთან საუბარში გაატარა. თეიმურაზისთვის შეწყალების წერილი დაწერა, მეორე დღეს გაუშვა შერმაზანი, რათა თეიმურაზი, მეფური წყალობის იმედად, ფერხთა მთხვევისთვის გამოეგზავნა“ (Fazli 2015: 634).

ფაზლი ასევე წერს: „ნოურუზის შემდეგ ორ თვეში, როდესაც ჰაქიმებისგან, ვასალი ქვეყნების სულთნებისგან თუ [სხვა დანარჩენი] უცხო მხარეებისგან [უამრავი] ძღვენი და საჩუქარი მიიღეს, [ხოლო] მისმა უდიდებულესობამ მათ რაყამები და ძვირფასი ხალათები გაუგზავნა, საზღვრების ციხე-სიმაგრეების გამაგრებას მიაპყრო ყურადღება და ფარაჰაბადიდან ფირუზქუჰისკენ დაიძრა. რამდენიმე დღე სასაზღვრო ჯარების მართვის მნიშვნელოვანი საქმეები მოაგვარა და [როცა] ყაზვინისკენ დაიძრა, მასთან ამირ ყული ბეგი მოვიდა და მოახსენა, რომ თეიმურაზ ხანი თავიდან [ლუარსაბის] მხარეს იდგა, მაგრამ გაიგო რა მან, რომ ლუარსაბ ხანმა მოსტაფა ბეგი [უკან] გააბრუნა, გაათავისუფლა, და [ახლა] წასვლა განუზრახავს. თავისი დედა, რომელიც საქართველოს მართვის საქმეში სრული ძალაუფლებით სარგებლობს, ლუარსაბ ხანთან გაგზავნა, რათა ხელი შეეშალა ამ უკანასკნელისთვის. მას შემდეგ, რაც დედოფალი სვეტიცხოვლის მოლოცვის მიზნით ქართლში ჩავიდა, ლუარსაბ ხანს, რომლის დაც თეიმურაზის ცოლი იყო, თავისი განზრახვა გადააფიქრებინა და კვლავ კახეთში დაბრუნდა“ (Khuzani 2015:

622). ტექსტიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და გადამწყვეტი ქეთევანის მონაწილეობა რიგი პოლიტიკური საკითხების მოგვარების დროს.

ელენე ათაბაგი

მე-17 საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგო ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. თუმცა იქაური ქართველობა აქტიურად იბრძოდა ამ მხარიდან ოსმალების განსადევნად. ამ ბრძოლას სათავეში სიმონ I-ის ქალიშვილი და სამცხის ათაბაგის, მანუჩარ II-ის, ცოლი, ელენე ათაბაგი ედგა (ჯამბურია 1973: 254).

მანუჩარ ათაბაგის სიმონ მეფესთან დანათესავება, ცხადია, სამცხისა და ქართლის პოლიტიკურ კავშირს ნიშნავდა: „ირანში დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ სიმონ მეფისა და მანუჩარის დამოყვრების გამო, რადგან იქ კარგად ესმოდათ, რომ ეს კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ იყო მიმართული“ (სვანიძე 1971: 156).

1607 წელს ქართველების დახმარებით ირანელებმა ახალციხე აიღეს და ოსმალები განდევნეს იქიდან. ისქანდერ მუნშის მიხედვით, ელენე ათაბაგმა შაჰ-აბასს ახალციხის მმართველად თავისი შვილის, მანუჩარის, დანიშვნა სთხოვა და შაჰმაც დააკმაყოფილა მისი თხოვნა (ფუთურიძე 1969: 72).

ამ საკითხთან დაკავშირებით, მუნში ასევე მოგვითხრობს, რომ როდესაც შაჰმა აზერბაიჯანზე გამოილაშქრა და ერევნის ციხეს მოადგა, შაჰ იუსუფ ფაშა, რომელიც ახალციხის გამუსლიმებული ბატონიშვილი იყო და ოსმალეთის სულთნისგან ფაშის ხარისხი მიეღო, იმ ველაიათის ზოგი ადგილის მმართველი ყოფილა. ათაბაგ ხანის დედამ შაჰს მიმართა და სთხოვა, „ამ სამეფო გვარის დახმარებით მოეპოვებინა ისევ თავისი დაკარგული ქვეყანა“. შაჰმაც შამს ად-დინლუს, ყაზაყლარის და სხვა ამირები დასახმარებლად გაუგზავნა და „იმ თავგამოდებულმა ქალბატონმა“ ყიზილბაშებთან და თავის ერთგულ მსახურებთან ერთად ბრძოლა დაიწყო; იუსუფ ფაშა დაამარცხა და „დაიჭირა ის ას ორმოცდაათ ოსმალოსთან ერთად და ახალციხის ციხე, რომელიც იმ ველაიეთის უდიდესი სიმაგრეა, ხელში ჩაიგდო“(ფუთურიძე 1969: 71-72).

თუმცა, ციხე-სიმაგრის დაკავება ელენე ათაბაგმა მხოლოდ მცირე ხნით შეძლო. ოსმალებმა ძალიან მალევე მოაწყვეს დიდი ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოში და ციხეც დაიბრუნეს. ელენე ათაბაგი და მისი ვაჟი ქართლში გადავიდნენ. ელენე თავის ძმისშვილთან დარჩა, ხოლო თავისი ვაჟი „ქვეყნის საფარველ კარზე (შაჰთან) გაუშვა“ (ფუთურიძე 1969: 73).

ფაზლი ბეგ ხუზანი თავის თხზულებაში ერთ-ერთ თავს სწორედ სამცხე-საათაბაგოში განვითარებულ ამ მოვლენას უძღვნის. ფაზლი წერს: „მანუჩარ ხანი ქართლში იჯდა და მის მახლობლად ახალციხის გარკვეულ მიწებს ფლობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამ მხარის მართვა გიორგი ხანის დამ, ელენე ათაბაგმა, რომელსაც მანუჩარ ხანისგან ვაჟი ჰყავდა, ითავა. ელენე მართავდა რა ამ მიწებს, ცდილობდა, შეენარჩუნებინა წესრიგი და რთული პერიოდი გადაელახა. ამ დროს

მისმა უდიდებულესობამ აზერბაიჯანში თავისი ძალაუფლება გაამყარა და დაიპყრო იგი ძალისა და განგების მეშვეობით. ხონთქარმა იუსუფ ფაშა ახალციხეში გააგზავნა. შეიკრიბნენ იუსუფ ფაშას მომხრეები, იქნებოდნენ ესენი ქრისტიანები თუ მუსლიმები და ამ უკანასკნელს, რომელსაც ისლამი მიეღო და ახალციხის დიდგვაროვანთ მიეკუთვნებოდა, ამავე მხარის მმართველობა გადასცეს. და როგორც კი იუსუფ ფაშამ ბეგლარბეგობა და ისლამი მიიღო, ნათესაური კავშირი გაწყვიტა. დედოფალმა ათაბეგი წაიყვანა და თავის მსახურებთან და დაახლოებულ პირებთან ერთად ერევნის ციხეში მის უდიდებულესობას ეახლა და დახმარება სთხოვა“ (Fazli 2015:500).

შემდეგ კი მოვლენები ფაზლისთანაც მუნშის მსგავსად ვითარდება. შაჰმა დედოფალს ალი ხან მოვაფეყი, ალი ხან სულთან შამს ად-დინლუ, შაჰმირ ხანი და ამირათა გარკვეული ჯგუფი, ასევე, მაზანდარანელი მეთოფეები მინბაშ ქია სოჰრაბ ლარიჯანის სარდლობით, დასახმარებლად გაუგზავნა. აქ ფაზლი ხუზანი გვაწვდის კონკრეტულ დეტალებს, რაზედაც მუნში ყურადღებას არ ამახვილებს. ასე მაგალითად: „რადგანაც ათაბაგ ხანი ჯერ ბავშვი იყო, დედოფალმა, ძველი ქართული წესის მიხედვით, სახელმწიფოს სიძლიერისა და ქვეყნის მართვის სიმბოლო, მოოჭვილი გვირგვინი თავად დაიდგა თავზე. შეკრიბა 7 000 კაცი თავისი და ქართლის საქართველოდან და სულთნებთან და თოფანგჩიებთან ერთად ახალციხის ციხისკენ დაიძრა, სადაც ბრძოლა გაჩაღდა“ (Fazli 2015:501).

როგორც ვხედავთ, ავტორი მეომართა რაოდენობას ასახელებს. ფაზლის თხზულებიდან ვიგებთ ასევე შეტაკების იმ დეტალებსაც, რომელთა შესახებაც მუნში არაფერს წერს: „რამდენიმეთვიანი სასტიკი ბრძოლის შემდეგ ორივე მხარეს ბევრი ადამიანი დაიხოცა. მამაცი მეომრებისა და მისი უდიდებულესობის წყალობით, ციხე აიღეს. იუსუფ ფაშა დამარცხდა. ის და მისი ხალხი მოკლეს და მათი თავები ნაალაფავთან ერთად ციხე-სიმაგრეში მიიტანეს. ამის შემდეგ კი, გვირგვინი დედოფალმა თავის ვაჟს დაადგა და ისიც მამის ტახტზე დაჯდა. ქართველები მას დაემორჩილნენ“ (Fazli 2015: 502).

„აფზალ ალ-თავარიხის“ მიხედვით, ნათლად ჩანს შაჰ-აბასის დამოკიდებულება ელენე ათაბაგისადმი. ნათლად იკვეთება ასევე ელენეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი მმართველობის საქმეში, მსგავსად ზემოთ ნახსენები ქართული სამეფო ოჯახების წარმომადგენელი ქალებისა. მსგავს ინფორმაციას არ ვაწყდებით არც ქართულ და არც სხვა უცხოურ წყაროებში: „იუსუფ ფაშას და სულთნების თავები შემახის ციხის ძირას მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილის წინაშე მიიტანეს. შაჰმა დედოფალს განსაკუთრებული გულისხმიერება გამოუხატა რა, გასცა ბრძანებები ახალციხის მმართველობასთან დაკავშირებით და ძვირფასი ხალათი გაუგზავნა ყორჩი ისმაილ ბეგ ყაჯარის ხელით. და ის მართავდა ახალციხეს მაიმუნის წლის (1620 წ.) მეექვსე თვემდე“ (Fazli 2015: 501).

ელენე ათაბაგისა და მისი შვილის ქართლში გადასვლის შემდეგ მუნშის თხზულების მიხედვით (ეს ზემოთაც აღინიშნა), თავად ელენე იქვე, ქართლში, დარჩა, ხოლო ათაბაგ-ხანი შაჰის კარზე გაუშვა. მოკლედ აღნიშნავს ამ ფაქტს ასევე სეიდ აჰმად ჰუსაინი ხალიფა თავის თხზულებაში და წერს, რომ ათაბაგ ხანის დედა ქართლში დატოვა ლუარსაბმა, ხოლო თავად ათაბაგი შაჰთან გაემგზავრა (Futuhat-i Gitisitan 2021: 423).

ფაზლი მეტად ვრცლად და დეტალურად გადმოგვცემს დედა-შვილის ქართლში ჩამოსვლისა და შემდგომი ეტაპის შესახებ. ელენე ათაბაგი ჯერ განჯაში მიდის ვაჟთან ერთად, ხოლო შემდეგ – ესფაჰანში: „დედოფალი კი ათაბაგ ხანთან ერთად თავის ძმისშვილ ლუარსაბ ხანთან მივიდა და როდესაც ახალციხის იმედი გადაეწურა და მისმა ქართველმა მსახურებმაც მიატოვეს, თავის 16 წლის შვილთან ერთად, რომელსაც მთელ საქართველოში ბადალი არა ჰყავდა მშვენიერებასა სილამაზეში, განჯისკენ გაემართა. მოჰამად ხანი თბილად შეეგება მათ და თავის შვილ მორშად ყოლი ბეგთან და შეიხ ბეგ ზიადლუ ვექილთან ერთად მისი უდიდებულესობის კარზე გაუშვა... „არდებილის დარუღა იუსუფ ბეგი და აზერბაიჯანის ვეზირი ხოჯა მოჰამად რეზას ხალხი პატივით დახვდნენ მათ და ესფაჰანში გაუშვეს“ (Fazli 2015: 504). ამ ცნობის მიხედვით, ელენე ათაბაგიც ეახლა თურმე შაჰს და ესფაჰანშიც წასულა თავის შვილთან ერთად.

აღფრთოვანებას და გაოცებას ვერ მალავდნენ ესფაჰანელები, როცა ათაბაგ-ხანის სილამაზე და მშვენიერება იხილესო, წერს ფაზლი: „ამ მხარის თვალის ექიმებმა კი, რომლებიც თითქმის ბრმებსაც კი კურნავდნენ, რა დაინახეს ეს სილამაზე, რომელსაც ნებისმიერი უსინათლოს თვალის ახელაც კი შეეძლო, თავიანთი დუქნების კარები ჩარაზეს და „გაოცების კუთხეებში მიიმალნენ“ რა, აღიარეს, რომ ამ სასწაულის წინაშე უძლურები იყვნენ... მისმა უდიდებულესომაბ განსაკუთრებული გულისხმიერება აჩვენა დედოფალს და ხანს. იმ დღეს წვეულებაზე სუფთა ღვინოს სვამდნენ და ჩანგს აჟღერებდნენ. იქ იმყოფებოდნენ ქართველი სულთნების უფლისწულები – ხორცშესხმული სასწაულები (Fazli 2015: 504).

დაბოლოს, შაჰ-აბასი ათაბაგ ხანს სამართავად ყიზილაღაჯს გადასცემს: „ათაბაგ ხანს ზულფაღარ ხანის სამფლობელო, რომელიც ასევე მისი [ზულფაყარის] საგვარეულო აკლდამა იყო, გადასცა. რაღაც ხნის შემდეგ კი, დედოფალი ათაბაგ ხანის მდგომარეობის გამო რომ დამშვიდდა, [ვაჟი] მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილის სამსახუროდ გაუშვა. მერე კი [ათაბაგ ხანი] ყაზილაღაჯისკენ დაიძრა და მის მართვას შეუდგა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფაზლის თხზულება მართლაც ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა ამ პერიოდის წარჩინებულ ქართველ ქალთა შესახებ. ირანელი ავტორი საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთს ქართველი ქალების როლს

ამ პერიოდის ირან-საქართველოს მეტად წინააღმდეგობრივ და რთულ ურთიერთობებში.

დამოწმებული ლიტერატურა

ალექსიძე, მ. და მაედა, ჰ. (2019). ახალი ინფორმაცია დედოფალი ეთევანის შესახებ (Some new information on the lives of Queen Ketevan), ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი.

ბარამიძე, ალ., ჯაკობია, გ. (1934). თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი.

ბატონიშვილი, ვ. (1973). ქართლის ცხოვრება, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტომი IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ბერძენიშვილი, ნ. (1967). რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბერძენიშვილი, ნ. (1967). საქართველოს ისტორიის საკითხები IV. თბილისი: მეცნიერება.

ბერი ეგნატაშვილი. (1954). ქართლის ცხოვრება II, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.

გუჩუა, ვ. (1973). კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, ტომის რედაქტორი, მ. დუმბაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კაკაბაძე, ს. (1926). ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1926). ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფილისი: ამონაბეჭდი საისტორიო მოამბიდან, II.

კუცია, კ. (1974). არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი: მეცნიერება.

კეკელიძე, კ. (1957). ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.4, თბილისი.

ლეკვეიშვილი, თ. (2022). ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანის ურთიერთობების შესახებ (მე-17 საუკუნის დასაწყისი), ახალი მასალები საქრთველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. თბილისი: გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

სვანიძე, მ. (1971). საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII. „მეცნიერება“, თბილისი.

ტფილელი, იოსებ. (1939). დიდიმოურავიანი. გიორგი ლეონიძის რედაქციით, „სახელგამი.“

ფუთურიძე, ვ. (1969). ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ; თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ყაუხჩიშვილი, ს. (1959). ქართლის ცხოვრება, ტომი II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჯამბურია, გ. (1973). ირან-ოსმალეთის ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015). A chronicle of the reign of Shah ‘Abbas, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. „Gibb Memorial Trust“.

Melville, C. (1998). A lost source for the reign of Shah Abbas: The Afzal al-tavarikh of Fazli Khuzani Isfahani. Iranian Studies, volume 31, number 2.

Mula Jalal ad-din Mohammad Manjem Yazdi. (1366). Tarikh-e Abbasi. Be kushesh-e Seyifullah Vahidniya, Chap-e Sobh emruz.

Nozhat Ahmadi (Sarraf); Mohsen Mohammadi Fesharaki. (2021). A Versified Historyof Shah Abbas the Great [Futuhat-I Gitisutan]. [Conquests of the Conqueror of the World]12th/18th century. Attributed to Sayyid Aḥmad Ḥusaynī Khalīfah. Edited with an introduction by: Nozhat Ahmadi (Sarraf) Mohsen Mohammadi Fesharaki. Uppsala Universitet.

Sayyid Ahmad Husayanī Khalīfah. (2021). A Versified History of Shah Abbas the Great [Futūhāt-ī Gītīsītān] [Conquests of the Conqueror of the World] 12th/18 th century, Edited with an introduction by: Nozhat Ahmadi (Sarraf), Mohsen Mohammad Fesharaki, Uppsala Universitet.

Древнетюрксий словарь. (1969). Академия наук ссср. Институт языкознания, Издательство "Наука", Ленинград.

Белокуров, С. (1889). Сношения Росии с Кавказом (1578-1613). Москва: Университетская типография.

Берадзе.Г. (1984). Легенды о царице Тамар в Персидском историческом сочинении "Ихйа Ал-Мулук". Источниковедение и текстология средневекового и Среднего Востока. Издательство "Наука", Москва.

Полиевктов, М. (1937). Материалы по истории грузинских взаимоотношении.

Смирнова, Л.П. (2000). Хроника воскрешения царей, Малик Шах-Хусайн Систани. Перевод с Персидского, предисловие, коментарий и указатели, Смирновой. Москва: "Восточная дитература", РАН.

ტექსტი

ჯიქის წელი, ჰიჯრის 1011 წელი (ქრ.წ. 1602/03), მისი უდიდებულესობის მეფობის მე-16 წელი

მისი უდიდებულესობის ჰერათიდან წმინდა მეშჰედში დაბრუნება, მოლოცვის შემდეგ ერაყისკენ წასვლა და ესფაჰანის დარუღობის კონსტანტინე მირზასთვის[20] გადაცემა

მისი უდიდებულესობა ხორასნის საქმეების წესრიგში მოყვანის შემდეგ დედაქალაქი ესფაჰანისკენ წავიდა. ხორასნის მხარის, ასევე, ხავარის, სემნანის და ქაშანის მმართველებმა, გამოხატეს რა პატივისცემა, მის წინაშე ქედი მოიხარეს.

.....
.....[21]

კონსტანტინე მირზა, რომელიც ადრე ყაზვინის მმართველი იყო, ხოლო ამ წელს ესფაჰანის დარუღად დაინიშნა,[22] [შაჰი] ყოველ წელს უმტკიცებდა რა თავის ჰამასალას,[23] დიდებულ სეიდებთან, სხვა დიდებულებთან და ხალხთან ერთად [მის უდიდებულესობასთან] შესაგებებლად მივიდა.

---

[20] კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) ვაჟი, რომელიც სეფიანთა კარზე გაიზარდა.

[21] მრავალწერტილით აღნიშნულია ტექსტში გამოტოვებული პასაჟები, რომლებიც საქართველოს არ ეხება.

[22] განსხვავებით სხვა წყაროებისგან, ფაზლის ქრონიკაში ვკითხულობთ, რომ ესფაჰანის ქართველი დარუღა ჯერ კიდევ შაჰ-აბასის მმართველობის დასაწყისში ჩანს. კონსტანტინე მირზას გარდა, ფაზლისთან ვხვდებით ასევე ბეჟან ბეგს. ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. ჰ. მაედა, XVII საუკუნის ახალაღმოჩენილი სპარსული ქრონიკის ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ (შესავალი) (ფაზლი ხუზანის ქრონიკა „აფზალ ათ-თავარიხ“). ისტორიანი, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი, 2009, 533-537.

[23] სპარს. ჰამესალე - ყოველწლიური. ჯამაგირი, თიულის სახეობა, რაც სახელმწიფო მოხელეს ეძლეოდა ყოველ წელს სხვადასხვა ადგილის გადასახადებიდან.

.....
.....
.....

და ბედნიერ საათს, ეთემად ალ-დოულესთან[24], ყორჩი ბაშისთან და დაახლოებულ პირებთან ერთად ესფაჰანში შევიდნენ. მეომრები გაათავისუფლეს. თავად კი მეგობრებთან და სანდო პირებთან ერთად ცხოვრებითა და მხიარულებით ტკბებოდნენ რა, ელოდნენ ქვეყნიერებისთვის მშვიდობის მომტანი ნოვრუზის დღესასწაულის დადგომას.

კურდღლის წელი, ჰიჯრის 1012 წელი (ქრ.წ. 1603/04), მისი უდიდებულესობის მეფობის მე-17 წელი

დიდებული კორტეჟის ერევნის ციხესთან დაბანაკება, აჰმედის ოსმალეთის სულთნის ტახტზე ასვლის ამბის გაგება და ქართველი ვალიებისა და ყარაბაღის მმართველების მისი უდიდებულების წინაშე მისვლა

საქართველოს კახეთის ვალი, ალექსანდრე ხანი, ესფაჰანის დარუღას, კონსტანტინე მირზას მამა, გულწრფელად ეახლა მის უდიდებულესობას. მისი კეთილშობილი ვაჟი, რომელიც ისლამის მიღებით განდიდებულიყო, აწ გარდაცვლილი ახალგაზრდა უფლისწულის, სულთან ჰამზა მირზას[25] გამოწრთობილი იყო და მისი უდიდებულესობის კარზე გულისხმიერებით სარგებლობდა და ყოველწლიურად განუმტკიცდებოდა ესფაჰანის დარუღობა.

ალექსანდრე ხანმა აღიარა ალექსანდრეს [მაკედონელი] სადარი შაჰის დროს[26] ჩადენილი ცოდვები, როდესაც მან გამორჩენის მიზნით ოსმალეთთან დაიჭირა საქმე და ოსმან ფაშას შირვანისკენ გაუხსნა გზა. მისმა უდიდებულესობამ ალექსანდრე ხანს მისი ღირსეული შვილის ხათრით დანაშაული აპატია რა, გაუგზავნა მას ძვირფასი ხალათი და კონსტანტინე მირზასთან ერთად დიდებულ ბანაკში დაიბარა.

[24] ირანის უპირველესი ვეზირის ტიტული სეფიანების დროს.
[25] მოჰამად-ხოდაბანდეს (1578-1587) უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, რომელიც 1586 წელს მოკლეს.
[26] იგულისმება შაჰ მოჰამად ხოდაბანდე (1577-1587).

წარმოშობით საქართველოს ქართლელი თაჰმასბ ყული ხან[27] ანისადოვლე, შაჰის შეწყალების წერილებით ქართლის ვალი სიმონ ხანის[28] შვილ გიორგი (*გორგინ*) ხანთან[29] გააგზავნეს. გიორგის მამას ჯერ კიდევ ალექსანდრეს სადარი აწ განსვენებული შაჰის დროს მიეღო ისლამი და სეფიანთა კარისადმი მორჩილება და ერთგულება გამოეხატა.

საქართველოს ახალციხის მმართველი მანუჩარ ხანი[30] აწ განსვენებული შაჰის დროს მისი ქვეშევრდომი იყო, ხოლო სიმონ ხანის და, გიორგი ხანის მამიდა, მისი ცოლი იყო. ალექსანდრეს სადარი შაჰის დროს ჯაფარ ფაშა ოსმალო სარდალი დამოუკედებელი გახდა, მანუჩარ ხანს ციხე წაართვა და თავის ხალხს გადასცა. მანუჩარი კი თავისი შვილებითა და ქონებით სიმონ ხანსა და გიორგი ხანთან ქართლში წავიდა და დროთა განმავლობაში ის მხარეებიც, რომლებიც ახალციხისა იყო და ქართლის დასავლეთით მდებარეობდა, იკარგებოდა. მერე კი ალექსანდრე ხანთან ერთად წავიდა დიდებულ ბანაკში.

და როცა მათი მოსვლის ამბავი მოვიდა, ბრძანების თანახმად, გადაწყდა, რომ ბანაკში მყოფი კონსტანტინე მირზასთან დაკავშირებული დიდებულები, ასევე, დანარჩენი ხალხი, დავითის მოდგმის მეფეებს შეეგებებიან. მათ პატივისცემით უნდა მიეცილებინათ ისინი დიდებულ ბანაკში (*ორდუ*) და მთელ ქვეყანაზე უნდა გავარდნილიყო ხმა იმის შესახებ, რომ ქართველ მეფეებს მისი უდიდებულესობის ფერხთ მთხვევის პატივი ერგოთ.

კონსტანტინე მირზა და თაჰმასბ ყული ბეგი ოცი წლის განმავლობაში სამეფო კარზე, ჰამზა მირზასთან იზრდებოდნენ და ბევრი გაეგებოდათ ყიზილბაშური მმართველობის შესახებ. ახლა კი მათ ურწმუნო ხანები მიიყვანეს დიდებულ ბანაკში, სადაც მათ შაჰის ფეხებთან მოდრეკის პატივი ერგოთ.

კონსტანტინე მირზამ თავისი ცოდვილი მამა, სახელგანთქმული ალექსანდრე, მის უდიდებულესობასთან მიიყვანა. გიორგი ხანი და მანუჩარ ხანი, თუმც არაფერი შეუცოდავთ და მუდამ ერთგულები იყვნენ (ისე კი, კახეთი ორჯერ დიდი იყო ახალციხეზე), მაინც ისე იდგნენ, თითქოს ცოდვა ადევთო. კონსტანტინე მირზა, მანუჩარ ხანი და გიორგი ხანი შუამდგომლობდნენ, რათა ეპატიებინათ ალექსანდრესთვის.

---

[27] თაჰმასბ ყული ხანი - მელიქ მირმანის სომხითის ძე, გამუსლიმებული ქართველი დიდებული.
[28] იგულისხმება სიმონ I, ქართლის მეფე (1556-1569; 1578-1599).
[29] გიორგი X – ქართლის მეფე (1600-1606) .
[30] მანუჩარ ხანი - ათაბაგი მანუჩარი, ჯაყელი, მუსტაფა-ფაშა (1581-1614). ქაიხოსრო II-ის ძე.

მეფური წყალობა ერგო კახეთის მმართველს. მას ეპატია რა თავისი ცოდვები, როგორც ამას ტრადიცია მოითხოვდა, მისი ბოდიში მიღებულ იქნა. და გადაწყდა, რომ ჯერ ალექსანდრე ხანი ემთხვეოდა მისი უდიდებულესობას ფერხთ, შემდეგ კი მანუჩარ ხანი და ბოლოს გიორგი ხანი. ტრადიციისამებრ, მიიწვიეს რა ისინი სამეფო ნადიმზე, დიდი გულისხმიერება და პატივისცემა გამოავლინეს მათ მიმართ და შაჰისთვის განკუთვნილი ძვირფასი საჩუქრებიც სათითაოდ ჩამოატარეს.

დრაკონის წელი, ჰიჯრის 1013 წელი (ქრ.წ. 1604/05), მისი უდიდებულესობა შაჰის მეფობის მე-18 წელი

ჯაღალ ოღლის[31] ვანში გამოზამთრება და მისი უდიდებულესობა კონსტანტინე მირზას გაგზავნა საქართველოსა და შირვანში და ოსმალეთში სარდლის ელჩად გაგზავნა მშვიდობის გასამყარებლად ირანის ეთემად ალ-დოულე ჰათემ ბეგთან და სხვა გარემოებები

იმათი გაგზავნის შემდეგ თავად [შაჰი] თავრიზში მივიდა. ალექსანდრე ხანმა მოახსენა [მას], რომ რადგან ბეგლარბეგი[32] ჯეღალის შვილი მაჰმუდ ფაშა შირვანშია და ამავე დროს, თავად ჯეღალი ვანში დგას, შირვანს ვერ მიეშველება. კარგი იქნება, თუკი კონსტანტინე მირზა, მისი [ალექსანდრეს] შვილი, სულთნებთან ერთად მისკენ საქართველოს კახეთის გზით დაიძრება. ნოურუზის შემდეგ კი, როდესაც ჯეღალ ოღლი დაიძრება, ძველი ცოდვების შურისძიებისთვის, სთხოვდა რა [ალექსანდრე] თავის შვილს, რომელიც ბავშვობიდან მისი უდიდებულესობის კარზე აღიზარდა და იყო მუსლიმი, დახმარებას, ისიც ეახლებოდა მას [ალექსანდრეს] და შეეცდებოდა შირვანის დაპყრობას.

მის უდიდებულესობას მოეწონა ალექსანდრეს გონივრული სიტყვები. კონსტანტინე მირზა ხანობის, ხოლო მოჰამად ხან თორქმანის შვილი ბექთაშ ბეგი, რომლის დაც იმყოფებოდა [კონსტანტინე] მირზას სახლში [მისი ცოლი იყო], სულთნის წოდების პატივით განადიდეს. მათ თან ახლდათ შაჰმირ ხან შაქიც,[33]

---

[31] ჯაღალ ოღლი- ოსმალების სარდალი, შირვანის ბეგლარბეგი.

[32] ბეგლარბეგი (თურქ.) საქვეყნოდ გამრიგი დიდი მოხელე. სეფიანთა სახელმწიფოში ბეგლარბეგი მეორე ადგილზე იდგა ვალის შემდეგ.

[33] შაჰმირ ხანი- შაქის ველაიათის ძველ ამირებს ეკუთვნოდა და შაჰმა მას შაქისვე მმათველობა მისცა. ის ასევე იყო კონსტანტინე ხანის ხელქვეითი ამირა. იხ. ფუთურიძე,1969, 46.

რომელიც დევგმირი თაჰმურასის შთამომავალია [თაჰმურას დივბანდ][34] და საქართველოსა და შირვანს შორის მდებარე შაქის ველაიათი ადრე მას ეკუთვნოდა.

.....

ბრძანების თანახმად, კონსტანტინე ხანი და ზულფაყარ ხანი, ერგოთ რა მათ პატივი შაჰური გულისხმიერებისა, თავრიზიდან არდებილში წავიდნენ. გიორგის შვილი,[35] კონსტანტინე ხანის უფროსი ძმა, თეიმურაზ (თაჰმურას) ხანი,[36] თავის ქალიშვილთან ერთად, რომელიც ცოლად ჩამოეყვანა მისი უდიდებულესობისთვის, მის უდიდებულესობას ეახლა და შემდეგ წავიდა, ერგო რა პატივი, მოენახულებინა სეფიანთა დინასტიის წმინდა აკლდამა.

აღა ჯალალ სეფაჰანიმ, რომელიც ადრე ჯარჩი ბაშის მსახური იყო, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა მას ყური მოაჭრა, მისგან გაიქცა და სეფიანთა აკლდამას შეაფარა თავი, კონსტანტინე ხანის მეთვალყურეობის ქვეშ გულდამშვიდებით იყო რა, გამოვიდა აკლდამიდან და კონსტანტინე ხანის გამგზავრების მზადება დაიწო.

ნოურუზის შემდეგ, ზულფაყარ ხანმა უმასპინძლა რა ქართველ სულთნებსა და ყიზილბაშ ამირებს, ალექსანდრე ხანთან და კონსტანტინე ხანთან ერთად ჰოსეინ ხანთან წავიდა. ანგუთში ხალხს თავი მოუყარა და შემდეგ, სულთნებთან ერთად მდინარე მტკვრის ნაპირთან მივიდა და როდესაც ისინი ყარაბაღის იალაღებით საქართველოში გადავიდნენ, თავად არდებილში დაბრუნდა.

---

[34] იგულისხმება სპარსეთის მითიური მეფე თაჰმურასი, ფირდოუსის ეპიკური პოემის, შაჰ-ნამეს მიხედვით.

[35] ავტორს ეშლება. თეიმურაზ I დავით I-ის შვილია. გიორგი მისი ბიძაა. შესაბამისად, შეცდომაა ისიც, რომ კონსტანტინე თეიმურაზის ძმა ჰგონია.

[36] თეიმურაზ I - კახეთის მეფე (1606-1648), ქართლ-კახეთის მეფე (1625-1632).

გველის წელი, ჰიჯრის 1014 წელი (ქრ.წ. 1605/06), მისი უდიდებულესობის მეფობის მე-19 წელი

კონსტანტინე მირზას მიერ მამისა და ძმის მოკვლა, მისი შირვანში მაჰმუდ ფაშასთან შებრძოლება და ფაშას გაქცევა და ხანის შირვანსა და საქართველოში განმტკიცება

ამ დროს მოვიდა ამბავი იმის შესახებ, რომ კონსტანინე ხან გორჯი, რომელიც მამამის ალექსანდრე ხანთან და სულთნებთან ერთად, როგორც ეს დაიწერა გასულ წელს, საქართველოსკენ გაეშურა, ნოურუზის შემდეგ შეკრებდა რა ლაშქარს, სულთნებთან ერთად შირვანისკენ წავიდოდა.

ამ ამბავმა მაჰმუდ ფაშას ყურამდე რომ მიაღწია, ისიც აღიჭურვა საბრძოლველად. [მათ] შირვანიდან და დაღესტნიდან ემატებოდათ ხალხი.

ნოურუზის დღესასწაულის შემდეგ კონსტანტინე მირზამ, რომელიც წლების განმავლობაში მამის სამფლობელოში არ ჩასულიყო, რამდენიმე ქართველ დიდებულთან და აზნაურთან ერთად, რომელთაც [ასევე] სწყუროდათ ხანთან [ალექსანდრესთან] ლაპარაკი (ხანსაც [კონსტანტინეს] ძალიან უნდოდა ქართველებთან, მამასა და ძმასთან შეხვედრა), პატივისცემით შეუთვალა თავის დიდებულ მამას: „აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ ქვეყანა ვმართო. გამომდინარე თქვენი მსახურებიდან მისი უდიდებულესობისადმი [და პირობისგან], დაე, იყოს მყარი ეს სიტყვა, თუკი გარკვეული რაოდენობის ქართველებს მოგვაშველებთ, ისინიც [შაჰის ხალხი], საქართველოს გასათავისუფლებლად იმოქმედებენ, რათა ჩვენ, ღოლამებმა,[37] შევძლოთ, ოსმალთა ტომს სული ამოვხადოთ“.

ალექსანდრე ხანი დროს განზრახ აჭიანურებდა და დღეები ასე გაჰყავდა. ერთი თვის შემდეგ კონსტანტინემ სულთნებს უხმო და თავისი მამისა და ძმის უმადურობის შესახებ უამბო, რომელთაც [როგორც ჩანს] წინასწარ შეუტყვიათ რა ამბავი მისი უდიდებულესობისა და ჯეღალისგან, გამარჯვების კვალის მატარებელი ლაშქარი შეუყოვნებიათ. [კონსტანტინემ] საკუთარი მამისა და ძმის მოკვლა გადაწყვიტა. ალექსანდრე ხანის ვეზირი, ხოჯა ზია ედ დინ ქაში, ჯალალ ესფაჰანისთან[38] ერთად უფროსთან გაგზავნა, რათა დახმარება და [შემდგომი] განკარგულება მიეღო. მათ,

[37] ღოლამი - მსახური, ყმა; სეფიანთა ირანში ღოლამებად ქართველი და სომეხი გამუსლიმებული მეომრები იწოდებოდნენ.

[38] ხანის მოდიროლმულქი - თურქ. ობერ-ცერემონმაისტერი.

მიუხედავად ბევრი სჯა-ბაასისა, აშკარა პასუხი არ ჩამოუტანიათ. ჯალალ ესფაჰანიმ, რომელიც მისი უდიდებულესობის კარზე მიღებული გონიერი კაცი იყო, მოახსენა [მას], რომ ხანის მიზანი დიდებული ლაშქრის მორჩილების მიხედვით ქმედებაა. გადაწყვიტა, დილით ალექსანდრე ხანი, შაჰმირ ხანი, ალი ხან სოლთანი და მამამისის მაჯლესის სხვა წევრები შეეკრიბა, რათა დალაპარაკებოდა მათ. უეცრად, უზრდელად მიმართა მამას. ალექსანდრე ხანი მოლბა და მშვიდად დაჰპირდა, ალაჰის შეწევნით, ლაშქარს მოვუხმობ და გამოგიგზავნიო. ხანი აღელვებული იყო და უხეშად ელაპარაკებოდა მამამისს. გიორგი მირზა [უფლისწული გიორგი], რომელიც მისი უფროსი ძმა იყო, შეეწინააღმდეგა კონსტანტინეს, დატოვა შეკრება, ქართულად უთხრა მას, ნეტავ, საერთოდ არ დაბადებულიყავიო და თავისი კარვისკენ წავიდა. კონსტანტინე მირზა უკან გაჰყვა, შევიდა მის კარავში და [ხმლით] აკუწა იგი. შემდეგ მივიდა მამასთან და შაჰმირ ხანსა და ალი ხან სოლთანს, რომლებიც ალექსანდრე ხანის მახლობლად ისხდნენ, თბილად ესაუბრებოდნენ მას [ალექსანდრეს] და საბრძოლო საკითხებს განიხილავდნენ, უთხრა: „რას დამდგარხართ, მოკალით ეს ბებერი ურჯულო და მისი ორგულობის სასჯელი აჩვენეთ! მე მოვუღე ბოლო გიორგი ხანს!“ და მაშინვე შაჰმირ ხანმა გადაუგდო რა ხმალი ალი ხან სოლთანს, ამ უკანასკნელმა ბოლო მოუღო ალექსანდრეს.

როდესაც ქართველებმა ალექსანდრე და მისი ვაჟი კონსტანტინე მირზას ხელით მოკლულნი იხილეს და ნახეს, რომ აღარ არსებობდა მემკვიდრე ხალხის თვალში, გიორგი ხანის ცოლი,[39] იმ დროის ყველაზე ბრძენი ქალი, [ქეთევან] დედოფალი, რომლის შვილები, უფლისწული თეიმურაზი და ქალიშვილი ელენე[40] ბეგუმი მის უდიდებულესობასთან იმყოფებოდნენ, არ ჰქონდა რა მას სხვა გზა, გარდა სიმშვიდისა და კეთილგანწყობისა, თავისი ქმრის ძმას დამორჩილდა. კონსტანტინე ხანმა კეთილგანწყობა გამოიჩინა რა მის მიმართ, ბრძანა, შეეკრიბათ ქართველები და მზის სხივის სადარი კეთილგონიერებისა და კეთილსინდისიერების მქონე საქართველოს გონიერი მეფის, მისი ქმრის, ადგილას მალე გამოეგზავნათ თეიმურაზი.

დედოფალმა შეკრიბა ის ქართველები, რომლებისთვისაც მუსლიმი მეფე მიუღებელი იყო და რომლებიც დავითის ტახტზე მორასა გვირგვინით შემკულს დასვამდნენ ქალს იმ შემთხვევაში, თუკი არ ეყოლებოდათ მამაკაცი მეფე. დედოფალმა ეს გარემოება მოახსენა რა ხანს, მიხვდა, რომ [შესაძლოა] ხანს [კონსტანტინეს] ამეფებდნენ, მის წინაშე დაიჩოქა, როგორც ამას ეტიკეტი მოითხოვდა, და [მას] პატივი და მორჩილება აღუთქვა.

---

[39] ავტორს ეშლება. ქეთევან დედოფალი გიორგის ძმის, დავითის ცოლია.

[40] ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ შესავალ ნაწილში.

მისი უდიდებულესობის ნახიჩევანისკენ გამგზავრება, კონსტანტინე ხანის მორჩილების გზიდან აცდენა, შემახის ციხის ძირში კონსტანტინეს ლაშქარზე შუა ღამით დედოფლის მიერ თავდასხმა, კონსტანტინეს არდებილში, სამეფო კარზე მისვლა და საქართველოში მისი ძმისშვილის, თეიმურაზ ხანის მეფობა. კონსტანტინე ხანის საქართველოში დაბრუნება, თეიმურაზ ხანთან შებრძოლება, კონსტანტინეს მოკვლა და თეიმურაზის მმართველობა

ამ ამბების შემდეგ [მისი უდიდებულესობა] ნახიჩევანისკენ წაბრძანდა, რათა, თუკი ჯეღალისგან ამბავი მოვიდოდა, მაშინ თავრიზში ინებებდა წასვლას. ჯერ კიდევ გზაში იყო, რომ მეჰმანდარისგან[41] ჯანყის შესახებ შეატყობინეს და ყარაბაღისკენ წავიდა, აიღო რა განჯისა და ბარდავის ველაიათები, ღვთის შეწევნით, დიდებით მოსილი და გამარჯვებული შირვანში ჩავიდა რა, კონსტანტინე ხანისკენ დახმარება გაგზავნა. ამბავი მოუვიდა, რომ მისი [კონსტანტინეს] მამის სიკვდილისა და გლოვის შემდეგ, შირვანის ამბების და მაჰმუდ ფაშას შემახას ციხეში გაქცევისა და მისი [კონსტანტინეს] მმართველობის შემდეგ, საქართველოსა და შირვანის ველაიათებში გარემოება შეიცვალა. დიდგვაროვნები, რომლებიც მას გვერდში ედგნენ, ნაცვლად სიკეთის გამომჟღავნებისა, მოიძულა. თვლის რა თავის თავს ამ ველაიათის ბატონ-პატრონად, ხშირად შეურაცხყოფასაც აყენებს მათ! თავისი ძლიერი და მკაცრი ხელი დაატყო რა იმ ველაიათს, მოსახლეობისგან უამრავ საჩუქარს ღებულობს. დაახლოებით ათას თუმანს, ათ ხარვარ[42] აბრეშუმს, ოცი ხარვარის რაოდენობის მოსავალს.[43] ამგვარი ვითარების გამო, შემახას ციხის აღების შემდეგ, უკვე ამბოხის სუნი დადგა. ის ვეღარ იქნება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ შეიყვარა, ახლობლად მიიჩნია და სიკეთე აჩვენა.

განსაკუთრეებით კი ქართველები და მისი უდიდებულესობის [ფრთის ქვეშ] მყოფი საქართველოს ძალმოსილი მმართველის, [ქეთევან] დედოფლის, შვილი და კონსტანტინე [ხანის] ძმისშვილი - თეიმურაზ ხანი, მამისა და ძმის მკვლელ

---

[41] კარის მოხელე - უცხოელი სტუმრების მიმღები და გამცილებელი.

[42] ხარვარი - წონის საზომი ერთეული, რომელიც 300კგ-ის ტოლია.

[43] ავტორს უწერია غروش[ღორუშ], (იხ. Khuzani, 401) ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს კონკრეტულად ძვ. თურქ. Gürüč [გურუჩ] (იხ. Древнетюркский словарь.Академия наук ссср.Институт языкознания.Издательство "Наука",Ленинград,1969,195).

კონსტანტინე ხანს და, ასევე, კონსტანტინეს მხარეს მდგომ იმ ნაძირლებს, რომლებიც ამ უკანასკნელს ემხრობიან, ერიდებოდნენ.

რადგან კონსტანტინე არ ენდობოდა თავადებს, აზნაურებსა და თავის ნათესავებს, ამან კიდევ უფრო მეტად გააბრაზა დედოფალი და აზნაურები. მათ იცოდნენ, რომ კონსტანტინეს ნდობა არ შეიძლებოდა. საქართველოში მუსლიმ მეფეს კანონიერად არ ცნობდნენ. და დედოფალმა, რომელსაც ეშინოდა, ლუარსაბ ხანის და დავითის მოდგმის დინასტია არ დამარცხებულიყო, თავისთან იხმო ალექსანდრე ხანის ეშიკაღასი ბაში[44] ქაიხოსრო ბეგი, გვარამის ძე, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოსი იყო, ალავერდის მღვდელი, აზნაურები, მოურავები და მხარის უხუცესები. მათ ერთმანეთთან მოითათბირეს [თქვეს], რომ თანახმად დავით წინასწარმეტყველისა, რომლის წინასწარმეტყველებასაც მიაწერენ თავიანთი სამეფო შტოს წარმოშობას, არ შეიძლება, კახეთის მეფე მუსლიმი იყოს, თანახმად უფლისა, რომელსაც ისინი ღმერთს [*აყმერთ*][45] უწოდებენ, მამისა და უფროსი ძმის მკვლელი არ ეგების, გამეფდესო!

მისი უდიდებულესობის ბრძანების თანახმადაც, ქართველებისგან კონსტანტინე ხანის მორჩილება მართებულად არ მიიჩნეოდა რა, მისი [კონსტანტინეს] ახლობელი დიდგვაროვნებიც განაწყენებულები არიან მასზე, ერთხმად კონსტანტინეს მოკვლაზე შეთანხმდნენ რა, ალექსანდრე ხანის დიდი ხნის ქვეშევრდომს, ხოჯა ზია-ედ-დინ ქაშის,[46] რომელსაც ქართველები ემორჩილებოდნენ, მალულად შეატყობინეს ამ ამბოხის შესახებ და იმ ღამეს, როცა ქაიხოსრო ბეგი და ირაკლი ბეგი ყარაულებად იდგნენ, არც თავად მივიდა იმ ადგილას და ასევე თავის ხალხსაც აუკრძალეს იქ მისვლა. ერთმა ღოლამმა, შეიტყო რა ეს ამბავი, ხანს მოახსენა, ქართველები აჯანყებას აპირებენო. პატივმოყვარე ხანმა ხოჯა ზია-ედ დინი იხმო და რადგან ამ უკანასკნელს კახეთის საქმეები მოეკითხებოდა, ამ ყველაფრის შესახებ გამოკითხა. ხოჯამ, რომელიც არ თვლიდა რა, რომ ხანის საქმე შემოქმედის, სამყაროსა და კაცობრიობის წესის თანახმად მიდიოდა, უთხრა, რომ, შესაძლოა, გემდურიან იმის გამო, რომ ფულს

---

[44]ეშიკაღასი ბაში - (თურქ.) ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი ხელმწიფის კარზე, რომლის მოვალეობა სეფიანთა ირანში სასახლეში ცერემონიის დაცვა ხელმწიფისთვის მთხოვნელთა წარდგენა იყო (ფუთურიძე, 1977, 82).

[45] ფაზლი ხშირად წერს ქართულ სიტყვებს. ამ შემთხვევაში კი ქართულად აქვს გადმოცემული ღმერთი, სპარსული (არაბული) ასოებით - اَق مرت- აყმერთ. აღსანიშნავია, რომ ღმერთის მსგავს გადმოცემას, მერთ - مرت ვხვდებით მე-18 საუკუნის პოეტის, საფი ხალხალის ლექსში - „თბილისის ქება“. იხ. : მ. თოდუა, „ქართულ-სპარსული ეტიუდები“ II; თბილისი, „მეცნიერება“, 1975,206.

[46] ხოჯა ზია ად-დინ ქაში- ჯერ ალექსანდრეს ვეზირი იყო, ხოლო შემდგომ კონსტანტინესი.

არ უხდიდი მათ და ავიწროებდიო და, გამომდინარე თავისი მრავალწლიანი გამოცდილებიდან, მას გარკვეული რჩევები მისცა.

ხანი დათანხმდა, გადაწყვიტა, რომ ჯალალ ესფაჰანის, რომელიც ხანის მოდიროლმულქი იყო და ხოჯა ზია-ედ დინის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად, რამდენსაც ხოჯა მოისურვებდა, იმდენს მისცემდა ხაზინიდან. რადგანაც ბრძენმა ვეზირმა ქართველებს სიმართლე უთხრა და აუკრძალა მათ მისვლა [როგორც უკვე ითქვა], ყველა ის აზნაური, რომელიც იმ ღამეს ყარაულად იდგა, დაეთანხმნენ ხოჯას, რომ გარიჟრაჟზე ხანის ხაზინიდან აიღებდნენ ფულს. ღამით კი გადაწყდა, რომ, როცა ხანი ამ გარემოებას შეიტყობდა, მეტი გზა, გარდა მისი მოკვლისა, აღარ რჩებოდა. ღამის გუშაგები ყიჟინით გარს შემოეხვივნენ მას და, როგორც ეს ქართველებს სჩვევიათ, შეცვივდნენ ხანის კარავში. ფირი ბეგ ჩაქერლუმ, რომელიც მის უდიდებულესობას ხანის ამბის გასაგებად გამოეგზავნა, შეიტყო რა ეს ამბავი, მივიდა ხანის კარავში და ალი ხანის კარავში გადაიყვანა იგი [კონსტანტინე]. ალი ხანი თურქი იყო და მის უდიდებულესობასთან ერევანში მსახურობდა. როდესაც ყიზილბაშებმა ქართველები დაინახეს, იფიქრეს, ოსმალების მხარეს გადავიდნენო, ქარნას დააძახეს და ხანი მხედარზე შესვეს. ქართველებმა რომ ქარნას ხმა გაიგონეს, მიხვდნენ, რომ ხანი ცოცხალია და დაიქსაქსნენ. დედოფალი და თავადები საქართველოს გზას გაუდგნენ. ხანმა მათ მთელი ღამე სდია უკან, მაგრამ ვერ დაეწია. თურქებმა იფიქრეს, ქართველები და ყიზილბაშები თურქების ციხესიმაგრიდან გამოჰყავთო და ღამით ციხიდან არ გამოსულან. დილით ხანი ქართველებს დაეწია. ქაიხოსრო ბეგი და შარმაზან ბეგ ვაქილი მასთან მივიდნენ და უთხრეს, ჩვენი დევნა კარგს არაფერს მოგიტანს, სანამ კიდევ ერთი კაცი მაინცაა ცოცხალი ჩვენგან, უკან არ დავიხევთო! სულთნებიც, მიხვდნენ რა, რომ ვერ შეებრძოლებოდნენ, გაბრუნდნენ. დილით, როდესაც ოსმალებმა ყიზილბაშთა ბანაკი შეამჩნიეს და ლაშქრის კვალი ვერ დაინახეს, ყალაყჩიები, რომლებიც შიშით ციხის ძირას მისულიყვნენ, ცოტა ხანში მაჰმუდ ფაშასთან მივიდნენ.

როდესაც ქართველების დაპირისპირების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი, გარკვეულ ჯგუფს ხანის ბანაკის დაცვა დაავალეს რა, რბევა დაიწყეს. დაჭრილმა თიზრუ-სულთანმა (თიზრუ სულთან მოყადამი) და მისმა ხალხმა ათასი უბედურების მერე, მიმოფანტულებმა და გაბნეულებმა, სულთნებთან და ხანთან არდებილში ჩააღწიეს.

ყარაფირ ჩაქერლუ, რომელიც მაღალ წრეს მიეკუთვნებოდა და კონსტანტინე ხანის ამბის გასარკვევად ხოჯა ზია ედ-დინთან ერთად ბანაკში მოსულიყო, გადასცა რა მათ ხანის თხოვნა (ბოდიში), თავადაც მოიბოდიშა. მისმა უდიდებულესობამ რაყამები და

თავაზიანი წერილები გააგზავნა და საქმე ხსენებული სარდლის, ჯაღალ ოღლის, მოსვლაზე რომ მიდგა, ხანს არავინ დაეხმარა.

კონსტანტინე ხანმა ვაჭრებისგან ისესხა ფული და ხსენებულ სულთნებთან ერთად შირვანში წავიდა. მისი უდიდებულესობა ავის მომასწავებელ ფიქრებს შეეპყრო, ღმერთმა ნუ ქნას, ხანი მღალატობდეს და მოჰამად ფაშასთან იყოს გაერთიანებულიო. რაყამი დაწერა და გაგზავნა, რომ [კონსტანტინე] შირვანში არ წასულიყო და უკან გამობრუნებულიყო. კონსტანტინეს თავისი სიამაყისა და ამპარტავნების გამო შერცხვა, ვერ მივიდა ქვეყნიერების ორბიტის ბანაკში და შირვანისკენ დაიძრა.

დედოფალმა და ქართველმა დიდებულებმა გლოვის შემდეგ მისი უდიდებულესობის სახელზე არზა დაწერეს, აზნაურ ფარემუზ (*ფარამარზ*) ბეგს გაატანეს და თეიმურაზ ხანის ჩამოყვანას სთხოვდნენ [შაჰს]. ხოლო თავად, ეშინოდათ რა იმის, რომ ხანი თავს დაესხმოდათ, ლაშქართან ერთად ზაგემიდან ჯანალის სანახებსა და გრემში წავიდნენ. კონსტანტინე ხანმა, რომელმაც ქართველების დახოცვა და ამ მხარის დაპყრობა გადაწყვიტა, იორი გადმოკვეთა და საქართველოში შემოვიდა. ქართველებს ეშინოდათ მისი, თანაც არც მისი უდიდებულესობისგან მოსულიყო პასუხი. ამასობაში ფარემუზ ბეგი მისი უდიდებულესობისგან დაბრუნდა. [შაჰმა] თეიმურაზ ხანს ხანობა და ოლქის მმართველობა უბოძა. ქართველებმა კონსტანტინესთან შებრძოლება გადაწყვიტეს. როდესაც პატივმოყვარე ხანმა ძმისშვილის მოსვლის ამბავი შეიტყო, გაბრაზდა და გრემის ველზე საბრძოლველად დაბანაკდა. ყარჩიღა ბეგს,[47] რომელსაც იგი ძალიან ენდობოდა, ავანგარდი ჩააბარა და გარკვეული რაოდენობის ყიზილბაშებიც მიაშველა. იმის გამო, რომ [კონსტანტინე] მისი უდიდებულესობის ნებართვის გარეშე მოვიდა, შაჰმირ ხანი, ალი ხან სოლთანი და დანარჩენი სულთნები გაბრაზდნენ და განუდგნენ მას. ყარჩიღა ხანსა და მის ჩარხჩიებს[48] ნაძირალა ქართველებიც შეუერთდნენ, რომელთაგანაც ქვეითი ჯარი შეიქმნა.

ცოტა ხანში ყარჩიღა ბეგმა მამაც ქართველებთან ბრძოლა გააჩაღა, ქართველები დიდი სიმამაცით იბრძოდნენ. კონსტანტინე ხანმა დაინახა რა, რომ ყიზილბაში სულთნები სუსტები იყვნენ და ვერ იბრძოდნენ, ვეღარ მოითმინა და შუბით შევარდა ბრძოლის ველზე. მამაცმა ქართველებმაც უკან აღარ დაიხიეს და გაჩაღდა ბრძოლა.

---

[47] ყარჩიღა - კონსტანტინეს ღოლამი, იგივე ყარჩიღა სულთანი.
[48] ჩარხჩიები - ცხენოსანი მეომარები, ავანგარდი.

დედოფალი, თეიმურაზ ხანის დედა, ქვეით ჯარს მიუძღვოდა და ხანის მოკვლის ბრძანება გასცა. როგორც ქართველებს სჩვევიათ, სასტიკად იბრძოდნენ. ალი ხან მოვაფეყი,[49] სოლთან ჩაქერლუ და, ასევე, სხვა ახალგაზრდა ყიზილბაშები თავგანწირვით უტევდნენ და ძალიანაც კი უნდოდათ, მაგრამ ის უვიცი და ამპარტავანი ხანი არ ეგუებოდა რა ბედისწერას, არ იხევდა უკან, ქართველებს უტევდა და დედოფალს შეურაცხყოფდა და აგინებდა.

ამ დროს ერთ-ერთმა ცხენზე ამხედრებულმა გმირმა აზნაურმა ხანი შებოჭა და, რადგანაც ამ უკანასკნელს არავინ მიეშველა, ყიზილბაშთა ლაშქარიც გატყდა. ყიზილბაშმა სულთნებმა სადავეები მიაბრუნეს და გაიქცნენ. ერთი ფარსახის მანძილზე სდიეს მათ ქართველებმა. ხანის მოკვლის შემდეგ დედოფალმა მუსლიმებსა და ქართველებს ერთმანეთის ხოცვა აუკრძალა. ვისაც ნახავდნენ ქართველები, გააშიშვლებდნენ და ასე ტოვებდნენ. ხოლო თავად [დედოფალი] თეიმურაზთან ერთად კონსტანტინეს [ცხედრისთვის] წავიდა. იქ მყოფმა რამდენიმე მუსლიმმა და ხოჯა ზია ედ-დინმა, რომელიც იმ დროს მისი მრჩეველი იყო, ხანის ცხედარი კუბოში ჩადეს და არდებილის გზას გაუყენეს. როგორც ამ მისრაში წერია: „თავად კლავ ჰაფეზს და თავადვე გლოვობ?!“ თავად [დედოფალი] ზაგემისკენ წავიდა, ძველი წესისამებრ მისი უდიდებულესობის სახელზე მონეტა მოჭრა და ხუტბა[50] აღავლინა. გაძარცვულ ვაჭრებს დაუყვავა რა, მათ ფული მისცა და დაჭრილ და უმწეო ყიზილბაშებს მცველად და ხარჯებისთვის კაცი მიუჩინა, ხოლო თუკი გამოჯანმრთელების შემდეგ დარჩენა მოუნდებოდათ, დედოფლის მემკვიდრის, თეიმურაზ ხანის ამალაში აიყვანდნენ რა [მათ], გასამრჯელოს მისცემდნენ, თუ არა და, მისცემდნენ ჯიბის ფულს და გაისტუმრებდნენ.

ებრაელი ხოჯა იაყუბის ვაჟმა, ხოჯა ლალეზარმა, რომელიც იმ ველაიეთის ვაჭართა თავი და ძალზედ კეთილშობილი კაცი იყო, იმ დღეს სამი ათასი ხელი პერანგი და საცვალი შეკერა. ზოგს კაბა და თავსაბურავი, ზოგსაც ცხენი და ჯიბის ფული მისცა და გაძარცვული ხალხი და მუსლიმები ქალაქ ზაგემიდან გაისტუმრა. ასე რომ, ხოჯამ იმ დღეს ხუთი ათასი თუმანი გაიღო.

ამ ამბების შემდეგ დედოფალმა ხოჯა ზია ედ-დინი და ფარემუზ ბეგი მის უკეთილშობილებასთან გაგზავნა, [რომელთაც მას] მომხდარის შესახებ მოახსენეს.

---

[49] ალი ხან მოვაფეყი - თურქები ალი ბეგ მონაფეყს უწოდებდნენ. იგი ყარაბაღის თურქებისგან იყო.

[50] ხუტბა (არაბ.) - ლოცვა, რომელსაც იმამი პარასკევობით და დღესასწაულებზე წარმოთქვამს მეჩეთში ალაჰისა და წინასწარმეტყველი მოჰამადის სადიდებლად და ხელმწიფის საკეთილდღეოდ.

მაშინ, როცა ჯელალ ოღლი ხოიში, ხოლო მისი უდიდებულესობა თავრიზის სუფიანში მისულიყო, ხოჯა ზია ედ-დინისათვის ვეზირობა სთხოვეს.

მისი უდიდებულესობის ბრძანებით, მას საქართველოს კახეთის ვეზირობა მისცეს და გაისტუმრეს. ძვირფასი ხალათები უბოძეს [ასევე] თეიმურაზ ხანს, მის თავადებსა და აზნაურებს.

მოულანა შარმი ყაზვინის თავის მატიანეში უთქვამს:

„ქართველმა კონსტანტინემ [საკუთარი] მამა მოკლა,

ამისათვის ის განგებამ დასაჯა,

წინ აღუდგა რა იგი მურშიდის[51] ბრძანებას,

მისი თავი ტანს მოშორდა.

მის სიკვდილზე გონებამ მითხრა,

როდის ყოფილა, მამის მკვლელი ცოცხალი დარჩენილიყოს!

მისი უდიდებულესობის ყარაბაღში წასვლა, თეიმურაზ ხანის და ისა ხანის მისი უდიდებულესობის წინაშე ქედის მოხრა

.....

ქართველი დავით ხანის შვილი თეიმურაზ ხანი, რომლის შესახებაც ადრე, ბიძამისი კონსტანტინე ხანის მოკვლასთანან დაკავშირებული ამბის შესავალში დაიწერა, ხანობის ტიტულსა და საქართველოს მეფეთა შორის ითხოვდა ხალიჩაზე ჯდომას. ბრძანების თანახმად, იგი თავისი წინაპრების შთამომავლობით მიღებულ ტახტზე დასვეს და მან ირანის დიდებული შაჰის კარზე ძალაუფლება მოიპოვა.

გასულ წელს, როდესაც მისმა უდიდებულესობამ იგი დედასთან, დედოფალთან და საქართველოს გავლენიან პირებთან მოსალაპარაკებლად გაუშვა, არ დაუსვამს ის [თეიმურაზი] ტახტზე. ახლა კი „შემოირტყა რა მორჩილების ქამარი“,

[51] არაბ. სწორი გზის მაჩვენებელი. სეფიანთა ირანში - სულიერი მოძღვარი.

გიორგი ხანის ვაჟიშვილებმა, ისა მირზამ და ქეშიშმა,[52] თავიანთი ბიძა, რომელმაც მოკლა კონსტანტინე, მის უდიდებულესობასთან მიიყვანეს.

და იმ მეფურმა გულისხმიერებამ, რომელიც თეიმურაზის მორჩილების მიმართ იყო გამოხატული, ამ უკანასკნელის ბედი გააბრწყინა. მისმა უდიდებულესობამ თავად აიყვანა რა იგი წინაპრების ტახტზე, ქართველებმა, აზნაურებმა და ბაჰადურებმა (მამაცებმა, გულადებმა) თავზე ოქრო დააყარეს და მიულოცეს მას. მან თავად მიაწოდა რა მათ ღვინის ფიალები, აღიარა მათი მმართველობა. ისა მირზა და ქეშიში კი ძველ ღოლამს, ღოლამების აღმზრდელს (ლალეს), ფარჰად აღას მიაბარა და შესაბამისი სარგო დაუნიშნა. თეიმურაზს მისცა რა წასვლის ნება, მისმა უდიდებულესობამ გაათავისუფლა იგი და ძვირფასი ხალათებითა და საპატიო სამოსით კახეთში გაუშვა. თავად მისი უდიდებულესობა კი ბარდავიდან ქურქჩაისკენ წავიდა, თუმცა იქ არ გაჩერებულა, ვინაიდან ეს იყო ახალგაზრდა უფლისწული სულთან ჰამზა მირზას დაღუპვის ადგილი.

დიდებული კორტეჟის თბილისის და დმანისის ციხეების დასაპყრობად წასვლა, ლუარსაბ ხანის ქართლიდან მისი უდიდებულესობის კარზე მოსვლა, მისთვის მემკვიდრეობითი მიწების მმართველობის გადაცემა

.....

.....

განჯის დაპყრობის შემდეგ, თბილისისკენ დაიძრნენ...

ამასობაში, კაცმა, რომელიც სიმონის შვილის, გიორგი ხანის მოსახმობად გაეგზავნათ, ამ უკანასკნელის სიკვდილის ამბავი მოიტანა.

მისმა უდიდებულესობამ აწ განსვენებულის შვილს, ლუარსაბ ხანს, მოჰამად ბეგდალის ხელით სამეფო უსტარი გაუგზავნა, ქართლის მმართველად დანიშნა და ასევე სთხოვა, შენი და ცოლად გამატანეო. ლუარსაბ ხანსა და დედამისს, დედოფალს, ასევე, ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა.

დმანისის ციხის მცველებმა კაცი გააგზავნეს დელუ მოჰამად შამს ად-დინლუსთან, რომელიც დაახლოებულ პირთა რიგებს მიეკუთვნებოდა და ძველი

[52] ქეშიში - მუნშის „ალემ არა-ი აბასიში“ ნახსენებია, როგორც თეიმურაზ I-ის ძმა (ფუთურიძე,1969, 153).

ცოდვების პატიება და დანებება ითხოვეს. მათ ცოდვები აპატიეს, ხოლო ზემოხსენებული მოჰამად სულთანი დმანისის ციხის უფროსთან, სანჯაყ ბეგთან გააგზავნეს, რათა იგი ფეხზე მთხვეოდა მის უდიდებულესობას და ციხე ჩაებარებინა. მისი უდიდებულესობის გულისხმიერებამ მათი ბედი გააბრწყინა. სანჯაყ ბეგი და დანარჩენები უზრუნველყვეს საგზლითა და ფულით და ოსმალეთში გაუშვეს, ხოლო იმათ, ვინც „ყურში მონობის რგოლი გაიყარეს“, ღოლამთა რიგებში შესვლის პატივი ერგოთ რა, გულუხვად დასაჩუქრდნენ და თიულები გადაეცათ.

მისი უდიდებულესობის ჩოხურსაადისკენ გამგზავრება, მშვიდობის დამყარებისთვის ოსმალეთიდან სიმონ ხანისგან კაცის გაგზავნა, მისი უდიდებულესობის ყარაბაღისკენ დაბრუნება შირვანისკენ დაძვრის მიზნით

როდესაც თბილისის ციხის აღების ამბავი ოსმალეთის სულთნის ვექილების ყურამდე მივიდა, სიმონ ხანისადმი, რომელიც ტყვედ ჰყავდათ, პატივისცემის გამოხატვა დაიწყეს. რადგანაც მისი [სიმონის] შთამომავალი ქართლის ტახტზე იჯდა, მას [სიმონს] მის უდიდებულესობასთან კაცის გაგზავნა დაევალა, რათა შეთანხმებასა და მშვიდობისთვის დაედო საფუძველი. ამასთანავე, ისინი იმედოვნებდნენ, რომ შირვანის მიწები კვლავ მათი მმართველობის დაქვემდებარებაში დარჩებოდა.

ზემოხსენებული მმართველის მფარველობის ქვეშ იყო ერთი მსახური, სახელად გოლჩეჰრე ბაჯი, რომელიც შაჰ თაჰმასბის დროს შაჰის კარზე მსახურობდა. სიმონ ხანმა რომ ისლამი მიიღო, ეს ქალი მას მისცეს, ხოლო შემდეგ [გოლჩეჰრე] ოსმალეთში წავიდა. და იგი [გოლჩეჰრე] მის უდიდებულესობასთან გააგზავნეს.[53]

სულთან აჰმედ ფაშა[54] მის უდიდებულესობას სთხოვდა, იკმარე დაპყრობილი მიწები და შირვანის დაპყრობაზე უარი თქვიო. მე კი, სამაგიეროდ, აზერბაიჯანს გავეშვები, თავს აღარ დავესხმებიო. იგი მეგობრული დამოკიდებულების აღდგენას

[53] გოლჩეჰრე - თინათინ ბატონიშვილი (ბაგრატიონი). ქართველი დიპლომატი ქალი XVI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XVII ს. დამდეგს, ქართლის მეფის გიორგი X-ის ასული. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: მ. სვანიძე, ქართველი ქალი - დიპლომატი, ცისკარი #3, თბილისი, 1965.
[54] სულთან აჰმედ ფაშა- ოსმალეთის სულთანი (1603-1617).

სთავაზობდა მას, როგორიც ეს სულთან სულეიმანისა და შაჰ-თაჰმასბის დროს იყო. ამით ისინი მშვიდობას და მეგობრობას ჩაუყრიდნენ საფუძველს.

გოლჩეჰრე ბაჯის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ერზრუმის საზღვრიდან გარკვეულმა ჯგუფმა ჩოხურსაადი დაარბია. მისმა უდიდებულესობამ გულდასმით წაიკითხა რა სიმონ ხანის წერილი, პატივისცემითა და კეთიგანწყობით დაუწერა მას პასუხი, სადაც უთხრა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება მშვიდობის ჩამოგდებას იქამდე, ვიდრე დიარბექრი და ვანი, რომლებიც ამ რჩეული დინასტიის მემკვიდრეობითი მიწებია, მათსავე მფლობელობაში არ გადავა.

მაშინ, როდესაც ჩვენი ერთგული დავითის მოდგმის ეს ღირსეული წარმომადგენელი მშვიდობასა და კეთლდღეობას შუამდგომლობს, სულთან მურად ხანმა ისარგებლა რა ორდღიანი ქაოსითა და ფიცის დარღვევით ორ სახელმწიფოს შორის, და შირვანის და აზერბაიჯანის მიწები მიითვისა. ამიტომაც ახლა მისმა უდიდებულესობამ, ყველაზე სამართლიანმა, ყოვლისშემძლემ და ბრძენმა, გასცა ბრძანება იმათ დასაპყრობად. როგორც იტყვიან, ‘‘ყველაფერს თავისი დრო აქვსო‘‘ და, თუ ღვთის ნება იქნება, სტამბოლიც მათ ხელში აღმოჩნდება! და როდესაც ალექსანდეს სადარი ხელმწიფის მეფობის დროს ოსმალეთს მიკუთვნებული ამ [სეფიანთა] დინასტიის კუთვნილი ყველა მიწა კვლავ ჩვენს მფლობელობაში დაბრუნდება, გაიცემა ბრძანება, რომ ჩვენმა ერთგულმა მსახურებმა არ გადადგან არცერთი ნაბიჯი, რომელიც ზღვარს გადასცდება. იმისათვის, რომ ამ სისხლიანი ხმლის მსხვერპლად არ იქცეს უამრავი ადამიანი ორივე მხრიდან, დაე, მოელაპარაკონ ოსმალეთის სულთნებს, რათა მათ გააგზავნონ კაცი შირვანში მყოფ მაჰმუდ ფაშასთან და მის ხალხთან და მტრობისა და ბრძოლის გარეშე გადმოგვცენ შირვანი. ხანს გაუგზავნეს ფული და ძვირფასი ფარჩეული, ხოლო გოლჩეჰრე ბაჯის დაბრუნების უფლება მისცეს.

ქათმის წელი, ჰიჯრის 1018 წელი (ქრ.წ. 1609/10), მისი უდიდებულესობა შაჰის მეფობის 23-ე წელი

ჩილ ფაშასა და ფარჰად ფაშას ახალციხის ციხესიმაგრესთან მოსვლა, ამ მხარის დაპყრობა და ლუარსაბ ხანთან და მოჰამად ხან ყაჯართან შებრძოლება. ფარჰად ფაშას დატყვევება და ახალციხის მმართველი ათაბაგ ხანის შაჰის კარზე მისვლა

აფზალ ალ თავარიხის პირველ ტომში უკვე ითქვა, რომ აწ განსვენებული შაჰის დროს, როდესაც ირანისა და ოსმალეთის დიდებულ ხელმწიფეებს შორის ზავი ჩამოვარდა, საქართველოში მდებარე ახალციხეს ირანი აკონტროლებდა. შაჰის ბრძანებით, ამ მხარის მემკვიდრეობით მფლობელი მანუჩარ ხანი მამა-პაპისეული მიწების მფლობელად დაინიშნა. თუმცაღა, ალექსანდრეს სადარის ხელმწიფობის დროს, როდესაც აზერბაიჯანი ქაოსმა მოიცვა, საქართველოში ჯაფარ ფაშა ჩამოვიდა, სიმონ ხანი ტყვედ აიყვანა და ოსმალეთში წაიყვანა. ახალციხის ციხე კი მის მფლობელობაში გადავიდა და ხონთქრის მოლაზემს[55] გადაეცა. გიორგი ხანის ნათესავის, მანუჩარ ხანის გარდაცვალების შემდეგ (გიორგის და მანუჩარის ცოლი იყო), ქართლის მმართველობა მისი ოჯახის ხელში გადავიდა. მანუჩარ ხანი ქართლში იჯდა და მის მახლობლად ახალციხის გარკვეულ მიწებს ფლობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამ მხარის მართვა გიორგი ხანის დამ, ელენე ათაბაგმა, რომელსაც მანუჩარ ხანისგან ვაჟი ჰყავდა, ითავა. ელენე მართავდა რა ამ მიწებს, ცდილობდა, შეენარჩუნებინა წესრიგი და რთული პერიოდი გადაელახა.

ამ დროს მისმა უდიდებულესობამ აზერბაიჯანში თავისი ძალაუფლება გაამყარა და დაიპყრო იგი ძალისა და განგების მეშვეობით. ხონთქარმა იუსუფ ფაშა ახალციხეში გააგზავნა. შეიკრიბნენ იუსუფ ფაშას მომხრეები, იქნებოდნენ ესენი ქრისტიანები თუ მუსლიმები, და ამ უკანასკნელს, რომელსაც ისლამი მიეღო და ახალციხის დიდგვაროვანთ მიეკუთვნებოდა, ამავე მხარის მმართველობა გადასცეს. და როგორც კი იუსუფ ფაშამ ბეგლარბეგობა და ისლამი მიიღო, ნათესაური კავშირი გაწყვიტა. დედოფალმა ათაბაგი წაიყვანა და თავის მსახურებთან და დაახლოებულ პირებთან ერთად ერევნის ციხეში მის უდიდებულესობას ეახლა და დახმარება სთხოვა.

ბრძანების თანახმად, ალი ხან მოვაფეყი, ალი ხან სულთან შამს ად-დინლუ, შაჰმირ ხანი და ამირათა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ამ დროს იმ საზღვართან

[55] მოლაზემი - (არაბ.) მხლებელი, მსახური, ადგილობრივი მმართველების ჯარის ნაწილის მეომარი.

იმყოფებოდნენ, მაზანდარანელ თოფანგჩიებთან ერთად, მინბაშ ქია სოჰრაბ ლარიჯანის სარდლობით ათაბაგ ხანის დასახმარებლად გაამწესეს.

რადგანაც ათაბაგ ხანი ჯერ ბავშვი იყო, დედოფალმა, ძველი ქართული წესის მიხედვით, სახელმწიფოს სიძლიერისა და ქვეყნის მართვის სიმბოლო, მოოჭვილი გვირგვინი თავად დაიდგა თავზე. შეკრიბა 7 000 კაცი თავისი და ქართლის საქართველოდან და სულთნებთან და თოფანგჩიებთან ერთად ახალციხის ციხისკენ დაიძრა, სადაც ბრძოლა გაჩაღდა.

რამდენიმეთვიანი სასტიკი ბრძოლის შედეგად ორივე მხარეს ბევრი ადამიანი დაიხოცა. მამაცი მეომრებისა და მისი უდიდებულესობის წყალობით, ციხე აიღეს. იუსუფ ფაშა დამარცხდა. ის და მისი ხალხი მოკლეს და მათი თავები ნაალაფავთან ერთად ციხესიმაგრეში მიიტანეს. ამის შემდეგ კი გვირგვინი დედოფალმა თავის ვაჟს დაადგა და ის მამის ტახტზე დაჯდა. ქართველები კი მას დაემორჩილნენ.

იუსუფ ფაშას და სულთნების თავები შემახის ციხის ძირას მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრილის წინაშე მიიტანეს. შაჰმა დედოფალს განსაკუთრებული გულისხმიერება გამოუხატა რა, გასცა ბრძანებები ახალციხის მმართველობასთან დაკავშირებით და ძვირფასი ხალათი გაუგზავნა ყორჩი ისმაილ ბეგ ყაჯარის ხელით. და ის მართავდა ახალციხეს მაიმუნის წლის მეექვსე თვემდე.

და იმ დროს, როდესაც მურად ფაშამ ჯელალიები[56] გაანადგურა და ხონთქრის ბრძანების თანახმად, მთავარსარდლად დაინიშნა ირანში, და ალეპოსა და დიარბექრის ამბებისთვის ემზადებოდა, ერზრუმის ბეგლარბეგმა დედოფლის შესახებ შეატყობინა.

მურად ფაშამ მეთაურად ჩილ ფაშა თათარი დანიშნა, ეს უკანასკნელი ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებული კაფას რეგიონის ერთგული მმართველის, ხან თათრის სახელით ახალციხის ციხესიმაგრის ასაღებად გამოგზავნეს. ჩილ ფაშა ოცი ათას თათარ მეომარს მეთაურობდა, [და] ოსმალეთის ჯარების მხარდაჭერით, ფლობდა რა ძალაუფლებას, არაბებსა და სპარსელებს შორის თავი სახელგანთქმულ გმირად მიაჩნდა. მას თან ახლდა საქართველოს ვალის, ალექსანდრე ხანის შვილიშვილი ფარჰად ფაშაც, რომელიც ხონთქრის კარზე გამუსლიმებულიყო და ბეგლარბეგთა და მთავარსარდალთა რიგებს მიეკუთვნებოდა.

---

[56] ჯელალის აჯანყებები - არარეგულარული ჯარების, ბანდიტების და ანატოლიის რეგიონების მმართველების აჯანყებები მე-16, მე-17 ს-ის შუა ხანებამდე ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. სახელი მიიღო პირველი აჯანყების წამომწყების, ალევი (ერთ-ერთი მუსლიმური სექტა) მქადაგებელ ჯელალისგან.

როდესაც დედოფალმა ჩილ ფაშას მოახლოების შესახებ შეიტყო, მისი უდიდებულესობა კი ამ დროს ესფაჰანში იმყოფებოდა და ვერაფრით გუწევდა სწრაფ დახმარებას ამ სისიხლისმსმელს ჯართან გასამკლავებლად, ციხესიმაგრე და ის მხარე დატოვა, ათაბაგ ხანი წაიყვანა და ქართლისკენ გაეშურა.

განჯისა და ყარაბაღის ბეგლარბეგმა, მოჰამად ხან ზიად ოღლი ყაჯარმა რომ დედოფლის წამოსვლისა და ოსმალების მიერ ახალციხის ციხესიმაგრის აღების ამბავი გაიგო, ფეიქარ სულთანთან და სხვა სულთნებთან ერთად დედოფლის და ათაბაგ ხანის დასახმარებლად წავიდა.

და იმ დროს, როცა ჩილ ფაშა და ფარჰად ფაშა, ახალციხის ციხესიმაგრის აღების შემდეგ, ქართლისკენ დაიძრნენ, გაძარცვეს სომხით-საბარათიანო და დაბრუნებას აპირებდნენ, ერთი მხრიდან ქართლის ვალიმ, ლუარსაბ ხანმა, ხოლო მეორე მხრიდან - მოჰამად ხან ყაჯარმა და სულთნებმა მათ გზა გადაუღობეს, რათა ეს მხარე დაეცვათ.

ჩილ ფაშამ და ფარჰად ფაშამ, თავდაჯერებულებმა და თვითკმაყოფილებმა, ქართველთა ქონება მიიტაცეს და ხალხი ტყვედ იგდეს რა, მხიარულად დაიძრნენ ახალციხისკენ. თუმცა, უეცრად, ყიზილბაშების ქარნის ხმა შემოესმათ და დაიბნენ.

და ვიდრე ოსმალების ლაშქარი ერთად მოიყრიდა თავს, ყაჯარების ტომის, იგრიმი დორთის, ქართლელი აზნაურებისა და სომხით-საბარათიანოს მეომრებმა ბევრ ადამიანს გაუყარეს გულში თავიანთი შუბები და ცხენებიდან ძირს ჩამოყარეს. ოსმალების 5 000 კაციანმა ლაშქარმა უკან ვერ დაიხია, რადგან ორივე მხრიდან ალყაში იყვნენ და გაჩაღდა ბრძოლა.

ისინიც ჯგუფებად დაიყვნენ და ლუარსაბ ხანისა და მოჰამად ხანის წინააღმდეგ ვაჟკაცურად იბრძოდნენ. ზიადლუს ახალგაზრდებმა, შამ ბაიათი ყაჯარმა და ჩარხჩი ფეიქარ სულთან იგრიმი დორთმა,[57] შეუდარებელი სიმამაცე გამოავლინეს. მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილის მფარველობით, ოსმალო სარდალი ფარჰად ფაშა ერთ-ერთი დიდებულის შუბის დარტყმით ცხენიდან ჩამოვარდა. მიწაზე დავარდნილმა წარმოთქვა - „მე ფარჰად ფაშა ვარ!“ ის შებოჭილი მიუყვანეს ყარაბაღის ბეგლარბეგის მუსაჰებს, მოჰამად ხან ზიად ოღლის. რადგანაც ყარაბაღის ყოფილ ბეგლარბეგსა და საქართველოს ყოფილ მმართველ ფარჰად ფაშას ბაბუა ალექსადრე ხანს ნათესაობა აკავშირებდათ, თბილი ურთიერთობა ჰქონდა მას ასევე ფარჰად ფაშას მამა გიორგი ხანთან, მოჰამად ხანი თბილად გადაეხვია მას, გულისხმიერება აჩვენა და თავისი ვაჟის, მურშიდ ყული ბეგის, სახლში დააბინავა.

[57] ფეიქარ ხანი - ფეიქარ ხან იგირმი დორთლუ. შაჰ-აბას I-ის სარდალი და ბარდავისა და კახეთის მმართველი. სწორედ ფეიქარ ხანის ვეზირი იყო ამ თხზულების ავტორი, ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი.

ჩილ ფაშამ რომ ფარჰად ფაშას დატყვევების ამბავი გაიგო, დაუყოვნებლივ დაიძრა ახალციხის ციხესიმაგრისკენ. რადგანაც სულთნებს ციხესიმაგრის დაპყრობის მიზანი არ ჰქონიათ, თუმცა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და ფარჰად ფაშა დაატყვევეს, უკან დაიხიეს. ლუარსაბ ხანი თბილისში დაბრუნდა, ხოლო მოჰამად ხანი თავის სულთნებთან ერთად ყარაბაღში წავიდა და ფარჰად ფაშაც თან წაიყვანა. რამდენიმე დღე დაისვენეს დამღლელი მოგზაურობის შემდეგ. თანაც, ფარჰად ფაშას ნაიარევებსაც მიხედეს. ამ დროს მისი უდიდებულესობის კარზე დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ძმები - ისა მირზა და ქეშიში. ასევე, მისი ბიძაშვილი, თეიმურაზ ხანი, რომელიც ამ მამაპაპისეული მხარის ვალი იყო. ფარჰად ფაშა შარიფ ბეგის თანხლებით შაჰის კარზე გაუშვეს და მისი [ფარჰად ფაშას] შეცდომებისთვის შენდობა ითხოვეს. როდესაც მისმა უდიდებულესობამ ფარჰად ფაშას მოსვლის ამბავი გაიგო, ისა მირზას და მის ძმას, ქეშიშს, რომელსაც უკვე მიეღო ისლამი და მისი უდიდებულესობის კარზე მიღებული კაცი იყო, მათ და დანარჩენ სულთნებს, ასევე სხვა მოსამსახურეებსა და ღოლამებს, რომლებიც ქართველები იყვნენ, [ფარჰად ფაშას] დახვედრა დაავალა. მათაც დიდი პატივით მიიყვანეს იგი მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილის ფეხზე საკოცნელად. სამეფო ღოლამთა რიგებს შეუერთდა და კარზე დარჩა.

დედოფალი კი ათაბაგ ხანთან ერთად თავის ძმისშვილ ლუარსაბ ხანთან მივიდა და როდესაც ახალციხის იმედი გადაეწურა და მისმა ქართველმა მსახურებმაც მიატოვეს, თავის 16 წლის შვილთან ერთად, რომელსაც მთელ საქართველოში ბადალი არა ჰყავდა მშვენიერებასა და სილამაზეში, განჯისკენ გაემართა. მოჰამად ხანი თბილად შეეგება მათ და თავის შვილ მორშად ყოლი ბეგთან და შეიხ ბეგ ზიადლუ ვექილთან ერთად მისი უდიდებულესობის კარზე გაუშვა.

არდებილის დარუღა იუსუფ ბეგი და აზერბაიჯანის ვეზირი ხოჯა მოჰამად რეზას ხალხი პატივით დახვდნენ მათ და ესფაჰანში გაუშვეს. მისმა უდიდებულესობამ კი ბრძანა, რომ ქართველი უფლისწულები ისა მირზას თანხლებით მასთან მისულიყვნენ.

ესფაჰანის მცხოვრებლებმა რომ ეს მანათობელი ვაჟი დაინახეს, რომელიც ყველა ძვირფას თვალზე მეტად ბრწყინავდა, გაიაზრეს, რომ ცხოვრობდნენ. ამ მხარის თვალის ექიმებმა კი, რომლებიც თითქმის ბრმებსაც კი კურნავდნენ, რა დაინახეს ეს სილამაზე, რომელსაც ნებისმიერი უსინათლოს თვალის ახელაც კი შეეძლო, თავიანთი დუქნების კარები ჩარაზეს და „გაოცების კუთხეებში მიიმალნენ“ რა, აღიარეს, რომ ამ სასწაულის წინაშე უძლურები იყვნენ.

მისმა უდიდებულესომაბ განსაკუთრებული გულისხმიერება აჩვენა დედოფალს და ხანს. იმ დღეს წვეულებაზე სუფთა ღვინოს სვამდნენ და ჩანგს აჟღერებდნენ. იქ იმყოფებოდნენ ქართველი სულთნების უფლისწულები - ხორცშესხმული სასწაულები.

ათაბაგ ხანს ყიზილაღაჯი, ზულფაღარ ხანის სამფლობელო, რომელიც ასევე მისი საგვარეულო აკლდამა იყო, გადასცა. რაღაც ხნის შემდეგ კი, დედოფალი ათაბაგ ხანის მდგომარეობის გამო რომ დამშვიდდა, ყაზილაღაჯისკენ დაიძრა და მის მართვას შეუდგა.

ამირგუნე ხანის ყარაბაღის ბეგლარბეგ მოჰამად ხანთან, იმ მხარის სულთნებთან ერთად და ასევე ლაჩინ ბეგის მეთაურობით და ალი ხან ბეგ ჯაბანშირის მეთვალყურეობით თავრიზის სულთნებთან ერთად ახალციხეში წასვლა

.....
.....

ერზრუმის ველაიათში ხმა გავარდა, რომ იმ მხარეზე [ახალციხეზე] თავდასხმა იგეგმებოდა. [ამირგუნე ხანი] ცხენზე ამხედრდა და ახალციხისკენ, რომელიც ერევნის ციხის სამხრეთით მდებარეობს, გაემართა. თვითონ ერზრუმი კი დასავლეთითაა. ჩილ ფაშა, რომელიც თავისი ვაჟკაცობითა და სიმამაცით ოსმალებსა და თათრებს შორის გამოირჩეოდა და იყო ძალიან თავდაჯერებული, განზე ყოფნა ვეღარ მოითმინა და ციხეში შევიდა. ახალციხის ციხესიმაგრე, იმდენად მაღალი იყო, რომ ციური სხეულები მასთან შედარებით ნახევარმთვარესავით გამოიყურებოდნენ. ის ძალიან მიუდგომელი აღმოჩნდა.

თვით ყველაზე ძლევამოსილ ფადეშაჰებს, ხანებსა და სულთნებსაც კი ვერ აეღწიათ ამ ციხესიმაგრის მაღალ კედლებამდე და ბრძანების თანახმად, არც უნდა მიეღოთ ციხის აღებაში მონაწილეობა.

თუმცა, მეციხოვნეებმა, ადგილობრივებმა და გლეხებმა ბრძოლა წამოიწყეს, [რის შემდეგაც] უამრავ მათგანს გაუჩეხა თავი ყიზილბაშების შუბებმა და ხმლებმა.

ალი ხან ბეგი რამდენიმე დღე შეყოვნდა, რათა ტყვეები და ნაძარცვი აღერიცხა და როდესაც ყველაფერი გაარკვია, ხელმწიფისკენ დაიძრა. სულთნები და ხანებიც თავ-თავიანთ სამფლობელოებში წავიდნენ. ჩილ ფაშას ჯარიც, რომელიც იყო მიზეზი ყველანაირი არეულობისა, გატყდა.

გარკვეული ჯგუფი ამირების ხალხისგან, ჩოხურ საადში, ხანის სამსახურში ლაჩინ ბეგს მიამაგრეს. ხოლო მოჰამად ხანი და დანარჩენები ამ დროს თავიანთ სახლებში წავიდნენ.

5 000 კაცი თავრიზიდან და ყარაბაღიდან ლაჩინ ბეგის სამსახურში იდგა, ხოლო დანარჩენები თავიანთ საქმეებზე წავიდნენ. ალი ხანი, ახალციხიდან წამოღებული აღჭურვილობით, ტყვეების თავებითა და ნაალაფავით, ასევე, აზერბაიჯანის სულთნებისა და ხანებისთვის განკუთვნილი ძვირფასი საჩუქრებით, იმ დროს მოვიდა, როდესაც მისი უდიდებულესობა ესფაჰანიდან ლარის საზაფხულო იალაღებით წამოსულიყო და სულთნებისა და მათი შთამომავლების გარემოცვაში ილხენდა, ხოლო მსახურების თავდადება, თავდაუზოგაობა და ერთგულება ქებით აღენიშნა.

ძაღლის წელი, ჰიჯრის 1019 წელი (ქრ.წ.1610/11), მისი უდიდებულესობის მეფობის 24-ე წელი

მისი უდიდებულესობის მარაღადან სატახტო ქალაქ თავრიზის სეჰენდის იალაღებისკენ დაძვრა და ისქანდერ ხან მექრი ბანეი ქორდის დიდებულ ოსთანში ჩამოსვლა და განსაკუთრებული კეთილგანწყობის გამოჩენა, [ასევე], მოჰამად ხანის ელჩისა და ქართველი სულთნების მოსვლა

.....

ამ დროს მოვიდა ამბავი იმის შესახებ, რომ კახეთის ვალი თეიმურაზ ხანი[58] და ქართლის ვალი ლუარსაბ ხანი[59] თაყვანის ცემის მიზნით, საჩუქრებით, ქვეყნის მფარველის სასახლის კარისკენ დაიძრნენ რა, კეთილშობილი ურდოს მიდამოებს მიადგნენ. მისმა უდიდებულესობამ ალავერდი ხანი წარგზავნა შემდეგი მითითებით, წყაროსთან, რომელიც [იქიდან] ერთი ფარსახის მანძილზე იყო, კარავი უნდა ჩაედგათ და ყველაფრი, რაც ნადიმისთვის იყო საჭირო, გაემზადებინათ, რადგანაც ქართველი სულთნების [ამ] წყაროსთან მობრუნების შემდეგ, ნადირობიდან დაბრუნებული

[58] თეიმურაზ I - კახეთის მეფე (1606-1648); ქართლ-კახეთის მეფე (1625-1632).
[59] ლუარსაბ II, ქართლის მეფე (1606-1615).

სამყაროს დიდებული, ცის სფეროსა და ღვთის ჩრდილის ტოლი მისი უდიდებულესობა, მათი ლხინის ადგილას მობრძანდებოდა.

ალავერდი ხანმა ქართველ უფლისწულთა, მისი უდიდებულესობის და დიდებულ ყიზილბაშთა სამზარეულოს ინვენტარის [საქმე], როგორც მის გულუხვობას, წესსა და კულტურას შეეფერებოდა, რაც, [ასევე], ირანული სტუმართმოყვარეობისა და ბრძენთა ადათ-წესი იყო, მოაწესრიგა. იქ იმყოფებოდნენ დავითის მოდგმის ბაგრატ მირზა და ხოსრო მირზა,[60] რომლებიც ლუარსაბ ხანის ბიძაშვილის, მეცნიერებაში განსწავლული სიმონ ხანის ძმისშვილები არიან. ასევე, ლევან ხანის რჩეული დინასტიის მოდგმა: გიორგი ხანის[61] ძე, ისა ხანი[62] და ძმები - თეიმურაზ ხანი და მისი ძმა ფარჰად ფაშა. და კონსტანტინე ხანის შვილი ლევან ხანი, ახალციხის ვალის, მანუჩარ ხანის შვილი ათაბაგ ხანი, ასევე სარდლები და ღოლამები. ყოველი მათგანი თავისი დროის შეუდარებელ, გამორჩეულ და ლამაზ ადამიანად მოიაზრებოდა. დიდებულად და შეუდარებლად მიიღეს რა ეს ხალხი [ამ] მეფურ კარავში, მათთან ერთად, თავის ქალიშვილებთან და [დანარჩენ] თანხმლებ ქალებთან ერთად, შემოვიდა თეიმურაზ ხანის დედა [ქეთევანი]. და დაიწყეს ცოცხალი, თბილი საუბარი. ამ შეკრებაზე ქართულ ძვირფას ღვინოსთან ერთად [ჰქონდათ] შირაზული სუფთა ღვინო. ჰყავდათ საზზე დამკვრელები და მომღერალი ქართველები, მასხარები. თითით საჩვენებელი იყო ეს სამოთხის მსგავსი წვეულება ყველასთვის. ქერუბიმთა თვალები უმზერედნენ ამ დიდებულ, მხიარულ წვეულებაზე შეკრებილებს. იმ ქართველ ღოლამებს, რომლებიც ახლახან ჩამოსულიყვნენ საქართველოდან და იმათაც, ვინც უკვე მისი უდიდებულესობის სამსახურში იდგნენ.

მას შემდეგ, რაც სუფთა ღვინისგან ისედაც მუდამ მთვრალები, კიდევ უფრო მეტად დათვრნენ, მისი უდიდებულესობა, ყორჩიბაშთან,[63] ალი ყული ხანთან, მოჰრდარ[64] ნადრ ხანთან, ყარჩიღა ბეგთან, რომელიც დაღესტნიდან ჩამოსულიყო და დაახლოებულ პირთა შორის იყო, მოჰამად (ბეგ) ბეგდალისთან, ჰალაფ ბეგ სუფრაჯისთან[65] და [დანარჩენ] დაახლოებულ პირებთან ერთად, ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ, ხანის კარავში მივიდნენ. ხოლო ალავერდი ხანმა, რომელიც კეთილი ბუნების, მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილისა და ქვეყნიერების

[60] იგულისხმება როსტომ ხანი, ქაიხოსრო ბატონიშვილი, იგივე ხოსრო მირზა. ქართლის მეფე 1633-1658, ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656. დავით XI-ის (დაუთ-ხანის) ძე.

[61] კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის შვილი.

[62] ისა ხანი (გ. 1615). კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ძის, გიორგის შვილი, რომელიც აღიზარდა ირანში.

[63] ყორჩის ჯარის, ყიზილბაშთა ფეოდალური ლაშრის სარდალი.

[64] იგივე მურდარი, სამეფო ბეჭდის მცველი.

[65] იგივე სუფრაჩი, „მესუფრე“. სასახლის მოხელე, რომელიც განაგებდა მეფის (დედოფლის) პირად მომსახურებას.

მბრძანებლის ერთგული იყო, იქამდე არ შეაგება უფლისწულები მის უდიდებულესობას, ვიდრე ის ხანის კარავში არ შევიდა. შემდეგ კი სათითაოდ მოიდრიკეს მუხლი მისი უბრწყინვალესობის წინაშე.

მისმა უდიდებულესობამ ის მთვარის სხივი თბილად ჩაიკრა რა გულში, ბევრი კეთილი სიტყვა უთხრა. დედოფალიც, თეიმურაზ ხანის დედა, რომელსაც ახლდნენ ქართველი გოგოები და ქალები, რომელთაგანაც ზოგი [უკვე] მისი უდიდებულესობის სამსახურში იყო, ყველა ადრე თუ ახალად მოსული ქართველი, მისი უდიდებულესობის ლხინის თანაზიარი გახდა. [ისინი] ქართულად ლაპარაკობდნენ და თავიანთი წესისამებრ მღეროდნენ და ცეკვავდნენ. და რადგანაც, როგორც წესი, მისი უდიდებულესობა კეთილგანწყობილია ქართველებისადმი, წამოდგა და სათითაოდ ყველა უფლისწულს მუხლმოდრეკილმა მიართვა ფიალები. ისინიც, მუხლმოდრეკილები, „შენი ჭირიმე ბატონო“ (*„სენი ჯერიმე ბადანე“*) იტყოდნენ და დაუბრუნებდნენ ფიალას! და ასე სათითაოდ, კაცი, ქალი, თუ ვაჟი გადააწოდებდნენ ერთმანეთს [ამ ფიალებს]. გვერდიგვერდ მჯდარი ორი კაცი ტკბილად საუბრობდა, [ისინიც] უცვლიდნენ ერთმანეთს ფიალებს და ბრწყინვალე ქართულ ცეკვას ცეკვავდნენ. ოქროს მონეტებს აფრქვევდნენ და ხანის საჭმელს მიირთმევდნენ. ალავერდი ხანმა ნავაბ ალის 3 000 თუმანი ნაღდი და 2 000 თუმანი ნატურით აჩუქა. მისმა უდიდებულესობამაც დაასაჩუქრა რა გარკვეული რაოდენობის თანხით უფლისწულები, გარიჟრაჟზე ამხედრდა და თავის სასახლეში მივიდა. და შუა ღამემდე ისინი, ვინც საღ გონებაზე იყვნენ, ესაუბრებოდნენ მას და მიეცნენ განცხრომას. მათთვის, ვინც ხანის სტუმრებად მოიაზრებოდნენ, სათითაოდ საგანგებო კარვები გაიშალა და ასევე საბრძოლო ცხენები გამოიგზავნა.

მეორე დღეს, დაისვენეს რა, თეიმურაზის კარავში მივიდნენ, ქართულად ისაუბრეს. შემდეგ დღეს ლუარსაბის სახლში მოილხინეს და მიეცნენ განცხრომას. მათ სათითაოდ თავიანთი საჩუქრები მიართვეს რა, მისი უდიდებულესობა თავრიზისკენ დაიძრა.

.....
.....

საქართველოს დიდებული სულთნების მოსვლა მეფური კეთილშობილების სადარ მხარეში, საქართველოში დაბრუნება და დიდებული ბანაკის ერაყისკენ წასვლა

მურად ფაშას[66] დაბრუნების შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ დავითის მოდგმის შთამომავლებმა, საქართველოს სულთნებმა, თეიმურაზ ხანმა და ლუარსაბ ხანმა, მისი უდიდებულესობის თაყვანისცემის მიზნითა და უძლეველი ჯარის დასახმარებლად, გადმოლახეს რა მტკვარი, რამდენიმე დღე მოჰამად ალი ზიად ოღლი ყაჯარის განჯაში სტუმრობდნენ. ახლა კი თავრიზის მიდამოებში არიან. მისმა უდიდებულესობამ ისა მირზა, ბაგრატ მირზა და ათაბაგ ხანი, სხვა უფლისწულებთან, ღოლამებთან, თავადებთან და აზნაურებთან ერთად თავის ფეხზე კოცნის ღირსი გახადა.

ბრძანების თანახმად, იმ ბედნიერ საათზე, მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილის თაყვანისცემით განდიდდნენ რა, მიართვეს მას საჩუქრები და ძვირფასეულობა. მისმა უდიდებულესობამ მეფური გულისხმიერება აჩვენა რა მათ, [ეს უკანასკნელნი] აზერბაიჯანის ვეზირმა ხოჯა მოჰამად რეზამ ისტუმრა. თავად [მისი უდიდებულებობა] მათ სანახავად რამდენჯერმე მივიდა ხოჯასთან [იმის ნიშნად], რომ ისინი თავის ტოლად და სწორად მიიჩნია.

---

[66] ქუიუჯუ მურად-ფაშა (დ.1530 - გ.1611). დიდი ვეზირი სულთან აჰმედ I-ის (ოსმალეთის იმპერიის მე-14 სულთანი (1603—1617)), მმართველობის პერიოდში.

თაგვის წელი, ჰიჯრის 1021 წელი (ქრ.წ. 1612/13) მისი უდიდებულესობა შაჰის მეფობის 26-ე წელი

მოჰამად ხან ყაზახლარის მოკვლა ლუარსაბ ხანის ხელით

იმ დროს, როდესაც მისი უდიდებულესობა გილანში ბრძანდებოდა, იმ ველაიათის ხალხის ნაწილმა გილანის ვეზირ ჰასან სალუქ ბეჰზად ბეგსა და ასლან ბეგზე დაიჩივლა. თანახმად ბრძანებისა, შაჰვერდი ბეგ ბაიბარდლუ სოჰბათ იასაული[67] და დავათდარი[68] ლათიფ ხან ბეგ ყაჯარი შეამოწმებდნენ რა ლაჰიჯანისა და რაშთის ფინანსურ ანგარიშებს, სამყაროს მფარველის წინაშე წარადგენდნენ.

ამასობაში მოვიდა ამბავი, რომ ქართლის ველაიათის მმართველმა ლუარსაბ ხანმა, იმის გამო, რომ მას დიდი ხნის მტრობა ჰქონდა ყაზაყლარის სულთნებთან, რომლებიც ლურისა და ფანბაქის ველაიათების მმართველები იყვნენ, [მიუხედავად] ბრძანებისა, [რომლის მიხედვითაც] მტრობისა და უთანხმოების ბინდი უნდა მოეშორებინათ და ერთმანეთს შორის სიყვარული და სიკეთე ჩამოეგდოთ, [მიუხედავად ამისა], მიიწვია [ლუარსაბმა] მოჰამად ყაზაყლარი ნადიმზე თბილისში და მოკლა იგი.

თანახმად მისი უდიდებულესობის ბრძანებისა, იმ ოლქების მბრძანებლობა მის უმცროს ძმას, მუსტაფა ხანს გადაეცა. [ასევე] უმცროს ძმას, ებრაჰიმ ბეგს, იუზბაშობა[69] მისცეს. გადაწყდა, რომ ყაზაყლარის დიდებულების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც თავიანთი მამის, ნაზირ-ფაშას დროს წავიდნენ ოსმალეთში და გახდნენ მიზეზი შფოთისა და არეულობისა, ყორჩიების რიგებში შევიდოდნენ რა, სუჯასის[70] ოლქში, სამეფო ადგილების მიდამოებში მიიღებდნენ თიულებს,[71] ხსენებული იუზბაში კი თავის ყორჩიებთან ერთად იქ მივიდოდა და დარჩებოდა. დაწესდა ასევე ამ თიულის გადასახადიც. მიუხედავად იმისა, რომ მოჰამად ხანის სიკვდილმა მისი

---

[67] სოჰბათ იასაული (სპარსულში - იასავოლე სოჰბათ). ეშიკაღასიბაშის (ადმინისტრაციული აპარატის უფროსი) ხელქვეითი, რომელსაც ევალებოდა უცხო ელჩების შემოყვანა სასახლეში. მხარეების მმართველების საჩუქრების, ძღვენის შაჰისთვის წარდგენა. იხ ფუთურიძე,92,1961.

[68] მდივანი შუა საუკუნეების ირანში.

[69] იუზბაში (თურქ.) ასმეთაური.

[70] ქალაქი ირანში, ზანჯანის პროვინციაში.

[71] თიული მიწის ფეოდალური საკუთრების წამყვანი ფორმა იყო სეფიანთა სახელმწიფოში. თიული წარმოადგენს სახელმწიფო, სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურთან დაკავშირებულ ბენეფიციუმის სახეობას. მსახურეულ პირს დროებით ეძლეოდა სამსახურის სანაცვლოდ მიწა რენტა-ხარკის აღების უფლებით (ფუთურიძე: 1969, 148).

უდიდებულესობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც ლუარსაბ ხანის და საპატიო ადგილს იკავებდა შაჰის ჰარემში, ამ ამბავს მნიშვნელოვანი დაძაბულობა აღარ გამოუწვევია. თანაც, რადგანაც მოჰამად ხანის წინაპრები [თავის დროზე] შფოთისა და არეულობის ჩამომგდებნი იყვნენ, შაჰი არ დამწუხრებულა მისი მოშორებით. და მაინც, მისმა უდიდებულესობამ გულისხმიერება გამოიჩინა მოჰამად ხანის ძმების მიმართ, გამომდინარე ამ ოჯახის წინაპრებთან ძველი ურთიერთობისა და მათი მსახურების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ლუარსაბ ხანი განაწყენდა.

ქართველი მოურავ ბეგის მოსვლა დიდებულ სასახლეში და ქართველი სულთნების დაუმორჩილებლობა

იმ დროს, როდესაც მისი უდიდებულესობა ესფაჰანში იყო, ცნობილ ქართველ მოურავს, რომელსაც ისა ბეგსაც უწოდებდნენ[72] და ქართლის ხანის, ლუარსაბის მსახურთა რიგებში იყო, ხოლო ლუარსაბ ხანმა იგი ქართველ აზნაურთა შორის გამოარჩია, მისცა თბილისის მმართველობა და მოურავობა, დარუღობას რომ უწოდებენ.

ცოტა ხნის შემდეგ ლუარსაბ ხანს მისი [მოურავის] დის მიმართ, რომელიც მსახურობდა ეკლესიაში, ქართველების წმინდა ადგილას გრძნობა და მიჯაჭვულობა გაუჩნდა,[73] იმ გოგოს ეფარა შავი თავსაბურავი, რომელსაც ქართველები თურქას უწოდებენ. თავიანთი კანონის მიხედვით, ყოველთვის, როდესაც 9 წლის ბიჭი ღვთისმსახურებას იწყებს და არ ტოვებს [ტაძრის] ტერიტორიას, მას უწოდებენ კათალიკოსს. ხოლო როდესაც იგივე სურვილი გოგოს გაუჩნდება, მას უწოდებენ -„დაჰ დაჰ ბიზ-ს“ [დედები].[74]

მე, ამ სტრიქონების ავტორმა, თანახმად ფეიქარ სულთნის ბრძანებისა, საჩუქრები მივართვი რა ქართველ სულთნებს, თავად დავინახე, რომ ლუარსაბ ხანი,

---

[72] ამ შემთხვევაში ავტორი გვაძლევს გიორგი სააკაძის მუსლიმურ სახელს.

[73] საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ გიორგი სააკაძის და ლუარსაბ მეფის ცოლი იყო. არაქელ დავრიჟეცი წერს, რომ როდესაც ლუარსაბი „წამოიზარდა და შეიქმნა ხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა“ მოეწონა მოურავის და, შეუყვარდა იგი თავდავიწყებით და ფარულად ეტრფიალებოდა მას. ეს ამბავი რომ გაცხადდა, მოურავს ეწყინა, შეურაცხყოფილი იყო, მოგვითხრობს დავრიჟეცი და ლუარსაბ მეფის მოკვლით იმუქრებოდაო. ლუარსაბ მეფესაც ურჩევდნენ, რომ ამ გოგოს შეშვებოდა. მეფემ იუარა და თქვა, რომ ცოლად შეირთავდა მოურავის დას (კუცია, 1974, 17).

[74] ამ შემთხვევაში ავტორი გადმოგვცემს სიტყვა- დედებს.

იმ ქალიშვილის სანახავად, რომლის სილამაზე და მიმზიდველობა კალმით აღუწერელია, უმეტეს დროს იმ ეკლესიაში ატარებდა. იგი მისი დაუფლების განზრახვას შეეპყრო. და ბოლოს, ამდენი ტანჯვის შემდეგ, სტაცა რა ხელი გოგოს, გააუპატიურა იგი.

და ამ დროს, მოურავი სომხით-საბარათიანოში გაეგზავნათ. როდესაც მან ეს ამბავი შეიტყო, იქიდანვე დიდებულ სასახლეში წავიდა და მის უდიდებულესობას მოახსენა, რომ ლუარსაბ ხანს, მოჰამად ხან ყაზაყლარის მოკვლის შემდეგ, მეტად ეშინია შენი და ამბოხს აპირებსო. ის [ლუარსაბი] კახეთის ვალისთან, თეიმურაზ ხანთან (რომლის სახლშიც იმყოფება მისი [ლუარსაბის] და) შეფიცულა რა, რომ მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ გაერთიანდებიან, არ გააჩნიათ არავითარი წინდახედულობა და საზრიანობა.

მისმა უდიდებულესობა შაჰმა იმისათვის, რომ გაერკვია მოურავის ნაამბობის სიმართლე, თეიმურაზ ხანთან ამირ ყული ბეგ გორუსი, ხოლო ლუარსაბ ხანთან მოსტაფა ბეგ ბაბანი გააგზავნა, იმ მიზეზით, რომ მათ [ქართველ მეფეებს] ეს ზამთარი სამოთხის მსგავს მაზანდარანში გაეტარებინათ; თანაც, ამ დიდებულებს ჯერ არ ენახათ მაზანდარანის დიდებული სტეპები და მათ დებსაც, ორივენი „პატივისცემის ფარდას რომ ამოფარებულან“ (ე.ი. იმყოფებიან შაჰთან), [თავიანთი ძმების] ხილვა სურთ. [ამიტომაც], დაუყოვნებლივ უნდა გამოემართონ მაზანდარანისკენ. და თუკი მათ [ამ ქალების] პატივცემულ, დიდებულ დედებს თავიანთი ქალიშვილების ხილვის სურვილი ექნებათ, ისინიც თან წამოიყვანონ.

მოურავმა კი მის უდიდებულესობასთან დაახლოებულ პირთა რიგებში სამოთხისმაგვარ ნადიმზე განცხრომასა და სიამოვნმებას მისცა თავი და ჯარისკაცებისგან, რომლებიც სულთნებთან იმყოფებოდნენ, ამბავს ელოდა. .....
.....

ხარის წელი, ჰიჯრის 1022 წელი (ქრ.წ. 1613) მისი უდიდებულესობა შაჰის მეფობის 27-ე წელი

მოსტაფა ბეგის ქართველი სულთნებისგან დიდებულ ოსთანში დაბრუნება და მათი ამბოხების ამბის მოტანა

სიხარულისა და მხიარულების შემდეგ ჯარისკაცმა მოსთაფა ბეგ ბაბანმა, რომელიც ქართლის ვალის, ლუარსაბ ხანის, სახმობად ქართლში ჩასულიყო, დატოვა რა ეს უკანასკნელი [წამოვიდა რა მისგან], მმართველობის ტახტის ფერხთით განერთხა და მის უდიდებულესობას მოახსენა, რომ ლუარსაბ ხანი ჩაფიქრებული [და შეშინებულია] მას მერე, რაც შენ მიერ მოხმობის პატივი ერგოო. თუმცა კი, გარეგნულად თანახმაა, მაგრამ მისი დამფრთხალი მდგომარეობით ეტყობა, რომ არ სურს წამოსვლა. [ხოლო] პატიების თხოვნის წერილი ზემოხსენებული ხანისა [მოსთაფა ბეგმა] მის უდიდებულესობას გადასცა. წერილის შინაარსის მიხედვით, მოაგვარებდა რა თავის საქმეებს [ლუარსაბი], ექნებოდა პატივი, [შაჰს] ფეხებზე მთხვეოდა.

მოურავმა აღნიშნა, რომ ისინი [ქართველი სულთნები] ჩამომსვლელები არ იყვნენ და რომ ლუარსაბ ხანი ასე უეცრად „არ ჩამოიხსნის ერთგულების ფარდას თვალებიდან. “ ის ელოდება, თუ როგორ გაისტუმრებს თეიმურაზ ხანი ამირ ყული ბეგს და ამის შემდეგ, თუკი შეძლებს, ერთად წამოვლენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი რწმენით, მათი ჩამოსვლა არ იქნებაო. მისმა უდიდებულესობამ მოურავის ეს სიტყვები მოურავისვე ლუარსაბ ხანზე განაწყენებას მიაწერა და ასე ბრძანა: „ჩვენი მმართველობის წინააღმდეგნი ვერასდროს იქნებიან ამ დინასტიის წევრები “! და ამირ ყული ბეგის ჩამოსვლას ელოდა.

ნოურუზის შემდეგ ორ თვეში, როდესაც ჰაქიმებისგან, ვასალი ქვეყნების სულთნებისგან თუ [სხვა დანარჩენი] უცხო ველაიათებისგან [უამრავი] ძღვენი და საჩუქარი მიიღეს, [ხოლო] მისმა უდიდებულესობამ მათ რაყამები და ძვირფასი ხალათები გაუგზავნა, საზღვრების ციხესიმაგრეების გამაგრებას მიაპყრო რა ყურადღება, ფარაჰაბადიდან ფირუზქუჰისკენ დაიძრა, რამდენიმე დღე სასაზღვრო ჯარების მართვის მნიშვნელოვანი საქმეები მოაგვარა და [როცა] ყაზვინისკენ გაემართა, ამირ ყული ბეგიც მოვიდა და მოახსენა, რომ თეიმურაზ ხანი თავიდან [ლუარსაბის] მხარეს იდგა, მაგრამ გაიგო რა მან, რომ ლუარსაბ ხანმა მოსტაფა ბეგი

[უკან] გააბრუნა, გაათავისუფლა და [ახლა] წასვლა განუზრახავს, თავისი დედა, რომელიც საქართველოს მართვის საქმეში სრული ძალაუფლებით სარგებლობს, ლუარსაბ ხანთან გაგზავნა, რათა ხელი შეეშალა ამ უკანასკნელისთვის. მას შემდეგ, რაც დედოფალი სვეტიცხოვლის მოლოცვის მიზნით ქართლში ჩავიდა, ლუარსაბ ხანს (რომლის დაც თეიმურაზის ცოლი იყო), თავისი განზრახვა გადააფიქრებინა და კვლავ კახეთში დაბრუნდა. გაირკვა, რომ თავად [თეიმურაზს] აქვს ამბოხების სურვილი. ვითომდა ამტკიცებდა, რომ წინაპრებისგან მოსდგამთ რა მათ სეფიანთა მსახურება და არასდროს ამ გზას არ გადაუხვევენ და არ წავლენ შაჰის ნების წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში, ქართველი აზნაურები დიდებულ სასახლეში ჩასვლას ეწინააღმდეგებიან და მე საბრალოსაც არ მიშვებდა [ქეთევან დედოფალი]. რაღაც ხნის შემდეგ მომეცა რა საშუალება, ჩქარა გავიქეცი ტყისკენ და გზააბნეული, ბარდავის ველაიათში, ფეიქარ სულთანთან მივედი. ზემოხსენებულმა ცხენი და ფული მომცა და ქვეყნიერების საფარი სასახლისკენ გამაგზავნა.

როდესაც იმათი ამბოხებისა და მოურავის ამბის სიმართლე მისი უდიდებულესობისთვის ნათელი გახდა, საქართველოსკენ დაძვრა და აჯანყებულების დასჯა გადაწყვიტა. უხმო გამობრძმედილ, გამარჯვების კვალის მატარებელ ყორჩიების ჯარს და ირანის სხვადასხვა მხარეებში გაუშვა, რათა [შემდეგ] ყაზვინში მოეყარათ თავი. თავად კი ესფაჰანისკენ გაემგაზვრა და რამდენიმე დღე, ვიდრე ჯარი შეიკრიბებოდა, განცხრომასა და სიამოვნებას მისცა თავი.

მისი უდიდებულესობის წასვლა ქართველი სულთნების დასჯის მიზნით

.....
.....

სეფიანთა წმინდა ადგილების შემოვლის და წარჩინებულთა თუ მდაბიოთა მიმართ წყალობისა და თავაზიანობის გამოჩენის შემდეგ, [მისმა უდიდებულესობამ] განჯის ბეგლარბეგ მოჰამად ხან ყაჯართან, რომელსაც ქართველ სულთნებთან დიდი ხნის მეგობრობა და სიყვარული აკავშირებს, კაცი გაგზავნა, რათა [ამ უკანასკნელმა] გააგზავნოს ვინმე იმათთან და შეატყობინოს მისი უდიდებულესობის თავდასხმის შესახებ, [და რომ] „ისინი, ვინც დამთვრალან ამპარტავნებისა და სიამაყის ღვინისგან, გამოაფხიზლოს“. ეგებ, გონიერების გამოჩენის შემდეგ, მსახურებისკენ გადადგან ნაბიჯი. რამდენიმე დღე არდებილში დაჰყო, აზერბაიჯანის ხანები და სულთნები კი,

რომლებიც საზღვარზე იმყოფებოდნენ და მათი ველაიათი მტრის რისხვისგან დაცული იყო, გადაწყდა, რომ მისი უდიდებულესობის კორტეჟს შეუერთდებოდნენ.

.....
.....

მოჰამად ხანისგან ამბავი მოვიდა, რომ ქართველ ხანებთან კაცის გაგზავნის შემდეგ, მათ თითქოსდა შაჰის მსახურება არჩიეს, თუმცა სინამდვილეში კი არ აპირებდნენ საქართველოს დატოვებას და [ეს] ხანიც შეაყოვნეს. შეიტყეს რა ეს ამბავი, განჯისკენ წასვლა გადაწყდა. შემდეგ კი დიდებული ლაშქარი დაადგა გზას, ქალაქიდან სამი ფარსახის მანძილზე რომ იყო და ფეიქარ სულთნის ბარდავში ჩავიდნენ. ორი-სამი დღე იქ შეყოვნდნენ და იმ საუცხოო, საუკეთესო მიდამოებში ნადირობის შემდეგ განჯაში შევიდნენ.

.....
.....

და რამდენიმე დღე განჯაში საქართველოში წასვლისთვის ემზადებოდნენ. ასევე [იქ] შეიკრიბნენ საქართველოდან ჩამოსული მოურავის ნათესავები და მოახსენეს, რომ ქართველი ხანები შეკრებილან რა სვეტიცხოველში, რომელიც მათი მექაა, დადეს ფიცი, რომ ერთმანეთს მუდამ მიემხრობოდნენ და ერთად იდგებოდნენ თუ მორჩილების, თუ ჯანყის დროს და რომ მხრებს მისი უდიდებულესობის უღლისგან გაითავისუფლებდენ. ამ ჯანყის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ საქართველოს ველაიათის, კახეთის ხოცვა-ჟლეტის საკითხი დააყენა. კახეთის, რომელიც ტრადიციულად ყოველთვის ჯანყისა და დაუმორჩილებლობის მიზეზი იყო – ალექსანდრეთი დაწყებული, თეიმურაზის ჩათვლით.

ალექსანდრეს დროს, როდესაც ირანში არეულობა იყო, ოსმალეთს დამორჩილდნენ და რომელი მხარეც მისთვის [ალექსანდრესთვის] მომგებიანი იყო, იმ მხარეს სთხოვდა შველას.

მოახსენეს რა ეს მის უდიდებულესობას, მან სულთან ბაგრატ მირზას, რომელიც ლუარსაბ ხანის ბიძაშვილი იყო და იყო მუსლიმი და დიდი უპირატესობითა და აღიარებით სარგებლობდა, უბრძანა, რომ თავის ბიძაშვილს მისწეროს და დაარიგოს რა მას ჭკუა, მისი უდიდებულესობის წყალობის და მხარდაჭერის იმედი მისცეს. და იმ წერილში ისიც დაუწეროს, რომ რადგანაც ქართლის მეფეებს არასდროს სეფიანთა წესის წინააღმდეგ არ გადაუხვევიათ და მუდამ მათი მორჩილნი იყვნენ, ლუარსაბის ხანის წინაპარ სიმონ ხანს, რომელსაც ისლამი ჰქონდა მიღებული, სულთან მაჰმუდ ხანის ზედწოდებაც ჰქონდა, ხელში ჩაიგდეს იგი თურქებმა და როგორც ეს უკვე ითქვა,

იქვე, თურქთა შორის, დაასრულა მან თავისი სიცოცხლე. ხოლო მის ცოლსა და მამიდას დღემდე საპატიო ადგილი უკავიათ ჰარემში. ამიტომაც, ნუ აჰყვება იგი ცდუნებას და თეიმურაზ ხანს, ნუ აირევს თავ-გზას და ნუ გადაუხვევს მისი უდიდებულესობა შაჰის მორჩილების გზიდან.

დიდებული ლაშქრის მიერ იორის გადმოკვეთა, ზაქერ აღას თეიმურაზთან მისვლა, რათა ხელი შეეშალა აჯანყებისათვის. სულთან აჰმად ბეგ თალეშის დიდებულ ადგილას გაგზავნა და ქართველი სულთნების აჯანყება

ზემოთქმულისა და ქართველი სულთნების ორგულობის შემდეგ, აგვისტოს თვეში, ალი ყული ხანმა მოჰამად ხან ყაჯართან და საგანგებოდ განკუთვნილ არტილერისტებთან და ქვეით ჯართან ერთად საქართველოში შეჭრა გადაწყვიტა. ყარაბაღსა და კახეთს შორის მდებარე მდინარე მტკვარი გადმოლახა, რათა დაესაჯა თეიმურაზ ხანი, რომლის [ჯერ კიდევ] წინაპრებს გამოეწვიათ ჯანყი და ქაოსი. მამაცმა მებრძოლმა ყიზილბაშებმა, როგორც გადაწყვეტილი იყო, გადაკვეთეს კახეთის შირაქის ველი, დასცეს გამარჯვების მომტანი კარვები და მისი უდიდებულესობაც დაიძრა. ფამბაქისა და ლურის ჰაქიმს, მოსტაფა ხან ყაზაყლარს, ყაზაყლარის ბატონებთან ერთად განჯის შამქორჩაისთან [შაჰის] ფეხზე მთხვევის პატივი ერგო. მისი [მოსტაფა ხანის] ძმა, მოჰამად ხანი, როგორც უკვე ითქვა, ლუარსაბ ხანმა მოკლა და, რადგანაც მისი უდიდებულესობის ბრძანებით ახლა მოსტაფა ხანს მისცეს მმართველობა, ლუარსაბ ხანი აფორიაქებული და ჩაფიქრებული იყო. [და] გადაწყდა, დაძრულიყო [მოსტაფა ხანი] თავისი სამეფოსკენ, რომელიც ქართლთან ახლოს მდებარეობს, შეეკრიბა ხალხი და შეესრულებინა ნებისმიერი დავალება. დელუ მოჰამად ხანის შვილი ალი ხან შამს ადდინლუ, რომელიც დაახლოებულ პირთა რიგებს მიეკუთვნებოდა და ზემოთ ნახსენები ყორჩის შვილი სელიმ ბეგი, [ასევე], დანარჩენი შთამომავლები, ნდობით აღჭურვილი რვა ვაჟი, შამს ად-დინლუს რიშსეფიდებთან [უხუცესებთან], აივარის, იმურის და რუმლუს ხალხთან ერთად, რომლებიც ზემოხსენებულსა და მის მოდგმას ემორჩილებოდნენ, ფერხთ მთხვევის და წყალობის პატივით განდიდნენ რა, გადაწყდა, რომ დიდებულ კორტეჟში იქნებოდნენ. ახასთაბადის ჰაქიმ სოლთან ხალილ ყარამანლუსაც თავისი ტომის ბატონებთან ერთად, ერგო პატივი, მუხლი მოედრიკა, ალი ყული ხანთან მივიდნენ და მიართვეს ძვირფასი საჩუქრები. მეფური გულისხმიერება ერგოთ შაქმურის მელიქებსა და ყაჯარ

ბატონებს, ასევე, მომთაბარეებს, რომლებიც გზას დადგომოდნენ. წარმატებით გადმოლახეს რა მდინარე მტკვარი, იორის ველი დიდებული კარვების სადგომად აქციეს.

ურჯულო ქართველებმა რომ მისი უდიდებულესობის მოსვლის ამბავი გაიგეს, ტყეს და გამოქვაბულებს შეაფარეს თავი და ელოდნენ, თუ რა მოხდებოდა. თეიმურაზ ხანი საერთოდ არ დარდობდა გამარჯვების მომტანი ჯარის თავდასხმაზე და ჯანყის ცოდვილ გზას არ გადაუხვია. უძლეველმა ლაშქარმა, რომელიც წინ წაწეულიყო, ქართველების გარკვეული რაოდენობა ხელთ იგდო და მის უდიდებულესობას გაუგზავნა. იმ ველაიათის ყველა წარჩინებულს მეფური სითბოს და გულუხვობის პატივი ერგო. მათ [ასევე] თეიმურაზთან წასვლის ნება დართეს და ამით მას [თეიმურაზს] შაჰის გულისხმიერების და ყურადღების სიმართლე დაანახვეს. მათ შემდეგ კი ზაქერ აღა ყორჩის სახელით ცნობილი ემამ ყოლი ბეგი, შაჰის ფირმანით, ჭკუის დარიგების მიზნით, რა ადათ-წესიც ჯერ კიდევ მამა-პაპათაგან მოსდგამდათ სეფიანებს, დედოფალთან და თეიმურაზთან მიავლინეს, რათა ორგულობა არ განეზრახათ, ძველი შეცდომები და ცოდვები მოენანიებინათ და მეფური გულისხმიერების იმედი ჰქონოდათ.

ზაქერ აღას წასვლის შემდეგ, იორის მიმდებარე ტერიტორია დიდებული კარვების ადგილი გახდა. ზაქერ აღას დაბრუნებამდე ასე გადაწყდა, რომ თუკი ვინმე საქართველოს მიდამოებში სასოფლო სამეურნეო საქმეს მიჰყოფს ხელს, შაჰნაზარ ბეგ იასაყჩი დასჯის მას. არავის ყოფნიდა იმის გამბედაობა, [თუნდაც] ერთი მტევანი ყურძენი აეღო ქართველის საკუთრებიდან. რაღაც ხნის შემდეგ ზაქერ აღა, მდინარე იორის გავლით, ვაქილ შერმაზან ბეგთან ერთად მოვიდა და თეიმურაზ ხანის დედა, დედოფალი, თავის ორ ვაჟთან ერთად მის უდიდებულესობასთან მიიყვანა. [დედოფალმა შაჰს] სთხოვა, თეიმურაზ ხანისთვის ცოდვები ეპატიებინა. მისმა უდიდებულესობამ რომ მათი მოსვლის ამბავი გაიგო, ბრძანა, ისა მირზა, ლევან ხანი, თეიმურაზ ხანის ბიძაშვილი ქეშიში, რომელიც მის უდიდებულესობასთან მსახურობდა და ისლამი მიეღო, ახალციხის ვალის, მანუჩარ ხანის ვაჟი ათაბაგ ხანი, იუზბაშები და სხვა ქართველი დიდებულები ფარდულში დახვედროდნენ დედოფალსა (რომელიც ბრძენთა და პატივცემულთა რიგებს მიეკუთვნებოდა) და მის ქალიშვილს.

ბრძანების თანახმად, მისი უდიდებულესობის სანადიროდ ყოფნის დროს მათ მისი ფერხთ მთხვევის პატივი ერგოთ. მისი უდიდებულესობა მიეფერა რა ყველას მეფურად, გამოიჩინა გულისხმიერება მათ მიმართ, დედოფალთან ერთად სასახლის ჰარემში მივიდა. შერმაზან ბეგსაც, რომელიც აზერბაიჯანის ვეზირი ხოჯა მოჰამად

რეზას, იგივე სარუ ხოჯას სტუმარი იყო, მეფური გულისხმიერება აჩვენა და ის ღამე ქართველებთან საუბარში გაატარა. შეწყალების წერილი დაწერა თეიმურაზისთვის, მეორე დღეს გაუშვა შერმაზანი, რათა თეიმურაზი მეფური წყალობის იმედად, ფერხთ მთხვევისთვის გამოეგზავნა. ზემოხსენებულმაც პირობა მისცა, რომ თეიმურაზს მოიყვანდა და შეწყალების წერილითა და სამეფო ხალათით საქართველოსკენ გაემართა. იმის გამო, რომ შერმაზანი ქართველთა მზაკვრული ცხოვრების წესის მომხრე არ იყო, თეიმურაზს უთხრა, თუკი შეძლებ შეწყვიტო შენი ეს ქმედება, მის უდიდებულესობასთან მიდი და მისი ფერხთ მთხვევის პატივი მოიპოვე, თუ არადა, იყავი შენს ნებაზე, დედაშენს და შენს შვილებს ნათესაური კავშირის გამო არ დაამცირებენ და შეურაცხყოფას არ მიაყენებენ. ამან დააფიქრა თეიმურაზი. ყველაფრის მიუხედავად, ქართველ თავადებთან და აზნაურებთან შეთანხმებით, კვლავ ჯანყის ცოდვილი გზა აირჩია. მათი უბადრუკი აზრები იმით გამყარდა, რომ ქალაქი ზაგემი, რომელიც [ქართველების] დედაქალაქი იყო, დატოვა და რაღაც ხანი, საქართველოს საუკეთესო ადგილას, პატარა ქალაქ გრემში, სადაც შეიხ სანაანის საფლავია,[75] იქ მივიდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მისი უდიდებულესობა თეიმურაზ ხანის მოსვლას ელოდა, ზემოხსენებულის ზაგემიდან გრემში წასვლის ამბავი შეიტყო, აჰმად ბეგ თალეში, რომელიც ყორჩიების რიგს მიეკუთვნებოდა, თეიმურაზ ხანისა და შარმაზან ბეგის შთამომავალი იყო და იყო გამგებელი და მეთვალყურე სახელმწიფო საქმეებისა, სულთნის კარზე ასეთი შინაარსის წერილით გააგზავნა: საქართველოს ვალი თეიმურაზ ხანი, ამ დიდებული დინასტიის ვასალია. და რადგანაც [თეიმურაზის] და მისი უდიდებულესობის ცოლია, მის [თეიმურაზის] ველაიათში სანადიროდ ჩამოვიდა. ზემოხსენებულმა უმადურობა გამოავლინა რა, მამა-პაპისეული ერთგულება არად ჩააგდო, წარმოსახვით ფიქრებს აჰყვა, ჯანყი წამოიწყო და მისმა სასჯელმა იმ მხარის მსახურებზე გადაიარა. ღმერთმა არ ქნას, ოსმალეთის საზღვრების სულთნებმა იფიქრონ, რომ ძლევამოსილი ლაშქარი მზადაა მათი მიწების ასაოხრებლად, დერვიშები და ბოგანოები არც დაფიქრდებიან, ისე

[75] ფაზლის თხზულება ერთადერთი სპარსულია წყაროა, რომელიც შეიხ სანაანს გრემს უკავშირებს. აქამდე ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს უკავშირდებოდა შეიხ სანაანის თბილისში მოღვაწეობისა და მისი საფლავის თბილისში არსებობის ამბავი. ლეგენდა შეიხ სანაანზე, რომელმაც რუმელი ქრისტიანი ქალის სიყვარულის გამო ისლამი უარყო და გაქრისტიანდა, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში. თუ სპარსულ ვერსიაში შეიხ სანაანი ისლამს დაუბრუნდა, თბილისურ ვერსიაში იგი ქრისტიანად დარჩა, დიდი სასულიერო მოღვაწე მამა დავით გარეჯელი გახდა და მამადავითის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, გ.წერეთლის აღმოსავლეღმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2009; მ. ალექსიძე, საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. არტანუჯი, თბილისი 2016.

მოირგებენ [ამას] სათავისოდ. და თუკი სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის თანახმად, ახალციხე ირანის დაქვემდებარებაში მოექცევა, ჩვენ ამასთან საქმე არა გვაქვს!

სულთან აჰმად ბეგის ოსმალეთში წასვლის შემდეგ ბაგრატ მირზას დაევალა, კვლავ მიეწერა წერილი ლუარსაბ ხანისთვის, ამ წერილით უნდა ეთქვა, რომ რადგანაც მისმა უდიდებულესობამ არ იცის ამ დაუმორჩილებლობის შესახებ და თანაც დღემდე სიმონ ხანის მემკვიდრეობაში არავის გამოუმჟღავნებია ამ [სეფიანთა] დინასტიისადმი დაუმორჩილებლობა და ორგულობა, ხოლო რამდენიმე ჩვენგანი ისლამის მორჩილებას შევუდეგით რა, მისი უდიდებულესობის მსახურთა რიგებში განსაკუთრებული ადგილი გვაქვს, შენი და კი მისი უდიდებულესობის გამორჩეულ დიდებულებს ეკუთვნის, შენმა ურჩობამ შაჰის მსახურები ძალზედ გაანაწყენა. და შენი უამრავი ცოდვის მიუხედავად, მისი უდიდებულესობა დაგელოდებაო. იმ შემთხვევაში, თუ იმ ძველ მამაპაპისეულ ერთგულებას გაითვალისწინებ, მყისვე მისი უდიდებულესობის ფერხთა მთხვევის პატივი გერგება, გაგიმართლებს და შენს ველაიათში დაბრუნდები, ასე უკეთესი იქნებაო!

რამდენიმე დღე ელოდნენ, დედოფალს რომ ვინმე თეიმურაზ ხანთან გაეგზავნა, რათა რგებოდა მას მეფური გულისხმიერება. ამ ველაიათში გარკვეული ნაწილი ქართველი აზნაურებისა და მალემსრბოლელებისა გაიქცა, მისი უდიდებულესობის თაყვანისცემის პატივი ერგოთ რა, ამბავი მოიტანეს, რომ თეიმურაზ ხანმა ჩაფარი გრემში გაუშვაო, ტყეში გზებს ხერგავს და სულაც არ აპირებს დამორჩილებასო. ლუარსაბ ხანიც მისი თანამოაზრეა და შეთანხმებულნი არიან ყველაფერზეო. ამის შემდეგ მისმა უდიდებულესობა შაჰმა აღარ გაითვალისწინა რა მათი წინაპრების ერთგულება, თეიმურაზ ხანის დასჯასა და კახეთის აოხრებას შეუდგა.

ალი ყული ხანის კახეთის ასაოხრებლად, დელუმოჰამადის ქართლის იმერეთში,[76] ბიგვერდი ბეგის უსის (ოსეთი) და დიდავის (დიდოეთი) ასაოხრებლად წასვლა და საქართველოს ჩერქეზების გაგზავნა ერაყში და დანარჩენი ამბები

განვაგრძობთ თხრობას. ალი ყული ხანი მურდარ ნადრ ხანთან, მოჰამად ხან ზიად ოღლი ყაჯართან, ამირგუნე ხან ყაჯართან და შირვანისა და აზერბაიჯანის სულთნებთან ერთად ასე გადაწყდა, რომ ქალაქ ზაგემში შევიდოდა რა, ამ ადგილს ქართველი გიაურებისგან გაწმენდდა, ისევე, როგორც გული იწმინდება ეჭვებისგან.

[76] ამ შემთხვევაში ავტორი ქართლის მოსაზღვრე იმერეთის ტერიტორიას გულისხმობს.

ზეაღმატებული ბრძანების თანახმად, ალი ყული ხანი გაემგზავრა იმ სამეფოში, რომელშიც სულთან ჯალალ ადდინ ხორეზმშაჰის შემდეგ ვერც ლაშქარს შეეღწია და ვერც უცხოს უმეფია.

ერთი სიტყვით, გამარჯვების კვალის მქონე ცხენოსანთა ფლოქვებმა [ეს] დასახლება ააოხრა, მიწასთან გაასწორა. მის უდიდებულესობას ისლამის მცოდნეები ურჯულო ქართველების აოხრებისკენ აგულიანებდნენ. გაითვალისწინა რა მისმა უდიდებულესობამ, ღაზავათი გადაეწყვიტა, რასაც ისლამის მცოდნეებიც დიად წყალობად თვლიდნენ და შაჰსაც ურჩევდნენ, მიეღო მონაწილეობა. ისიც გზას დაადგა.

დელუ მოჰამად სულთან შამს ად-დინლუ, რომელიც მისი უდიდებულესობის დაახლოებული პირი იყო და რომელიც რამდენიმე წლით ადრე თბილისის მმართველობით იყო დაკავებული და ესმოდა ამ ველაიათის ავი და კარგი, სარდლად დანიშნა. ფირ ბუდაყ ხანთან,[77] თავრიზის სულთნებთან, ფეიქარ სულთანთან, მორთაზა ყული ხანთან[78] მირ ფათაჰ სეფაჰანისთან, მოურავ ბეგთან, თიმურდაშ სულთან აჯერლუსთან, მასუდ სულთან ქენგერლუსთან[79], ამირ გუნე ხანის თანმხლებ პირებთან და დუსთალი აღა ყაჯართან ერთად გადაწყვიტეს, რომ ყარაიაზის გზით ქართლის ველაიათში შევიდოდნენ რა, საქართველოს სვეტიცხოვლის მიმდებარე და იმერეთთან დამაკავშირებელ მდინარე არაქსის სათავესთან დადგებოდნენ და როგორც კი თეიმურაზ ხანი და ლუარსაბ ხანი იმერეთისკენ დააპირებდნენ წასვლას, მაშინვე შეიპყრობდნენ და მათ ქვეყნიერების მფარველის სასახლეში მიიყვანდნენ. იქნებ, ლუარსაბ ხანმა იმ ადგილებში მეომართა შესვლის შემდეგ მორჩილება ინებოს და დიდებული ნოხის თაყვანისცემის ღირსი გახდეს. ლუარსაბთან ნურადდინ სულთანი გაუშვეს, რათა ეთქვა მისთვის, რომ ზემოთ ნახსენები ხალხი თეიმურაზისთვის გზის გადასაღობად მოდის.

რამდენიმე დღის შემდეგ ემამ ყული ხანის ბეგვერდი ბეგი[80] ფარსის ლაშქართან, ჰამადანის ჰაქიმის, ჰასან ხანის მოლაზემებთან ერთად, განჯალი ხანი[81] და ერაყისა და ხორასნის სამეფო რიგების ლაშქარი დიდოეთისკენ და ოსეთისკენ წავიდნენ, რათა ის ჯგუფი "გზააბნეულობის უდაბნოდან გამოეყვანათ".

იმათ [ოსებს] ასეთი წესი აქვთ: ძმებს ერთი ქალი ჰყავთ და როდესაც რომელიმეს ამ ქალთან დაწოლა მოუნდება, თავის ქუდს გარეთ გამოდებს და ისე შევა

---

[77] ფირ ბუდაყ ხანი - თავრიზის მმართველი.
[78] მორთაზა ყული ხანი - მორთაზა ყული ხან ქასგარელი, ქასგარის მმართველი.
[79] ნახიჩევანის მმართველი.
[80] ბეგ ვერდი ბეგ ქართველ - ფარსის ბეგლარბეგი.
[81] ქერმანის მმართველი.

ოთახში. მეორე რომ ამ ქუდს დაინახავს, მის გამოსვლას დაელოდება. და როდესაც ის ქალი ბიჭს გააჩენს, ყველა თავისად მიიჩნევს. [ამიტომაც], ბავშვი რომ წამოიჩიტება, ეს კაცები ბავშვის მისატყუებლად ხელში ვაშლს დაიკავებენ და ვისთანაც ბავშვი მივა, შვილადაც მას მიაკუთვნებენ. როდესაც ბავშვი 5 წლის გახდება, მისთვის საცოლეს აარჩევენ, ვიდრე გაიზრდება, ორ-სამ დედამიშვილს კიდევ წამოაწევენ მამა ბიძები, ხოლო სრულწლოვანი რომ გახდება და მომწიფების ასაკს მიაღწევს, ამ ქალსა [დედამისს] და ბავშვებს საპატრონოდ სწორედ მას გადასცემენ.

ამ ხალხის ენა ქართული არაა, ყველას ნაბადი აცვია, თუმცა მათი უხუცესები – ქრიასტიანები ვართო – ამბობენ.

ზემოხსენებული დიდოეთისა და ოსეთის ველაიათებში შევიდა რა, ბრძოლებისა და შეტაკებების შემდეგ ტყეებსა და მთებში ღაზიებთან[82] ერთად გამარჯვება მოიპოვა, ბევრმა ყიზილბაშმა იგემა სიკვდილის შარბათი. მოჰამად ბეგ ნაჯმე სანის შვილმა მოჰამადყოლი ბეგ ნაჯმე სანიმაც აქ იგემა სიკვდილის შარბათი. მირზა ასჰაყ ნაჯმე სანის ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ და ამ ველაიათის ხალხმა ვეღარ გაუძლო და ვეღარ გაუწია რა მათ წინააღმდეგობა, გაიქცნენ. ბეგ ვერდი ბეგი იმათ ველაიათში მივიდა, ელბორზის მთის ციხესთან რომაა. ეს ადგილი იმდენად ქვაღორღიანი იყო, რომ ყოველ ფარსახზე ცხენისთვის ხელახლა უნდა ეჭედებინათ ნალები. სიფრთხილის მიზნით, ბეგ ვერდი ბეგს თან ჰქონდა 40 ნალი და ლურსმანი. მან გამარჯვების მომტან ლაშქარს ფული გადასცა. მიუხედავად იმ ხარჯისა, რაც ბეგ ვერდი ბეგს ნალებისა და ლუსმნებისთვის გაეწია, ამ ლაშქრობაში მაინც მოუხდათ ნალების მიჭედება, რაშიც ათასი დინარი და ექვსი აბასი დახარჯეს. ურჩების დასჯის და იმ ველაიათის აოხრების შემდეგ არ დატოვეს რა არავინ ცოცხალი, მისი უდიდებულესობის ფერხთ მთხვევისთვის გრემში დაბრუნდნენ. ბეგ ვერდი ბეგის ოსეთსა და მოჰამად სულთნის ქართლისკენ წასვლის შემდეგ, მაზანდარანის მინბაშმა[83] ყასემ ბეგმა[84] და ფეიქარ ხან იგრიმი დორთის ძმამ, ჰოსეინ ბეგმა, გადაწყვიტეს, იალბუზის მთიდან ყივჩაღის დაბლობზე ჩამოსული, საქართველოში მყოფი ჩერქეზების ტომი, თავიანთი მსხვილფეხა საქონლითა და სახლ-კარით, [ირანის] ერაყში გადაესახლებინათ. დიდებული ბრძანების თანახმად, ქიზიყიში, ყველგან, სადაც კი ჩერქეზი იქნებოდა, შალვა ბეგისა და იმ ტომის სარდლების განკარგულების მიხედვით, არაგვის და მტკვრის გადაჭრით, ერაყისკენ უნდა წაეყვანათ. გადაწყდა, რომ ჰოსეინ ალი ბეგი, იმ ზამთარში სავეს ველაიათის

[82] ღაზი (არაბ.) - რჯულისთვის მებრძოლი, გმირი. ასე უწოდებენ სპარსულ წყაროებში ყიზილბაშ მეომრებს.
[83] ციხისთავი.
[84] მაზანდარანის სარდალი, რომელიც ოსმალეთში ელჩად დაინიშნა.

მეჰრაბადში დაბანაკდებოდა, რომელიც მისივე თიული იყო. და რაც საჭირო იქნებოდა იმათთვის (2 000 ოჯახზე მეტნი იყვნენ), ყველაფერი ექნებოდათ. და იმ თუ სხვა ველაიათის ვეზირები და მმართველები, რომლებიც იქ შევიდოდნენ, ხარჯს გაიღებდნენ და ესფაჰანში წავიდოდნენ. ზემოხსენებულმაც მათი ყველა ხარჯი მოაწესრიგა. ღვინისა და მისი მისაყოლებლისაც, რომლებსაც აგრერიგად არიან ისინი ჩვეულნი. და მიუხედავად იმისა, რომ მათი რელიგიაც კრძალავს, მეძუძურ ბავშვებსაც ხახაში ასხამენ. საბოლოო ჯამში, [რადგანაც] გონებას ბინდავს, კათოლიკოსები, ულამები და ისინი, ვინც რელიგიასთან არიან კავშირში, თუ ღმერთმა არ ქნას და სმა ზღვარს გადასცდება და სიმთვრალეში გადავა, არ სვამენ. ვეზირებისგან სახელმწიფო ხაზინის სახსრები ააგროვეს რა, ესფაჰანში წაიღეს.

მისი უდიდებულესობის დაბრუნების შემდეგ, იმათი მებრძოლი და გულადი ხალხის იმ საზღვართან ყოფნა რომ არაფერს მოიტანდა კარგს, ემამ ყული ხანის თანხლებით თავიანთი სახლებითურთ ფარსში წასვლა გადაწყვიტეს, და დღეს მათი უმეტესობა ისლამის მორჩილებაში მყოფნი, ყურანის მკითხველნი არიან.

თეიმურაზ ხანისა და ლუარსაბ ხანის იმერეთში გაქცევა, ქართლის დაპყრობა და მისი უდიდებულესობის ღონისძიებისა და განცხრომის მზადება გრემში

ჩერქეზების ტომის [ირანის] ერაყში წასვლის შემდეგ გაირკვა, რომ თეიმურაზ ხანი არ დარჩენილა თავის სამეფოში, ის ყარაიაზის გზით ქართლში წავიდა. ლუარსაბ ხანიც, ფადეშაჰის რისხვის გამო იმერეთში გაემგზავრა. ისინი შეწუხებულები და ჩაფიქრიანებულები გაერთიანდნენ. ღვთის ფრთის ქვეშ მყოფმა მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, მოჰამად სოლთან შამს ად-დინლუ, ხანები და სულთნები ქართლში შესულიყვნენ და იქაურობა დაეპყროთ. მათ აიღეს თბილისი, კაცი გააგზავნა იმ სამეფოში მომავალი წლის მოსავლის საკითხთან დაკავშირებით და დივან ბეგად დანიშნა.

მისმა უდიდებულესობამ ზამთარი გრემში დაჰყო და ასე გადაწყდა, რომ იმ ცის სფეროს ბანაკის მცხოვრებლებს, ბაღჩა-ბაღები ვარდნარითა და რეიჰანით უნდა გაეშენებინათ, რადგან მისი უდიდებულესობა ყველა დიდებულისა თუ უქონელის სახლში თავად მივა და თუკი ვინმეს ბაღი არ ექნება გაშენებული, შაჰის რისხვა არ ასცდება. და ღვინის აკრძალვა, რაც საქართველოში შეუძლებელი იყო, საბოლოოდ

გადაიდო. თუ ვინმეს თავის მეგობრებთან საუბარი და დროის გატარება მოუნდებოდა, კიდეც ისიამოვნებდა [ღვინით]. იმ სამოთხის მსგავსი იალაღის მცხოვრები ხალხი განცხრომაში ატარებდა რა დროს, ყოველგვარი მსახურებისა და სადარაჯოზე დგომისგან თავისუფალი იყო. მოჰამად სულთანიც ქართლში დაბანაკდა რა, ამ ველაიათისა და ციხეების აღებას შეუდგა. და ყოველგვარი ბრძოლებისა და შეტაკებების გარეშე დაიპყრო ლუარსაბ ხანის მხარე. და ყოველდღე აგზავნიდნენ ქართველ აზნაურებსა და სარდლებს, თავიანთი ცოლ-შვილით მისი უდიდებულესობის სასახლეში. და იმ სამართლიანი ლაშქრობის შემდეგ ისეთი მხიარულება და დროსტარება გამართეს, რომ მეორედ მოსვლამდე ვერავინ იხილავს. ამ ველაიათის მაცოცხლებელი, სუფთა ტყეები, ხეები, აყვავებული ვარდნარი, მოჩუხჩუხე წყლები და ნაირფეროვანება არავის დატოვებს უგუნებოდ.

ღვთის შეწევნით, ნოურუზის და გაზაფხულის დადგომისას, როდესაც დიდებული კორტეჟი დაიძრება, იქნებიან რა მისი მხლებლები, თავს არ დაზოგავენ მისთვის. ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ მისი უდიდებულესობის შვილი ესმაილ მირზა, რომელიც ესფაჰანში იყო, გარდაიცვალა, რის გამოც ურდოს ლაშქრის მეთაური გლოვობდა. ესმაილის ნეშტი არდებილში წაასვენეს და სეფიანთა აკლდამაში დაკრძალეს. ნოვრუზის მოლოდინში იყვნენ, რომ გაზაფხულის შემდეგ გამარჯვების ცხენები ირანისკენ გააჭენეს.

ჯიქის წელი, ჰიჯრის 1023 (ქრ.წ. **1614/15)** მისი უდიდებულესობის მეფობის **28**-ე წელი

დედოფლის განჯაში გაგზავნა, ალავერდის ტაძრის კარის ესფაჰანში მიტანა, ხოჯასთე ბეგისა და რამდენიმე აზნაურის უდიდებულესობის ოსთანში მისვლა, ქვეყნიერების მფარველის ფეხებზე მთხვევა ელბორზისა და ყაბჩაყის სულთნების მიერ, დერბენდის მმართველობის გადაცემა რუმლუსა და არდებილის სულთნისთვის, მისი მიდამოებისა კი სულთან ესფერლუსათვის, მარანდის გადაცემა შაჰნაზარ ბაიბერდლუ სულთნისთვის, არშალუს იუზბაშობა მირზა ხან თალეშის და ესფანდიარ ბეგის ლათიფ ხანთან გაგზავნა, საქართველოს, ფარაჰაბადის, შირვანისა და ყარაბაღის ხალხის შესაკრებად და ხოჯა ლალე ზარ ებრაელის ზაგემის ებრაელებთან ერთად ფარაჰ აბადში წასვლა და ზაქერ აღა ყუშჩის[85] ოსმალეთში წარგზავნა და სხვა ამბები

საყოველთაო, სახალხო ნოურუზის აღნიშვნის შემდეგ, ქართველი სულთნების წასვლის შემდეგ, თეიმურაზ ხანის დედა, მისი უდიდებულესობა დედოფალი, განჯის ბეგლარბეგ მოჰამად ხან ყაჯარის თანხლებით, განჯაშივე გაუშვეს, რათა ვიდრე მისი უდიდებულესობა არ დაბრუნდებოდა, იქ დაყოვნებულიყო. დიდი პოეტები საქართველოს დაპყრობის თარიღის შესახებ ფიქრებში ჩაძირულან, ხოჯა მოჰამად იუსუფ ყაზვინის კი უთქვამს:

ქრონოგრამა

ისეთი ბრძოლა გააჩაღა ქვეყნისმპყრობელმა შაჰმა,

რომ ვეღარ გაუძლო ამას თეიმურაზმა,

როდესაც გონებას ვკითხე მისი გაქცევის ამბის შესახებ,

მითხრა: გიაური ღაზის გაექცაო!

მისი უდიდებულესობა გაამხიარულა რა ამ ყოველივემ, მას მეფური კეთილგანწყობა უწყალობა და სარუხოჯას[86] სიკვდილის შემდეგ თავის მსახურთა

---

[85] შაჰის კარზე თეიმურაზთან დაკავშირებული პიროვნება,რომელიც შაჰმა ოსმალეთში ელჩად გაგზავნა (ფუთურიძე 1969: 83).

[86] ხოჯა მირზა მოჰამად რეზა, წარმოშობით ყაზვინიდან. ახალგაზრდობაში მამასთან, ხოჯა მალიქ ჯუვაინისთან ერთად, გარკვეული დრო მურშიდ ყული ხანის ძმის, იბრაჰიმ ხანისა და სხვა ყიზილბაშ, ემირებთან ხორასანში მსახურობდა. შემდეგ ირანის ერაყში, ზულფაყარ ხანის ვეზირი იყო. 1607-08 წლებში შაჰმა იგი აზერბაიჯანის ვეზირად დანიშნა. გარდაიცვალა 1622 წელს, როდესაც შაჰს ყანდაარის

რიგებში მიიღო და დანიშნა იგი თავის პირველ ზაბეთე ნევისად.[87] თანახმად თხოვნისა, ქართველ მუსლიმ უფლისწულებს, რომლებიც მის უდიდებულესობასთან იყვნენ, [მისმა უდიდებულესობამ] ცოდვები შეუნდო.

ბექთაშ სულთანი ერთგული მსახურის, მოჰამად ხან თურქმანის შვილი იყო. ის იყო ერთგული მსახური და პირველი, ვინც ბასთამ აღასთან ერთად ერაყიდან ხორასანში მისი უდიდებულესობის მსახურებისთვის ჩავიდა. ის ნიჭიერი, მამაცი და კეთილსინდისიერი ახალგაზრდა იყო. ეს ცნობილი ლექსიც მის კალამს ეკუთვნის: „ჩვენ თავად წავედით და დავიბუდეთ სასაფლაოსთან, რათა ჩვენი ძვლები სხვას არ დასწოლოდა ტვირთად!“ ის იყო ასევე საქართველოს მმართველი ალექსანდრე ხანის შვილიშვილი ქალიშვილის მხრიდან, რომელიც თეიმურაზ ხანის მამიდა იყო. მისი და კი, ბრძანების თანახმად, კონსტანტინე მირზას გააყოლეს. იცნობდა რა კარგად საქართველოს, კახეთის მმართველად დანიშნეს, ვიდრე თეიმურაზ ხანის შემცვლელს ნახავდნენ. შეკრიბა ქართველები და გარკვეული რაოდენობის თურქმან ყორჩიებთან ერთად კახეთის სამართავად გაემგზავრა. და ცდილობდა მოეპოვებინა ადგილობრივი ხალხის, როგორც ქართველების, ისე მუსლიმების, ნდობა.

ისმაილ ბეგ თოფჩიბაში[88] კი, რომელიც ზულფაყარ ხანის სიკვდილის შემდეგ მსახურთა რიგებში მიიღეს, მეთაურობდა ზულფაყარ ხანის სამას ძლიერ ახალგაზრდა მეთოფეს, ალავერდის ეკლესიის, რომელიც, ბრძანების თანახმად, ციხე-სიმაგრედ ქცეულიყო, დაცვისთვის დანიშნეს.

როდესაც ღვთისმოშიში შეიხ სეფი ად დინ ისჰაკის ძე, სულთან სადრ ად დინ მუსა ღვთისმსახურებას ეწეოდა, მაშინ, როცა აზერბაიჯანი თურქმან სულთანთა ხელში იყო, ხოლო მისი უდიდებულესობა მექაში წასულიყო, თეიმურაზის წინაპარი ლევასა ხანი არდებილს დაესხა თავს, დიდი ალაფი მოიპოვა, მეჩეთის კარი ჩამოხსნა და გრემში, იმ ტაძარში წაიღო, თავად რომ ააგო. როდესაც ქვეყნის მფარველი მექადან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, ორმოც სუფისთან ერთად საქართველოს დასასჯელად გაემართა, რათა გიაურების მიერ წაღებული მეჩეთის კარი, წასხმული ტყვეები და ნაალაფავი უკან წამოეღო. როდესაც ამ უღმერთოების ველაიათში მისი

ლაშქრობაში ახლდა. ის ცნობილია ასევე, როგორც სარუ ხოჯას („ყვითელი ხოჯა“) და საპატიო წოდების, ფედავის (ერთგული, თავდადებული) სახელით, რომელიც მას შაჰმა საქართველოდან დაბრუნების შემდეგ, 1614 წელს მიანიჭა. ცნობილია ასევე, რომ ის გატაცებული იყო პოეზიით. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. : Смирнова,Л.П. *Хроника воскрешения царей* ,Малик Шах-Хусайн Систани. Перевод с Персидского, предисловие, коментарий и указатели, Смирновой. Москва: "Восточная дитература"РАН, 2000.

[87] ზაბეთი- აღმრიცხველი და სახელმწიფო გადასახადების აკრეფის მოიჯარეები.

[88] თოფჩიბაში - (სპარს., თურქ.) მეზარბაზნეთა უფროსი.

უდიდებულესობის ჩასვლის ამბავი ლევასა ხანის ყურამდე მივიდა, ხალხი გააგზავნა, რათა ვითარება გაერკვია. ეკითხებოდნენ, რა ხდებაო, მაგრამ სუფიებს მისი უდიდებულესობა ქვეყნის მფარველისგან პასუხის გაცემის უფლება არ ჰქონდათ. გრემის კათოლიკოსიც კი მიაგზავნეს – ქრისტიანი ხალხის მუფთი. ფირ მოჰამადს მისცეს მასთან საუბრის უფლება რა, მან უთხრა, რომ მისი უდიდებულესობა მუსლიმთა საკუთრების, ტყვეებისა და მეჩეთის კარისთვისაა მოსული, მფლობელს უნდა დაუბრუნდესო. და ეს კარი, რომელიც მათთან გაგზავნა სულთან აჰმადის დროს არაბეთის ერაყის ველაიათის ვალიმ, აჰმად ჯალაიერის და შეიხ სეფი ად დინ ისჰაკ ყაზი ომადადდინ ტუსიმ, რომელიც ალი ჰათემ ეთემად ალ-დოულეს წინაპარია, უკან უნდა გააგზავნონ და ჩამოკიდონ მეჩეთზე.

და ამის შემდეგ ნაჯაფ აშრაფის მეჩეთის კარი სულთან აჰმად ყაზი ომადადდინის უნდა მისცენ რა, გააგზავნის იგი არდებილში და მისი უდიდებულესობა თავისი დალოცვილი ხელით დაჰკიდებს მას არდებილის მეჩეთზე. კათოლიკოსმა იფიქრა, რომ თუკი ლევასა ხანი ამ ქონებას მუსლიმებს არ მისცემს, რას იზამს მერე ეს ხალხიო?! და მართლაც, მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ თუ 40 დღეში ლევასა ხანი ტყვეებს, სიმდიდრესა და მეჩეთის კარს არ გამოგზავნის, 41-ე დღეს საქართველოს ოლქებს ნაცარტუტად აქცევს და იმ ადგილებს მათი კვალი აღარ შერჩება. შეშინებულმა კათოლიკოსმა ეს ყოველივე მეშვიდე დღეს ლევასა ხანს მოახსენა. როდესაც ლევასა ხანმა მისი უდიდებულესობის განრისხების შესახებ გაიგო, მიხვდა, რომ ის ან დაიბრუნებდა ყოველივეს, ან საქართველოს კარგი დღე არ დაადგებოდა. გადაწყვიტა, სასწრაფოდ მოეყარა თავი მუსლიმი ხალხის ქონებისთვის, გადაეცა იგი სუფიებისთვის და მისცა ასევე მეჩეთის კარიც და პატიება ითხოვა. მისმა უდიდებულესობამაც კარი მეჩეთს დაჰკიდა.

და მისმა უდიდებულესობამ იმათი სადაფით მოოჭვილი ეკლესიის კარი ჩამოხსნა და ესფაჰანის მეჩეთს გადასცა. და ფიქრები მთლიანად გაწმინდა კახელებზე ფიქრისგან.[89]

ხოჯასთე ბეგი და სეფიანთა დინასტიის სხვა ერთგული წარჩინებული თავადები თეიმურაზ ხანს იმერეთში არ გაჰყოლიან. .....
.....
.....

[89] ავტორს ამ შემთხვევაში მოტანილი აქვს სხვადასხვა პერიოდის ლეგენდად ქცეული ამბები.

ესფანდიარ ბეგ არაბგერლუ მირშექარბაში,[90] რომელიც სახელმწიფოს დედა-ბოძთაგანი იყო, შირვანში გააგზავნეს, რათა იმ ხალხისგან, რომელთაც ოსმალეთის პერიოდში სიტყვა ეთქმოდათ, იქნებოდა ეს ქვეყნის მართვის საქმე თუ დაუმორჩილებლობა, მეტი შეეტყოთ მათგან და ფარაჰაბადში გაეგზავნათ.

ლეკები და საქართველოს დაახლოებით 5 000 ოჯახი მუსლიმი, 1200 ებრაელ ოჯახთან ერთად, გადაასახლეს. ებრაელთა რიშსეფიდი ხოჯა ლალე ზარი, თავისი სახლიდან (რომელიც ზაგემში ჰქონდა), ბანაკში კვირაში 40 ურემ ტვირთს აგზავნიდა. ჯალალ სეფაჰანი ქულაჰგუშის, რომელიც თავის დროზე მალექ სულთან ჯარჩი ბაშის[91] მსახური იყო, ხოლო მანამდე მის უდიდებულესობას თავის მსახურთა რიგებშიც მიეღო და განჯის აბრეშუმის შესყიდვის საქმე ჰქონდა მიბარებული, სწორედ მან წაიყვანა ეს ხალხი ფარაჰაბადში. ყველაფერი ის, რაც მოგზაურობისთვის იყო საჭირო, სამეფო ხარჯებით გადაიხადეს, თითოეული პროვინციის მოხელე, დაწყებული თავიდან, ვიდრე მაზანდარანამდე, იხდიდა.

ხსენებულ ველაიათში შესვლის შემდეგ კი, ამავე ველაიათის ვეზირს, მოჰამად სალეჰ ბეგს, ქალაქში და მის შემოგარენში ამ ჯგუფისთვის შესაფერისი ადგილების შერჩევა დაევალა. ფარაჰაბადის მიწები სრულად იყიდა მისმა უდიდებულესობამ და იმგვარად დაასახლა, რომ ყველას შეძლებოდა აეშენებინა ისეთი სახლი, როგორიც შეეფერებოდა და სურდა. ხოლო ვისაც ბაღების გაშენებისა და სოფლის მეურნეობის სურვილი ჰქონდა, სოფლებში თუ ქალაქთან ახლოს მიწები და სასოფლო სამეურნეო ინვენტარი მისცეს. აღა ჯალალს, რომელიც ამ უცხო ხალხის ვეზირად დაინიშნა, 40 000 თუმანი მისცეს ხსენებული გადმოსახლებულების ყველა საჭიროებისა და ხარჯის დასაფარავად. ლატიფ ხან ბეგს კი ყარაბაღში წასვლა და იქიდან ფარაჰაბადში ოსმალთა ჯაშუშების გადმოსახლება უბრძანეს.

და იღბლიან დღეს, წავიდნენ რა ქართლში, იქ მცხოვრებნი გამარჯვების მომტანი დროშების ჩრდილქვეშ მოაქციეს რა, იმ ურჯულოთა მხარეში „ჰეი, ალი ალსალავათ“[92] გაისმოდა. მევლანა თალებ ხუზანი ესფაჰანი, რომელიც რამდენიმე წელი მისი უდიდებულესობის მსახურებისას მუეძინი იყო და შეიხ ჯამალ ადდინ ხათიბ ქაში, რომელმაც კახეთის ალავერდის ტაძარში ხუტბა აღავლინა, ქართლში გაუშვეს და [იქაც] ქართველ მეფეთა აკლდამაში, რომელიც ამ ხალხის მექაა, მისი

[90] მონადირეთუხუცესი.
[91] შაჰ-აბასის მაცნე.
[92] აზანის დროს ორჯერ ამბობენ: „იჩქარე ნამაზის შესასრულებლად“.

უდიდებულესობის დიდებულ სახელზე ხუტბა აღავლინეს, რათა იმ ურჯულოთა მიწა მეამბოხეთა ბინძური რელიგიისგან გაეწმინდათ.

ზაქერ აღა პატივისცემისა და მეგობრობის გამოსახატავად ოსმალეთის სულთანთან გააგზავნეს და ასევე, ყურადღების ნიშნად საქართველოდან მრავალი ძღვენი გაატანეს. მას უთხრეს: რადგანაც ძლევამოსილი ლაშქარი საქართველოს მეფეების დასასჯელად გამოემართა და თვით მისმა უდიდებულესობმაც მათ წინააღმდეგ „ჯიჰადის ქამარი შეიბა“, ამ მხარის ყველა მცხოვრებმა, იქნება ეს უქონელი, უმწეო თუ სხვა, რომელიც დიდებული სულთნის მიწებიდანაა, არ იფიქრონ, რომ ოსმალეთთან და მის მიწებთან გვაქვს საქმე! გულდამშვიდებულები იყვნენ და თავიანთი საქმით დაკავდნენო.

თავად [შაჰმა] კი გადაკვეთა მდინარე არაგვი და ქართლისკენ გაეშურა.

მისი უდიდებულესობის ქართლში დაბრუნება, იქაური აზნაურებისგან ფერხთ მთხვევის პატივი, კახეთის მართვის ალი ხანისთვის ჩაბარება

ქართლში შესვლისა და ლუარსაბის წასვლის შემდეგ მეფური წყალობა გახდა თანმდევი ამ ველაიათის და, თანახმად ბრძანებისა, მოჰამად სულთანმა თავისი ქვეშევრდომებისა და ერთგული ხალხის კეთილდღეობა უზრუნველყო და სასიკეთოდ განაწყო. სულთნებმა: ლუარსაბ ხანის ბაბუის, სიმონ ხანის ძმისშვილებმა, ბაგრატ მირზამ და თეიმურაზ მირზამ და ასევე, მოურავ ბეგმა, რომელიც იმ ველაიათის მთავარსარდალი იყო, უშუამდგომლეს [ლუარსაბს], მას არ შეუცოდავს მისი უდიდებულესობის წინაშეო. ის [ლუარსაბი] თეიმურაზის სიტყვებს მიენდო, დაუჯერა მას და თავი გზააბნეულობის უდაბნოში ამოჰყოო.

აზნაურები და [სხვა] ქვეშევრდომები, რომლებიც თავიანთ საცხოვრებელ ადგილას იმყოფებოდნენ და სულთან მოჰამადის „მორჩილების რგოლში გაეყარათ კისერი“, ფეხრთა მთხვევის ღირსნი გახდნენ. დავუდ ბეგს, შალვა ბეგს, ერეკლე ბეგს, სოფრეჩისა[93] და სხვა აზნაურებს მისი უდიდებულესობის ყურადღების და გულისხმიერების იმედი მიეცათ, ისინი დაახლოებულ პირთა რიგებში მიიღეს.

[93] სუფრაჩი - (თურქ. supraçi - მესუფრე). სამეფო კარის მოხელე, მესუფრე, რომელიც საფარეშოს ყველაზე მნიშვნელოვანი სახელო იყო.

ხოლო თავად თბილისის ციხესიმაგრეში შევიდა რა, დიდებული ლაშქარი ქვემოთ დაეშვა. განურჩევლად ყველამ თავი მოიყარა გამარჯვების მომტან ლაშქარში და რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც იმ უმშვენიერეს ადგილას ნადირობდნენ, ამბავი მოვიდა, რომ მისი უდიდებულესობის კახეთიდან ქართლში წასვლის შემდეგ კახეთის აზნაურების რაღაც ნაწილმა, სოროში რომ ჩამალულიყვნენ, იხელთეს დრო, ქალაქ ზეგამში შევიდნენ და ბექთაშ სულთანი შეიპყრეს. რამდენიმე დღე ეს უკანასკნელი ისმაილ ბეგ იუზბაშის (ამ დროს იგი საქმეზე ჩამოსულიყო) მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. შემდეგ კი „სიკვდილის შარბათი შეასვეს“ , მისი ქონება მიიტაცეს და ზაგემიც მათ ხელში დარჩა. ისმაილ ბეგის შვილმა მოჰამად შერიფ ბეგმა, რომელიც ალავერდში იმყოფებოდა, გაიგო რა ქართველების თავდასხმისა და მამამისის მოკვლის შესახებ, ქართველების ეს წმინდა ადგილი, ციხესიმაგრე ჩაკეტა. და [რადგანაც] იგი ალყაში მოექცა, დახმარება ითხოვა. გადაწყდა, რომ მის დასახმარებლად ჯარი შეიკრიბებოდა.

მაშინვე ღვთის წყალობა და მეფური გულისხმიერება ერგო თეიმურაზ ხანის ბიძაშვილ ისა მირზას, რომელსაც მისი უდიდებულესობის მსახურებაში მიუღია რა ისლამი, ყურანის ყარი და გასაოცრად ნიჭიერი ახალგაზრდა იყო.

და ის კახეთის მმართველად (რაც ისედაც ეკუთვნოდა) დაჯდა. და ბრძანების თანახმად, ქართველმა მეფეებმა ისა მირზა მეფურ ხალიჩაზე დასვეს რა, თავზე ოქრო გადააყარეს. მისმა უდიდებულესობამ გაითვალისწინა და როგორც ქართველთა წესია, დასვამენ რა დავითის მოდგმის ხალიჩაზე თავიანთ მეფეებს, ყველა ღვთისმსახური ფედავი და აზნაური, ოქროს მირთმევის შემდეგ, ფიალა ღვინოს თავიანთი მეფეების ხელიდან შესვამენ და იმავე ფიალით შეჰფიცავენ ერთგულებას. ამგვარად, ქართველმა აზნაურებმა, იქნებოდა ეს მუსლიმი თუ ურჯულო, ისა ხანს ერთგულება შეჰფიცეს.

დიდებული წვეულება გაიმართა იმ დღეს. ისა ხანი თავისი წინაპრების ტახტზე დაჯდა. მისმა უდიდებულესობამ ჩამოატანინა 35 ზერა’ი[94] სიგრძისა და 24 ზერა’ი სიგანის, ოქროს ძაფით მოქარგული, ქერმანში მოთელილი თეთრი თექის კარავი, ერთი ხალიჩა, თექის მოსასხამი [ეს ყოველივე] ქერმანელი ოსტატების, ხალიჩის მქსოველი მირზა ალისა და ნაბდის მთელავი მოჰამად ჰოსეინის ნახელავი იყო. კარვის ბოძები აბანოზის ხისგან გამოეთალათ, ხოლო ოქროს ჯაჭვები ისე დაემზადებინათ, რომ გადაადგილებისას დაშლა-აწყობა არ გაძნელებოდათ. კარავს თორმეტი წყვილი კარ-ფანჯარა ისე დაუყენეს, რომ ყველა მხარეს გადიოდა და სხვა დანარჩენ მისთვის საკადრის კარვებთან ერთად [მისმა უდიდებულესობამ] აჩუქა რა

[94] სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც 104 სმ-ს ტოლია. ამ ერთეულს უფრო მეტად ფარჩეულით მოვაჭრეები იყენებდნენ.

ისა ხანს, ბრძანა, რომ ის სამეფო ალაგას მხარეს გაეშალათ. [ისა ხანი] მისი უდიდებულესობისგან გამარჯვების მომტანი კარვისკენ წავიდა რა, ყიზილბაშმა სულთნებმა და გამარჯვების მომტანმა ლაშქარმა მიულოცა მას. მისმა უდიდებულესობამ კახეთის ლაშქრობისთვის 1000 თუმანი გამოჰყო. ასევე, მაჰდი ყული ბეგ ახურბაშიმ[95] აჩუქა [ისა-ხანს] მოოჭვილი ლაგამ-უნაგირიანი ერაყული ცხენი.

მეჰდი ყული ბეგმა აამხედრა იგი [ისა] და ქართველი დიდებულები, უფლისწულების გამოკლებით, ისა ხანის კარვისკენ გაემართნენ რა, დიდი პატივისცემით მიაცილეს იგი სახლამდე. ხსენებული ხანი სამი დღის განმავლობაში ემშვიდობებოდა მეგობრებს. დაწერა რა ბრძანებები, კახეთისა და [კერძოდ] აზნაურებისა თუ უბრალო ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. ქართველი დიდებულთა ორბიტა დაუდ ბეგი,[96] [ისას] ვაქილად დანიშნეს და წყალობა აჩვენეს მას . 30-ე დღეს მისი უდიდებულესობა, იღბლიან უფლისწულებთან, სეფი მირზა, ხოდაბანდე მირზა და ემამყული მირზასთან ერთად, ისა ხანის სანახავად წავიდა. და იმ დღეს ქართულად გაისაუბრეს რა, [მისმა უდიდებულესობამ] ხანს უბრძანა, დაუყოვნებლივ წავიდეს რა კახეთისკენ, დასაჯოს შფოთის თავები და ავაზაკები. ხსენებული ხანი წავიდა კახეთისკენ, რათა იმ მშვენიერი ველაიათის საქმე სისრულეში მოეყვანა.

აჰმად სულთან მოჩექისთვის თბილისის ციხის დაცვის დაბრუნება და ბეჰბუდ აღას შთამომავლებისთვის ქართლის ქონების მართვის ჩაბარება, შაჰ -ნაზარ ბეგის სიკვდილი, მისი უდიდებულესობის საქართველოს აკლდამაში [სვეტიცხოველი] მისვლა, მოჰამად სულთნისა და მეომარი სულთნების გაგზავნა სურამის ციხის აღსადგენად, თიანეთისა და ერწოს თავდასხმა და ლათიფ ხან ბეგის ლუარსაბთან იმერეთში გაგზავნა და სხვა ამბები

ისა ხანის გაგზავნის შემდეგ [მისი უდიდებულესობა] გორისკენ გაემართა, თბილისის ციხე ხორასნის თოფანგჩიების მეთაურს, თაბასის, ხაფის, ბახარზის და ნეჰბანდანის ჰაქიმს ჩააბარა და ათას ახალგაზრდა თოფანგჩისთან და თავის ათას მსახურთან ერთად, ციხესიმაგრის დასაცავად და გასამაგრებლად წავიდა. და სამეფო

[95] საჯინიბოს უფროსი.

[96] დავით ჯანდიერი, ასლანიშვილი, ისა ხანის მეთვალყურე, მისივე ვაქილი.

ღოლამი, თოფანგჩიბაშ ბარ ხორდარ ბეგის[97] აზრის გათვალისწინებით, დოურე ხან ბეგ ყაფანი, რომელიც იმყოფებოდა საარტილერიო კორპუსში, ციხე-სიმაგრის მეთოფედ დასვა რა, მეფური გულისხმიერებით განადიდა.

და ასე გადაწყდა, რომ მოჰამად სოლთანი რამდენიმე ღოლამს დაავალებდა ქონების აღრიცხვისა და ფინანსურ საქმეს. ასევე, მიწათმოქმედების საქმეს იმისდა მიხედვით, თუ როგორი წესიცაა ირანში: დაქვემდებარებულებს უნდა გადაეხადათ პროდუქციის მეათედი. [ასე] უნდა მოეგოთ მათ უმწეოთა გულები.

ზემოხსენებულმა ალიყული ბეგი და ემამყული ბეგი, რომლებიც ქართლის გამოჩენილი პირის, ბეჰბუდ აღა თოხმაყ ხანის შვილები იყვნენ, ხოლო ეს უკანასკნელი თოხმაყის მსახურებაში ყოფნისას ისლამის მიღებით იქნა განდიდებული, ამ საქმის კეთების პატივით ღირსყო. ბრძანების თანახმად, დაავალეს რა მათ ქართლის აღწერა, გზას გაუდგნენ.

ბრძანების თანახმად, ასე გადაწყდა, რომ ისლამის ლაშქრის ჯარისკაცი მოჰამად სულთანი ქალაქ თბილისის მიდამოებისკენ გაემართებოდა. ზემოხსენებულმა დიდებული ლაშქარი, მოურავ ბეგის თანხლებით, აკლდამისკენ გაუშვა. ამ აკლდამის ველზე, რომელიც თბილისიდან სამი ფარსახის მოშორებითაა, დიდებული კარვები გაიშალა. მღვდლებს, კათოლიკოსსა და იმ მხარის მცხოვრებთ ფერხთა მთხვევის პატივი ერგოთ. სრულყოფილების მცოდნეთა სიბრძნის მფარველი შეიხ ჯამალ ადდინი, რადგანაც იყო პარასკევი დღე, კიდევ ერთხელ წავიდა [სვეტიცხოველში] და ისეთი მჭევრმეტყველური, მჭექარე ხოტბა აღავლინა, საზოგადოების მღელვარება გამოიწვია. ხოლო ხუზანი მუეძინმა ურჯულოთა ტაძარში ერთღმერთიანობის შესახებ ილაპარაკა.

მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, იმ ტაძარში მუსლიმი სწავლული შეიხ ბაჰა ად დინის ხელმძღვანელობით, მუსლიმები სალოცავად შეეკრიბათ. თავად კი შეიხის უკან დადგა და ნამაზი წაიკითხა, ხოლო იქ მცხოვრებთ დიდი წყალობა აჩვენა.

ორი, სამი დღე მდინარის პირას შეყოვნდნენ, მეორედ მოსვლის კვალის მატარებელი ლაშქარი გზას უნდა დადგომოდა. ინადირეს, შემდეგ კი გორის ველისკენ გაემართნენ და გამარჯვების მომტანი კარვები გაშალეს. ალი ყული ხანს დაევალა, მტკვრის კალაპოტი შეეცვალა, წყალი გორის ციხისკენ ისე გაეშვა, რომ ძველ გასასვლელში აღარ დაბრუნებულიყო. ბრძანების თანახმად, შაჰისევანმა[98] ბრძანა,

[97] ბარ ხორდარ ბეგ ანის ალდოულე ყაჯარ თაბრიზი თოფჩიბაში.

[98] „ისინი, ვისაც უყვართ შაჰი“. იხ. ფუთურიძე 1955, 486. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები; საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა; თბილისი.

უკლებლივ ყველა, იქნებოდა ეს ყორჩი, ღოლამი თუ რიგითი მცხოვრები, დამორჩილებოდა უზენაესის ბრძანებას. და ათ დღეში, მტკვართან ასი კაშხალი ააგეს. ხოლო მოჰამად სულთანს, ლაშქართან ერთად, დაევალა რა იმერეთის საზღვრის სურამში წასვლა, მივიდნენ რა იქ, გადაწყვიტეს, შეეკეთებინათ ის მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც გიორგი ხანის მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული, არასდროს შეკეთებულა. ქვეყნიერების მბრძანებლის ბრძანების თანახმად, ძლევამოსილმა სულთნებმა მიაქციეს რა ყურადღება ამ სამეფოს, სეფიანთა დინასტიის და შაჰინშაჰის სამეფოს სიძლიერის გამო, იმერეთის ვერცერთი მმართველი მათ ძალაუფლებას წინ ვერ აღუდგა. ხოლო სურამის ციხის მიდამოები გამარჯვების მომტანი ლაშქრის სადგომი გახდა.

[და] ფირმანმა მოიპოვა პატივი გამოქვეყნებისა მასზედ, რომ, თუკი თიანეთისა და ერწოს ხალხი ისა ხანს არ დაემორჩილებიან, მათი აოხრებისთვის თავი დამნაშავედ არ ჩათვალონ. ასევე, მორთეზა ყოლი ხანს, მირფათაჰსა და თიმურდაშ სულთანს მათი დასჯა დაევალოთ. და თანახმად ბრძანებისა, თავს დაესხნენ და ისეთი ხოცვა-ჟლეტა ატყდა, რომ არავინ გადარჩენილა ცოცხალი. [ზემოხსენებული ხალხის] დასჯის შემდეგ კი სურამის ციხის შესაკეთებლად გაემგზავრნენ. ლათიფ ხან ბეგი, ბრძანების საფუძველზე, ლუარსაბთან გააგზავნეს: „ლუარსაბ ხანი, რომელიც უგულებელყოფს წინაპართა ტრადიციებს და ეურჩება მის უდიდებულესობას (თუმცა კი ამ უკანასკნელმა მას ნდობა გამოუცხადა), იწვევს შაჰის რისხვას. როგორ ბედავს იგი, რომ მისი უდიდებულესობის ბრძანების წინააღმდეგ მოქმედებს?!“ ყველა საკითხში, მეფური გულისხმიერებით ედგას რა გვერდში, ლათიფ ხან ბეგ დავათდართან ერთად, რომელიც დიდებულ დაახლოებულ პირთა რიგებში იყო, თავი დაუხაროს რა, დაიმსახუროს მისი უდიდებულესობის პატივისცემა. და თუკი ის თავის უსიამოვნო, მიუღებელ ქმედებებზე დაფიქრდება და შერცხვება, მის უდიდებულესობას კი მოახსენებს თავის გულის ნადებს და ამ თავის წუხილისა და განხეთქილების მიზეზს გაუნდობს იგი მეფის კარის ნდობით აღჭურვილ პირთ, რათა შესაძლებელი გახდეს ამ საკითხის მოგვარება და იგი არ იქნეს მოკვეთილი მისი უდიდებულესობის უმაღლესი ზღურბლიდან.

ხორასნის ვეზირ ჯალალ ად დინ აქბარის ქვეყნიერების მფარველის თაყვანის საცემად მოსვლა, ბეჰზად ბეგის გილანის ვეზირობიდან გადაყენება და მისი და მირზა ფასიჰის დაბრმავება, მირზა თაყი სეფაჰანისთვის ლაჰიჯანის ვეზირობის გადაცემა, სულთან მოჰამად ბეგის ოსმალეთის ელჩობიდან მისიიდან დაბრუნება, ლათიფ ბეგის იმერეთიდან დაბრუნება, სარუხოჯას იმერეთში, ლუარსაბის წამოსაყვანად გაგზავნა

როდესაც ლათიფ ხან ბეგი იმერეთისკენ გაემგზავრა, ხოლო მოჰამად სულთანი დიდებულ სულთნებთან ერთად სურამის ციხის შესაკეთებლად წავიდა, მისი უდიდებულესობა გორის ველაიათში მშვიდად და აუღელვებლად განცხრომასა და სიამოვნებაში ატარებდა დროს.

.....
.....

სულთან აჰმად ბეგ თალეში, რომელიც ოსმალეთის მმართველთან იყო გაგზავნილი, დაბრუნდა და თურქეთის სულთნის კეთილგანწყობილი წერილი ჩამოიტანა. ამგვარად, გაირკვა, რომ მისი უდიდებულესობის საქართველოში ყოფნით და ანჯილუ ფაშას ესფაჰანში გაგზავნით მათ ახალციხის ხელში ჩაგდება გადაეწყვიტათ. მისი უდიდებულესობის ბრძანების თანახმად, ჰოსეინ ბეგ მეჰმანდარი, ანჯილუ ფაშამ დიდებულ ბანაკში წაიყვანა, ხოლო თვითონ ქართლში დაბრუნდა და საზაფხულო ბაღებში განცხრომას მიეცა.

ყოველდღიურად მოდიოდა საჩივრის წერილები ისა ხანის სულთნებზე, კახელი ხალხი არ აპირებდა, დამორჩილებოდა მუსლიმ ისა ხანს, ეს მათ ადათ-წესებს არ ექვემდებარებოდა. თუკი მისი უდიდებულესობის ბრძანებით, გარკვეული რაოდენობა ყიზილბაშებისა ისა ხანს მხარში ამოუდგებოდა, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა, გამკლავებოდა ქართველებს.

მისმა უდიდებულესობამ იცოდა, რომ, თუკი ყიზილბაშები ისა ხანს უერთგულებენ, მაშინ მოსახლეობაც დაემორჩილებოდა ამ უკანასკნელს. [ამიტომაც] დარწმუნებულები უნდა ყოფილიყვნენ ყველაფერში, რათა ღმერთი არ გასწყრომოდა და ბიძამისი კონსტანტინე ხანივით მის საქციელს არეულობა არ გამოეწვია.

არ სურდა რა [ისა ხანს] ყიზილბაშების ჩარევა, თქვა, რომ კეთილი მოპყრობითა და სითბოთი თავად დაიმორჩილებდა თავის ხალხს, ვიდრე ლუარსაბ ხანისა და მისი უდიდებულესობის ქართლში დაბრუნებამდე და რა ურჩობაც არ უნდა გამოეჩინა იმ

მხარის ხალხს, მათ მიმართ მოთმინებასა და სიფრთხილეს გამოიჩენდა რა, ყველაფერს ქვეყნის სასიკეთოდ გააკეთებდა.

და ქართველ სარდლებთან და აზნაურებთან, ბაგრატ მირზასთან, ლუარსაბის ბიძაშვილ თეიმურაზ მირზასთან ერთად, დღე და ღამე მინდვრებსა თუ ბაღებში ქეიფობდა და ღვინის სმაში ატარებდა დროს. ამ დროს ლატიფ ხან ბეგი იმერეთიდან დაბრუნდა და მის უდიდებულესობას ამავე ველაიათის ვალის, გიორგი ხანის და ლუარსაბ ხანის წერილები წარუდგინა. თქვა, რომ, რადგან თეიმურაზ ხანმა შაჰის ძლევამოსილი ლაშქრის გორისკენ და სურამის ციხის შესაკეთებლად დაძვრის ამბავი გაიგო, შესაძლოა, რომ თეიმურაზს შეეშინდეს იმის, რომ გიორგი ხანი, მიუხედავად კარგი დამოკიდებულებისა, ნათესაობისა და მეგობრობისა, მას შეიპყრობს და თავი [იმ მიდამოებს] შეაფაროს, რომლებიც ოსმალეთთან ახლოს მდებარეობენ.

ხოლო გიორგი ხანმა, შაჰური გულისხმიერებით დაიმედებულმა, მიუხედავად ოსმალეთისადმი მორჩილებისა, ხელი შეუშალა ლუარსაბ ხანს, რომელიც თეიმურაზ ხანის გავლენით, თავისი უმეცრებით დაბნეულიყო და უდაბნოში მოწანწალედ ქცეულიყო, დამორჩილებოდა სულთანს და წინაპართა გზიდან გადაეხვია. და ითხოვა, რომ ის შეცდომები, რომლებიც მან თავისი უვიცობით დაუშვა, აპატიონ და, დაე, ბრძენმა ხალხმა სიდიადის ხალიჩა გააგზავნოს რა, ჩაუკლან მას შფოთვა და ეს უკანასკნელი მისი უდიდებულესობის წინაშე ქედის მოხრის ღირსად ჩათვალონ.

მისმა უდიდებულესობამ გიორგი ხანის წერილისა და საბოლოოდ დამორჩილების შემდეგ, კაცის გაგზავნის, ლუარსაბ ხანის დიდებულ კარზე ჩამოყვანისა და გიორგი ხანის გულდასამშვიდებლად. ამ საქმის მოგვარება სარუ ხოჯას სთხოვეს. მანაც პირობა დადო, რომ ამ საქმეს მოაგვარებდა და თანახმად მოთხოვნისა, ეს საქმე ასე გადაწყდა. და ზემოხსენებულმა იმერეთში წასვლის ამბავი მოაგვარა რა, შეარჩია ხალხი, რომლებიც მან ჩათვალა საჭიროდ და სურდა თანმხლებად: ამ სიტყვების ავტორი, ფეიქარ სულთნის ვეზირი, ესმაილ ბეგი, მასუდ სულთან ქენგერლუს ვეზირი, რეზა აღა, მოჰამად სულთნის ვეზირი, თანახმად ბრძანებისა, უნდა ყოფილიყვნენ მთელი აზერბაიჯანის გამოცდილი ვეზირის, ქვეყნიერების მბრძანებლის დაახლოებული პირის სამსახურში და მოეხსენებინათ ყოველივე.

და ბედნიერ საათს, დაეთხოვა რა მის უდიდებულესობას და იმერეთისკენ წავიდა, მოიტოვა უკან უზენაესი ურდო, გორის მდინარის იქეთ ნაპირას, რომელიც გზად მდებარეობდა, კარავი გაშალა. შუა ღამემდე მისი უდიდებულესობის სამსახურში მყოფმა, მას შემდეგ, რაც მას გაეთავისუფლა, საქმე სრულყო. სამოთხის მსგავსი თავშეყრის სიხარულისგან გაბრუებულებმა, სუფრაზე სარუხოჯას ერთი

საგულდაგულოდ დამზადებული „ფანჯექაში“ მიართვეს, რათა ლუარსაბ ხანისათვის წაეღო,[99] [და გადაეცა] როგორც სიმბოლო სტუმართმოყვარეობის უფლებისა ამ მეფის კარზე და ძველებური მორჩილებისა წინაპრებისადმი. რათა მეფური გულისხმიერების იმედად [მოვიდეს და] შეაფაროს თავი ქვეყნიერების მფარველის სასახლეს.

შუაღამით ხოჯა შავი ღვინით დათვრა და მდინარეს ჭრიდა, როდესაც მისი ცხენი შიგ ჩავარდა. მისი უდიდებულესობის ნაჩუქარი ძვირფასი სამოსიც წყალში აღმოჩნდა. იმ ღამეს ექსპრომტად ეს რობაი თქვა და გამთენიისას შიკრიკს ესფანდიარ ბეგთან გაატანა, რათა მის უდიდებულესობამდე მისულიყო.

ო, მზის ამომყვანო, ზეცის მპყრობელო ხელმწიფევ,

რომლის სიბრძნესთან, ახლოს ვერ მოვა სიბრძნე სრულყოფილი!

დიდებული საჩუქარი, რომლითაც ღირსმყავით,

ჩემდა სამარცხვიდოდ, წყალში აღმოჩნდა!

მისი უდიდებულესობის წყალობით, სიხარული შეიქნა რა, იმ ერთგული ფედავი მონის დაწინაურების მიზნით, წყლიდან ამოსვლის შემდეგ „მისი ქოხი ისე გაბრწყინდა, თავადვე შეშურდა საკუთარი სამოთხის“. და იქ იმ დღეს საზეიმო, მხიარული წვეულება გაიმართა. ხოჯას მიმართ დიდი პატივისცემა გამოავლინეს. როდესაც მზე ჩავიდა, ხოჯას სახლიდან სამყაროს მამოძრავებელი ურდოსკენ დაიძრა რა, ყივჩაღის ველის სულთნებთან, დაახლოებულ პირებთან და ახლობელ ქართველ ხანებთან ერთად განცხრომასა და დროსტარებას შეუდგა.

მისი უდიდებულესობის მოჰამად სულთნის ურდოსკენ წასვლა, სურამის ციხის შეკეთება, ხანდან აღასა და ათაბაგ ხანის შვილების გაქცევა ოსმალეთში

როდესაც სარუხოჯა იმერეთისკენ წავიდა, ხოლო მოჰამად სულთანმა და დანარჩენმა სულთნებმა სურამის ციხის შეკეთება ფირ ბუდაყ ხანს დაავალეს, მისი უდიდებულესობა, ნადირობისა და სურამის ციხის ნახვის მზად ყოფნაში ამბის მომლოდინე იმერეთიდან, დიდებული ლაშქრით გორის წყლის პირას დაბანაკდა. მან ალი ყული ხანი ლაშქრის მეთაურად დანიშნა და დაახლოებულ პირებთან ერთად

[99]ფანჯექაში - იგივე მაცა, უსაფუარო ხმიადი.

განსაკუთრებულად ინადიმეს მოჰამად სულთნის ურდოში. ხანები და სულთნები ღირსყო ფეხზე მთხვევისთვის და მეფური გულისხმიერება აჩვენა მათ. სურამის ციხის შემოვლის შემდეგ მოჰამად სულთანმა და მისმა მხლებლებმა სურამის ციხის ძირში, რომელიც იმერეთის საზღვარია, კარვები გაშალეს. და რადგანაც არც ერთს მისი უდიდებულესობა შაჰის დაახლოებული პირებისგან თან არ ჰქონდათ სათანადო აღჭურვილობა, ისინი სულთან მოჰამადის ჯარის სულთნების სახლებში იყვნენ გაჩერებულები.

მოჰამად ბეგი და ელიას ბეგი, ხანდან ფაშას შვილები, რომლებიც, როგორც ცნობილია, თურმე ყიზილბაშ ღაზიებს ჯაღალ ოღლისთან შეტაკების დროს დაეტყვევებინათ, მისი უდიდებულესობის დაახლოებულ პირთა შორის აღმოჩნდნენ. ელიას ბეგი, რომელსაც შეითანს უწოდებდნენ, ფეიქარ ხან იგრიმი დორთის სტუმარი იყო.

22 შაბანის ორშაბათ დღეს, ღვთის ფრთის ქვეშ მყოფი მისი უდიდებულესობა თავის ხალხთან ერთად სურამის ციხის სანახავად წავიდა, შემდეგ კი ყველა თავის კარავში ისტუმრა და დაიწყეს დროსტარება.

[თუმცა] ფეიქარ ხანმა, [ილიას ბეგსა და მოჰამად ბეგს] ვეღარ მიაგნო. რამდენიც არ ეცადა – ამაოდ. იძულებული შეიქნა, ეს ყოველივე მისი უდიდებულესობისთვის მოეხსენებინა. ხოლო მისმა უდიდებულესობამ, რომლის გონება ღვთიური სულისკვეთებისაა, ბრძანა: „ცუდი ქმნილებისგან კარგი არაფერი გამოიჭრება“ და რომ ამ ადამიანებს უმადურობა სჩვევიათ მხოლოდ, ასეთია მათი ბუნება. და მსგავსად იმ სპილოებისა, რომლებსაც მშობლიური ინდოეთი გაახსენდათ, ძირეული, თავდაპირველი სამშობლოს სიახლოვეს, შალვა ბეგის ხეობის გზით, რომელიც ერზრუმამდე ერთი ნაბიჯია, ცხენები გააჭენეს რა, ოსმალეთისკენ წავიდნენ. და თავში აზრადაც არ მოსვლია არავის, რომ, მიუხედავად მის უდიდებულესობასთან სიახლოვისა, ასეთ რამეს ჩაიდენდნენ. ეს ამბავი [ერთმა] ჯარისკაცმა მოიტანა, რომელიც თურმე ნადირობისას ახლდა იმათ. შეიტყო რა მისი [ელიას ბეგის] გზის აცდენის შესახებ, ბანაკში დაბრუნდა და ამ უკანასკნელის ოსმალეთში წასვლის ამბავი თქვა.

მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ ბანაკში არსებული მათი ქონება და ნივთები და, ასევე, ახლობელი ადამიანები, ყარა ჰასან ესთაჯლუს მოლაზემ ნაზარ ალი ხანს ერზრუმში გაეგზავნა და მათთვის გადაეცა, მისი უდიდებულესობისგან კი იმ ორი ურჩისთვის გადაეცა, რომ, თუკი მათი საზრუნავი მართლაც სამშობლოა და დაბრუნება სურთ, მაშინ გაათავისუფლებს რა მათ მეფური გულისხმიერებით, არ მიაყენებს ზიანს.

[თუმცა] რადგანაც იმათ, თავიანთი მზაკვრული ბუნების გამო, დაუმორჩილებლობის გზა აირჩიეს, შაჰმა ბრძანა: თუკი ადრე ისინი დაჯილდოვებულნი იყვნენ იმით, რომ მეფის კართან დაახლოებული პირები იყვნენ და ცხოვრებით [ტკბებოდნენ], ახლა უკვე გაიცა ბრძანება, რომ ერაყის პროვინციიდან მათი ქონების წამოსაღებადაც გაიგზავნოს კაცი.

სუფი ასკეტები აღფრთოვანებულნი იყვნენ რა შაჰის გულისხმიერებითა და მტრისადმი მიმტევებლობით, ადიდებდნენ და აქებდნენ და ლოცავდნენ მას. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მისი უდიდებულესობა სულთნების ურდოდან დიდებულ ურდოში დაბრუნდა, ახალციხის ხანის მანუჩარის შვილმა – ათაბაგ ხანმა, რომელსაც მამამისის გარდაცვალების შემდეგ ერგო პატივი, სათავეში ჩადგომოდა იქაურობას და, რომელიც შაჰის გულისხმიერებით სარგებლობდა, ყაზალაყაჩის ოლქებს ფლობდა, მზაკვრული ფიქრებით შთაგონებულმა, ურჩობის გზა აირჩია და ოსმალეთში გაიქცა. ბრძანების თანახმად, მისი ქონებაც მისივე თანმხლებ, სანდო პირებს გაატანეს. და ლუარსაბ ხანის დიდებულ სასახლეში მოსვლას ელოდნენ, რათა ირანისკენ დაძრულიყვნენ.

სარუხოჯას იმერეთიდან დაბრუნება და იაყუბ ხან თალეშის ლუარსაბ ხანის ჩამოსაყვანად იმერეთში გაგზავნა

როდესაც მისმა უდიდებულესობამ მოჰამად სულთანს "ალის" ციხის შეკეთება დაავალა, ხოლო თავად ბანაკში გაემგზავრა, როგორც კი სულთნების მოსვლის ამბავი იმერეთის ხანი გიორგის ყურამდე მოვიდა, მან არ ჩათვალა საჭიროდ სარუ ხოჯას დაყოვნება, რომელიც ლუარსაბის და გიორგის დასაშუმინებლად [მათთან მოსალაპარაკებლად] ჩამოსულიყო. და, რადგანაც ძლევამოსილი ლაშქრის ამ მიდამოებში მოსვლამ მოსახლეობაში შიში და ქაოსი გამოიწვია, [გიორგი ხანმა] ასაფს [სარუ ხოჯას] სთხოვა, გადაეცა მისი უდიდებულესობისთვის კეთილისმსურველი წერილი გიორგისა და იაკუბ ხან ბეგ თალეშის სახელით. ეს უკანასკნელი იყო სიტყვა-მართალი და ბრძენი კაცი ხოლო ურთიერთობა მასსა და ლუარსაბ ხანს შორის იყო მამა-შვილური, გამომდინარე მათი მისი უდიდებულესობისადმი მსახურებიდან. მიზანი კი ის იყო, რომ ლუარსაბ ხანი მისი თანხლებით დიდებულ, ციურ სასახლეში მისვლის და მისი უდიდებულესობის ფერხთ მთხვევის შემდეგ, სულთნები „ალის"

ციხის შეკეთებას შეეშვებოდნენ და დაბრუნდებოდნენ, რათა ამით იქ მცხოვრებთ და გიორგი ხანს სიმშვიდე მოეპოვებინათ.

მიუხედევად იმერეთის გზაზე არსებული ტყეებისა, მთების სიუხვისა და გზის სივიწროვისა, მწერალმა [ამ სიტყვების] თქვა: სადაც ერთ ცხენოსანს შეუძლია, რომ ათასი მილი გაიაროს ამ გზაზე, იქ გამარჯვების მომტანი ძლევამოსილი ლაშქარი რას ვერ იზამსო?! და ღაზიების მძლავრი ხმლის მოქნევის შემდეგ, გიორგი ხანი აფორიაქდა, სასტიკად შეშინდა და ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებულ თხოვნას დაუბრუნდა. დიდმა ვეზირმა პირობა დადო, რომ გააგზავნიდა ფირმანს ლუარსაბ ხანის გაგზავნის შესახებ. მოჰამად სულთნის ვეზირი რეზა აღა, არზებით აშრაფ ალისთან გაუშვა. მანაც, ხსენებულმა ასაფმა, ერთი ღამე მათ ბანაკში დაჰყო. იაყუბ ხან ბეგის მოლოდინში, ციხესიმაგრის შეკეთებას ცოტა ხანი თავი დაანება და მისი უდიდებულესობის ზღურბლის ამბორისთვის გაემგზავრა, იმ სამეფოს ამბები მოახსენა და, ასევე, გიორგი ხანის არზა, რომელსაც თან ახლდა მისივე ვაქილი ქოჰულ ბეგი და, ასევე, ლუარსაბ ხანის ბოდიშის არზა წარუდგინა და მათი თხოვნა მოახსენა.

კეთილშობილ მმართველს ერაყში დაბრუნება და ირანის მიდამოებში ნადირობა გადაეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფლობდა საქართველოს, გამორჩეულს მოსასვენებლად, ყაყაჩოებით, ტიტებით, სუმბულებით, ვარდებით სავსეს და, რომელიც ნადირობისთვის შესაფერისი ადგილია. იმავე საათს, იაყუბ ხან ბეგი რაყამებით, მისი თანმხლები ხანების: ქოჰულ ბეგისა და ლუარსაბ ხანის ვეზირის, უდიდებულესობის ფავორიტი სარხათ ნევისი მირზა შოქრულას ძმის, მირზა ფათჰალის სახელზე, გააგზავნეს. მოჰამად სულთანი კი ალის ციხეს უნდა გაშვებოდა და სურამის ციხეში დაბრუნებულიყო და იაყუბ ბეგს დალოდებოდა.

ლუარსაბ ხანის იმერეთიდან ჩამოსვლა და [მისი უდიდებულესობა] ღვთის ჩრდილის ზღურბლზე მისვლა

რამაზანის თვის ხუთ რიცხვში იაყუბ ხან ბეგი სულთნების ურდოში მივიდა. [და იქ] მისი და ლუარსაბ ხანის ნათესავების მოსვლის ამბავი შეიტვყეს. ფირ ბუდაყმა და მაჰმუდ სულთანმა საქმის ვითარება უმაღლეს სასახლეს მოახსენეს რა, გადაწყდა, რომ ფეიქარ სულთან იგრიმი დორთი, მასუდ სულთან ქენგერლუ, შაჰნაზარ სულთან ბაიბერდლუ თავისი მხლებლებით, ქოჰულ ბეგის სახლის მიდამოებში, რომელიც იმერეთის საზღვართანაა, დიდებულ ხანებს შეხვდებიან, შემდეგ კი სულთნების

ურდოში მივლენ და დიდებულ ამირებს შეხვდებიან რა, ორ დღეში ბედნიერ სასახლეში წავლენ. მოურავ ბეგს, შალვა ბეგსა და ქართლის სულთნებს თავიანთი უფლისწულის დახვედრა დაევალათ, მათ, ასევე, დაევალათ, რომ შეახვედრონ მას ქართლის ქედხუდები[100] და სარდლები და, მისი უდიდებულესობა მფარველის დასტურით, „მორჩილების რგოლი ყურში გაიყარონ“.

და როგორც ეგების, ლუარსაბ ხანი და სულთნები რამაზანის თვის 12 რიცხვში მისი უდიდებულესობის ფერხთ მთხვევის მიზნით, აიკრიფნენ და სურამის ციხიდან დაიძრნენ.

და ხსენებული თვის 15 რიცხვში, როდესაც შაჰის ურდოსკენ მიდიოდნენ, თავად მისი უდიდებულესობა სანადიროდ ამხედრდა. ყორჩიბაში,[101] ალი ყული ხანი, ნადრ ხანი და სულთნები, ასევე ეთემად ალ-დოულე მირზა აბუთალები ლუარსაბ ხანთან შესახვედრად გაემართნენ. სილამაზითა და მოხდენილობით იოსებ მშვენიერის სადარი ლუარსაბ ხანის შეხვედრის სანახავად გაემართა ასევე ყველა, ვინც იმ დღეს ურდოში იმყოფებოდა. ისეთმა მხიარულმა წვეულებამ იჩინა თავი, რომ „ვენერას ხელებში ბედნიერების ჩანგი დაეჭირა.“[102] მსგავსი წვეულება ჯერ არავის ენახა. იმ დღეს სამყარო განცხრომისა და ბედნიერებისგან აღფრთოვანებულიყო და აღელვებულიყო.

ერთი სიტყვით, ქვეყნის დედაბოძები ლუარსაბ ხანს შეხვდნენ და სანადიროდ მყოფ მის უდიდებულესობასთან მიიყვანეს. როდესაც ხანმა შაჰის მოღუშული სახე დაინახა, ცხენიდან ჩამოხდა, „სინანულის ხმალი კისერზე ჩამოიკიდა რა“, „სიკეთისა და გულისხმიერების წყაროს“ წინაშე წარსდგა, თქვა:

„დაე, იყოს ქვეყნიერების მფარველის სახელმწიფო სვებედნიერი, ნუ იქნება დაუცველი შენი ტახტი, ნუ დარჩება ქვეყნიერება შენი ზღურბლის გარეშე!“

მისი უდიდებულესობაც, ვინაიდან მისი კეთილშობილი სხეული შექმნილი იყო ღვთიური ძალით, ცხენიდან ჩამოხდა და მეგობრულად ჩაიკრა იგი გულში. ხმალი კისრიდან ჩამოხსნა და წელზე შემოარტყა. და გაიცა ბრძანება, რომ მსახურთუხუცესებს ვერცხლისყელიანი [ჭურჭლით] მისი უდიდებულესობის გულისხმიერებით აღსავსე სუფთა ღვინო მიერთმიათ განურჩევლად ყველასთვის. ქოთულ ხანის მორასა აბჯარ-უნაგირიანი აღკაზმული ცხენი ხანს მიართვეს, რათა

---

[100] ქედხოდა (სპარს.) სოფლის მამასახლისი, ხელოსანთა ამქრის ხელმძღვანელი; გვარის ან ტომის მეთაური.

[101] ყორჩების (მეაბჯრეები, საჭურველთმტვირთველი, მოხელე, მნე სხვადასხვა იარაღის და მოწყობილობის) უფროსი, იარაღის საწყობის უფროსი.

[102] ვენუსი, სპარსულ ლიტერატურაში მუსიკის პლანეტაა.

დიდებულ ურდომდე მთელი გზა ღვინის სმასა და მხიარულებაში გაეტარებინათ. როდესაც დასრულდა ეს ქეიფი, სარუხოჯას ლუარსაბ ხანის მასპინძლობა დაევალა.

მეორე დღეს, როცა მზემ დილის სიმშვიდიდან მთელი თავისი სილამაზითა და ბრწყინვალებით გამოანათა, გაიცა ბრძანება, რომ წვეულების მომწყობთ მხიარულებისთვისა და განცხრომისთვის ნოხები და ფარდულები გაეშალათ. იმედის ბაღში ოცნების ვარდი გაიშალა ღვინის მსმელთათვის, მხიარული მუსიკა აჟღერებულიყო, საზეიმო, სიამოვნების მომგვრელ წვეულებას ეჩინა თავი. სურნელოვანი, მეწამული ღვინის თასები და სასმისები გადადიოდა ცისკრის ვარსკვლავივით გაბრწყინებული ხალხის ხელიდან ხელში. ახალგაზრდებს სუფთა ღვინომ ლოყები აუღაჟღაჯა, მერიქიფეთა გაბადრულმა სახეებმა კი ეს წვეულება აყვავავებულ ბაღად აქციეს. ბულბულის ხმიანმა მომღერლებმა სიხარულის მომტანი, მხიარული სიმღერებით ყოველგვარი სევდა გააქარწყლეს. საზის დამკვრელებმა კი ჩანგისა და თანბურის ჰანგებით განდევნეს დარდიანი ფიქრები.

ბრწყინვალე წვეულების დასრულების შემდეგ, უძლეველმა შაჰმა თავისი ბრწყინვალებით იქაურობა გაალამაზა. ნაბრძანები იქნა, რომ სათითაოდ ყველა ის ქართველი სულთანი თუ დიდებული, რომელიც განუდგა ლუარსაბ ხანს და ეახლა შაჰის კარს, უნდა მისულიყო ამ სასახლეში და მისი უდიდებულესობის თანდასწრებით მიეღო მონაწილეობა ამ ნადიმში და მოლაპარაკებებში.

ამ წვეულების დასრულების შემდეგ, ქოჰულ ბეგს და გიორგი ხანს მეფური გულისხმიერების პატივი ერგოთ რა, გაათავისუფლეს ისინი. გიორგი ხანს გულწრფელობისა და ერთგულებისთვის საჩუქრად ერაყული ძვირფასი ფარჩეული და სამეფო ცხენები გაუგზავნეს. მეორე დღეს კი, გამარჯვებულებმა დატოვეს რა გორის ციხე, თბილისისკენ გაემგზავრნენ. იმ მხარის სარდალ მოჰამად სულთანს კი უბრძანეს, ეხმო ხსენებულ მხარეში გაგზავნილი ყველა დარუღა და მცველები და თბილისის მმართველობა ლუარსაბ ხანისათვის გადაეცა.

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისინი თბილისის ციხე-სიმაგრეში შევიდნენ. გადაწყდა, რომ ყორჩი ბაში, ვეზირი შახრუჰ ბეგი და ყორჩიების ინტენდანტი [მოსტოუფი] მირზა ხალილი ყოველდღე მიიყვანდნენ რა მისი უდიდებულესობის წინაშე გამარჯვების მომტანი ლაშქრისგან ხალხს, განიხილებოდა გარკვეული საკითხები, ვიდრე არ გადაკვეთდნენ მდინარე არაქსს. შემდეგ კი მისი უდიდებულესობა გაუშვებდა მათ, ხოლო თავად მაზანდარანში წავიდოდა განცხრომისათვის.

თანახმად ბრძანებისა, დაიწყო ლაშქრის დათვალიერება და ყოველდღე წარსდგებოდნენ ისინი მისი უდიდებულესობის წინაშე. როდესაც [შაჰი] თბილისის ციხე-სიმაგრეში შევიდა და ლუარსაბ ხანთან ერთად ამ ველაიათის საკითხზე ისაუბრა, განიხილეს რა მათ ქართლთან დაკავშირებული საკითხები, შეიკრიბნენ ქართლის დიდებულები და მისი უდიდებულესობის თანდასწრებით დაიფიცეს, რომ ლუარსაბ ხანის ნებას არ გადაუხვევდნენ.

თუმცა ლუარსაბ ხანს არ სურდა ქართლში გაჩერება, სირცხვილის თავიდან ასაცილებლად, განაცხადა, რომ ამ ზამთარს მისი უდიდებულესობის სამსახურში გაატარებდა. [თქვა,] თუკი ჩემი სირცხვილი და შეცდომები თავიდან ავიცილე, ქართლში მობრუნებაც ადვილი იქნებაო. მისი უდიდებულესობა არ დაყაბულდა მის სიტყვებს და ბრძანება გასცა, მოეწყოთ სამოთხის მსგავსი წვეულება, რომელზეც გულის ნადებს წითელი, მათრობელა ღვინით იქარვებდნენ.

და როდესაც ინდოეთიდან, ოსმალეთიდან, მაზანდარანიდან და მავერანაჰრიდან მოსული ელჩები მოვიდნენ, დიდებული წვეულებაც დაიწყო და განცხრომასა და სიამოვნებას მისცეს თავი. ამ სამოთხის მსგავს შეკრებაზე ლუარსაბ ხანი სამეფო ხალიჩაზე დასვეს, ხოლო ქართველებმა ხელმეორედ შეჰფიცეს რა მას მსახურება, ასევე, პატიება ითხოვეს მისგან ამბოხებულმა ქართველებმაც. ამ წვეულებაზე სარუხოჯამ იმ ღოლამის [ე.ი. იაყუბის] დასაჩუქრება ითხოვა, რომელმაც გაბედა რა, ლუარსაბ ხანს მისცა შესაძლებლობა მისი უდიდებულესობის ფერხთ მთხვევისა, გაუჩინა რა მას იმედი შაჰის გულისხმიერებისა, იმერეთიდან ჩამოიყვანა იგი [ლუარსაბ ხანი] [და] მისი [ღოლამის] ბედი მეფური გულუხვი ყურადღებით გასხივოსნდა რა, დღეიდან, როგორც იმსახურებდა, ისე მოეპყრობოდა მას ყველა.

ბრძანების თანახმად, მაჯლესნევისმა მირ აბულმალიმ შეადგინა რაყამი, რომლის თანახმადაც, უმაღლესი დივანის წარმომადგენლები [იქ მომსახურეები], დღეის შემდეგ ხოჯას, როგორც „ფედაი დუდემანს“ [ე.ი. დინასტიისთვის თავდადებულს] მოიხსენიებდნენ.

იმ ღამით იმხელა პატივი სცეს ლუარსაბ ხანს, იმხელა ყურადღებით განადიდეს, რომ მისი აფორიაქებული გონება დაცხრა. მირზა ჯანიმ, რომლის თახალოსი იყო აზათი, ლუარსაბ ხანის ჩამოსვლის ქრონოგრამას ყასიდა მიუძღვნა და მის უდიდებულესობას წარუდგინა:

სიმაიუნის [სიმონის] ნაღდის [შვილის] შვილი

მისი უდიდებულესობა შაჰის მოსვლის გამო შეშინებული გაიქცა,

მაგრამ როდესაც კვლავ იქნა შეწყალებული შაჰისგან, მობრუნდა,

რადგანაც ბრწყინვალების შესაძენად, მსგავსად მზისა, მთვარეც ამოდის ცაზე,

როდესაც ვეძებდი ამ თარიღს, გონებამ თქვა: *წასული მონა სასახლეში დაბრუნდა.*[103]

ამ ქრონოგრამამ მისი უდიდებულესობა იმდენად კარგ ხასიათზე დააყენა, რომ პატივისცემის ნიშნად მირზა ჯანის ერევნის ვეზირობა მისცა. სამი დღის შემდეგ კი დატოვა რა თბილისის ციხე-სიმაგრე, ღვთისგან დალოცვილი, ირანისკენ გაემგზავრა.

ლუარსაბ ხანის მისი უდიდებულესობის წინაშე მაზანდარანში ჩასვლა, ქართლის მმართველობის ბაგრატ მირზასთვის გადაცემა, ისა ხანის კახეთიდან დიდებულ სასახლეში მისვლა, მოსტაფა ხან ყაზაყლარის, ჩერქეზი ფარჰად ბეგ ყორჩის, სეფი ყული ბეგ ჩანგის მოკვლა, მისი უდიდებულესობის ერაყში წასვლა და სხვა ამბები

როდესაც მისმა უდიდებულესობამ ირანში წასვლა გადაწყვიტა, ლუარსაბ ხანმა არ მოისურვა ქართლში დარჩენა. მან თქვა, მაზანდარანისკენ გასეირნება და მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილის კარზე მსახურება მსურსო. მისმა უდიდებულესობამაც აღარ დააძალა რა, გადაწყვიტა, რომ ვიდრე ლუარსაბი დაბრუნდებოდა, ქართლში მისი შემცვლელი იქნებოდა ლუარსაბისვე ბიძაშვილი თეიმურაზ მირზა,[104] ვაფთან მირზას ძე. შემდეგ კი, ლუარსაბ ხანი რომ დაბრუნდება, იგი [თეიმურაზ მირზა] შაჰის კარისკენ გაემართება. ბაგრატ მირზამ, რომელიც მისი ბიძაშვილი იყო (და იყო იგი მისი უდიდებულესობის მონა და ჰქონდა პატივი ისლამის მიღებისა), თქვა, რომ თეიმურაზ მირზას დედა, იმერეთის მეფე გიორგის დაა და ზემოხსენებულიც, როდესაც იგი ლუარსაბ ხანს უფრთხოდა, მასთან იმალებოდაო. ღმერთმა არ ქნას, მისი უდიდებულესობის კარიდან დაბრუნებული თეიმურაზ ხანი „ამბოხების უდაბნოში დაიკარგოს“ და არეულობას ჩაუდგეს სათავეში! რადგანაც მისი [ბაგრატ მირზას] აზრი გონივრულად ჟღერდა, გადაწყდა, რომ ეს უკანასკნელი თბილისში დარჩებოდა, ხოლო თეიმურაზ მირზა კორტეჟში დარჩებოდა. თბილისი, ათას ხორასნელ მემშვილდისრესთან ერთად, მოჰამად სულთან მაჩექის ჩააბარეს. მოურავ ბეგი კი ბაგრატ მირზას სანდო პირად დანიშნეს. თავად [მისმა

[103] აბჯადის სისტემის მიხედვით, ამ ფრაზის („წასული მონა სასახლეში დაბრუნდა“/*Bande Rafte be be Dargah Amad*) ასონიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი გვაძლევს თარიღს, ჰიჯრის 1023 წელს.
[104] თეიმურაზ მუხრანბატონი, ვახტანგის ძე (გ. 1 ივლისი, 1625).

უდიდებულესობამ] კი ბედნიერად, ლუარსაბ ხანთან ერთად, გადალახა დებედა და ალგეთი, რომელიც საქართველოსა და ყარაბაღის საზღვარია.

კახელ აზნაურებს და ამბოხებულებს, ურჩებს რომ მისი უდიდებულესობის ქართლიდან დაბრუნების ამბავი მიუვიდათ, იმ ველაიათის მმართველმა ისა ხანმა რამდენიმე თავისი დიდებული ნათესავი მოკლა, რათა მის უდიდებულესობას ეჭვები გაქარწყლებოდა. ისა ხანს აუჯანყდნენ და ტყეებში დაიმალნენ. და რადგანაც ისა ხანი მათ ვერ უმკლავდებოდა, იძულებული გახდა, განჯაში წასულიყო დიდებული სასახლის ზღურბლზე მთხვევისთვის და იქ ეპოვა თავშესაფარი. მიუხედავად იმისა, რომ მისმა უდიდებულესობამ მას თავის სამფლობელოში დაბრუნება უბრძანა, უპასუხა, თუკი უბრძანებთ და ყიზილბაშებს გამომაყოლებთ, მაშინ კიდევ შესაძლოა ამ სამფლობელოს შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, აქ თქვენს მსახურებაში დავრჩებიო!

მის უდიდებულესობას არ მოეწონა ისა ხანის საქციელი და ნათესაობის ამოხოცვა, თუმცა არ აგრძნობინა, რისხვა არ დაანახა.[105] ქართველებმა კი ზაგემში არსებული მისი ქონება მიითვისეს და მათ, ვინც სიკვდილს გადაურჩნენ, დრო იხელთეს და ტყეებში მიიმალნენ. თუმცა კახელები მმართველის გარეშე დარჩნენ, მის უდიდებულესობას იქ ყიზილბაში დიდებული არ დაუნიშნავს.

ამ ამბების შემდეგ მისი უდიდებულესობა ბარდავში, მდინარე გორანის პირას დაბანაკდა. მან ქამრან ბეგ გილაქის, რომელიც ახალგაზრდებს შორის სიმამაცითა და ძლიერებით გამოირჩეოდა, ლუარსაბ ხანის თვალთვალი დაავალა. უბრძანა, ემოქმედა ისე, რომ ხანს ვერაფერი შეემჩნია და დღე და ღამე თვალი არ მოეშორებინა ამ უკანასკნელისთვის, იქნებოდა ის სახლში, კარში, სამეფო ყრილობაზე თუ ცხენზე ამხედრებული.

[105] ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ შესავალ ნაწილში.

მისი უდიდებულესობის ყარაბაღში ნადირობა, ისა ხანის სეფიანთა კარიდან დაბრუნება და კახეთის მმართველობაზე უარის თქმა, იქაურობის მმართველობის ბექთაშ სულთანისთვის გადაცემა

ას ორმოცდაათი შველი და მტაცებელი დახოცა მისმა უდიდებულესობამ მშვილდ-ისრითა და ხმლით. შემდეგ კი კარვიდან განაგრძო მშვილდ-ისრით. ამასობაში, კახეთის ვალ ისა ხანს, რომელსაც სეფიანთა კარზე შეეფარებინა თავი, მოინანია რა თავისი ცოდვები, თაყვანისცემის პატივი ერგო. მისმა უდიდებულესობამ აპატია მას და უბრძანა, რომ, რადგანაც მშვილდ-ისრის გამოყენება მას [ისა ხანს] საუკეთესოდ გამოსდის, ლომი და მარტორქა დახოცოს. და მისცა მას მოოჭვილუნაგირიანი ცხენი. ნადირობის შემდეგ, როდესაც უამრავი ნანადირევი დარჩა, მისმა უდიდებულესობამ მონადირეების წესებთან დაკავშირებით ასეთი რამ ბრძანა: თუკი ვინმე ნანადირევს მიითვისებს, დაისჯებაო! მიუხედავად იმისა, რომ გარეულ ცხოველებს რამდენიმე დღე არც წყალი ენახათ და არც ბალახი და უმეტესობა დაჭრილი იყო, მზისგან თავის დასაცავად თავშესაფარს ურდოს კარვებში ეძებდნენ და ხალხი მათ ჯოხებით დევნიდა გარეთ.

ნადირობის შემდეგ ყარაბაღის სულთნებმა, მოჰამად ხან ბეგლარბეგმა, შარიფ ბეგმა, განჯის ვეზირმა, ამ სტრიქონების ავტორმა, რომელსაც ჰქონდა პატივი, ემსახურა ბარდავის ვეზირად, მელიქ საფარ ქალანთართან ერთად გადავკვეთეთ რა მდინარე არაქსი, უხვად დაგვასაჩუქრეს დიდებული ხალათებით, ჩვენ მიმართ ყურადღება გამოიჩინეს, გაგვათავისუფლეს და გვიბრძანეს, დავბრუნებულიყავით საქართველოში, ისა ხანთან.

ზემოხსენებული დათანხმდა, რომ, თუკი მისი უდიდებულესობა ყიზილბაშს დანიშნავდა, არც თავად მიენდობოდა იმ ქართველებს, რომლებმაც მას მამა-პაპა და ბიძა მოუკლეს. მან ასევე თქვა, რომ მისი უდიდებულესობის სამსახურში დგომას გააგრძელებდა.

მისმა უდიდებულესობამ მოჰამად ხანის მამაცი, ყოველგვარი სიკეთით შემკული შვილი ბექთაშ ბეგი კახეთის მმართველად დანიშნა. ის იყო საქართველოს ვალის, ალექსანდრე ხანის დისშვილი. ხოლო მისი და, თანახმად ბრძანებისა, ცოლად ჰყავდა კონსტანტინე ხანს და ამიტომაც ქართველ დიდგვაროვანთა დიდი ნაწილი მას [ბექთაშ ბეგს] იცნობდა. მამამისის თავხედური და ფარისევლური საქციელის გამო, როგორც უკვე ითქვა „აფზალ ალ თავარიხის“ პირველ წიგნში, ის [ბექთაშ ბეგი], შაჰის მსახურთა რიგებს არ მიეკუთვნებოდა. თუმცა, თავისი სურვილით [მაინც] უმაღლეს ურდოში იმყოფებოდა და ასრულებდა ყოველივეს, რასაც საჭიროება მოითხოვდა. უხმო რა მას [მისმა უდიდებულესობამ] გორის ციხის მისადგომებთან, მეფური

გულისხმიერება აჩვენა. მას საქართველოში ჩასვლა, მმართველობა და გორის ციხის დაცვა დაევალა.

ზემოხსენებულმა ექსპრომტად ეს რობაი მოახსენა:

„ჰოი, ქვეყნიერების მბრძანებელო, დაუცხრომელი ცარგვალის წინაშე,

მოვიდა ის დრო, ითქვას, რაც ხდება!

ცხოვრებამ ქარივით გაიქროლა და მე კი კვლავ: არც ყორჩია, არც აღა, არც ბეგი!

მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, სულთანო, რაზედაც შენ ჩივი, მართალი არა ხარ! შენ საუკეთესოდ იმსახურე! მამაშენის საქციელის გამო იყო, რომ დაისაჯე! და მე ვერ ვიგებ ამ ლექსს, თუ რამეა, ახსენი, [თუ არადა,] წადი საქართველოში და გორის ციხის დაცვას შეუდექი!

ბექთაშ სულთანმა კვლავ ექსპრომტად მოახსენა:

ვაი, რომ დამთვრალხარ და ვერ იზამ ამას,

ჩემი დარდის წამალი კი იცი, მაგრამ არ შველი,

ამ მხარეში ხომ „გულის გრძნობების მცოდნეთა შორის შენ ხარ სრულყოფილი“,

თუმცა, ჩემს გაჭირვებას გაჩვენებ და „გულის გრძნობების“ აღარ გაგეგება რა!

მიუხედავად იმისა, რომ ის უარს ამბობდა საქართველოში წასვლასა და ციხის დაცვაზე, მისი უდიდებულესობა ამას არ ყაბულდებოდა. გადაწყვიტეს, რამდენიმე თორქმანი ყორჩია გაეყოლებინათ, რადგან მათ წინა თვეში ისედაც დაევალათ საქართველოში, კახეთში შესვლა და ციხე-სიმაგრეში გამაგრება. ბექთაშ სულთანიც, ვეღარ წავიდა რა მისი უდიდებულესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, დანიშნეს რა ის მმართველად, ჯაფარ ბეგ ყორჩიასა და რამდენიმე თურქმან ყორჩიასთან ერთად, გაემართა საქართველოსკენ. თურქმან ყორჩიათა იუზბაშობა [ასმეთაურობა], რომელიც მანამდე ბექთაშ სულთნის ბიძაშვილს, მოჰამად ბეგს ეჭირა, მის შვილს, მოჰამად ბეგს გადასცა [მისმა უდიდებულესობამ] და გულისხმიერება აჩვენა მას.

და ყველა ის მემშვილდისრე თუ მეომარი, რომელიც ხორნაბუჯის ციხეში, ალავერდის ეკლესიაში თუ საქართველოს გამაგრებულ ციხეში ჩაეყენებინათ, უნდა დამორჩილებოდა სულთან ბექთაშს და არ გადასულიყო მის ნებას. ზემოხსენებული დიდი პატივით იმ მხარეში გაუშვეს. ისა ხანი კი ჯერ თან გაიყოლა [მისმა უდიდებულესობამ], შემდეგ კი ხოსრო სულთანთან გაუშვა სტუმრად.

რადგანაც ისა ხანს არ სურდა საქართველოში წასვლა, ხოლო ბექთაშ ბეგს ენდობოდა მისი უდიდებულესობა, მან ისმაილ ბეგ ყორჩიბაში ზულფაყარ ხანი ციხე-სიმაგრეში დატოვა რა, [მას და] თურქმან ყორჩიათა ასისთავს, რომელიც მისი ბიძაშვილი იყო, ისევე, როგორც მოჰამად ბეგი, შირვანის თიული მისცა და იუზბაშთა რიგებს მიაკუთვნა.

კურდღლის წელი, ჰიჯრის 1024 წელი (ქრ.წ. 1615/16) მისი უდიდებულესობა შაჰის მეფობის 29-ე წელი

აზერბაიჯანის ურმიის ციხის აღების ამბის გაგება, დავუდ ბეგ გორჯის მიერ ბექთაშ სულთნის მოკვლა, ქართველების ამბოხი, დელუ- მელიქ შირვანელის ღალატი

.....
.....

მოვიდა ამბავი იმის შესახებ, რომ მას მერე, რაც ისა ხანმა დატოვა თანამდებობა, მისმა უდიდებულესობამ კახეთის მმართველად ბექთაშ სულთანი დასვა, დაავალა მას ზაგემისა და კახეთის სხვა მხარეების მართვა და ჩააბარა მეისრეები და ყორჩიები, რათა შენარჩუნებულიყო სიმშვიდე. და დღიდან მისი დანიშვნისა აქამდე აგრძელებდა ის ამ მხარის მართვას და ცდილობდა, მოეპოვებინა იქ მცხოვრებლების ნდობა. ტყეში გახიზნული ხალხი უკან, კახეთში დააბრუნა.

ამასობაში, დიდების მქონე სულთნის ყურამდე ამ მხარეში წამოწყებული ავი განზრახვის მქონე ქორდთა ამბოხების ამბავმა მოაღწია. ამ ამბოხების წამქეზებელი კი იყო თეიმურაზ ხანი. ორივე მხარის სასიკეთოდ, იმისათვის, რომ ყოფილიყო მშვიდობა და არა ჯანყი, მოკლა რა [სულთანმა] დიდი ვეზირი ნასუჰ ფაშა, სარდლად მუჰამად ფაშა ოქუზი დანიშნა, განსაზღვრა რა, რომ ყასემ ბეგის მოსვლამდე აზერბაიჯანში უნდა ჩასულიყვნენ.

ვაქილმა დავუდ ბეგმა, რომელსაც მისი უდიდებულესობა საქართველოს საქმეების მართვას ანდობდა, ბექთაშ ბეგის მოკვლა გადაწყვიტა. შეიპყრო ეს განსხვავებული, განსაკუთრებული, ახალგაზრდა, რომლის დედაც ალექსანდრე ხანის და იყო, და ასევე დახოცა მასთან მყოფი თურქმანები. ზემოხსენებული ტომარაში ჩააგდეს, ტომარას თავი მაგრად მოუკრეს და ასე დააგდეს გზაზე. გზაზე გამვლელი ქართველები, მისი მტრები რომ იყვნენ, ტომარას წიხლებს ურტყამდნენ, ღამე კი

წამოიღეს ეს ტომარა და ყველას აჩვენეს საჯაროდ, რათა გაკვეთილი ყოფილიყო სხვებისთვის.

რამდენიმე დღეში მისი უიღბლობის გამო ამგვარ დღეში ჩავარდნილმა, წარმოთქვა რა მასიბ ხან თექელუს შესაფერისი რობაი და ეს ქვეყანა დატოვა, გარდაიცვალა. ზემოხსენებულის სიკვდილის შემდეგ მის ქონებას დაეპატრონნენ. და კაცი გაგზავნეს თეიმურაზ ხანთან, რათა საქართველოში ჩამოსულიყო.

ალი ყული ხანისა და თეიმურაზ ხანის შეტაკება და ალი ყული ხანის ლაშქრის დამარცხება, განჯაში გამოზამთრება და ამ დიდი მარცხის დროს მოჰამად ხან ზიად ოღლის, მირზა ჰოსეინ სულთან სოლმასის, ჰოსეინ ხან ქუჰდამისა და დანარჩენი ღოლამების სიკვდილი

მას მერე, რაც, დიდებული ბრძანების თანახმად, განჯის ციხე დაინგრა და აღარ დარჩა იმ ადგილას კეთილდღეობის კვალი, ალი ყული ხანი, ყიზილბაშ ლაშქართან ერთად ურჯულო ქართველების დასასჯელად გაემართა. ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ თეიმურაზ ხანი, დავუდ ხანის აჯანყების შემდეგ, საქართველოში ჩამოსულა და ყველა ქართველი მის ირგვლივ შემოკრებილა, მზადაა საბრძოლველად.

განჯაში რომ შევიდა, იქ ფეიქარ სულთანი, ყარაბაღის ამირები, რომლებიც თბილისში არ წასულიყვნენ, ბეგლარბეგთან ერთად შეხვდნენ მას და როგორც საჭირო იყო, ისე მოემსახურნენ. ზემოხსენებული ორი-სამი დღე განჯაში დაყოვნდა, დარწმუნდა და დამშვიდდა რა ლაშქრის რაოდენობის შესახებ, საქართველოსკენ დაიძრა. გადაკვეთეს დებედა და ქართლში შევიდნენ. ისმაილ ბეგმა, მინბაში არაბგერლუს ძმა, ესფანდიარ ბეგი, ათას თოფანგჩისთან ერთად, რომლებიც ნურქაჯურიდან იყვნენ, თბილისის ციხეში დატოვა. ყარაბაღის ბეგლარბეგ მოჰამად ხან ყაჯარს კი ამირებთან ერთად ყოფნა დაევალა. თბილისის ველაიათს რომ გასცდა, ქართლისა და კახეთის საზღვარ მდინარე არაგვთან და ქართველების მექასთან მივიდა.

სულთნები და ხანები თეიმურაზს დიდ საფრთხედ არ მიიჩნევდნენ. ამიტომაც ჩარხჩიების ლაშქრის წინამძღოლმა ბეგლარბეგებმა (მისი უდიდებულესობის ლაშქარში რომ იყვნენ) სუფთა ღვინის სმა და დროსტარება წამოიწყეს და განცხრომას მიეცნენ. და იქამდე არც კი დაუშვიათ, რომ თეიმურაზს, შესაძლოა, ჰქონოდა

გამარჯვების მომტანი უძლეველი ლაშქრის წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ვიდრე ერთ ღამეს, როდესაც ფეიქარ სულთნისა და ყარაბაღის სულთნების ყარაულობის ჯერი არ დადგა. თავად სულთანი საყარაულოდ არ წასულა, თავის ნაცვლად ამ საქმისთვის თავისივე თანხმლები პირები გააგზავნა. ამ სტრიქონების ავტორს კი მის ბიძაშვილთან, დივანბეგ[106] მოჰამად ამინ ბეგთან ერთად, ლაშქრის ორგანიზება და ყარაულობა დაევალა.

საგუშაგოსთან რომ მივედით, აღმოჩნდა, რომ ქართველებს, უკანა მხრიდან, მაღლობზე, თავისი და ხანების ლაშქრებს შორის, ჯარი განეთავსებინათ და ბრძოლის დასაწყებად მომზადებულიყვნენ. უმეტესობამ ფეიქარ სულთნის მსახურთაგან ქართული ენა იცოდა და ქართველთა ტრადიციების შესახებაც გაეგებოდა. [ამიტომაც] 18 მამაცი და მოხერხებული კაცი გავგზავნეთ, რათა ქართველთა ბანაკიდან რამე ამბავი მოეტანათ. მათ გადაიცვეს, შევიდნენ ქართველების ბანაკში და შეიტყვეს, რომ ქართველებს 12 000 მხედარი და 8 000 ქვეითი ჰყავთ, რომელთაც თავები თავიანთი დროის ლომებად მოაქვთ. ცხენების, საომარი აღჭურვილობის, ღვინის ტიკისა და 5-6 ტკბილი ხმიადის მეტი არაფერი აბადიათ. მთელ ბანაკში 12 კარავიც კი არ იყო. შეიტყეს რა ეს, დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში. მოჰამედ ამინ ბეგი, რომელიც გამოცდილი მეომარი იყო, მათ სიტყვებს არ ენდო. გადაიცვა და თავად წავიდა ქართველების ბანაკის სანახავად, სადაც 5,6 კაცი კოცონს მისხდომოდა, სვამდნენ სუფთა ღვინოს და ღორის მწვადებს შეექცეოდნენ. თითოეულ მათგანს თითო სულთნის სახლი დაეკავებინა და თავიანთ სიმამაცესა და მოხერხებულობას წარმოაჩენდნენ. ნახა რა ეს ბანაკი, შეიტყო მათი მიზნების შესახებ და თავის ბანაკში დაბრუნდა.

დილით, როდესაც ალი ყული ხანი, ღვინით შეზარხოშებული, ესფანდიარ ბეგთან, მოჰამად ხანთან, მოჰამად სულთანთან და დანარჩენ სულთნებთან ერთად არაგვის [*ყარაყალხანი*] ხეობის ჰაქიმის ერისთავ არესთუ ბეგის ვაჟის, ბაინდარის კარავში იყო, [მას] ლაშქარზე ნამდვილად არ უფიქრია. ისეთმა გარყვნილებამ და აღვირახსნილობამ იჩინა თავი მათ ბანაკში და იმ ზომამდე, რომ ათი კაციც კი არ მოიძებნებოდა მათ შორის, რომლებიც თავიანთ საქციელზე და ცოდვებზე დაფიქრდებოდა. სამყაროს ვერ აეტანა მათი ამგვარი უზნეობა.

ამ სიტყვების ავტორი და ფეიქარ ხანის რამდენიმე მსახური მათთან მივედით, რათა ამბავი გვეთქვა. რამდენიმე სულთანმა და ხანმა კი არ დაუჯერა მათ სიტყვებს. ფეიქარ სულთანმა თქვა, რომ თავის ჯარისკაცებს ენდობოდა და რომ ისინი არ

[106] დივანბეგი- (არაბ.-თურქ) უმაღლესი სამოქალაქო მოსამართლე.

მოიტყუებიან. ალი ყული ხანმა კი ფეიქარს დაავალა, თავად წასულიყო და გაერკვია, მართლა მოაღწიეს თუ არა იმათ. ზემოხსენებული რამდენიმე კაცთან ერთად ქართველებთან შესახვედრად გაემართა. ამასობაში ქართველებიც მოემზადნენ და საბრძოლველად დადგნენ. ფეიქარ სულთანმა ლაშქარი რომ ნახა და დარწმუნდა, რომ ქართველები მოვიდნენ, ერთ-ერთი დიდებული ქართველი დააკავა დასაკითხად და თავისიანების ნათქვამის სიმართლეში დარწმუნდა. სულთნებმა და ხანებმა ვერ მოასწრეს ლაშქრის მომზადება და სასწრაფოდ მოუყარეს თავი ძლიერ მეომრებს. მოჰამად სულთანმა, მორთეზა ყული ხან თალეშიმ და ფეიქარ სულთანმა, ასევე, ალი ყული სულთან ესფერლუმ და ჩარხჩი მასუდ სულთანმა, თავიანთ ლაშქართან ერთად ურჯულო ქართველებს გზა გადაუკეტეს. ქართველებთან ერთად, ქვეითად, თეიმურაზ ხანი იბრძოდა. იგი დაუდ ბეგ ვაქილთან, თაჰმაზბ ყული ჩარხჩისთან და 25 000 მთვრალ მხედართან და ქვეითთან ერთად თავს დაესხა ყიზილბაშების ბანაკს და გაჩაღდა ბრძოლა.

ეს ორი მხარე იქამდე იბრძოდა, სანამ განიერ, წყლით სავსე ღრმა თხრილს არ მიადგნენ, რომელიც სიღრმით დაახლოებით 20 ზერაი და სიგრძით კი ერთი ფარსახი იქნებოდა. მოჰამად სულთანმა და მორთეზა ყოლი ბეგმა კაცი გაგზავნეს ალი ყული ხანთან და ესფანდიარ ბეგთან და მოახსენეს, მიუხედავად ამ თხრილისა, მისი უდიდებულესობის შეწევნით, გადავედით ამ თხრილზე და ვიდრე ძალ-ღონე გვეყოფა, უკან დახევას არ ვაპირებთო. ხანმა არ გადაუშვა თხრილს იქით ჯარი, ისე განალაგა, რომ, თუკი ქართველების ლაშქარი ყიზილბაშებზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდება, მაშინ დახმარებას გაუგზავნიან [ყიზილბაშებს], რათა ღვთის შეწევნითა და მისი უდიდებულესობა შაჰის წყალობით, მიწასთან გაასწორონ ქართველები, ხოლო თეიმურაზი დასაჯონ უმადურობისთვის. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის. ბრძოლის ყიჟინასა და შეტაკებებს მოეცვა იქაურობა. ყიზილბაშთა „ალაჰ-ალაჰის“ მოწოდებას ცა და დედამიწა შეეზანზარებინა და სამყაროს ანგელოზები დაეფრთხო. ახალგაზრდების სისხლით შეღებილი ბრძოლის ველი ქერბალას მოგაგონებდათ. ალი ყული ხანი რომ იმ თხრილს მიუახლოვდა და თავისი ახალგაზრდა ჩარხჩიების ამგვარი სიმამაცე იხილა, თავისი ლაშქრის მრავალრიცხოვნების, რომელიც დაახლოებით 80 000 კაცს ითვლიდა, იმედად, და, ასევე, იმის იმედად, რომ იმ ლაშქარში შაჰის ერთგული მსახურები, ხანები, სულთნები, და ბრძენი ადამიანები იყრიდნენ თავს, თავდაჯერებულობა შეემატა. თუმცა, ისეთი გამოცდილი მეომრები, როგორებიც იყვნენ, განსაკუთრებით აღსანიშნი ღვთისნიერი და პატიოსანი ჰუსეინ ხან ბეგ შანდაყი არაბგერლუ, აწგარდაცვლილი შაჰის დროიდან მოყოლებული, დღემდე რომ სიმამაცესა და ვაჟკაცობას ავლენს და, ასევე, ამ უკანასკნელის ბიძაშვილი ესფანდიარ ბეგი, მას [ალი

ყული ხანს] არ ურჩევდნენ ამ თხრილს იქით ჯარის გადაყვანას, ეუბნებოდნენ, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანდა. თითოეულ ხანს, იუზბაშსა და სულთანს ჩარხჩიების დასახმარებლად თხრილის გადალახვა უბრძანეს.

ალი ყული ხანმა თავისიანების რჩევები ყურად არ იღო, ამპარტავნებას აჰყვა, თეიმურაზი ღირსეულ მოწინააღმდეგედ არ ჩათვალა და მოუმზადებელი ლაშქრით გადაჭრა [ის] თხრილი. ქართველები კარგად იცნობდნენ რა იმ ადგილებს, დარწმუნებულები იმაში, რომ ალი ყული ხანმა გადმოკვეთა თხრილი, ღმერთს მიენდვნენ და უეცრად, თუ ცხენოსნები და თუ ქვეითები, როგორც მათ სჩვევიათ (გაფანტულად არასდროს იბრძვიან), ისე დაერივნენ ყიზილბაშებს, ისე ძლიერად შეუტიეს, რომ მიწასთან გაასწორეს. მოჰამედ სულთან ცარხჩი ბაშიმ, მორთეზა ყული ხანმა, ფეიქარ ხანმა და მათმა ახლობლებმა რომ ეს ვითარება ნახეს, ყველა ღონე იხმარეს, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ. თუმცა, გადათანგულებმა 25 000 ქართველი ურჯულოს თავდასხმა ვერ აიტანეს და, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მოწინააღმდეგე წინ არ გაეშვათ, თავად წინ მაინც ვერ წაიწიეს. ქართველებმა გამარჯვების ნიშნად ჩათვალეს ის, რომ ჩარხჩიებს გზა მოუჭრეს და ამით შეგულიანებულებმა ერთბაშად შეუტიეს ყიზილბაშების რაზმს. მიუხედავად სულთანი ხოსრო მირზა ფაზუქის, ისააკ სულთან სუფის, ჰაიდარ სულთან რუმლუსა და სხვა მეთაურების შებრძოლებისა, ქართველებმა ძალიან უცბად შეუტიეს ძირითად რაზმს.

[და] რადგანაც ყველა ხალხს გააჩნიათ ღვთიური მადლი, გამარჯვება და წარმატება საქართველოს მხარეს აღმოჩნდა. გამარჯვების ქარმა ტახის სიმბოლოთი გამოხატული მათი დროშები ააფრიალა. ყიზილბაშების ლაშქარმა კი, რომელიც თავისი მეთაურის უსამართლობით, მუდმივი სიმთვრალით და უგუნური ქმედებებით დაზარალებულიყო, მარცხი იგემა და დაკნინებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ბა'და ხარაბ ალ-ბასრათის“ (ბასრის განადგურების შემდეგ)[107] ძალიან შეეცადნენ ალი ყული ხანი და ესფანდიარ ბეგი თავდაცვას, მაგრამ არ გამოუვიდათ და სადავეები შეატრიალეს. თეიმურაზ ხანი და ქართველების ლაშქარი დიდებულ ურდოში შევიდნენ და მისი ძარცვა-რბევა დაიწყეს. მოჰამად ხან ზიადოღლი ყაჯარი და ჰოსეინ ხან ქუჰდემი ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ სამოცდაათწლიანი საბრძოლო მოღვაწეობის შემდეგ მტერს ზურგი შეაქციეს, მათი მეთაური დამარცხდა და ასეთი სირცხვილი იგემეს. და რამდენიმე მაღალჩინოსანთან და მეთაურთან ერთად, – ესენი იყვნენ: ფანაჰ მირზა ჰოსეინი, ჰოსეინ სოლმასი, ჰოსეინ ხან ბეგ იუზბაში არაბგარლუ,

[107]ეს ფრაზა სპარსულ და არაბულ ლიტერატურაში დიდი კატასტროფის, გამოუვალი მდგომარეობის აღმნიშვნელია.

შაჰქერამ ბეგ ურიადის ძმა თაჰმასბ ყული იუზბაში ღარიბლარი, ბეჰბუდ აღა თოხმაყ ხანის შვილი ემამყული ბეგი, ვალი ბეგ ქენგერლუ და სხვა მამაცი ახალგაზრდები, – შეებნენ მათ [ქართველებს]. ქართველებმა გატეხეს მათი ქვეითი ჯარიც და ჩარხჩიებიც და სულთნების სახლებშიც შევიდნენ. ქვეითმა ჯარმა მუჰამედ ხანისა და მისი მხლებლების მიშველება ვერ შეძლო და, ვინაიდან ქართველები არათუ ორჯერ, არამედ ამაზე მეტნიც იყვნენ, დახოცეს ისინი.

საბოლოოდ, ქართველებმა ზიზღის ხმალი აღმართეს რა, გაიმარჯვეს და ყიზილბაშებს მოწამეობრივი (შაჰიდობის) შარბათი აგემეს. მუჰამად ხანის რამდენიმე მეგობარი მათი მფარველების გზას გაუყენეს და მოკლეს, ხოლო ის, ვინც გადარჩა, ლაშქრისა და სარდლის საძებნელად წავიდა.

მორთეზა ყული ხანმა, ფეიქარ სულთანმა, ალაჰყოლი სულთანმა, თიმურდაშ სულთანმა და დანარჩენებმა, რომლებიც უკან იდგნენ, ხმლებს ხელი სტაცეს და ქართველების ლაშქარს შეუტიეს. დაახლოებით ორი ათასი ქვეითი ქართველი მოკლეს, რამდენიმე კაცი მათგანაც მოკვდა. დანარჩენები კი, ვინც ამ საშინელ სისხლისღვრას გადაურჩა, თბილისის ციხისკენ წავიდნენ.

თავდაჯერებული ქართველები ყიზილბაშების ბანაკში შევიდნენ და სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ალი ყული ხანი და დანარჩენი სულთნები თბილისის ციხისკენ წავიდნენ. აწ გარდაცვლილი მუჰამედ ხან ყაჯარის შვილი მორშიდ ყული ბეგი, მამამისის ნაცვლად, განჯის ბეგლარბეგად და ყაჯართა ტომის ჰაქიმად დანიშნეს და უბრძანეს, შემოეკრიბა ერთგული ხალხი (როგორც ეს მამამისს სჩვეოდა) და თბილისის ციხე-სიმაგრეში შესულიყო. ისმაილ ბეგ მინბაში, ბრძანების თანახმად, ზემოხსენებულთან ერთად ციხის დაცვას შეუდგა. რამდენიმე სულთანი, ღოლამი და ყორჩია კი თავიანთ სახლებში გაუშვეს, გაათავისუფლეს, რათა ზამთრისთვის მომზადებულიყვნენ და განჯაში დაბრუნებულიყვნენ. მურშიდ ყული ბეგი და ყაჯართა ტომის მეთაური სარუ თაყი, გულიხმიერებით დაიმედებულნი, პატივით შევიდნენ თბილისის ციხეში. ხალილ სულთან რურღოლის, მოჰამედ სულთან შამს ად-დინლუს, შემსი ხან ყაზაყლარს და ნურადინ სულთან ფაიდარს, რომელთა სახლებიც განჯასა და საქართველოს შორის მდებარეობდა, შინ გამოზამთრება და ქართველთა გადაადგილების დაკვირვება დაევალათ.

მიუხედავად ყველა უბედურებისა, ისინი [ყიზილბაშები] გამოსაზამთრებლად დანგრეულ განჯაში შევიდნენ და მისი უდიდებულესობისგან ელოდნენ ბრძანებას, რათა ემოქმედათ ამის მიხედვით. ფეიქარ სულთანმა კი ამ სტრიქონების ავტორი ბარდაში გააგზავნა, რათა, რაც კი რამ საჭირო იყო, იქნებოდა ეს ნოხები, საგზალი თუ სხვა ნივთები, აეღო და განჯაში ალი ყული ხანისთვის, ესფანდიარ ბეგისთვის, მირზა

ებრაჰიმისთვის (სარუხოჯას ძმა) და დანარჩენი ხანებისა და ამ უკანასკნელთა ახლობლებისა და თანმხლებლებისთვის, რომლებიც ასე მოუმზადებლად და გაფანტულად უეცრად წავიდნენ ამ ადგილას გამოსაზამთრებლად, გაეგზავნა. მალე თვითონაც [ფეიქარ სულთანი] ჩავიდა ბარდაში, შეძლებისდაგვარად, მოუყარა თავი ჯარს, რაც კი რამ საჭიროება იყო, გააგზავნა იმათთან, ვისაც ეს ესაჭიროებოდა და განჯაში დაბრუნდა გამოსაზამთრებლად. ამ სტრიქონების ავტორს ყოველდღიური მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული. ის, ბრძანების თანახმად, შეძლებული ტომებისგან აგროვებდა ყველაფერს, რისი საჭიროებაც იყო. ამიტომაც ბანაკს არაფერი არ აკლდა.

მისი უდიდებულესობა შაჰის წყალობით, ერთი თვის შემდეგ მათი ყველა დარდი გაქრა. ახლა მთავარი იყო ის, რომ შაჰი მშვიდობით, იღბლიანად ჩამობრძანებულიყო, რათა შური ეძია და დაესაჯა ქართველები. ამიტომ ისინი მოუთმენლად ელოდნენ ამბავს.

ვეშაპის წელი, ჰიჯრის 1025 წელი (ქრ.წ. 1616/17) მისი უდიდებულესობის მეფობის 30-ე წელი

მისი უდიდებულესობის ქართველების დასჯის მიზნით ყარაბაღისკენ წასვლა და ფეიქარ სულთნის ქართველების დასასჯელად საქართველოში გაგზავნა

გაზაფხულის დასრულების, ქართველების ნადირობისა და სეირნობის შემდეგ აზერბაიჯანში შესვლა და ქართველების დასჯა გადაწყდა. ლუარსაბ ხანი გორგანისა და ესფაჰანის ბეგლარბეგ ფარიდუნ ხანთან, ხოლო ალი ყული ხანი ხორასანისა და სემნანის მმართველთან, ხოსროვ სულთანთან გაუშვეს და თავიანთი მხარეების დაცვა დაავალეს. შევიდნენ რა ყაზვინში, მეფური პატივისცემით მიიღეს ქალანთარი, დარუღა და დანარჩენი ხალხი. იქ ოცი დღე დაჰყვეს. თავი მოუყარეს რა ლაშქარს ერაყიდან, ხორასნიდან, დაღესტნიდან, გორგანიდან და ქერმანიდან, ხალხალისკენ გაემგზავრნენ. სულთან საადლუს, რომელიც აწგარდაცვლილი უფლისწულ სეფი მირზას აღმზრდელი იყო, ემირობა მისცეს. არსებარის რეგიონი და საადლუს ტომი ჩააბარეს და დაავალეს, რომ თავის პროვინციაში დაბრუნებულიყო. მას, ასევე, ლაშქრის შეკრება და სასიხარულო ამბის, ანუ გაუბედურებული აზერბაიჯანლებისთვის შაჰის ჩამობრძანების, შეტყობინება დაევალა.

უფლისწულის მკვლელი ჩერქეზი ბეჰბუდ ბეგი იუზბაშთა რიგებში მიიღეს, 40 თუმანი გასამრჯელო დაუნიშნეს და ყაზვინში მიწა მისცეს. აზერბაიჯანის მმართველებს ხელახლა გაეგზავნათ ჰოქმები, რომელთა თანახმადაც, მათ ლაშქარი უნდა შეეკრიბათ და მის უდიდებულესობა ღვთის ჩრდილს დალოდებოდნენ. სვებედნიერად შევიდნენ რა აზერბაიჯანის მიწაზე, ამ მხარეს თავიანთი ზეციური ცხენების ფლოქვების წყალობით ახალი ფერები შეჰმატეს. აზერბაიჯანის ვეზირის, ხოჯა მოჰამად რეზას ძმა ებრაჰიმ ბეგი, წმინდა აკლდამის მცველ შარიფ ბეგთან და ქალაქის თავ ალიყული სულთან ესფერლუსთან, ასევე, ქალანთარებთან, მთავარსარდლებთან და მისი უდიდებულესობის ერთგულ მსახურებთან ერთად, ასევე, წმინდა სალოცავის, ტაძრის მსახურებთან ერთად, მისი უდიდებულესობის თაოსნობით, საზეიმო მსვლელობას შეუერთდნენ. მათ მისი ცხენების წმინდა ფლოქვების მტვერი თუთიად[108] მიიღეს და მისი ფერხთა მთხვევით განდიდებულიყვნენ. დიდებულ ბანაკს დღითიდღე გამარჯვების მომტანი ახალი ლაშქარი უერთდებოდა. „მიწიერ საზღვრებს გაცდენილი“ მისი უდიდებულესობა მივიდა რა წმინდა ადგილზე, თავისი დიდებული წინაპრის წმინდა აკლდამის მოლოცვის პატივი ერგო. პატივი მიაგო იქაურობას და ლოცვა აღავლინა. გამარჯვებას და გასული წლის უბედობის გამოსწორებას ევედრებოდა ერთგული თანამოაზრეების საკეთილდღეოდ. ამ მხარის მცხოვრებლებს, უქონლებს, ბრძენებს მიაგო რა პატივი, მდინარე არაქსის ნაპირისკენ დაიძრა. ყარაბაღის ბეგლარბეგ მორშედ ხან ზიად ოღლი ყაჯარს და მაზანდარანის თოფანგჩიების მთავარსარდალ ესმაილ ბეგ არაბგერლუს, რომლებიც თბილისის ციხეში იმყოფებოდნენ, რაყამები გაუგზავნა და გულისხმიერება გამოიჩინა მათ მიმართ. სარუთაყის, ესფაჰანელ ვეზირ ხანს ლაშქრის შეკრება და ციხესიმაგრის მოწესრიგება დაავალა რა, თავად დიდებულ ბანაკში მივიდა. სარუთაყის, ასევე, ხორბლის და სურსათის ყარაბაღიდან ჩამოტანა დაევალა.

ბარდავის მმართველმა ფეიქარ სულთან იგრიმი დორთმა რომ მისი უდიდებულესობის ყაზვინიდან წამოსვლის ამბავი შეიტყო, შეგულიანდა, მუჰამედ ჰუსეინ სულთნის და ზულყადარის ხალხის გამო შურისძიების მიზნით, ყოველ კვირა კვეთდა რა მდინარე მტკვარს, შირვანელებს ესხმოდა თავს, ძარცვავდნენ და არბევდნენ, რამაც შირვანელები დაასუსტა. მდინარე არაქსის პირას დიდებული კარვები გაშალეს, ხოლო ამ სტრიქონების ავტორი, ფეიქარ სულთანმა დიდებულ ბანაკში გამიშვა, რათა ყველაფერი მომეწესრიგებინა, იქნებოდა ეს საჭმელი თუ სასმელი, მისი უდიდებულესობისა და მისი ვარსკვლავების სადარი ლაშქრისა და ანგელოსთა სადარი ერთგული მსახურების ჩამობრძანებისათვის. თქვენს მონა

[108] თვალის სამკურნალო მალამო.

მორჩილსაც ერგო პატივი იმისა, რომ მისი უდიდებულესობის წინაშე ქედი მოეხარა და ფეიქარ სულთნის მოწიწება გადაეცა ქვეყნიერების მფლობელისთვის. მისმა უდიდებულესობამ იკითხა: „სად არის პირშავი დელუ მოლქი?“ მსახურმა უპასუხა, რომ ის უვიცობის მფარველ მელიქ მაჰმუდთან ერთად შირვანის ციხე ხაჩმაზშია, სადაც ასევე შირვანის გლეხები და ტომთა წარმომადგენლებიც შემოიკრიბეს. ქართველების წარმომადგენელი დავუდ ბეგი კი, რომელმაც მოკლა ბექთაშ ბეგი, ალი ყული ხანის დამარცხების შემდეგ ისე დაცულად გრძნობდა თავს, რომ ქალაქი ზაგემის დაცვას შეუდგა. ამ ქალაქში, მას მერე, რაც ის დიდებულმა მთავარსარდალმა თემურ გურაგანმა [თემურ ლენგმა] დაარბია, არცერთ უცხოტომელს არ დაუდგამს ფეხი. თეიმურაზ ხანი კი აღარ შეყოვნდა საქართველოში და ოსმალეთში წავიდა, რათა იქიდან ლაშქარი აზერბაიჯანში წამოეყვანა. მისმა უდიდებულესობამ იკითხა: ნუთუ არ შეუძლია ფეიქარს [ხანს], რომ უეცრად დააცხრეს თავს ზაგემს და იქაური ბანაკი გაანადგუროს?! დამწერმა [ამ სტრიქონების] უპასუხა, თუკი თქვენი უდიდებულესობა ჩვენს მისწრაფებებს ხელს შეუწყობს, მზად ვართ, ამაზე მეტიც შევასრულოთო.

მისმა უდიდებულესობამ, დამწერს [ამ სტრიქონებისას] უბოძა რა დიდებული ძვირფასი ხალათი, წასვლის ნება დართო და უთხრა, რომ მალე მობრუნებულიყო. და მანაც, ზეციური ბრწყინვალებით შთაგონებულმა, უპასუხა, დარწმუნებული იყავით, რომ ყოვლისშემძლე უფლის წყალობითა და შემწეობით, გამარჯვება იქნება თქვენი თანმდევიო. და ლაშქრის შეკრების მოლოდინში, არესბარის მიდამოებში ნადირობა დაიწყეს.

ბრძანების თანახმად, ბარდავის მმართველის, ფეიქარ ხან იგრიმი დორთის კახეთის ზაგემის დასარბევად წასვლა

ამ სიტყვების ავტორი, მას შემდეგ, რაც მისმა უდიდებულესობამ წამოსვლის ნება დართო, ბარდავში ჩავიდა და მან ფეიქარ სულთანს დიდებული რაყამები გადასცა. და ასე გადაწყდა: ხუთასი კაცი ფირ ბუდაყ ხანის გარემოცვიდან, სამასი კაცი და, ასევე, დანარჩენი სანდო პირები, მასუდ სულთან ქენგერლუს რაზმიდან. სემნანისა და ხავარის მმართველი ხოსრო სულთან თოფჩაქი (მას ხუთასი კაცი ემორჩილებოდა ფაზუქის ტომიდან, ხოლო სამასი-ბიათის), [აი, ეს ხალხი] ემირ ხან სულთნის მეთაურობით და ფეიქარ სულთნის თანხლებით (ამ უკანასკნელს შვიდასი კაცი

იცავდა, ხოლო დანარჩენი ათასი მუდამ თან ახლდა, როდესაც დავალებაზე მიდიოდა ახლომდებარე მხარეებში), უნდა გადასულიყო მდინარე მტკვარს იქით, მიეღწიათ ზაგემის კარიბჭემდე და ქართველებისგან შეუმჩნევლად, ისე, რომ მათ არ გაეგოთ, თავს დასხმოდნენ მათი ქვეყნისა და რელიგიის მტერს და ისინი სიამაყისგან გამოეფხიზლებინათ. მნიშვნელოვანი ბრძანებების შესწავლის შემდეგ, რომელთა შინაარსიც ყველასგან საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მათ ხანებისა და სულთნების სახელით გაცემული ბრძანებები გაეგზავნათ. და გადაწყდა, რომ მეორე დღეს, ბარდავში ჩამოსული ზემოთ ნახსენები რაზმები, ვიდრე ისინი დიდებულ ბანაკს შეუერთდებოდნენ, მისი უდიდებულესობის მოლოდინში მყოფნი, ფეიქარ სულთანთან გამოცხადდებოდნენ და დანიშნულების ადგილისკენ დაიძრებოდნენ. ამ სიტყვების ავტორს, ვაქილ აღა ბეგ ბაესანგარს და ტომის სხვა მაღალჩინოსნებს სასწრაფოდ დაევალათ ამ ტომის ხალხისა და შაჰისევანების შეკრება, რათა დალოდებოდნენ [ერთად] აიმირების მსახურებს.

იმ ღამით (გათენებამდე) მითითებულ საქმეს ვასრულებდით. დაახლოებით 1500 ერთგული და თავდადებული მხედარი და მსახური შევკრიბეთ და სულთნის წინაშე წარვადგინეთ ისინი. და შემდეგ ფირ ბუდაყ ხანის მსახურები, ყაითამას ბეგი, მაჰსუდ სულთანი, აღა ბეგ ქენგერლუ, ხოსრო სულთანი, ამირ ხან სულთანი და მისი მსახურები მოვიდნენ. მათ მთელი დღე და ღამე უმასპინძლდებოდა ფეიქარ სულთანი და ასევე შეახსენა მათ მზესავით მანათობელი მისი უდიდებულესობის ბრძანების შინაარსი. და ღვთის ხელით შექმნილ, სამოთხის მსგავს, ულამაზესი მთებითა და ხეობებით გამორჩეულ ბარდავში განცხრომასა და სიამოვნებაში ატარებდნენ დროს. საღამოს კი იღბალითა და გამარჯვებით, უბადლო შაჰის გულისხმიერების წყალობით, ამხედრდნენ და ყარაბაღსა და საქართველოს შორის, მტკვრის სანაპიროზე მდებარე სოფელ ჰასანყიასკენ წავიდნენ. ამ სტრიქონების ავტორს კი ლაშქრისთვის ნავების მომზადება დამევალა, რათა მეორე ნაპირზე გადასვლისას ჯარისკაცები არ დაღლილიყვნენ.

მეორე დღეს, როდესაც ლაშქარმა მტკვრის ნაპირთან მოიყარა თავი, იცოდნენ რა, რომ მიზანი ზაგემზე თავდასხმა იყო, მზის ჩასვლისას ფეიქარი სულთნებთან და სარდლებთან ერთად თავად გადავიდა მდინარის იქითა მხარეს და იმ ნაპირას გამარჯვების მომტანი კარვები დადგა. მთელი ღამის განმავლობაში გადადიოდა ლაშქარი იმ ნაპირას და დილისკენ უკვე საქართველოს მხარეს დაბანაკდნენ. დღის ბოლოს კი ბედისწერის ცხენებზე ამხედრებულებმა, ღმერთის იმედად, უეცრად შეუტიეს მტერს. გამთენიისას ნარლოჯას უღელტეხილს მიაღწიეს და იქ, ლერწმების ჩრდილში, დაყოვნდნენ. ღამით კვლავ უეცარ შეტევაზე გადავიდნენ და, ვიდრე

ირიჟრაჟებდა, ორი საათით ადრე, ცხვრის ფარები შენიშნეს, რაც დასახლების მანიშნებელი იყო. მწყემსები დახოცეს და ცხვრების სახით კი ნადავლი იგდეს ხელთ. სულთნების მიზანი ის იყო, რომ მზის ამოსვლამდე ზაგემის (ორი ფარსახის დაშორებაზე იყო) მისასვლელთან არსებულ გამაგრებასთან მისულიყვნენ. ეს გამაგრება, ხისგან შეჭედილი კონსტრუქცია იყო, რომელიც სისქით ორნახევარი ზერაი, ხოლო სიგრძით - ცხრა ზერაი იყო, სიფართე კი სამი მეოთხედი ჰქონდა. დაფები ორივე მხრიდან მიემაგრებინათ. ფუნდამენტი კი თიხის, ქვისა და კირისგან დაემზადებინათ. კარიბჭით კონტროლდებოდა შესასვლელიც და გასასვლელიც. ყიზილბაშები გეგმავდნენ ერთიან თავდასხმას ამ ყველაფერზე და მერე უკან მობრუნებას, რომ უეცრად ბუღი დადგა და აალდა. ქართველების წეს-ჩვეულებებს ვინც იცნობდა, ისიც იცოდა, რომ როდესაც ისინი მტრის მოახლოების შესახებ გაიგებენ, ცეცხლს დაანთებენ და ბოლის მეშვეობით მოსახლეობას აფრთხილებენ, მტრის მოახლოებას ამცნობენ, რათა მათ მომზადება და თავდაცვა შეძლონ.

როგორც ჩანს, ერთმა მწყემსმა, რომელმაც გაქცევა შეძლო, [ქართველებთან] ამბავი მიიტანა. ფეიქარ სულთანმა თავისი ძმა ებრაჰიმი სამას კაცთან ერთად გაუშვა, რათა ეს უკანასკნელნი უფრო ადრე მისულიყვნენ იქ და ამბავი მოეტანათ.

ებრაჰიმ ბეგის წასვლამდე მოვიდა ამბავი, რომ შაჰმირ აღა, მაჯუდ დანჩერი, აჰმედ ნურალი აღა და შაჰვერდი ბეგ გულეგირი 50 000 იგრიმი დორთელ ახალგაზრდასთან ერთად დამაბრკოლებელ ხის ნაგებობასთან მისულიყვნენ და სულთნებს ელოდებოდნენ.

ფეიქარ სულთანი, ხოსრო სულთანი, ამირ ხანი, ყაითამას ბეგი, აღა ბეგი და მეომრები, რომლებსაც შურისძიება სწყუროდათ, გაიგეს რა გალავანთან უეცარი შესვლის შესახებ, თვითონაც თავდასხმაზე გადავიდნენ. ბუკითა და ნაღარით შევიდნენ ისინი ციხეში, გამოაღვიძეს მთვრალიც და ფხიზელიც. და ვინ იფიქრებდა, რომ ფეიქარ სულთანი ასეთი მცირე რაზმით შეუტევდა ზაგემს?! ისინი დაიბნენ, გაიფანტნენ და დაუდ ბეგის ლაშქარიც გატყდა. ზაგემის მცხოვრებმა მუსლიმებმა ქართველების ეს ფორიაქი რომ შენიშნეს, ქალაქის გალავანი გააღეს და მათი გაქცევის შესახებ [ყიზილბაშებს] აუწყეს. სულთნებმა დაწვეს ქალაქის გალავანი და ზაგემში შევიდნენ. ფეიქარ სულთანი თავისიანებთან ერთად ქალაქში შეყოვნდა, ხოსრო სულთანს და დანარჩენი სულთნების ახლობლებს თავდასხმის უფლება მისცა და უბრძანა, მერე უკან დაბრუნებულიყვნენ. თურქმანების, ესთაჯლუს, ბიათის და ფაზექუს ხალხი, თავის სიცოცხლეში ერთი მანი აბრეშუმიც რომ არ ენახათ, ვისაც კი ნახავდნენ, ყველას ხოცავდნენ ქალაქ ზაგემში. ისე გაძარცვეს იქაურობა, რომ აბრეშუმსაც არ ჯერდებოდნენ. ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქსოვილები, მოოჭვილი

ნაკეთობები - ყველაფერი ხელთ იგდეს. ძარცვის შემდეგ კი, შუადღემდე, კვლავ დაბრუნდნენ. სულთნის ძმა ებრაჰიმ ბეგმა, იგრიმი დორთის ლაშქართან და ყარაბაღის ხორჯინლუსთან ერთად, როგორც ეს შესაძლო იყო, ძარცვეს იქაურობა. ხელში ჩაიგდეს დიდძალი ქონება და ტყვეები, დაახლოებით 700 ადამიანი, რომლებმაც იქ ამოჰყვეს თავი, სადაც დინასტიის მონები იყვნენ. რადგანაც მათი ჯარისკაცთა რაოდენობა არ იყო საკმარისი და თვითონ ჯარისკაცებიც ძალიან გადატვირთულები იყვნენ, უკან დაბრუნება გადაწყდა. ყველა მოჭრილი თავი ამ სიტყვების ავტორს გადმომცეს. ამ თავებზე კი მარჯვენა ყური მოეჭრათ, როგორც ნიშანი.

მიუხედავად იმისა, რომ ალმანჩის, ხორჯინლუსა და ყალყაჩის სამი ათასმა მხედარმა შუადღემდე ძარცვა ქალაქი, მეოთხედი ქალაქის მცხოვრებლებისა გადარჩა, რის შემდეგაც მათ დატოვეს ქალაქი. ფეიქარ სულთანი უკან მოდიოდა, ხოლო ხოსრო სულთანს, ყაითამას ბეგს, ამირ ხან სულთანს და აღა ბეგს წინ სიარული დაევალათ. მათ, ასევე, უნდა გაეკონტროლებინათ ხალხი, რომელიც ფეიქარს მოჰყვებოდა და შეენარჩუნებინათ სიმშვიდე. ქართველებმა რომ მტრის ლაშქრის სიმცირე შეიტყვეს, გადაწყვიტეს, ძალა მოეკრიბათ და ადევნებოდნენ მათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ფეიქარ სულთანმა, ყველაფრის მიუხედავად, სიმშვიდის გამო იმ ღამეს ლაშქარი ისევ იმ ლერწმებიან ადგილას წამოიყვანა, 25 ფარსახის მანძილზე, ადრე რომ იყვნენ გაჩერებულები. დილით კი, მშვიდ გონებაზე, მტკვრის ნაპირს გაუყვნენ და ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, დაუშავებლად, უსაფრთხო ადგილას მივიდნენ. მათ თან 700 ტყვე ჰყავდათ, რომელთაგანაც იყვნენ ებრაელებიც და ქართველებიც. ასევე 2000 მოკვეთილი თავი და 30 000 თუმანის ნადავლი. ეს ნადავლი (დამალული ნადავლის გამოკლებით), დამწერს [ამ სტრიქონების] გადასცეს, რათა ხაზინაში გაეგზავნა. და მივიდნენ რა მდინარე მტკვართან, დაიწყეს მისი გადაკვეთა. ამ სიტყვების ავტორს და ხოსრო სულთნის დაახლოებულ პირს ჰოსეინ ყული აღა ფაზუქის დიდებულ კარზე მისვლა და მისი უდიდებულესობა შაჰისთვის ამბის მოხსენება დაევალათ. იმ ღამით ზემოხსენებულთან ერთად დაესხნენ თავს [ქართველებს] და დილისკენ განჯაში, ქორქჩაიში დიდებულ ბანაკში მივიდნენ. ამასობაში, შაჰი ისფანდიარ ბეგთან, სარუ ხოჯასთან, ალი ყული ხანთან და ბაგრატ მირზასთან ერთად, რომელთაც თბილისის ციხის დაცვა ჰქონდათ დავალებული და, ასევე, მეისრეებთან და მსახურებთან ერთად, მობრძანდა. განჯაში ქართლის მხარის მმართველ ხანს შეხვდა. ჩვენ კი მისი [შაჰის] ფეხის მთხვევის პატივი გვხვდა წილად.

ჰოსეინყოლიმ საუბარი წამოიწყო. მისმა უდიდებულესობა შაჰმა უთხრა, შენ ჩემი მსახური იყავი, თუმცა ლაშქრობის დროს იცრუე, რის გამოც გაგაგდე და შემდეგ

ხოსრო სულთანს ჩაუდექი სამსახურში. მეტი არაფერი თქვა, რადგან კვლავ ტყუილს იტყვიო. [შემდეგ კი] მისმა უდიდებულესობამ მემატიანეს მიმართა, მითხარი სიმართლეო! მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი მომეხსენებინა, თქვენი უდიდებულესობის სვებედნიერობის დამსახურებით, ქალაქი ზაგემი გაიძარცვა, მას თავს დაესხნენ და ჩვენს მხარეს არცერთ კაცს ცხვირიდანაც კი არ წამოსვლია სისხლი-მეთქი.

მისმა უდიდებულესობამ თავიდან გვირგვინი მოიხსნა, ცას ახედა, ღვინის ფიალა განზე გასწია, დიდი, ნამდვილი გულწრფელობითა და მოთმინებით, რაც მხოლოდ მას ახასიათებდა სასოწარკვეთის და ადამიანური სისუსტის დროს, არცერთ ადამიანს რომ მასსავით ამის შეგრძნება ამგვარი კრძალვითა და თავმდაბლობით არ შეეძლო, ქვეყნიერების, ცისა და მიწის შემოქმედს შესთხოვა და ეს წარმოთქვა:

„თვით გულგოროზი მეფეებიც, მპყრობელნი ყოვლის,

მისი ზღურბლის წინ ქედს იდრეკენ რიდით და თრთოლვით!“[109]

ზაგემის ძველისძველ მკვიდრს, ებრაელ ხოჯა ლალე ზარსაც ამცნეს საქმის ვითარება, მოახსენეს ამ ყველაფრის შესახებ. როგორც უკვე აქამდე ითქვა, ის თავის დროზე, საქართველოს დაპყრობის დროს, მისმა უდიდებულესობამ რამდენიმე, ასევე იქ დამკვიდრებულ ებრაულ ოჯახთან ერთად, თავისთან იხმო. ზაგემის მკვიდრებმა უფალი ადიდეს, მადლიერება გამოხატეს და კიდევ უფრო დააფასეს ღვთის ჩრდილის გულისხმიერება, რომლის მუდმივი მფარველობის ქვეშაც იყვნენ. ქვეყნიერების საყუდელი შაჰი შუადღემდე ეკითხებოდა და აყოლებდა მათ ქალაქზე თავდასხმის შესახებ და ადიდებდა უფალს. მე კი, ამ სტრიქონების ავტორი, თავმდაბლად, დაწვრილებით ვუყვებოდი ყოველივეს.

ნაშუადღევს მე, როგორც მემატიანე, უნდა წავსულიყავი და, ბრძანების თანახმად, ყარაბაღში მყოფი ფეიქარ ხანისთვის და ემირ ხან სულთნისთვის შემეტყობინებინა, რომ მათ თავიანთი მეომრები სახლებში გაეშვათ, დაეტოვებინათ ტყვეები და ნადავლი, და შემდეგ კვლავ საქართველოს საზღვრებისკენ დაძრულიყვნენ. ხოლო ხოსრო სულთანი და ფირ ბუდაყ ხანისა და მასუდ სულთნის ხალხი, რომელთა სახლებიც შორს იყო, ფეიქარ სულთანთან ერთად დიდებულ ბანაკს უნდა შეერთებოდნენ. და გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მეხუთედი (ხომს)[110] კანონის მიხედვით, წესისამებრ, მისი უდიდებულესობის ხაზინაში მიდიოდა და

[109] გ. ხულორდავას თარგმანი. განთიადი, ლიტერატურული ჟურნალი, #5-6. ქუთაისი, 2023; 138-144.

[110] *ხომს.* არაბ.*ხუმს*- ერთი მეხუთედი, ბრძოლის დროს მოპოვებული ნაალაფავიდან, რომელიც წინასწარმეტყველის შთამომავლების, ობოლთა და ქვრივთა შემწეობისთვის იყო განკუთვნილი.

ვერავინ ჩაერეოდა ამ საკითხში, მადლიერების ნიშნად, [აქედან] ახალგაზრდა მეომრები დაასაჩუქრეს. სიაში შეიყვანეს 122 ებრაელი ტყვე და ხოჯა ლალე ზარს წარუდგინეს. მან თქვა, რომ დიდსა თუ პატარას 12 000 დინარი უნდა მისცენ, ნიშნად მისი უდიდებულესობის ბრწყინვალებისა და გულისხმიერებისა. და ის ებრაელები, რომლებსაც ნათესავები აყვავებულ ფარაჰ-აბადში ჰყავდათ, გაათავისუფლეს და თავიანთ ხალხთან გაუშვეს, რათა მათაც შეეწყოთ ხელი ამ მხარის აყვავებისთვის. დიდებული ბრძანების თანახმად, ხოჯამ აღნიშნული 12 000 დინარი თავისი ვაჟის თანხლებით გაგზავნა. ყველა ებრაელი მონობისგან გაათავისუფლეს რა, გაუშვეს ფარაჰაბადში, ხოლო ამ სტრიქონების ავტორი წავიდა, რათა სულთნებისთვის დიდებული ბრძანება ბედისწერისა და ღვთაებრივი განზრახვა ეცნობებინა.

ყარაბაღის სულთნებმა ბრძანეს, მათი ჯარის ნახევარი მას შემდეგ, როცა დიდებულ ბანაკში მის უდიდებულესობას ნადავლს და ტყვეებს წარუდგენდნენ, ყურმოჭრილები, მორჩილების ნიშნად, სახლისკენ დაიძრებოდა. მეორე ნახევარი კი სულთნების სამსახურში უნდა დარჩენილიყო. მეორე დღეს ფეიქარ სულთანი, ხოსროვ სულთანი, ემირ ხან სულთანი და, ასევე, ფირ ბუდაყ ხანი და მასუდ სულთანი განჯის ველზე მისი უდიდებულესობის რიგებს შეუერთდნენ. მათ მის უდიდებულესობას თავიანთი სიმამაცე და გამბედაობა დაანახვეს და ამის გამო მეფური პატივითა და კეთილგანწყობით იქნენ დაჯილდოვებულნი. სამი მონა ბიჭი და ორი მონა გოგო ამ შვიდასი თუ რვაასი ტყვიდან, მისი უდიდებულესობისთვის შესაფერისად ჩათვალეს და სამ-სამ თუმნად იყიდეს ისინი.

და ამ ლაშქრობის დროს გაიცა განკარგულება, რომ ნადავლის წილი მუდმივ რეესტრში ერთ მეხუთედამდე შემცირებულიყო. გადაწყდა, რომ ალმანჩისა და ხორჯინლუს ჯარი ამიერიდან აღარ მიიღებდა ნადავლის მეხუთედს და რათა აღსრულებულიყო უზენაესი ხელმწიფის აღთქმა, რომელიც დაიდო ქალაქ ზაგემზე აღებისა და ძარცვისას.

ხოჯა ზია ედ დინ ქაშის (ხოჯა ზია ედ დინ ქაში თეიმურაზთან იმყოფებოდა, თანახმად მამის შთამომავლობისა, შემდეგ კი ამ უკანასკნელს ოსმალეთში გაჰყვა დ იქ დაიხსნა თავი მისგან) ვაჟის, მირზა აბდულ ჰუსეინის დედა და ნათესავები, ასევე, მისი და, რომელიც მაზანდარანის ყარიბლარის ვეზირის, ჯალალ სეფაჰანის ცოლი იყო, გადაწყდა, გაეგზავნათ ფარაჰაბადში. დამწერს [ამ სიტყვების] კი, ნათესაური კავშირის გამო, მათი ხარჯების და საჭიროების დაფარვა დაევალა. ისინი, ვინც ზაგემში იმყოფებოდნენ და დარბევის დროს ტყვედ აიყვანეს, ფარაჰაბადში, ჯალალ აღასთან გაგზავნეს.

ფეიქარ სულთანმა და ამირ ხან სულთანმა თავიანთი მსახურები გაუშვეს, ხოლო თავად კეთილდღეობის მსახურების პატივი ერგოთ. ამირ ხან სულთანმა, თახირ ხანმა

და მურად ხანმა, თავიანთი სილამაზით და მშვენიერებით გამორჩეული 16-17 წლის შვილები ყორჩიების რიგებში მიიღეს, თიულები გადასცეს და ჯამაგირი დაუნიშნეს. და დაიძრნენ რა განჯიდან კახეთისკენ, გადაწყვიტეს, შური ეძიათ ბექთაშ ბეგისა და ხუსეინ სულთნის სისხლისთვის.

მისი უდიდებულესობის განჯიდან საქართველოში ჩამოსვლა, ალი ყული ხანის, სულთნების და სხვა მაღალჩინოსნების მისი ფერხთ მთხვევის პატივი და, ასევე, მათი შეწყალება

მისი უდიდებულესობის ყარაბაღში შესვლის და ფეიქარ სულთნის ზაგემის დასარბევად გაგზავნის შემდეგ, არსებარის მხარე დატოვეს და ერთი ადგილიდან მეორეში ხეტიალის შემდეგ, ნადირობა-ნადირობაში, ბარდავის ველაიათში შევიდნენ. ფეიქარ სულთნის ძმა და ჰოსეინ ალი ბეგი, ყარაბაღის უხუცესების შთამომავალ მელიქ სეფერისთან ერთად არ გამგზავრებულან. ისინი შაჰის კორტეჟს დახვდნენ. ყარაბაღის ველაიათიდან თბილისის ციხისთვის 10 000 ხარვარი ხორბალი გამოჰყვეს. თბილისის ციხეში მიტანა 2 000 დინარი, ტრანსპორტი კი 3 000 დინარი დაჯდა. პასუხისმგებელი პირი ამ ხარჯებზე ჩუფან ბეგი იყო, ხოლო მისი ზედამხედველი - სარუხოჯა და მისი ძმა ებრაჰიმ ბეგი. ყველა ეს ხარჯი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ხაზინადარის მიერ. ალი ყული ხანს და სულთნებს ერგოთ პატივი, მის უდიდებულესობას მათ მიმართ გულისხმიერება გამოეჩინა და დაეჯილოებინა ისინი, ხოლო თავად მიეგოთ მისთვის [შაჰისთვის] პატივი და ფეხზე მთხვეოდნენ მას. ის, ვინც ბრძოლაში თავი გამოიჩინა, დასაჩუქრდებოდა. ხოლო მათ, ვინც ბრძოლის ველი მიატოვა, შუბლზე დაღს დაასვამდნენ, რათა მათი დეზერტირობა აწი ყველას სცოდნოდა.

ზემოთ ნახსენები ალიყული ხანი და დანარჩენები ორი-სამი საათის განმავლობაში მზის გულზე იდგნენ, რათა ხალხს დაენახა, თუ როგორი სამაგალითონი არიან.

ამ მოგზაურობის დროს ღარიბთა და უმწეოთა საქმეების მოგვარება ალიყული ხანმა [იასაულ ბაშს] გუშაგების უფროსს, თიმურ ბეგს დაავალა.

ხანებისა და სულთნების თანხლების პატივის მიღების შემდეგ განჯაში გაემართნენ, განჯაში, რომელიც მეფური ქარავნის წყალობით გალამაზდა და აყვავდა. განჯისა და ყარაბაღის უხუცესები გახარებულები იყვნენ, რადგან თაყვანისცემის პატივი ერგოთ.

.....
.....

ითქვა, რომ თეიმურაზ ხანი ადგილობრივი ხანების დამარცხების შემდეგ ოსმალეთში წასულა, რის გამოც სარდალი აზერბაიჯანში ჩავიდა.

თავად [შაჰი], კეთილდღეობისა და იღბლის თანხლებით, ქართლისკენ გაემართა. ფეიქარ სულთანს, მასუდ ხან ყარაჯადაღს, ნაფას სულთან სადლუსა და ახი სულთან ჩაქერლუს შირვანში წასვლა დაავალა.
.....
.....

მისი უდიდებულესობა ქართლის ველაიათში შევიდა და იქ მცხოვრებლებს მეფური წყალობა აჩვენა. იმ მხარის მმართველად დავითის მოდგმის დინასტიის ბაგრატ მირზა, სიმონ ხანის ძმისშვილი დანიშნა. მას ასევე ხანის ტიტული მიეღო. შემდეგ, ყარაიაზისა და არქჩაის გზით კახეთისკენ წაბრძანდა და ამ მხარის აოხრების, რბევისა და ხოცვა-ჟლეტის ბრძანება გასცა. თავად კი განცხრომასა და სიამოვნებას მიეცა. მთელი ლაშქარი ქართველების ხოცვა-ჟლეტას, ძარცვას და მათი ქონების მიტაცებას შეუდგა. 200-300 მოჭრილ თავს მიართმევდნენ მის უდიდებულესობას ყოველდღიურად. ხოლო თუკი ვინმე გადაურჩებოდათ, ფეხებს მოაჭრიდნენ და ისე დააგდებდნენ ორდუბაზარში. ერთი თვის შემდეგ რაღაც ნაწილი ხორნაბუჯის ციხის დასალაშქრად გააგზავნეს. ეს ციხე რამდენიმე ქართველის ხელში იყო და იმდენად მყარი იყო, რომ ვერავინ შეძლო მისი აღება.

მალე ციხეც აიღეს და მისი დაცვა მაზანდარანის თოფანგჩიების მეთაურს, აღა ყავამ ადდინ ლარიჯანის დაევალა. ხორნაბუჯის ციხე, რომელიც მდინარე ალაზნის პირას იყო, გამარჯვების მომტანი კარვების ადგილი გახდა. და ყველა იმ ადამიანმა, რომელიც დიდებულ ბანაკში იყო, საქართველოს ლაშქრობიდან თავისი წილი მიიღო. გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც უკვე ითქვა, მისმა უდიდებულესობამ ერთი მეხუთედი შეზღუდა, თუკი ვინმე 50 ტყვესა და 1000 თუმანს მოიტანდა, მისგან არაფერს მოითხოვდნენ. მათვე უტოვებდნენ. გადაწყდა, რომ პასუხისმგებელი ტყვეებთან დაკავშირებით მირ აბულმაალის ვეზირი, მირზა აბდულა იქნებოდა. ხოლო ტყვეებს, რომლებიც მისი უდიდებულესობის სამსახურში ყოფნის ღირსად ჩაითვლებოდნენ, შეისყიდიდა ხალაფ ბეგი და წარუდგენდა მეფის კარს.

ამ თავდასხმის დროს დაახლოებით 118 000 ადამიანი ჩავარდა ტყვედ, ქალიცა და კაციც. არ იგულისხმებიან ისინი, ვინც დამალვა შეძლო. მირზა აბდულას ჩანაწერის მიხედვით, ხსენებულთაგან 10 500 კაცი მეფის კარისთვის შეიძინეს. მას შემდეგ, რაც

ქართველების ჯანყი ჩაახშეს, შირვანის ბეგლარბეგმა – იუსუფ ხანმა,[111] დანარჩენ დაქვემდებარებულ სულთნებთან ერთად, შირვანის აჯანყებულები ჩააწყნარა და ხაჩმაზის ციხე აიღო. დამარცხებული დელუ მელიქი და მელიქ მაჰმუდი უიღბლობის უდაბნოში გადაიკარგნენ. დიდებული ბრძანების თანახმად, ლაშქარი კახეთში შევიდა, დაამარცხა ენისელისა და ზაგემის ჯარი და მთავარ ბანაკს მიადგა.

ფარსის ბეგლარბეგ იმამ ყული ხანს, ყარაბაღის ბეგლარბეგ მურშიდ ყული ხან ყაჯარს და ქასგარის მმართველ მურთაზ ყული ხანს დაევალათ, იუსუფ ხანისა და მისი უდიდებულესობის ბანაკებს შორის (ერთმანეთს ათი ფარსახი აშორებდათ) პოზიციის გამაგრება. მათ უნდა შეეპყროთ და გაენადგურებინათ გაქცეული ქართველები ისე, რომ არცკი დაეტოვებინათ ამ მიწაზე მათი შთამომავალი.

ყორჩიბაშის და ქართველების შებრძოლება შილდაში, ფეიქარ სულთნის ძმის, ჰოსეინ ალი ბეგის, მირ ფათაჰის, ბეგთარ ბეგ იოღლის და მირ ბაინდურ ჯაჰანგირი ბახთიარის მოკვლა, რაზი ხანის ოსმალეთის სარდლისგან დაბრუნება და ოსმალეთის სულთან აჰმად ფაშას გარდაცვალების ამბის გაგება; სულთან მუსტაფას მმართველობა და სხვა ამბები

მას შემდეგ, რაც მისი უდიდებულესობის ბრძანებით, ყორჩიბაში საქართველოს მიწების დასაპყრობად წავიდა, მოვიდა ამბავი, რომ, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი აურაცხელი ლაშქრით კახეთში შესულა, დაუშლია ქიზიყის ხალხი, რომლებიც გაერთიანებულან და აჯანყებას აპირებდნენ. დავუდ ბეგ ვაქილი, ხოსრო ბეგი და თაჰმასბი, რომლებიც მახარ ფილის მიდამოებში შეიკრიბნენ, ასევე დელუ მალიქ ფადარი, რომელიც ხაჩმაზის ციხეში გამაგრდა და იყო თავი აჯანყებისა, მას შემდეგ, რაც გასულ წელს იუსუფ ხანი, შირვანის ბეგლარბეგი დანარჩენ სულთნებთან ერთად დაესხა მათ თავს და გაფანტა მათი გაერთიანებული ლაშქარი (რაც უკვე ითქვა), იძულებით გაიქცნენ, საქართველოს შეაფარეს თავი და ქართველ სარდლებს სთხოვეს დახმარება. ამ ბრძოლის მთავარი მიზეზი გამოჩნდება მაშინ, როდესაც იუსუფ ხანი გამოსაზამთრებლად ჩამოვა, რათა თავი დაუხაროს მის უდიდებულესობას. ყორჩი ბაშის მოახლოების შესახებ რომ გაიგეს, ბრძოლის ველზე ვეღარ გაძლეს. ის საცოდავი, ბეჩავი ხალხი, თავიანთ რიგებში რომ შემოიტყუეს, გაიძარცვა და განადგურდა. თავად

[111] შაჰ-აბასის ერთ-ერთი სარდალი. შირვანის ბეგლარბეგი, წარმოშობით სომეხი.

კი ტყეებში გაიქცნენ. უშიშარი ღაზიები დაედევნენ მათ და შევიდნენ საქართველოს ტყეებში. იქ, სადაც გველიც არ შევიდოდა. ყოველი მხრიდან სიკვდილის მომტანი, ელვისებური ისრები დაფრინავდნენ და ყიზილბაშების და ქართველების ბრძოლის ველი ცეცხლის ქარიშხალს დამსგავსებოდა. ბევრი ყიზილბაში და ქართველი მტაცებელთა მსხვერპლი შეიქნა. და როდესაც ქართველებმა ტყეში ბრძოლა ვეღარ შეძლეს, თავიანთ ოჯახებს და შვილებს ხელი მოკიდეს და შილდას მმართველებს სთხოვეს დახმარება. ყორჩი ბაში დაედევნა მათ, რათა დაეხოცა ისინი. კახეთის ტყეებიდან რომ გამოვიდნენ, შილდას მთაზე ავიდნენ. მამაცმა ახალგაზრდა ჯარისკაცებმა დადევნება განაგრძეს რა, დაიჭირეს თაჰმასბ ყესეყი და მირ შარაფი, რომლებიც გამორჩეული სარდლები იყვნენ და მოკლეს ისინი. მათი შვილების უმეტესობა კი ტყვედ აიყვანეს.

და იმ გამაყრუებელ ბრძოლაში დავუდ ბეგმა საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნება არჩია და გაიქცა. გამოცდილმა ყიზილბაშებმაც აზრიანად ჩათვალეს გაქცევა, რადგან, თუკი ქართველებმა შილდის მთა გადაიარეს და სიღრმეში, თურქეთის საზღვრისკენ შევიდნენ, ტყვეებითა და ნადავლით დავბრუნდეთ, ისევ ასე აჯობებსო. თუმცა ყორჩი ბაში ამას არ დაყაბულდა და ისევ იმ მხარეზე შეტევას განაგრძობდა რა, რამდენიმე მამაცი მეომარი მტერს დაადევნა.

ამ შეტაკების დროს ფეიქარ სულთნის ძმას, ჰუსეინ ალი ბეგს შუბლში ტყვია მოხვდა და იგი ცხენიდან ჩამოვარდა. მისმა [ჰუსეინ ალის] უმცროსმა ძმამ, ხალხალის ღოლამების იუზბაშ და ყორჩია ხალიფე ენსარის შვილ მოჰამად ბეგთან ერთად, გამოიჩინა რა სიმამაცე, ჰუსეინ ალი ბრძოლის ველს გააშორა. და რადგანაც მისი ჭრილობა სასიკვდილო იყო, გარდაიცვალა. ასევე ბარძაყში მოხვდა ტყვია მირ ფათაჰ სეფაჰანისაც, რომელიც 80 წლის მანძილზე სიმამაცითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა. ისიც დამარცხდა. წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინა ამ უკანასკნელმა – თავი მისი უდიდებულესობის წინაშე მიიტანა და ზამთრის რეზიდენციაში დალია სული. აბულ ყასემის შვილმა ბექთარ ბეგმაც „შაჰიდობის შარბათი შესვა“, სეფი ყული ბეგ იუზბაშ რუმლუს ტყვია გულში მოხვდა და ხუთი თვის ტანჯვის შემდეგ გათავისუფლდა. ახალგაზრდა და მამაცი მებრძოლი მირ ბაინდურ ბახთიარი კი ბრძოლის ველზე ქართველის მოქნეული ხმლით განიგმირა. ქვეითი ქართველები თოვლსა და ყინვაში დაიარებოდნენ. ბევრი მოისარი და მეთოფე ქართველი ხეზე ამძვრალები ესროდნენ ცხენებსა და მხედრებს. ყიზილბაში მხედრებიც აგრძელებდნენ შეტევას, მაგრამ ბოლოს ზამთრისთვის დანეყში დაბრუნდნენ.

ცხენის წელი, ჰიჯრის 1027 წელი (ქრ.წ. 1617/18) მისი უდიდებულესობის მეფობის 32-ე წელი

ხოჯასთე ბეგ გორჯის მიერ სოჰბათიასაული ქალბალი ბეგ შამლუ ქოჰნეს მოკვლა, მისი უდიდებულესობის მიერ მსახურთა დასაჩუქრება და იმ წლის მოვლენები

ზემოთ ნახსენები საქმეების მოგვარების შემდეგ მისი უდიდებულესობა სანადიროდ და დროის გასატარებლად მიანქალეს მიდამოებისკენ წავიდა. ფარაჰაბადში ეთემად ალ-დოულე დატოვეს, რომელსაც მნიშვნელოვანი საქმეები ჩააბარეს. მას ასევე უმწეოთა გვერდში დგომა და მათი დახმარება დაევალა. 31 იანვარს, სამშაბათ დღეს, ლალა ფაშა გორჯის ძმა რამაზ ბეგი, უმაღლეს დივანში გამოცხადდა და ხოჯასთე ბეგ გორჯის მოკვლის საკითხი წამოაყენა. ხოჯასთე ბეგი ქართველი თავად-აზნაურობის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო და მისი უდიდებულესობის დიდი პატივით და ნდობით სარგებლობდა. ეთემად ალ-დოულემ ქალბალი ბეგს უთხრა: თუკი ქართველებს შორის შურისძიების საკითხი დადგა, ეს მოწინააღმდეგები კი სამეფოს განსაკუთრებული ღოლამები არიან, ხოჯასთე ბეგმა კი არაფერი იცის ირანის ვითარების შესახებ და ასევე ამ საქმის შესახებ, როცა მასზე სისხლის აღება აუცილებელი გახდება, მაშინ მისი დაჭერა და მართლმსაჯულების აღსრულებაა საჭირო. ასთარაბადის ბეგლარბეგი ფერიდუნ ხანის სახლი მის სახლთანაა ახლოს და მათ ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

თუკი მას ფერიდუნ ხანთან ჰქონია პირი შეკრული, მაშინ ისე გავაკეთებთ, რომ რამაზ ბეგი ფერიდუნ ხანის სახლში მივიდეს და თავისი აზრი იქ გამოთქვას, სადაც ასევე ხოჯასთე ბეგიც იქნება. უკეთესი იქნება, თუკი ხოჯასთე ბეგის პასუხი ხანის წინაშე ითქმება. და თუ მისი დაპატიმრება იქნება საჭირო, ხანის სახლშივე შევიპყრობთ, ამის შემდეგ ბრძანების თანახმად მოვიქცევით და, რაც საჭიროა, იმას გავაკეთებთ. ემათ ბეგ სიაჰ მანსურიც, რომელიც ისააკ სულთნისგან დაბრუნებულიყო და ფარაჰ აბადის მმართველი შაჰსავარ ბეგ შამლუ შეეცვალა, დაიბარეს და მასაც იმავე საკითხზე მიუთითეს.

ქალბალი ბეგმა ფერიდუნ ხანის სახლში მისვლაზე უარი თქვა და დიდ ვეზირს [ეთემად ალ-დოულეს] შეუთვალა, რომ თუკი ხოჯასთე ბეგი, ეთემად ალ-დოულეს წინაშე (ე.ი. შენ წინაშე) აღიარებს ლალა ფაშას მოკვლას და ნაბრძანები იქნება მისი შეპყრობა, ჩვენ, ღოლამები, რომლებიც თქვენს ერთგულ მსახურებაში ვართ,

შევიპყრობთ მას. და დივანის სათანადო ადგილას მივიდა რა, ხოჯასთე ბეგმა აღიარა, რომ ლალა ფაშა მოკლა. ქალბალი ბეგმაც, გამომდინარე თავისი სიამაყისგან, არ დააყოვნა. არ დაელოდა დურსუნ ალი ბეგს, რომელიც იყო წარგზავნილი ამ ყორჩიებთან, დივანის სამსახურში რომ იყვნენ და სამ ქართველ ძმასთან ერთად, თითო რომ ას კაცს უდრიდა ისეთებთან, ხოჯასთე ბეგის შეპყრობა სცადა. ხოჯასთე ბეგმა რომ ქალბალი ბეგისგან ლანძღვა მოისმინა, ხმალი ამოიღო და შუაზე გააპო ეს უკანასკნელი და თავად კი სამეფო კარის ხალვათხანის ანდარუნისკენ[112] გაეშურა.

ეთემად ალ-დოულემ მისი ეს სიმამაცე შეამჩნია. დურსუნ ალი ბეგ აჯარლუ და დივანის მსახურებიც ქალბალი ბეგის სიკვდილის შემსწრენი გახდნენ. ეთემად ალ-დოულეს ბრძანების თანახმად, უკან დაედევნენ მას (ხოჯასთე ბეგს), მივიდნენ ხალვათხანაში, [სადაც] ოთხივე მოკლეს. დაშავდა ასევე შაჰის ხალხი, ხოლო ქალბალი ბეგი გარდაიცვალა.

ცხვრის წელი, ჰიჯრის 1028 (ქრ.წ. 1618/19) მისი უდიდებულესობის მეფობის 33-ე წელი

მისი უდიდებულესობის მიერ ქართველების „ხაჯშუიანის“ (ნათლისღების) მონახულება ფარაჰაბადში. ხანობის ტიტულისა და თავრიზის მმართველობის მიცემა ყორჩიღა ბეგისთვის, ხოლო არდებილის - შაჰ ბენდე ხანისთვის

ღვთის ჩრდილმა მისმა უდიდებულესობამ ქართველებისა და სომხებისთვის, რომელთა რიცხვიც იმ მხარეში 40 000 ოჯახს შეადგენდა, „ხაჯშუიანის“ წვეულება გამართა. ხაჯშუიანი ნოურუზამდე 50 დღით ადრეა. ეს არის ქრიასტიანების დიდებული და დიდი ხნის წმინდა დღესასწაული. ამ დროს ისინი შვიდ წყვილ ხალიჩაზე დიდ ქვაბს შემოდგამენ, შიგნით ბალახს, ზეთს (როუღანო), ვარდსა და რიაჰინს ჩაყრიან, მღვდლები და ულამები ბიბლიის კითხვას დაიწყებენ, მორასა (მოოჭვილი) ჯვარს მათ ალავერდელს, რომელიც მათი მუფტია, კისერზე რომ აქვს ჩამოკიდებული, ამ ქვაბში ჩადებენ და ლოცვის წაკითხვას დაიწყებენ. ეს ყველაფერი ათი მანი წყლით წამოდუღდება, ერთმანეთში აირევა და გაზავდება.

შემდეგ ქვაბს ჩამოდგამენ, ნათლისღების წვეულებაზე მყოფი ყველა ქრისტიანი სათითაოდ მიდის ალავერდელთან და მღვდლებთან და გასული წლის ცოდვებს

[112] სამეფო კომპლექსის დაცული შიდა სივრცე, რომელში შესვლაც გარეშე პირებისთვის აკრძალული იყო. სადაც არის განლაგებული ჰარამხანა, საძინებელი, სალოცავი ოთახი და მისთ.

ინანიებს (აღსარებას აბარებს მათ), ხოლო თუ რაიმე კარგი და დამსახურებული საქმე ქნეს, მაგასაც გაუზიარებენ. მას შემდეგ, რაც მღვდლები ყველას გასული წლის ცოდვების შესახებ შეიტყობენ, შეუნდობენ მათ და მორწმუნე ქრისტიანებს თავზე იმ ქვაბიდან ამოღებულ წყალს დაასხამენ. მორჩენილ წყალს კი ფარაჰაბადში მომავალ მდინარე თაჯინეში ჩაასხამენ, რომელშიც მორწმუნეები ჩაყვინთავენ.

და ამ დღეს ყველა ქართველი, სომეხი და ქრისტიანი, სუფთა ღვინისგან მთვრალები, ბედნიერობენ და მხიარულობენ. მათთვის ეს დღე დღესასწაულის, მხიარულებისა და სასიამოვნო ურთიერთობის დღეა.

ცხვრის წელი, ჰიჯრის, **1028 წელი (ქრ.წ. 1618/19) მისი უდიდებულესობის მეფობის 34-ე წელი**

შაჰ ვერდი ბეგისთვის ფარაჰ აბადის დარუღობის გადაცემა, ბალხის ვალი ნადრ ხანის ელჩის ჩამოსვლა. მაზანდარანის ფარაჰაბადის მეჩეთის დაგეგმარება და ასევე კახეთის მმართველის ფეიქარ სულთნით შეცვლა, კახეთის აბას-აბადის მშენებლობა და სხვა ამბები

.....

მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილი შეუძლოდ შეიქნა და ჰავისა და წყლის შესაცვლელად ფირუზ-ქუჰის იალაღებისკენ დაიძრა. საქართველოს კახეთის მართვა ბარდის მმართველ ფეიქარ სულთან იგრიმი დორთს დაევალა, ხოლო მის ვეზირად, ბრძანების თანახმად, ამ სიტყვების ავტორი დაინიშნა და მისი უდიდებულესობის ტახტის მთხვევისთვის იქნა დაბარებული. ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამად ხან ზიად ოღლი ყაჯარიც დაიბარეს და ყველანი ერთად, ფირუზ-ქუჰის საზაფხულო იალაღებზე დროსტარებასა და განცხრომას მიეცნენ.

.....

მოჰამად ყული ხანი და ფეიქარ ხანი, რომელთა დაბარების შესახებაც უკვე ზემოთ ითქვა, ფირუზქუჰში ჩავიდნენ, სადაც თაყვანისცემის პატივი და მისი უდიდებულესობის გულისხმიერება ერგოთ. გარკვეული ხნის მსახურების შემდეგ ფეიქარ ხანს ერგო რა დიდი პატივი, კახეთის მმართველობა გადაეცა. კახეთის,

რომელიც თეიმურაზ ხანის აჯანყების შემდეგ 6 წელიწადი ყიზილბაშების სათარეშო გამხდარიყო, ჩამოშლილიყო და წამხდარიყო. დავით ხან გორჯის ქალიშვილი, ქართლის ვალის ლუარსაბ ხანის და, რომელიც მათ დაუპირისპირდა 1022 წელს, იმერეთში წავიდა, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დაბრუნდა და შირაზში, იმამ ყული-ხანს სტუმრობდა და მასვე გააყოლეს ცოლად. პატივი ერგო, ასევე, ყარაბაღის ბეგლარბეგს, მოჰამად ყული ხანს და ის კახეთის ვალის თეიმურაზ ხანის სიძე გახდა. ამ უკანასკნელის თავის დროზე ოსმალეთში გადამალული და მოიყვანა ცოლად. მათ ძვირფასი საჩუქრები და პატივი ერგოთ.

მუჰამად ყული ხანის ყარაბაღის ვეზირობა და სამფლობელო ასაფ მირზას გადასცეს, ხოლო საქართველოს, ბარდავისა და ყუშხანეს ვეზირობა ამ სტრიქონების ავტორს დაევალა. გადაწყდა, რომ ფეიქარ ხანს, გარდა იგრიმი დორთის ტომის ხალხისა, რომელსაც თავად მიეკუთვნებოდა, საქართველოში უნდა ჩამოესახლებინა ასევე - იმურის, ზულყადარის, სულეიმან ყაჯილუს ხალხი; ასევე ქორდები და აზერბაიჯანის სხვა მომთაბარე ტომები. 15 000 ოჯახი უნდა ჩამოსახლებულიყო საქართველოს მიწაზე და ხელი ამ რეგიონის მიწათმოქმედების და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მიეყო.

3 000 თუმანი გამოიყო სოფლის მეურნეობისთვის, ყარაბაღის მეაბრეშუმეობისთვის და ამ სტრიქონების ავტორის დაქვემდებარებაში მყოფი არანის მწყემსების გასამრჯელოთი უზრუნველყოფისთვის. ასევე, მშენებლობისთვის და ამ რეგიონის ქართველი ხალხის ნუგეშისთვის. დიდებული ბრძანების თანახმად, კახეთში, ფშავ-ხევსურეთში, არაგვის ხეობაში და დაღესტნის მიდამოებში გაქცეული ყველა კახელი (ამ მიწებიდან ნაწილი ხალიფატის მმართველობის ქვეშ იყო, ნაწილი სულთნის ვასალების და ნაწილიც ყივჩაღებისა და ელბრუსის მთების მმართველების), უნდა გადაეცათ ადგილობრივი მმართველობისთვის და საქართველოსთვის, რათა ყველანი დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

გადაწყდა, რომ აზნაურების, თავადების და მეომრების საქმე, ზუსტად ისე იქნებოდა, როგორც თეიმურაზ ხანის დროს იყო. და ყველასთვის დაწესდა, რომ რამდენიმე ათეული ქართველი (ძველი დროიდან მოყოლებული), რომლებიც გლეხობის რაღაც ნაწილს შეადგენდა, მოსავლის ერთ მესამედს იტოვებდა, ხოლო ორ მესამედს მიწის მფლობელს აძლევდა. რაც შეეხება თუთას - ამ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი თუთის ბაღებს ეკავა, რაც აბრეშუმის საკმაო რაოდენობას ნიშნავდა, მათთვისაც გაცემულ იქნა თიულები და ყველა ის საჭირო აღჭურვილობა, რომელიც საჭირო იყო ამ საქმისთვის. გლეხობასაც დაურიგდა სოფლის სამეურნეო ინვენტარი

და ასევე საქონელი. პირველ წელს მთელი პროდუქცია მათ რჩებათ, გარდა ველურად გაზრდილი ნაყოფისა, რომელსაც ისედაც არა აქვს ფასი. ამ წელს გლეხობისგან არაფერს ელიან, იმისათვის, რომ მოღონიერდნენ და მოყოჩაღდნენ სოფლის მეურნეობაში.

გადაწყდა, რომ ხორნაბუჯის ციხის ძირას, მდინარე ალაზნის პირას აბასაბადი გაშენდებოდა. ამ მდინარის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა გადაადგილება და საქართველოს შუაგულში მოხვედრა. ხოლო აქ მოჭრილ მონეტებზე დაეწერებოდა, რომ კახეთის აბასაბადშია მოჭრილი.

და მისი უდიდებულესობის მსახურთა რიცხვს, მისივე [შაჰის] წყალობით, ფეიქარ ხანის ყურადღებით და ასევე, ამ სტრიქონების ავტორის ძალისხმევით, 10 000 ქართველი ოჯახი, 1 200 ქართველი მოლაზემი თავად-აზნაურებისგან, 2 000 ახალგაზრდა ყიზილბაში მეისრე და მეთოფე ხსენებული ტომიდან შეემატა.

ხორნაბუჯის, ფეიქანის, ბენქიანისა და სხვა ოსმალეთის საზღვართან და ყივჩაღის დაბლობთან მდებარე ციხე-სიმაგრეების დაცვა ფეიქარ ხანს დაევალა. ყოველწლიურად 60 000 თუმანი მიდიოდა უმაღლეს კანცელარიაში მისი უდიდებულესობის მოხელეების ჩანაწერების მიხედვით, რაც ამ სტრიქონების ავტორისთვის გახდა ცნობილი მაშინ, როცა ჯერ კიდევ 3 წელიწადი არ იყო გასული, რაც საქმეს შეუდგნენ და ტერიტორიის ნახევარი ჯერ კიდევ მოუწყობელი იყო. ფეიქარ ხანი ამ მხარეს 6 წელი მართავდა, ვიდრე მთავარსარდალი ყარჩიღა ხანის გარდაცვალებამდე და უმადური მოურავის აჯანყებამდე, რომელზეც შემდეგ მოგიყვებით.

ჰამადანის მმართველობის ჰასან ხან ესთჯლუსგან ესფაჰანის ჯულფას სომხების დარუღა მიზბან ბეგ გორჯისთვის გადაცემა

.....

იმხანად, გარკვეული შეუფერებელი ქმედებების გამო, რომლებიც ესფაჰანის მცხოვრებლების მიმართ იქნა ჩადენილი, ეს უკანასკნელნი თავიანთი მმართველი მირ აბდულ აზიმ მაზანდარანით უკმაყოფილოები იყვნენ. იმის გამო, რომ ქალაქის თავმა მირ ჯამალ ად დინ მუჰამედ ხუზანი ესფაჰანიმ მასზე დაიჩივლა, ის თანამდებობიდან

გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ესფაჰანის დარუღობა, დავითის მოდგმის, ბაგრატ ხანის ძმას, ხოსროვ მირზას [როსტომ ხანი] მისცეს, რომლის მიმართაც დიდი გულისხმიერება გამოამჟღავნეს.

.....
.....

ამ წელს სამეფო კარზე, ფარსის ბეგლარბეგის, იმამ ყული ხანის საჩუქრები მოვიდა. მასაც მეფური ხალათები გაუგზავნეს რა, ხუზისტანის ველაიათში წასვლა უბრძანეს. იქ მას წესრიგი უნდა აღედგინა და ამბოხებულები დაეშოშმინებინა. ასევე უნდა გაეგზავნა ვინმე ბასრაში და იქაურობის ამბებიც შეეტყო, რადგან როცა კი იქნებოდა ბრძანება, არაბეთის დასაპყრობად უნდა წასულიყო. ბრძანების თანახმად, ხანი ამ საკითხების მოსაგვარებლად ხსენებული მხარისაკენ წავიდა.

ფარა ჰასან ხან ესთაჯლუ, ერთგული მსახური, მრავალი წლის ბეგლარბეგი, გამორჩეული თავისი სიმამაცით, რომელსაც დიდი ხანი ამტკიცებდა, 24 წლის განმავლობაში ყალამარისა ალიშაქრის ბეგლარბეგი და ჯარების სარდალი იყო. მრავალი მტერი დაუმარცხებია და მუდამ სამეფო კარის ერთგული ადამიანი იყო. თუმცა, მისი ბრალეულობის გამო ის თანამდებობიდან მოხსნეს და ამ ტერიტორიების დარუღობა ქართველ მიზბან ბეგს გადასცეს, რომელიც ადრე ესფაჰანის ჯულფას სომხების დარუღა იყო. მიზბან ბეგი მაზანდარანიდან ესფაჰანში გამოიძახეს და დაასაჩუქრეს რა დიდებული ხალათით და გადასცეს რა ბრძანება, ჰამადანის ოლქში გაუშვეს, სადაც ის სეფი ყული ხანად იწოდა.

.....
.....

ქათმის წელი, ჰიჯრის **1030 წელი (ქრ.წ. 1620/21) შაჰის მეფობის 35-ე წელი**

იადგარ ალი სულთან თალეშის ოსმალეთის ელჩობიდან დაბრუნება და ამირ გუნე ხან ყაჯარის სარუ ასლანთან და შამსი ხან ყაზაყლართან ერთად ახალციხის ციხის აღება

ამირ გუნე ხან ყაჯარ სარუ ასლანს, თავის ქვეშევრდომ სულთნებთან და ფარსის დარაბგერდის მმართველ შამს ხან ყაზაყლართან ერთად, რომელიც ყარაბაღის ლურისა და ფანბაქის მიწებთან ძველი დროიდან მოყოლებული დაკავშირებული იყო, და რომელიც საქართველოს ახალციხეს ესაზღვრება, მანდ წასვლა დაევალა.

ახალციხე ადრე გიორგი ხანის შთამომავლების მმართველობის ქვეშ იყო და მას მერე დაიკარგა, როცა სულთან მურად ხანმა ხელშეკრულება დაარღვია და აზერბაიჯანში ჯარი გაგზავნა. ამის პასუხად, ზემოხსენებული მმართველის შვილმა, ათაბაგ ხანმა, დახმარებისთვის მისი უდიდებულესობის კარს მიმართა. და რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც უკვე ითქვა, 1023 წელს, ოსმალეთში წავიდა და ძალაუფლების მოსაპოვებლად აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. ამირ გუნე ხანმაც მოუყარა რა თავი ლაშქარს, სულთნებს, ყარაჩადაღის ხალიფა ბორჰან ად-დინს, ჰოსეინ ხან სულთანს, სალმან ხანსა და სალმასისა და სუფიანის მმართველებს და ზამთარში წავიდა ლაშქრობაში იმ ადგილას, სადაც 7 თვის განმავლობაში თოვს და წვიმს და თითქმის არასდროს დნება თოვლი. და 14 დღის განმავლობაში, გადაუღებელ წვიმასა და თოვლში, ყინვასა და ტალახში, აზერბაიჯანის ლაშქართან ერთად, რომელსაც ჯულფას ყოფილი დარუღა, თავის დროზე შაჰყული სულთნის ღოლამი შაჰის რიგებში მყოფი აღურლუ ბეგი სარდლობდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ. ოსმალებს არ ეგონათ, რომ ყიზილბაშები ამგვარ სიმამაცეს გამოიჩენდნენ და არც უფიქრიათ, რომ ახალციხის ციხის აღება მათთვის შესაძლებელი იყო. საგონებელში ჩავარდნილებმა ციხის დაცვისთვის მზადება დაიწყეს. ოსმალებმა ვერ შეძლეს ციხის სათანადოდ დაცვა, ახალგაზრდა ყიზილბაშები ყოველგვარ სირთულეს იტანდნენ, 14 დღე-ღამე თოვლსა და ყინვაში, ზედ მიწაზე, თავიანთ ნაბდებზე ეძინათ, ხოლო მათ ცხენებს ბალახი და თივა არ ენახათ ამ ხნის განმავლობაში. გარდა ჯორებისა არაფერი გააჩნდათ ხანს, სულთმებს და ლაშქარს. როგორც კი ციხე-სიმაგრე დაინახეს, ფუტკარივით შეესივნენ მის კედლებს და ბრძოლისთვის შემზადება დაიწყეს.

შამს ხანმა, რომელიც იმ მხარეს კარგად იცნობდა, მართებულად ჩათვალა წინ ქვეითი აზერბაიჯანლები, რომელთა რიცხვიც დაახლოებით 1000 თოფანგჩი თუ იქნებოდა, მათ უკან კი მეისრეები გაეშვა. ყველანი, უფლის წყალობის იმედად ციხე-

სიმაგრეს შეესივნენ და შტურმით გამოგლიჯეს იმათ, ვინც ღვით წყალობას მოკლებული და დასამარცხებლად განწირული აღმოჩნდა.

საბრძოლო გეგმის მიხედვით, ლაშქარმა ალყა შემოარტყა ციხეს და დაიწყეს მისი აღება. დიდი ხნის ჯიუტი ბრძოლის შემდეგ, 4 დღის განმავლობაში თვალი რომ არ მოუხუჭავთ ახალგაზრდა მეომრებს, შაჰის იღბლის წყალობითა და წმინდა წინასწარმეტყველის და იმამების შემწეობით, ციხე-სიმაგრე აიღეს. დაინახა რა ფაშამ, რომ მისი ლაშქარი ვეღარაფერს გახდებოდა, თავისი ხალხი და ბავშვები ციხე-სიმაგრეს მოაშორა და თავადაც გაიქცა.

გუშაგებიც და ქალაქის მაცხოვრებლებიც მიხვდნენ, რომ შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა, სასოწარკვეთილები შეიქნენ. ეს ციხე-სიმაგრე, რომელიც თავისი სიმყარით, გამძლეობითა და სიდიადით ცის სადარი იყო, და, რომელიც ოსმალეთის მიწებზე ერთ-ერთი უძლიერესი ნაგებობა იყო, ისე აიღეს, დიდი დანაკარგიც კი არ ჰქონიათ. იქ მცხოვრებთ შეწყალება შესთავაზეს. ნაწილმა შამს ხანთან შეაფარა თავი და ამგვარად გადარჩა, ხოლო ნაწილი უმოწყალოდ დასაჯეს.

ციხე-სიმაგრის დაცვა აღურლუ ბეგ იუზბაშის გადაეცა, ხოლო პროვინციების და თავად ქალაქის, რომელიც დაახლოებით 2 000 მუსლიმს, ქართველსა და სომეხს მოიცავდა, შამს ხან ყაზაყლარს მიუერთეს. თავდაცვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიება თაყი სულთნის ძმისშვილ, აზერბაიჯანელ ყასემ ბეგ მინბაშთან შეათანხმეს. ამირ გუნე ხანი ერევანში დაბრუნდა, ხოლო ამბავი ზემოხსენებული პროვინციის დაპყრობისა, 40 წელი რომ დინასტიის დაქვემდებარების ქვეშ არ ყოფილა, შაჰის სიხარულის მიზეზი გახდა.

ხარის წელი, ჰიჯრის 1034 წელი (ქრ.წ. 1624/25) შაჰის მეფობის 39-ე წელი

ისა ხან ყორჩიბაშის ქალიშვილის სიმონ ხანთან გაგზავნა და კახელების ამოხოცვა

რადგანაც მისი უდიდებულესობას, ღვთის შეწევნით, აზრად ვანის ციხის აღება მოუვიდა, გადაწყდა, რომ ნოურუზის შემდეგ სეფაჰსალარ ყარჩიღა ხანს ეს საქმე უნდა გაეკეთებინა. ქართველი უმადური მოურავი, რომლის სტატუსმა და მდგომარეობამაც ისფანდიარ ბეგის სიკვდილის შემდეგ განმაცვიფრებელ მწვერვალებს მიაღწია, იმედოვნებდა, რომ მისი უდიდებულესობა, აიღებდა რა ყანდაარს, მას გადასცემდა. მას ასევე ეგონა, რომ ბაღდადის მმართველობასაც, სადაც მისი ძმა ქაიხოსრო ზარბაზნის გასროლით დაიღუპა, მას ჩააბარებდნენ. და არ იცოდა, თუ რაოდენ დიდი იყო მისი უდიდებულესობის ძალაუფლება!

და ამ დღეებში მოურავი დამფრთხალიყო, ეშინოდა რა მისი უდიდებულესობის, ფიქრობდა, რა ეშმაკობისთვის მიემართა და მოახსენა [შაჰს], რომ თუკი მთავარსარდალი აზერბაიჯანიდან ვანის ციხისკენ წამოვა და აზერბაიჯანის სულთნებიც მას ამ მხარეს გამოჰყვებიან, მაშინ, შესაძლოა, თეიმურაზ ხანმა, რომელიც აგერ უკვე 12 წელია, რაც მმართველობას ჩამოშორებულია და ოსმალეთში შესაფერის დროს ელოდება, შეკრიბოს ლაშქარი და სულთნები და თავის მხარეში დაბრუნდესო. მას მერე, რაც კახეთში დაჯდა, იქ ქართველების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და როცა ისინი დაინახავენ, რომ თეიმურაზ ხანი მოვიდა, მაშინ, არაა გამორიცხული, ყივჩაღების დაბლობის ველის სულთნებთან ერთად, დიდი ხნის მეგობრობა, სიყვარული და ნათესაობა რომ აკავშირებთ თეიმუაზ ხანთან, ჯანყი წამოიწყოს და მერე კი ფეიქარ ხანს მაგ მხარეში აღარ დაედგომებაო: და თუკი ლუარსაბ ხანის და, რომელიც მიეკუთვნებოდა დიდებულის ჰარემს, გაუბრაზდება ფეიქარ ხანს, და ყიზილბაშებს, მაშინ აუცილებლად დაიჭერს ქართველების წაქეზების თადარიგს და ფეიქარ ხანის სამსახურში ჩამდგარ, დაახლოებით 20 000 ოჯახს იგრიმი დორთიდან თუ სხვა ტომებიდან, თავს დაესხმიან, შეიპყრობენ, შესაძლოა, კიდეც გაასახლონ, რაც გამოიწვევს აურზაურს და ქაოსს. და თეიმურაზ ხანის და, რომელიც შაჰის ჰარემის რიგებს მიეკუთვნებოდა, შემდეგ კი მუჰამად ყული ხანს გადაეცა, ასევე განაწყენებული და გაღიზიანებული შაჰის მხრიდან, წააქეზებს რა თავის ძმას, რომელსაც უკვე საკმაო ლაშქარი შეუკრიბავს და ფეიქარ ხანის კახეთიდან განდევნას

ლამობს, მოიყვანს განჯაში და გარდა არეულობისა და ქაოსისა, საქმე ვანის ცხის აღებამდე მივა.

უმადურმა მოურავმა მოახსენა რა ეს თავისი ვარაუდი და აზრი უმაღლეს კარს, ასევე დასძინა, რომ თეიმურაზ ხანის აჯანყებას უფრთხის და ძალიან შეწუხებულია ამით. ამასობაში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ სტრიქონების ავტორს, როგორც ფეიქარ ხანის ვეზირს, დაევალა, რომ კახეთის მმართველის ფეიქარ ხანის არზა უმაღლესი საბჭოსთვის წარედგინა. არზაში ფეიქარ ხანი კახეთის ვითარების, ამ მხარის გაფურჩქვნის და კეთილმოწყობის შესახებ მოახსენებდა. იგი აღნიშნავდა, რომ დაახლოებით 16 000 ოჯახი კახეთში ჩამოსახლდა. ამას გარდა, საგრძნობლად გაიზარდა იქ მომთაბარე, უსახლკარო ღაზაყთა რიცხვი, რომელთაც უსახლკარო არაბებს უწოდებენ და რომლებიც აქტიურად ეწევიან მიწათმოქმედებას. ფეიქარ ხანის შეფასებით, საქართველოს ერთი მესამედი მიწა უკვე ათვისებულია. ეს წერილი ფეიქარ ხანის ნდობით აღჭურვილ პირს, ჩიქ ალის ძმის შვილს, შაჰმირ ბეგ ქორდ აჰმადლუს გადაეცა და წაკითხულ იქნა. ამ წერილის შინაარსი მოურავის სიტყვებს უფრო ამყარებდა.

როდესაც მისმა უდიდებულესობამ იმ მხარესთან დაკავშირებით უფრო ზუსტი ცნობები მოითხოვა, მოახსენეს, რომ ფეიქარ ხანიც ადასტურებს მომხსენებლის სიტყვებს. და თუკი საქართველოში მართლაცაა ასეთი ლაშქარი, მხედართმთავარი ვანის ციხისკენ დაიძრება და ამავდროულად ხონთქარი თეიმურაზ ხანს ლაშქარს მიაშველებს თავის ქვეყანაში დასაბრუნებლად, მაშინ ნამდვილად არეულობა და ჯანყი დაიწყება.

დიდი ხნის ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ (მით უფრო, რომ ამ დროს ირანისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები, განსაკუთრებით კი ამ მხარეში, ამ პირშავის (ე.ი. მოურავის) უმგავსო რეპუტაციის მქონე კაცის გადასაწყვეტი იყო), მის უდიდებულესობას მოახსენეს, რომ კახეთში ამბოხისა და არეულობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ამ მხარის დარბევა და აოხრება. უნდა აღმოიფხვრას და განადგურდეს აზნაურებისა და ლაშქრის ძალა, ხოლო ფეიქარ ხანი უნდა გააგზავნონ სხვა მხარეში, რათა თავიდან ააცილონ ამბოხი და მუქარა. და როდესაც კახეთი და საქართველო განადგურდება, ხოლო განჯიდან და მისი იმ მიდამოებიდან უსაფრთხოება გარანტირებული იქნება, მაშინ ვანის აღება და დამორჩილებაც ძალიან გაადვილდება. შემოთავაზებული ზომები მისაღები გამოდგა და ამიტომაც მეფური ხალათითა და წერილით გაისტუმრა მისმა უდიდებულესობამ შაჰმირ ბეგი. წერილში ეწერა, რომ, ღვთის შეწევნით, ისა ბეგ მოურავი თბილისის და ქართლის

ველაიათებისკენ დაიძრება. შემდეგი მითითებები კი ასევე შემდგომი, ახალი ბრძანების მიხედვით გამოჩნდება.

ფეიქარ ხანის მსახურის დაბრუნების შემდეგ, მისმა უდიდებულესობამ იმისათვის, რომ დაეწყნარებინა ქართლელები, რომელთა მმართველიც ბაგრატ ხანის შვილი, სიმონ ხანი იყო, ბაგრატ ხანისგან კი არასდროს ენახა მის უდიდებულესობას დაუმორჩილებლობა, ის ყოველთვის შაჰის ერთგული იყო და თანაც, ამავე მხარეს მიეკუთვნებოდა მოურავიც, გადაწყვიტა, ყორჩი ბაშის ქალიშვილი, თავისი შვილიშვილი, მთავარსარდლის მეთვალყურეობით, სიმონ ხანთან დასაქორწინებლად გაეშვა. სიმონ ხანი მუსლიმი იყო და მამაც მუსლიმი ჰყავდა. მისი ქორწინება მისი უდიდებულესობის შვილიშვილთან ქართლელებთან ურთიერთობის გამყარების და მათი გადმობირების საწინდარი იყო. ის კახელები, რომლებმაც დაუმორჩილებლობა გამოავლინეს, არ გამოიჩინეს ფეიქარ ხანისადმი ნდობა და ერთიანობის სურვილი, სიკვდილით დასაჯეს.

მთავარსარდალთან და მოურავ ბეგთან შეთანხმებით, გაიცა ბრძანება, რომ ყარაბაღის ბეგლარბეგის ერთგული მებრძოლი მუჰამად ყული ხანი, შირვანის ბეგლარბეგის იუსუფ ხანი და კახეთის ბეგლარ ბეგი ფეიქარ ხანი შეკრებილი ლაშქრით, სხვა დანარჩენებთან ერთად, უნდა ჩასულიყვნენ თბილისში, რომელიც სიმონ ხანის სამშობლოა. ისინი (ისა მოურავ ბეგი, ანდუყაფარ ბეგი [ამილახორი] არაგვის ხეობის მმართველი, ერისთავ ბეგის შვილი, ზურაბ ბეგი, აზნაურები და სარდლები იმ მხარის) უნდა შეერთებოდნენ ხანის შთამომავლის ქორწილს, რომლის წყალობითაც ისინი [ქართველები] დიდებული საგვარეულოს წევრები გახდებოდნენ. 27 დღე იზეიმეს. ამის შემდეგ კი უნდა შეესრულებინათ ყოველივე, რაც მთავარსარდლისგან და ხაყანთან დაახლოებული პირების მიერ იქნებოდა დავალებული. ამ უკანასკნელთა განკარგულება იყო სავალდებულო, როგორც უფლის ნება.

მთავარსარდალიც ქართლისკენ წავიდა. გადაწყდა, რომ ზემოხსენებულ მეფის ასულს თან გაჰყვებოდნენ ყორჩიბაში, დიდი ქალბატონი (*მეჰდალიე*), და ასევე ფათემე სულთან ბეგუმი, მისი უდიდებულესობის ქალიშვილი და იმ საგვარეულოს ყველაზე ბრძენი ქალი, რომელსაც ძალიან წყალობდა. მას ასევე თან ახლდა ბაგრატ ხანის და, ტახტის მემკვიდრის, სიმონ ხანის მამიდა, რომელიც ქმრის, მოჰამად ხან ყაზაყლარის, გარდაცვალების შემდეგ დიდებულ ჰარემში იმყოფებოდა და უძღვებოდა საგვარეულოს მსახურებს.

და როგორც დიდებულებს შეეფერებოდათ, მისი შვილის მოგზაურობაც სწორად ისე იყო დაგეგმილი. საჭურისების, მსახურების და ერთგული მოსამსახურეების თანხლებით. მთავარსარდლის გაშვების დროს მისმა უდიდბულესობა ღვთის ჩრდილმა შემდეგი სიტყვები თქვა: რადგანაც მოურავ ბეგმა საქართველოს საქმეები კარგად იცის და მისი ჩვენდამი ერთგულება ჩვენთვის ნათელი გახდა, ამიტომ ამ მხარის მმართველობის საქმე და ასევე, თბილისის ციხის კონტროლი თუ სხვა, გადაწყდება მხოლოდ მასთან მოთათბირების შემდეგო.

მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ერთგულად მსახურების (აქედან 20 წელი მთავარსარდალი იყო და დიდ სიმამაცესა და გამბედაობას იჩენდა) განმავლობაში მთავარსარდალს არასდროს მისი უდიდებულესობის ნებისგან არ გადაუხვევია და არც არასდროს მიუცია მტრისთვის საბაბი, მის გამოცდილებაში ეჭვი შეეტანათ, ახლა ციხის აღების საქმე მოურავ ბეგს დაევალა. ვინაიდან მისი უდიდებულესობის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება სუფიური კანონისა და დიდებული საგვარეულოს ღალატად ითვლება, მთავარსარდალმა მორჩილად მიიღო ეს გადაწყვეტილება და მოურავ ბეგი თავის მრჩევლად მიიღო. ხშირად გაიფიქრებდა, რომ, რადგანაც მისი უდიდებულესობის ბუნება ასეთია, რომ ყველა იმ გაძლიერებულ მსახურს, რომელიც მიაღწევს ძალაუფლებას, თავიდან იშორებს, იქნებ ჩემი სიცოცხლეც მოურავის ხელშიაო?! აბა, განა რას ემსახურება ჩემი ძალაუფლებისა და მოვალეობის ამ უმადური ქართველისთვის გადაცემა?! ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ნოურუზის შემდეგ მის უდიდებულესობას დაეთხოვა ფარაჰაბადში და იმ ბედნიერ საათს საქართველოში გამოსამგზავრებელი იღბლის მომტანი კარვები გაშალეს. ყორჩიბაშის მცველებმა და დაახლოებულმა პირებმა ქალაქისგან მოშორებით კარვები გაშალეს და ყველა, ვინც საქართველოში მოგზაურობის დროს თან ახლდა დიდებული საგვარეულოს მემკვიდრეს, გაემზადა და გზას დაადგა.

მთავარსარდლის და ქართველი მოურავის ფარაჰაბადიდან საქართველოსკენ წასვლა

მთავარსარდლის ფარაჰაბადიდან წასვლის შემდეგ რამდენიმე დღე კასპისპის ზღვის პირას, გილანისა და მაზანდარანის საზღვართან შეყოვნდნენ და ვინც თან ახლდა მოურავ ბეგს და მოემზადნენ გილანიდან საქართველოსკენ გასამგზავრებლად. მაზანდარანის ვეზირმა წინასწარ გაუშვა კაცი გილანში, რათა გზადაგზა

გამასპინძლებოდნენ საწუთროს დიდებულ ქალბატონსა და მთავარსარდალს მოგზაურობის დროს. მათ დახვდათ ასევე ლაჰიჯანის ვეზირი მირზა აბდულა სეფაჰანი. მთავარსარდალმა ლაშქართან ერთად რამდენიმე დღე ლაჰიჯანში დაჰყო. ჯუმადას ორ რიცხვში (11 მარტს) თბილისის გუშქულის ველზე უნდა ყოფილიყვნენ. რაბი ალ-ავალის თვეს (დეკემბერი/იანვარი) ლაჰიჯანიდან გავიდნენ, ხოლო მირ აბდულა და იმ მხარის ქალანთარები და უხუცესები თან გაჰყვნენ. გილანის ბიეფასის ვეზირი ასლან ბეგი მათ სეფიდრუდთან დახვდა. მთავარსარდალმა მირზა აბდულას და დანარჩენ დიდებულებს მისი უდიდებულესობის სახელით ძვირფასი ხალათები გადასცა, გაათავისუფლა და ბიე ფასის მხარეში შევიდა. ასლან ბეგმა და იქაურმა დიდებულებმა გულდასმით და უშეცდომოდ შეასრულეს თავიანთი დავალებები. მთავარსარდალმა რამდენიმე დღე რაშთში დაჰყო. ქასმამდე, რომელიც თალეშისა და გილანის საზღვართან მდებარეობს, მას ასლან ბეგიც ახლდა, ხოლო მერე მიიღო რა ამ უკანასკნელმა საპატიო ძვირფასი ხალათი, უკან გაბრუნდა. ქასგარის მმართველის, იუსუფ სულთნის ხალხი და თალეშის მთავარსარდალი ზილან ბეგი, ასევე ადგილობრივი დიდებულები, მას [მთავარსარდალს] მზადყოფნაში და დიდი პატივით დახვდნენ. რადგანაც ასთარის ველაიათი თალეშის მმართველ სარუ ხანს ეკუთვნოდა, ხოლო ეს უკანასკნელი და მთავარსარდალი ნათესავები იყვნენ, თავის ძმებთან და ნათესავებთან ერთად მოვიდა, რათა შეგეგებოდა დიდებულ მთავარსადალს და საწუთროს სიბრძნით მოსილ ქალბატონს და სთხოვა, რამდენიმე დღით აქ დარჩენილიყვნენ. სარუ ხანის დედის პატივისცემის ნიშნად, რომელიც სამეფო საგვარეულოს მიეკუთვნებოდა, სამი დღე ასთარაში დარჩნენ. მთავარსარდალმა ძვირფასი ხალათებით გულუხვად დაასაჩუქრა რა სათითაოდ ყველა მხარის ხანი და მაღალჩინოსანი, მათ ყურადღება და სათანადო გულისხმიერება დაანახვა. ვინაიდან ლენქორანი და ყიზალაღაჯი ყორჩი ბაშის თიულები იყო, ვეზირი მირზა ამინი და დარუღა ნადრ ალი ბეგი, ამ მხარის მაღალჩინოსნებთან ერთად თავიანთ მეფის ასულს და სახელოვან ქალბატონს დიდი ზარზეიმით დახვდნენ.

ამინ მუჰამადი, როგორც ეს ნაბრძანები იყო, რიგი საჭირო, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად იქ გაჩერებულიყო. მან უამრავი საჩუქარი გაუგზავნა მთავარსარდალს, მოურავ ბეგსა და მათ თანმხლებთ. სტუმრებმა სეირნობით, განცხრომით, და ლენქორანის მიდამოებში თევზაობით, ნაირ-ნაირი და მრავალფეროვანი ფრინველისა და ცხოველის მონადირებით ისიამოვნეს. საქმეების მოწესრიგების შემდეგ ამინ მოჰამადმა ისინი მდინარის ნაპირამდე მიაცილა და უკან დაბრუნდა. მთავარსარდალმა დარვიშ ბეგი შირვანის ბეგლარბეგ იუსუფ ხანთან გააგზავნა, რომელთანაც მას ჯერ კიდევ ბავშვობიდან მყარი მეგობრობა აკავშირებდა; ასევე, ალი ბეგ სოფრეჩი განჯის ბეგლარბეგ მუჰამედ ყული ხანთან, ხოლო იუსუფ ბეფ

ღოლამი ფეიქარ ხანთან, რათა შეეკრიბათ ლაშქარი. გაიგზავნა წერილები, სადაც ნაბრძანები იყო, რომ ძალიან მალე მოეკრიბათ ძალა და თბილისში ჩასულიყვნენ.

მოურავ ბეგმა ქართლის დიდებულებთან ერთად თავისი შვილი იბადა[113] სიმონ ხანთან და იმ მხარის აზნაურებთან გაგზავნა. რადგანაც ეს დიდებული ჯილდო, რომელიც ღვთის საჩუქარია, ქართველი მეომრებისთვის და ხალხისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მისი უდიდებულესობის შვილიშვილი შარიათის კანონის მიხედვით დაინიშნა ამ მეფეთა შთამომავალზე და ისინი დიდი მოწიწებითა და პატივისწემით დახვდნენ, ასევე, დიდებულ ქალბატონს [ქვეყნიერების დიდებულს] და თავადაზნაურობასთან ერთად ეახლნენ მათ. ლხინისთვის მოამზადეს სუფრა და ძვირფასეულობა, რათა საკადრისად აღენიშნათ ეს მოვლენა და გადაეცათ საჩუქრები მათი ნიშნობის საპატივცემულოდ.

ანდუყაფარი ბეგი (ანდუყაფარ ამილახორი), ქართველი ფარემუზ ბეგ[114] ამილახვრის შვილი, და იმ დროის პატივცემული ქალბატონის, ქართველი თამარის ძმა იყო. თამართან მის უდიდებულესობას განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა.[115] ანდუყაფარი ქართლის თავადი იყო და მეფეს ენათესავებოდა. მისმა უდიდებულესობამ ის 22 წლის ასაკში პატივცემული იმამ ყული ხანის ქალიშვილზე დააქორწინა და ხანის ქალიშვილს გზაში რომ მარტოდ არ ეგრძნო თავი, თან ოჯახი გააყოლა. თანაც, ყორჩიბაშის ქალიშვილს ისე უნდა გაეწია მისთვის ცოლობა, როგორც ეს მისი [ქალიშვილის] მამა-პაპის ოჯახში იყო მიღებული. ზემოხსენებულმა სიმონ ხანის 16 წლის მემკვიდრესთან და ქართლის სხვა დიდებულებთან კაცი გაგზავნა, რათა ისინი წვეულებისთვის მომზადებულიყვნენ და ყველაფერი მოემზადებინათ დროის გასატარებლად და სანადიმოდ.

მთავარსარდალს და სამეფო კარის წარმომადგენლებს მუღანის ქალანთარი ჰამზა ხან ბეგი, შაჰ ბენდე ხანის კაცი და დარუღა იულდაშ ბეგი, ასევე 70 000 სახლის ქედხოდა დახვდათ. და ისეთი მასპინძლობა გაუწიეს, როგორიც მუღანელებს სჩვევიათ. ისინი განთქმულები არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით. რა არ გადასცეს საჩუქრად [მუღანელებმა]: ცხენები, ცხვრები, აქლემები, კარვები, ხალიჩები,

---

[113] როგორც ჩანს, ავტორი პაატას გულისხმობს. მსგავსი ფორმა, „ბადადა“ გვხვდება სპარსულ წყაროებში. მაგ., ესფაჰანის დარუღა პაატა (ბადადა) ბეგ ქართველი იხ: კუცია 1972: 102 .

[114] ანდუყაფარის მამა ისქანდერ მუნშის მიხედვითაც ფარემუზ ბეგია. „ეს სახელი რამდენჯერმე გვხვდება ამილახორთა საგვარეულოში. ერთი მათგანია 1616 წ. ამილახორად მოხსენიებული იოთამის ძმისწული ფარემუზ. შესაძლოა, ესფარემუზი იყოს ანდუყაფარის მამა“ (ფუთურიძე 1969:160).

[115] ფარსადან გორგიჯანიძე წერს, რომ შაჰ-აბასს ცოლად ჰყავდა ანდუყაფარ ამილახორის და და „ნამეტნავად უყვარდა“ იგი (კაკაბაძე 1926:27 .

დათვების და მურა დათვების ბეწვი, რაც ტრადიციული თურქმანული საჩუქრებია; ყველა იქ მყოფთ საპატიო ხალათები და საკადრისი საჩუქრები აჩუქეს. სამი დღე არ იყო გასული მდინარე არაქსთან გაჩერების შემდეგ, რომ ანგუთის ქალანთარმა მალექ მოჰამად ხანმა და იმ ველაიათის მმართველმა ალი ხან სულთან ქორდმა, რია ენჰარიმ და სარუხან მაზარეიმაც საჩუქრები მიართვეს და პატივი სცეს მათ.

მელიქები და სულეიმან სულთან ჯავანშირი, სუფრაჩიბაში ხალაფ ბეგის შვილი, ჩელები ვერდი ბეგი, ყარაბაღსა და არსებარში მყოფი შაჰის ყორჩიები და მსახურები, მთავარსარდლის კორტეჟს შეურეთდნენ რა, პატივივისცემა გამოამჟღავნეს მის მიმართ. სოლეიმან სულთანი, თავის 700 ახალგაზრდასთან ერთად, მთავარსარდალს განჯაში გაჰყვა. ბარგოშადის მმართველი, მასუდ სოლთანი, იმ მხარის ქალანთარები, მიჰანის და ჩულდარის მმართველებიც, ასევე, პატივისცემის გამოსახატავად და მასთან ერთად გასამგზავრებლად მივიდნენ.

მასუდ სულთანი, თავის 300 კაცთან ერთად, მთავარსარდალს განჯისკენ გაჰყვა და როდესაც მდინარე ტერტერას და ბარდის პირას დაბანაკდნენ, მათ ფეიქარ ხანის მიერ დასმული ამ მხარის რწმუნებული, ჰაიდარ ბეგ გულეგირი და მისი თანმხლებლები შეუერთდნენ. მთავარსარდალი განჯიდან ბარდავისკენ დაიძრა. იქ ფეიქარ ხანის სახლებში ჩერდებოდა. ეს სახლები თავად ფეიქარ ხანის გემოვნებით იყო აშენებული. ბარდაში ჩასვლის შემდეგ ფეიქარ ხანმა პატივისცემა გამოავლინა მის მიმართ. ნაბრძანები იყო, რომ ამ სიტყვების ავტორი მთავარსარდლის სამსახურში უნდა ყოფილიყო, შეეკრიბა ბარდაში და კუშხანის მიდამოებში მყოფი ლაშქარი, ხალხი, რათა თბილისისკენ დაძრულიყვნენ. იმ დღეს, როდესაც მთავარსარდალი ბარდას ტოვებდა, მემატიანემ, საკუთარ საჩუქრებთან ერთად, მას ფეიქარ ხანის მიერ საქართველოდან გამოგზავნილი საჩუქრები მიართვა.

დამწერი [ამ სტრიქონების] და ხანის დაახლოებული პირებიც საპატიო სამოსით დააჯილდოვეს და გაუშვეს. თანაც დაავალეს, რომ ყარაბაღში მყოფი, დაახლოებით 1000 კაციანი ლაშქარი შეეკრიბათ და საქართველოში გამოცხადებულიყვნენ. ამის შემდეგ კი დატოვეს ბარდა და განჯისკენ წავიდნენ. მოჰამად ხანმა მირზა შარიფი, მისი ძმა მეჰდი ხან ბეგი და დანარჩენი ყაჯარი დიდებულები, მდინარე ქურკჩაისთან, მთავარსარდლის დასახვედრად გაუშვა. იმ ღამეს იქვე დარჩნენ. როდესაც მთავარსარდალი გაემგზავრა, მოჰამად ყული ხან ყაჯარი, რომელიც, დიდებული ბრძანების თანახმად, სიძის ვაქილად იყო დანიშნული, ხოლო წარმოშობით იყო ყიზილბაშთა პატივცემული გვარიდან, ყარაბაღის მმართველ მალიქ საფართან, შეიხულისლამთან და განჯის დიდებულების წარმომადგენლებთან ერთად

მთავარსარდალს შეეგება. ამ შეხვედრამ მათი შფოთი და ეჭვები ქარს გაატანა, გაფანტა. ამ ხალხისთვის დიდი პატივი იყო, ემსახურათ დიდებული გვარის მარგალიტისთვს, ბრწყინვალე კარის მემკვიდრისთვის, დიდებულმა სამეფო კარმა მზრუნველობით რომ გაზარდა და მისი უდიდებულესობის შვილიშვილი რომ არის. ადგილობრივი მმართველები და მაცხოვრებლები ტრადიციების მიხედვითა და დაცვით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მთავარსარდალი, იმისთვის, რომ ხანის ლაშქარი შეეკრიბა, დალოდებოდა ამბავს დიდებული სიძისგან, ასევე, დალოდებოდა შირვანის ბეგლარბეგ იუსუფ ხანს, საქართველოს კახეთის ხანს, სულთნებს, მსახურებსა და მოსამსახურეებს, რამდენიმე დღით შეყოვნდა. მანამდე კი განჯის ველზე, ირანის ერთ-ერთ საუკეთესო მხარეს, სანადიროდ გასვლა გადაწყვიტა. მუჰამად ყული ხანი თავის სტუმრებს თბილად დახვდა. ასეთი სტუმრების ყოლა ძალიან იშვიათია. მან თავის ხალხს დაავალა, გაეკეთებინათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო დიდებული წვეულებისთვის. ბრძანების თანახმად, იმ დღეს, როცა მთავარსადალი მაჯლესს მოიწვევს, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ ხანი და მისი ქვეშევრდომი სულთნები, სოჰბათიასაულთან ერთად, მასთან უნდა იდგნენ.

ხოლო იმ დღეს, როდესაც მოჰამად ყული ხანი, სიძის ვაქილი მოიწვევს მაჯლესს, საქართველოს კახეთის ბეგლარბეგი ფეიქარ ხანი ყარაბაღის სულთნებთან ერთად მიღებას, შეხვედრას გამართავს.

და ქართველების წვეულების მასპინძელი იქნება მოურავ ბეგი. ანდუყაფარ ბეგი და ზურაბ ბეგის მოვალეობაც ამ დღეს მსახურებაა. 20 დღის შემდეგ პატარძალს სიძეს გადასცემენ და ეს ორი ბედნიერების მომტანი ვარსკვლავიც შეერთდება. მოჰამად ყული ხანის წარმომადგენლები და ვაქილებიც დაელოდებიან და როცა მოურავი ქართველების წვეულების ამბებს მოაგვარებს, ქართლში შევლენ.

მთავარსარდლის განჯიდან ქართლში წასვლა, სიმონ ხანის დახვედრა და ქორწილი

განჯაში ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მოვიდა ამბავი, რომ შირვანის ბეგლარბეგმა იუსუფ ხანმა მდინარე მტკვარი გადალახა და კახეთში შევიდა. ფეიხარ ხანი მას სამი დღის განმავლობაში უმასპინძლდებოდა. უმასპინძლდებოდნენ და ესაუბრებოდნენ მას ასევე დანარჩენი გამუსლიმებული ქართველები, რომელთა ისლამისადმი სწრაფვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ასეთი არასდროს ყოფილა

დავითის დინასტიის სამეფოს მკვიდრთა შორის. და ჯერ სანადიროდ წავიდნენ შირაქის და ყარაიაზის ველზე, რომელიც ქართლისა და კახეთის მეფეების სანადირო ადგილია, შემდეგ კი ქართველ და მუსლიმ თანამებრძოლებთან ერთად თბილისის ციხისკენ გაემართნენ. მთავარსარდალმაც დატოვა რა ქალაქი განჯა, მოურავ ბეგთან, ანდუყაფარ ბეგთან, მოჰამად გორჯისთან და დანარჩენ მუსლიმ დიდებულებთან ერთად, ქართლისკენ წავიდა. ზაგემჩაის, ახალციხის და სხვა მხარეების მმართველმა სელიმ ხან შამს ად-დინლუ ზულყადარმა, თავისი ძმა, ასლან ბეგ იუზბაში, რომელიც ყარაბაღში იმყოფებოდა, მათთან შესახვედრად და ყურადღებისა და პატივისცემის გამოსახატავად გააგზავნა. ასლან ბეგი თავის ათას კაცთან ერთად მთავარსარდლისა და ბეგლარბეგის სამსახურში ჩადგა. ახასთეაბადის მმართველი ხალილ სულთანი, ხანებს შეუერთდა და ისიც ახასთებადადიდან ყარაბაღის და ქართლის საზღვართან და ნურადინ სულთნის სამფლობელო მდინარე თებედამდე მიაცილა. მდინარე თებედასთან მიიყვანა რა ეს დიდებული ბანაკი, იქ გაშალეს გამარჯვების მომტანი ღაზიების კარვები.

მეორე დღეს, როდესაც ხალხმა სიმონ ხანის მთავარსარდლის და დიდებული ქალბატონის მოსვლა შეიტყო, მათ დასახვედრად დაიწყეს მზადება. მოურავმა სიმონ ხანის მოსაყვანად თავი მთავარსარდლისგან გაითავისუფლა რა, თბილისისკენ წავიდა. მათთან შესახვედრად გაუშვეს ასევე აზნაურები, თავადები, კათოლიკოსი, ალავერდელი და სხვა მღვდლები და გააგზავნეს სასმელ-საჭმელიც.

როდესაც ისინი ალგეთიდან (თბილისიდან ორი-სამი ფარსახის მოშორებითაა) გამოვიდნენ, მოურავ ბეგმა, როგორც ეს მიღებული იყო ახალგაზრდა მებრძოლებში და დიდებულ სულთნებში, სიმონ ხანი და დანარჩენი ქართლის წარჩინებულები საზეიმო შეხვედრაზე მიიყვანა. პირველ რიგში, მან გამოხატა მადლიერება და პატივისცემა მისი უდიდებულესობის მფარველობის მიმართ, რომელმაც ეს გვარი ქორწინებით განადიდა. დღემდე არასდროს მომხდარა, რომ რომელიმე ქართველ მმართველს, რომელსაც მიეღო ისლამი, დიდებული გვარისშვილის [სეფიანთა გვარის] ცოლობა ეთხოვა. ამიტომაც ამგვარ წყალობას იგი ძალიან დიდ მიღწევად თვლიდა. თანახმად ტრადიციისა, მან მისი უდიდებულესობის წინაშე მოწიწებით დახარა თავი.

თბილისის სოღანლუღის ველზე, რომელიც ციხე-სიმაგრიდან ერთი ფარსახით იყო მოშორებული, სადღესასწაულო კარვები გაიშალა. ყველა იქ მყოფი, თუ მომავალი სულთნისა და ხანის ადგილი განსაზღვრული იყო. მესამე დღეს იუსუფ ხანი და ფეიქარ ხანიც შეუერთდნენ მათ, მივიდნენ და პატივისცემითა და მოწიწებით მიართვეს საჩუქრები. მერე კი მთავარსარდალს ეახლნენ.

დიდებული წვეულება გამართეს ნუგბარითა და საჭმელ-სასმელით, ყველგან ფარდულები გაშალეს და იქაურობა ისე მორთეს, რომ სათითაოდ ყველა მათგანი ბრწყინავდა. მტკვრის სანაპიროს გაყოლებაზე, სადაც კარვები იდგა, თამაშობები გამართეს: ცხენბურთი, მშვილდოსნობა; ახალგაზრდა ყიზილბაში და ქართველი მეომრებისთვის - ტირი. აქ ისინი ერთმანეთს თავიანთ ძალას აჩვენებდნენ და მოქნილობას, მშვილდოსნობასა და ცხენით ჯირითში ეჯიბრებოდნენ. ასე განვლო სამმა დღემ. ციდან თითქოს ანგელოზთა დასიც მოკვდავებთან ერთად ზეიმობდა.

პირველ დღეს მთავარსარდალმა ტრადიციისამებრ მაჯლესი მოიწვია, ხოლო იუსუფ ხან მირ შექარ ბაში სადღესასწაულო და საზეიმო მზადებას შეუდგა. მეორე დღეს ყაჯართა გვარს დაახლოებული მოჰამად ყული ხანი ფეიქარ ხანს თანმხლებად მიამაგრეს. მესამე დღეს მოურავ ბეგმა ანდუყაფარ ბეგსა და ზურაბ ბეგს დაავალა შეკრების მოწყობა. მათ გამართეს წვეულება, იქ მყოფები ძვირფასი ხალათებით დაასაჩუქრეს და მორთეს იქაურობა. თითოეულ შეკრებაზე გულუხვად გასცემდნენ ისინი ფულსა და საჩუქრებს მუსიკოსებისთვის, მამაცი მეომრებისთვის, რომლებიც თავინთი მეისრეობით, მშვილდის სროლით იწონებდნენ თავს. იქ მყოფ ხალხს ყურადღება და მზრუნველობა არ მოჰკლებია. თვით ცათა სასუფეველში დამკვიდრებული სულთან ჰუსეინ მირზას დროსაც კი, რომელმაც მთელი ცხოვრება განცხომასა და ლხინში გაატარა, არავის ენახა ამგვარი წვეულება. ასე გრძელდებოდა ცხრა დღე, საჩუქრების გადაცემით და წყალობისა და პატივისცემის გამოხატვით.

და როდესაც დასრულდა ლხინი, სამეფოს დინასტიის ეს ძვირფასი წარმომადგენელი დათქმულ დროს თბილისის ციხემდე ფეხით მიაცილეს ხანებმა და სულთნებმა. სიმონ ხანი მას გალავანთან დახვდა და თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო.

და დიდებული ქალბატონი, რომელიც პატარძლის ძიძა და სიძის მამიდა იყო, მთავარსარდლის ჰარემის რამდენიმე მოსამსახურესთან ერთად ციხე-სიმაგრეში დარჩა. იქ მოისვენა და მეორე დილას უფლისწულმა მას საპატიო სამოსი და ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა. იმდენი, რამდენის ჩამოთვლაც კი რთული იქნება.

კახეთზე შეტევა და კახელების და ფეიქარ ხანის მხლებლების ამოხოცვა

წვეულების დასრულების შემდეგ, როგორც ნაბრძანები იყო, ხანებსა და სულთნებს ლაშქარი უნდა შეეკრიბათ და მათაც დილაადრიან იმ ხასხასა და ბიბინა

ველზე ასი ათასი მეომარი შეკრიბეს. ისინი ერთბაშად ჩადგნენ მწყობრში. თავიანთი ქართველი და მუსლიმი თანამებრძოლები მორავ ბეგთან და მთავარსარდალთან მიიყვანეს სამხედრო შემოწმებისთვის და, თანახმად ბრძანებისა, ყველა ხანი და სულთანი თავიანთი მხედრებით, დაახლოებით ოცი ათას კაცს რომ შეადგენდა (ქართლის ლაშქრის გარეშე), ამხედრდნენ რა, მთავარსარდლის წინაშე წარდგნენ. მეომრები ვრცელ ველზე შეიკრიბნენ. აქვე იმყოფებოდნენ ხანები და სულთნები, რომლებიც ლაშქრის შემოწმებას ადევნებდნენ თვალყურს. ფეიქარ ხანმა აზნაურების, თავადებისა და სხვა ქართველი დიდებულებისგან შემდგარი საგულდაგულოდ შემზადებული და კარგად გამოწვრთნილი და შეიარაღებული თავისი 800 ახალგაზრდა მეომარი, და, ასევე, ყიზილბაში თოფანგჩიები შემოწმებაზე მიიყვანა. შემდეგ მას უთხრეს, რომ, ბრძანების თანახმად, უნდა განადგურდეს ქართველთა ლაშქარი და ასევე მათი მიწა, ისე, რომ კახეთში აღარავინ დარჩეს ცოცხალი. ამის შემდეგ კი თავის ხალხთან ერთად უძველეს ქალაქსა და საგვარეულო მხარეში, ბარდაში, უნდა წავიდეს და იქ გამოიზამთროს.

ფეიქარ ხანმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. წესით, თანახმად ბრძანებისა, დღესასწაულის შემდეგ მისთვის უნდა ეთქვათ ის, რასაც აპირებდნენ. ჯერ ერთი, ფეიქარ ხანის სახლში ქართველი უფლისწყლი იყო და მერე, ღმერთს ნუ ექნა და ის შენობები, რომლებიც თავად ფეიქარ ხანს აეშენებინა კახეთის აბასაბადში და აგრერიგად შეჰყვარებოდა და მისჩვეოდა მათ, ამით აღფრთოვანებული იყო მისი უდიდებულესობაც და მთელი სამეფო კარი. ფეიქარ ხანს თავში ღალატი არასდროს გაუელვებია!

კახეთის აბას აბადი, მისი უდიდებულესობის ბრძანების თანახმად, ხორნაბუჯის ციხის ძირში, მდინარე ალაზნის ნაპირას აშენებულიყო და ამ დიდ მდინარეზე ხიდიც გადეს, რაც აქამდე არცერთ მმართველს არ მოუფიქრებია. რადგანაც მდინარე ალაზანი მთაში მოედინებოდა და არა ბარში, ინდუსთანის პრინციპის საფუძველზე ააგეს დოლაბი, მექანიზმი, რითიც წყალს აქაჩავდნენ და ორი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო საირიგაციო სისტემა, ბაღების სარწყავი, აბანოების მომარაგება და ქალაქის სხვა საჭიროებები.

საბოლოოდ, ყარააჯის წყალი, რომელიც ალაზნის იქით ნაპირას იყო, ხიდისკენ გაიყვანეს. ხიდი 12 ზერაი სიგანის იყო და ამიტომ მასზე ურემი ადვილად გადაივლიდა. ამ ხიდის ორივე მხარეს არხები გათხარეს, რომლებიც კახეთის ქალაქი აბასაბადისკენ მიდიოდა. ამ არხების წყალობით, ამ სამოთხის მსგავს ქალაქში ბევრი ბაღი და მრავალი რამ გაშენდა. 7 000 თუმანი დაიხარჯა მშენებლობისთვის. მასალა უმეტესად მრავალი წლის წინ მარმარილოთი და პორფირით ნაშენები ქართველი

მეფეების ძველი ნაგებობებიდან და ეკლესიებიდან წამოიღეს. ძველი შენობები დაანგრიეს და მასალა ახლის მშენებლობისთვის გამოიყენეს. დედოფლის ღოლამმა ხოჯა ნაიმმა 500 თუმანი დახარჯა მთავარი მეჩეთის ასაშენებლად და ყველა ხანს და აღას თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მშენებლობაში. ამიტომაც მძალიან მოკლე ხანში აშენდა აბანოებიანი, ბაზრის რიგებიანი, დუქნებიანი ქალაქი, რომლის აღწერასაც აქ ვერ აუვალთ.

და რადგანაც ფეიქარ ხანმა ნათლად დაანახვა და დაამტკიცა თუ მთავარსარდლისა და თუ მოურავ ბეგის წინაშე თავისი ერთგულება მისი უდიდებულესობის მიმართ, და რადგანაც ის ასევე მტკიცე და წესრიგის მოყვარულ ადამიანად ითვლებოდა, მას შეატყობინეს, რომ, თანახმად ბრძანებისა, შენ უნდა იცოდე ამის შესახებო. როგორც გენებოთ და ჩათვლით, გამომდინარე თქვენი ერთგულებიდან, გაანადგურეთ, გაძარცვეთ რა ეს თქვენი ველაიათი, შეასრულეთ ქვეყნიერების მბრძანებლის ბრძანება.

ფეიქარ ხანმა ალავერდის მღვდელი იხმო. ეს უკანასკნელი ქართველთა სადრულისლამია. მას კისერზე უძველესი ჯვარი ჩამოეკიდებინა. ჯვარზე წინასწარმეტყველი იესო იყო გამოსახული (დიდება მას და ჩვენს წინასწარმეტყველს), ოთხი ლურსმნით მიჭედებული და ცათ აპყრობილი. ეს ჯვარი დიდი სიწმინდე და რწმენის სიმბოლო გახლდათ ქართველებისთვის, ხოლო ის, ვინც მას ატარებდა, იყო ხალხის უმაღლესი სასულიერო პირი, რომლის სიტყვაშიც ვერავინ შეიტანდა ეჭვს. ის მართავდა და განაგებდა მიწებს, ფეიქარ ხანმა მას უთხრა, რომ, დიდებული ბრძანების თანახმად, კახეთში მცხოვრები ქართველები გადასახლდებიან ისევე, როგორც გადაასახლეს დანარჩენები ფარაჰაბადში. ახლა უკვე ქონებას, სახლებს, მიწებსაც კი ფლობს რაღაც ნაწილი იქ და მოსავალიც აქვს. ხოლო მათი შვილები შაჰის სამსახურშიც ჩამდგარან.

ბრძანება ვრცელდებოდა ასევე თავად-აზნაურობასა და ჯარისკაცებზე. მთავარსარდალს ისინი შაჰის მსახურთა რიგებში უნდა შეეყვანა და მათი თანამდებობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა, რათა, ბრძანების შესაბამისად, ღოლამებად ემსახურათ. ხოლო გლეხები, რომლებიც ფარაჰაბადში მიწით და საკუთრებით იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი, მიწათმოქმედებას მიჰყოფდნენ ხელს.

რადგანაც ხსენებული ქართველები საკმაოდ დაისაჯნენ თავიანთი დაუმორჩილებლობის გამო. მათ დიდი დანაკარგი, ნგრევა და წლობით თავიანთი ქვეყნიდან გაძევება იგემეს, ახლა, როცა სულ რაღაც 5,6 წლის დაბრუნებულებმა თავიანთ სამშობლოში ხელახლა აიდგეს ფეხი, მათ დაუმორჩილებლობის გზა აღარ

აურჩევიათ და არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ 20 000 ყიზილბაშისთვის. მით უფრო, რომ ლაპარაკი ფარაჰაბადზე იყო, სადაც 25 000-მა ქართველმა, რომ არ ჩავთვალოთ სომხები, ებრაელები და ზაგემელები, იქ უკეთესი ცხოვრება ნახეს. ამიტომაც დამორჩილება ამჯობინეს, შფოთს, ხეტიალსა და გადაკარგვას.

ალავერდელმა მოოჭვილი ჯვარი მოიხსნა, მიწაზე დადო, რათა ყველა ქრისტიანის იარაღი მოეხსნა და ჯვრის წინაშე დაჩოქილიყო. მთავარსარდალმა, მოურავ ბეგმა და ეიქარ ხანმა, რომელსაც 7 წელი ისე ვემსახურეთ, მისი ნების წინააღმდეგ არ წავსულვართ, მოითათბირეს რა, გადაწყდა, რომ [ეს ხალხი] თავიანთი ოჯახებით, შვილებით ფარაჰაბადში წავიდოდნენ და მშვიდობიანად იცხოვრებდნენ ისე, როგორც დანარჩენები ცხოვრობდნენ იქ.

თავად-აზნაურების გარკვეულმა ჯგუფმა თავიანთი იარაღი შეიხსნეს და მორჩილება გამოხატეს. დაახლოებით 300-400 კაცს გადაედო იარაღი განზე და დანარჩენებიც იხსნიდნენ, რომ ამ დროს, ახალგაზრდა, მამაცმა მეომარმა ზაალ ბეგმა იარაღის გადადებაზე უარი თქვა. მას, სავარაუდოდ, მოურავმა და ქართლელებმა, რომლებიც მას ენათესავებოდნენ, შეატყობინეს, რომ განიარაღების შემდეგ ყველას სიკვდილით დასჯიდნენ. ის ცხენზე ამხედრებული მიუახლოვდა ჯარს, მთავარსარდალს და დიდებულებს და ქართულად თქვა: „თუკი იარაღის მოხსნა და განზე გადადება მორჩილების დასტურია, მაშინ ნახევარზე მეტს უკვე მოხსნილი აქვს, ხოლო თვით ალავერდელ ეპისკოპოსს, დავითის მოდგმის ქრისტიანი ხალხის სულიერ მამას უძველესი ჯვარი მიწაზე დაუსვენებია და ვერავინ მის სიტყვას ვერ გადავა! ჩვენ-ჩვენს სახლებში დავბრუნდებით და ფარაჰაბადში წასასვლელად მოვემზადებით და ბრძანების მოსვლისთანავე დაუყოვნებლად გზას დავადგებით! გეფიცებით, არ დავუშვებ, რომ იარაღაყრილი, ლაჩარივით მოვკვდე!“ ქართველებმაც კვლავ აისხეს იარაღი, გვერდით ამოუდგნენ მას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს.

რამდენიც არ უთხრა და იფიცა მოურავ ბეგმა, ცდებითო, მაინც ვერაფრით დააშოშმინა ისინი. ზაალ ბეგმა ცხენი შეაბრუნა, გაქცევა დააპირა, რომ ფეიქარ ხანმა – არ გაუშვათო, – დაიძახა. იგრიმი დორთის მამაცი, ახალგაზრდები მას [ზაალს] დაესივნენ და გაჩაღდა შეტაკება ფეიქარ ხანის შეიარაღებულებსა და უიარაღო ქვეშევრდომებს შორის. და ნათელიც გახდა, რომ იარაღის აყრის მიზანი, ზუსტადაც მათი ამოხოცვა იყო. ამასობაში დაახლოებით 20 000 შეიარაღებული და ამხედრებული ყიზილბაში მზად იყო. მათ ვერ მოახერხეს გაქცევა. ფეიქარ ხანის სუფრაჩი და მეზარბაზნე მახმალ ბეგი მოკლეს. მოკლეს ასევე მათი თანმხლებნიც. ერთმანეთზე ეყარნენ იმ აურზაურიან უდაბნოში, რომელშიც მანამდე კახელს არცკი დაედგა ფეხი,

მით უფრო, თავად-აზნაურობას. არცერთი მსახური არ დარჩა, რომ კახეთამდე ამბავი მიეტანა. ყველა დახოცეს. მოკლულების ქონება ფეიქარ ხანმა თავის ხალხს მისცა.

უმადური მოურავის აჯანყება, ყორჩიღა ხანის და იუსუფ ხანის მოკვლა ამ უკანასკნელის ხელით და საქართველოს ქართველების აჯანყება

მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ჯგუფი გაანადგურეს, ყველა მეომარს უბრძანეს, დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ კარვებში და იარაღი დაედოთ. ხანებიც და სულთნებიც მთავარსარდლის კარავში შეიკრიბნენ და შემდეგ საკითხზე შეჯერდნენ: ფეიქარ ხანი თავის ხალხთან ერთად კახეთის მიმდებარე აბასაბადის ალაზნის და ქიზიყის ველაიათებში წავიდოდა. ქალაქთან ახლოს, სადაც ცხენების, ცხვრებისა და აქლემების საძოვრები და ასევე, მისივე ხალხის საზაფხულო სადგომი იყო. რადგანაც ძირითადი ნაწილი ყიზილბაშთა ლაშქრისა [სწორედაც] ამ მხარეში იყო, მანვე [ფეიქარმა] უნდა მოაწყოს თავდასხმა. ხოლო ქალაქი ზაგემი, ენისელი, საქართველოს სანახები მუჰამად ყული ხან ყაჯარს და მის ქვეშევრდომ სულთნებს ჩააბარეს.

იუსუფ ხანი დაჭრილი იყო და თავად არ შეეძლო, ამიტომ თავის ხალხს და შირვანის სულთნებს, შაქის მმართველ მოჰამად სულთან ჩაქერლუსთან ერთად დაავალა თავდასხმა. გადაწყდა, რომ გრემს, ერწოთიანეთს (მდინარე არაგვის მიდამოები), რომელიც ქართლის საზღვარია, თავს დაესხმებოდნენ. ბრძანების თანახმად, მათ უნდა ამოეხოცათ ყველა მამაკაცი, რომელსაც კი ბრძოლა შეეძლო, ხოლო ბავშვები ტყვედ აეყვანათ და ქონება მიეთვისებინათ. ყველა ყიზილბაში მეომარი თავდასასხმელად გააგზავნეს. მთავარსარდალი თავის რამდენიმე მსახურთან, იუსუფ ხანი თავისი ხალხის გარკვეულ ჯგუფთან, ასევე მემატიანე, მუსიკოსები და ექიმები ბანაკში დარჩნენ. ხანები და სულთნები კი თავდასასხმელად გაუშვეს. ღმერთს ნუ ექნა, ქართველი ხალხის ამოხოცვის შესახებ მისული ამბავი იმათთან, ძალა მოეკრიბათ და არეულობა ამტყდარიყო.

მოურავ ბეგის გამგზავრების შემდეგ მთავარსარდალი იუსუფ ხანთან, ანდუყაფარ ბეგთან და ვასალ ბეგთან თბილისის ციხისკენ გაემართა, რათა სიმონ ხანისთვის მიელოცა. იმ დღეს ხანის სტუმრები იყვნენ. დღის ბოლოს ციხე-სიმაგრეს და წყალსაცავს დახედეს. მოურავ ბეგმა მათ შესთავაზა, რომ რადგან ციხე-სიმაგრეში წყალიც დაბინძურებულია და ხორბლეულიც დაძველდა და გაფუჭდა, უპრიანი

იქნება, გამოვზიდოთ წყალიც და ხორბლეულიც და მარაგი ახლით შევცვალოთ, ასე უფრო მშვიდად ვიქნებითო.

მთავარსარდალმა შეასრულა მისი უდიდებულესობის ბრძანება და შეკრიბა ბაზრის და ქალაქის ხალხი. ასევე, თბილისელი ქართველები და ებრაელები. მათ ციხე-სიმაგრიდან წყლის და საჭმლის მარაგის გამოტანა დაევალათ, ხოლო ხორბალი კი ქალაქის ხაბაზებისთვის და ხელოსნებისთვის უნდა მიეცათ. ასეც მოხდა და ერთ საათში ციხე-სიმაგრე დაცალეს. [ამასობაში] გარდაიცვალა ზურაბ ბეგი და ციხე-სიმაგრეში მყოფი ათასი მაზანდარანელი მეთოფე მეთაურის გარეშე დარჩა, რადგან ახლის დანიშვნის ბრძანება ჯერ არ მოსულიყო მისი უდიდებულესობისგან. შათირშაჰი თავის დროზე მისი უდიდებულესობის მეჯინიბეთუხუცესი იყო, ხოლო შემდეგ მეთოფეთა რიგებს შეუერთდა და ბრძანების თანახმად, ყოველწლიურად იღებდა კუთვნილ თანხას ყარაბაღის შემოსავლიდან. ეს უკანასკნელი საზრიანი, თავისი საქმისადმი ერთგული ახალგაზრდა იყო და მაზანდარანელებს ის თავიანთ რიშსეფიდად [უხუცესად] აერჩიათ. მთავარსარდალმა ძვირფასი ხალათით დაასაჩუქრა, იუზბაშობა მისცა და ციხე-სიმაგრე ჩააბარა მას. გაიცა ბრძანება, რომ ციხის მარაგი კვლავ შევსებულიყო.

დღესასწაულისა და წვეულების შემდეგ, ხანებმა დატოვეს ციხე-სიმაგრე და კარვებში წავიდნენ. დილით მოურავ ბეგი მთავარსარდალთან მივიდა და შეატყობინდა, რომ კათოლიკოსის შთამომავლები (კათოლიკოსი, რომელიც მამამთავარია ქრისტიანობისა და ასევე თბილისელების მექის) თბილისის აკლდამის მცველი შესაწირს აგროვებენ, ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასეულობის სახით. და ეს აკლდამა ქართველ მეფეთა განსასვენებელი ადგილია. ტრადიციისამებრ, ვინც იქ დაიკრძალება, მიუხედავად მისი სტატუსისა, მათთვის მზადდება ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ჯვრები და ფიალები, რომელსაც საფლავში ჩაატანენ მიცვალებულს. ტრადიციის მიხედვით, თუ კახეთში კათოლიკოსი გარდაიცვლება, მაშინ იმერეთიდან ინიშნება შემდეგი. შემდეგ აირჩევენ ქართლიდან, შემდეგ ახალციხიდან და შემდეგ კი სხვა მხარეებიდან, სანამ ამ მხარის კათოლიკოსი არ მოკვდება შემდგომი, სხვა მხარისა და წარმომავლობის ვერ დაინიშნება.

52 წლის განმავლობაში იჯდა კახეთში კათოლიკოსი და აკლდამას იცავდა. მათ ტერიტორიას ერწო-თიანეთს უწოდებენ, ხოლო გვარს, გუარამის ძეს (გუარამ-ოღლის). როდესაც [კათოლიკოსმა] კახელების ამოხოცვის ამბავი შეიტყო, თავისი პოზიციების გამყარებას შეუდგა და თავდაცვითი ნაგებობების აშენება დაიწყო, რათა იუსუფ ხანის (ამ მხარის მართვა რომ ევალებოდა) ლაშქარს გამკლავებოდა. იუსუფ ხანის ხალხმა, სუფრაჩი ალი ბეგის მეთაურობით, თავდასასხმელად წასვლა გადაწყვიტა. მათ უნდა

გადაეღობათ გზა, რათა [კათოლიკოსის] ხალხს გამაგრება და თავდაცვა ვერ მოეხერხებინა.

ალი ბეგი, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, ხომ არ გვღალატობსო, ერთ ჯგუფთან ერთად გაუშვეს და აღერღილი ფიქრებიც თავიდან მოიშორეს. რამდენიმე თავიანთი კაციც თან გააყოლეს, რათა თავგზა აერიათ მისთვის და ერთი დღით იაქურობისგან განერიდებინათ. რადგანაც მათ შორის არცერთი ხანი მზად არ იყო, ამ უკანასკნელებს შეახსენეს იმის შესახებ, თუ რა იყო საჭირო და რა საშიშროების წინაშე იყვნენ. ასევე, მიუთითეს, რომ მთავარსარდლის მიზანი ციხე-სიმაგრის სიმყარე და კახელების თავდასხმის თავიდან არიდებაა. და როგორც კახეთი განადგურდა, ასევე უნდა გაანადგურონ ქართლიც. თანაც ისე, რომ არავინ დატოვონ ცოცხალი. და საბოლოოდ, როცა ქართველებთან ვითარება დამშვიდდება, მოჰამად ყული ხან ყაჯარი ყაჯარების და ყარაბაღის მცხოვრებლებს, დაახლოებით ორასი ათას ოჯახს თბილისში ჩამოიყვანს და ციხე-სიმაგრეც მას გადაეცემა. განჯა კი, რომელიც უსაფრთხოდ ითვლება, სიმონ ხანს გადაეცემა. ასე რომ, ქართლსა და კახეთში ქართული კვალი აღარ დარჩება.

იმ ველაიათის აზნაურებმა და ლაშქარმა წყეული მოურავისგან, რომელიც მათი უხუცესი და ვაქილი იყო, ეს ამბავი რომ გაიგეს, მუსლიმად მიიჩნევდნენ რა მას, ვერ იფიქრეს, რომ ეს უკანასკნელი რწმენას უღალატებდა. იფიქრეს, ამ ყოველივეს სულიერი სიმშვიდის და თავისუფლებისთვის აკეთებსო. უპახეს, რომ თუკი ყარჩიღა ხანის განზრახვა თქვენთვის ცნობილია, მაშინ, თუ საჭიროდ ჩათვლით, გავერთიანდეთ ზურაბ ბეგის წინააღმდეგ და ჩვენს ბედზე ვიფიქროთო. ამ არამზადა ძაღლმა უთხრა მათ: „თუ ჩემს სიტყვას არ გადაუხვევთ, დამემორჩილებით და ჯვარზე დაიფიცებთ, ისლამზე უარს ვიტყვი, რათა ვიხსნა ამ მხარის ხალხი ყიზილბაშთა ტყვეობიდან! რათა არ მოკვდნენ ისინი მათი ხელით! ხანების და სულთნების კახეთის ლაშქრობიდან დაბრუნებამდე, მთავარსარდალს მოკლავ, ციხე-სიმაგრეს ხელში ჩავიგდებ და მუსლიმი მამების შვილები, თავად მუსლიმი სიმონ ხანი და მაზანდარანელი მეთოფეები საერთოდ ვერაფერს დაგვაკლებენ! გამოვიყვან მას [სიმონ ხანს] ციხე-სიმაგრიდან დანარჩენ თოფანგჩიებთან ერთად და იარაღაყრილსა და შიშველ-ტიტველს განჯაში გავუშვებ. შემდეგ კი ამ მიწებს ხელში ჩავიგდებ რა, მთავარსარდალს მოკვლავ და ლუარსაბ ხანის დას, რომელიც ფეიქარ ხანის ცოლია, წამოვიყვან და სიმონ ხანის და ბაბუამისის ტახტზე დავსვამ!”

ქართლელების გარკვეულმა ნაწილმა წყეულ მოურავთან შეკრა პირი. ისინი შეიფიცნენ და თავიანთ მხარეებში კაცი გაგზავნეს, რათა ყველა მხრიდან შეეკრიბათ ლაშქარი. ზემოთ ნახსენები გეგმების შესახებ სიმონ ხანმა არაფერი იცოდა. მოილაპარაკეს რა შეთქმულების შესახებ, გდაწყდა, რომ მოკლავდნენ

მთავარსარდალს, იუსუფ ხანსა და დანარჩენ მუსლიმებს. ასევე მემატიანეებს, მუსიკოსებს და სხვა თანმხლებთ. საღამოს სიმონ ხანი მთავარსარდალთან, ანდუყაფარ ბეგთან და დანარჩენ ზემოჩამოთვლილ პირებთან ერთად საუბრობდა და სუფთა ღვინოს სვამდა. ამავდროულად, მოურავ ბეგმა იფიქრა, რომ რადგან ორი-სამი დღეა სიმშვიდეა, ხანებისა და სულთნების დაბრუნებამდე და ციხე-სიმაგრის სურსათ-სანოვაგით მომარაგებამდე ნადირობისთვის მშვენიერი დროა. თუ ბრძანება გაიცემა, მაშინ დილით გუშქულისკენ დაიძრებიან. იქ ტბა სავსეა ბატებით, წეროებითა და იხვებით. თუ მოეწონებათ, იქვე დარჩებიან, თუ არადა, სხვა ადგილს შეარჩევენ. რადგანაც იუსუფ ხან მირშექარბაში, ნადირობის დიდი მოყვარული იყო, მან ყველაფერი წინასწარ მოაგვარა და მოატანინა, რაცკი რამე იყო საჭირო ნადირობისთვის. მთავარსარდალსაც მოუნდა რა ნადირობა, გადაწყვიტეს, ერთად ენადირათ. შემდეგ დაიშალნენ და დასასვენებლად წავიდნენ.

გამთენიისას მთავარსარდალი ჯერ დილის ლოცვისთვისაც კი არ იყო გაღვიძებული, რომ შეატყობინეს, მოურავ ბეგი გარეთ, ცხენზე ამხედრებული, სანადიროდ წასასვლელად გელოდებაო. მთავარსარდალი წამოხტა ლოგინიდან, სასწრაფოდ წაიკითხა დილის ნამაზის ორი რაქათი, კაცი გაგზავნა იუსუფ ხანთან და კარვიდან გამოვიდა, რათა ცხენზე ამხედრებულიყო. ის იყო, უნდა ამხედრებულიყო და ჯერ კიდევ ლოცვას კითხულობდა, რომ წყეულმა მოურავმა ფერდში შუბი გაუყარა და ძლიერი დარტყმით ჩამოაგდო ცხენიდან. რომ დაინახა, რაც ხდებოდა, მთავარსარდალმა ჰკითხა მოურავს: მოურავო, ეს მურშიდის ბრძანებააო?! მოურავმა უპასუხა: ხანო, არავითარი მურშიდი, ეს ჩემი ბრძანებააო!

და ქართველებმა, იშიშვლეს რა თავიანთი ხმლები, გამოასალმეს სიცოცხლეს მარადიული გამარჯვების მაგალითი, ეს დიდებული მთავარსარდალი. ემამ ყული ბეგმა (იგივე ემამ ვერდი ბეგი) რომ თავისი სახელგანთქმული მამა მოკლული დაინახა, დერვიშ ბეგ თან და სხვა ღოლამებთან ერთად გარეთ გამოვარდა. თუმცა ყველანი აჩეხილები და აკუწულები იხილა. ის არამზადა მოღალატე კი იუსუფ ხანის კარვისკენ დაიძრა. იუსუფ ხანმა რომ მთავარსარდლის ამბავი გაიგო, და დაინახა, მოურავი აქეთ მოდიოდა, და მის კარავს უახლოვდებოდა თქვა: „ეს ნამდვილად ბედისწერაა!“ მოურავი კარგს არაფერს გვიპირებს, მის სახეზე ბოროტებაა ასახული და ჯანყის ელფერი გასდევსო. ღვთის ნება თუ იქნა, ერთი გასროლით მოვკლავთო. არადა, იუსუფ ხანს რომ იმ დროს მართლაც მოეკლა მოურავი, განა ასეთი არეულობა იჩენდა თავს?! თუმცა, მან თავისი უკიდურესი სუფიური პატიოსნების და ერთგულების გამო ეს ვერ გააკეთა. რადგან თვლიდა, რომ ამქვეყნად თუ რამე ხდება, ღვთის ჩრდილის ბრძანებით ხდება. თავისი და თუნდაც შვილებისა და ნათესავების დროებითი

ამქვეყნიური ყოფის გამო ის ვერ აღუდგა წინ და ვერ შეეწინააღმდეგა დიდებულ ბრძანებას. თუნდაც მისი სიკვდილის შემდეგ ამას ხოცვა-ჟლეტა მოჰყოლოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს მისი უდიდებულესობის, ქვეყნიერების მფარველის ბრძანება იყო.

და მზაკვარმა მოურავმა, მისი ნების საწინააღმდეგოდ რომ ვერ მოქმედებდნენ ისეთ ურჯულო მეომრებთან ერთად, თავისი რწმენის ერთგული ხანი ხმლით გააპო. ხანის ვეზირი ჰოსეინ ბეგ თეჰრანი, მირ ჰაშემ მონში და სხვა თანმხლები დაახლოებული პირებიც მასთან ერთად გამოასალმეს სიცოცხლეს.

რამდენიმე ასტროლოგი და მუსიკოსი რაღაც ხანი არ მოკლეს, თუმცა შემდეგ ისინიც გამოასალმეს სიცოცხლეს. შირვანის უხუცესი მალიქ მოჰამმად შარიფი, მოახტა რა ცხენს, ამ საშინელ ბრძოლას თავი დააღწია. ქართველები ორდუბაზარში დაუნდობლად ხოცავდნენ ყველას, ვისაც გადააწყდებოდნენ.

ბანაკში მყოფმა ბაზრის გილდიის რამდენიმე წარმომადგენელმა მოახერხა და მთებში დაიმალა. რაღაც ნაწილიც ციხე-სიმაგრეში შეიკეტა. ამასობაში კი მოურავმა ხანებისა და მაცხოვრებლების ქონება მიითვისა. მასვე დარჩა მთავარსარდლის, იუსუფ ხანისა და დანარჩენების 15 000 აქლემი. მოურავ ბეგმა ტყვედ აიყვანა ვასალ ბეგი, რომელიც, ბრძანების თანახმად, ყარაბაღის გადასახადების ამკრეფი იყო.

დანარჩენი კი ამის მიხედვით შეგვიძლია განვსაჯოთ.

როდესაც წმინდა ქალაქ მეშჰედში მთავარსარდლის სიკვდილის ამბავი მივიდა, ჰაჯი მოჰამად ხან ყოდსიმ, ამლაჰ ალ ფუსაჰას სახელით ცნობილმა და ხორასანში იმ დროის გამოჩენილმა ლიტერატორმა, ღაზალი დაწერა. მან ამ ნაწარმოებში ანგელოზის მსგავს მთავარსარდალ ყარჩიღა ხანს შეასხა ხოტბა, ხოლო უნამუსო მოურავი გაკიცხა.

თბილისის ციხე-სიმაგრეში მყოფმა შათირშაჰმა რომ მთავარსარდლის სიკვდილის ამბავი გაიგო, დაუყოვნებლად წავიდა თბილისის აბანოში, რომელიც ნარიყალას გარეთ მდებარეობს. აბანოში ყორჩიბაშის ქალიშვილი იყო, პირსახოცში გაახვია და ციხე-სიმაგრეში წამოიყვანა. ციხე-სიმაგრეში ავიდნენ ასევე მსახურებიც.

ციხე-სიმაგრის მეთოფეების გარკვეულ ნაწილს წყაროდან რეზერვუარში წყლის გადმოღება დაევალათ. და რადგანაც სიმონ ხანის ციხე-სიმაგრეში ყოფნა და მისი ალყაში მოქცევა მიზანშეწონილი არ იყო, მელიქ ასლამაზი და მელიქ ყურხმასი, ჰამადანის და ბაღდადის ბეგლარბეგის, სეფი ყოლი ხანის მამა და ბიძა, შათირშაჰის ვეზირის ხოჯა სარუ ხანის მსახურებთან, მეთოფეებთან და სულთნის დინასტიის

წარმომადგენლებთან ერთად, ციხე-სიმაგრიდან გამოიყვანეს რა, მათსავე კუთვნილ სომხით-საბარათიანოში გაუშვეს.

შათირ შაჰი ციხე-სიმაგრიდან გამოვიდა და ქალაქის მუსლიმების, ებრაელებისა და ქართველების სახლებიდან თავი მოუყარა რა სურსათ-სანოვაგეს, ნარიყალაში წაიღო. მოურავის მოსვლამდე ციხე-სიმაგრის გალავნის ჩაკეტვა და ბრძოლისთვის გამზადება ბრძანა.

მოურავ ბეგი მიხვდა, რომ ამ ციხეს ბრძოლით ვერ აიღებდა. აღიარა, რომ ასეთი ურყევი და ძლიერი ციხე ქვეყნად სხვა არაა. რადგან ღრმა მდინარე ნარიყალას ციხესა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილზე გადის და კლდოვანია, მის ქვეშ ვერ გაძვრები, ვერ გათხრი და ვერცერთი მხრიდან ვერ მიუდგები. ერთადერთი საშუალება ისაა, რომ [შიგნით მყოფთ] ალყა შემოარტყან, აშიმშილონ და ასევე, უფლის წყალობას დაელოდონ!

[მოურავმა] ჩათვალა რა, რომ ალყას არა აქვს აზრი, მით უფრო, შათირშაჰს 2,3 თვის სურსათ-სანოვაგეც კი ჰქონდა მომარაგებული. შიკრიკი მიუგზავნა და უთხრა: მე, ქართველებთან და ჩემს ხალხთან ერთად ასეთი გეგმა შევიმუშავე: მის უდიდებულესობას ისეთ რამეს მივაწვდიდი, რაც დაღუპავდა. და მოვიდა ამბავი, რომ მის უდიდებულესობას ეს ქვეყანა დაუტოვებია [გარდაცვლილა], ხოლო ირანში არეულობა დაიწყო და ამიტომაცაა, რომ გავბედე, თორემ აბა, ამ დიდებული დამპყრობლის და მბრძანებლის სიცოცლეში ვინ და როგორ გაბედავდა აჯანყებას?! ახლა გონივრული იქნება ციხე-სიმაგრის ჩაბარება და ჩემი ერაყში წასვლა. ის ასევე დაემუქრა, თუ არ დამემორჩილებით და არ დათმობენ ციხეს, მაშინ სანამ ირანში წესრიგი დამყარდება და მისი უდიდებულესობის შთამომავლებისაგან ტახტის მემკვიდრე არ დადგინდება, ასევე, სანამ არ აღმოიფხვრება საფრთხე აზერბაიჯანის და ხორასანის მტრების მხრიდან, რაც თავისთავად უკიდურესად ნაკლებად სავარაუდოა და თითქმის შეუძლებელი, თქვენი ძვლები ამ ციხე-სიმაგრეშივე იქცევა მტვრადო! შათირშაჰმა იმ პირშავს მისწერა: მისი უდიდებულესობის წყალობით, რომლის არსებობაც ამ ავბედით ქვეყნიერებაზე უფლის წყალობითა და მფარველობით ხდება, ციხე-სიმაგრეში ერთი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგე და წყალია. თქვენ თავად იცით, რომ მაზანდარანელები მოკრძალებული ხალხია, ცოტას ჭამენ და ერთ მუჭა ფქვილსაც იკმარებენო. საჭმელი დანარჩენებისთვისაც საკმარისადაა და არავინ არ იშიმშილებსო.

და როცა გავა ერთი წელი ამ ალყიდან და იქ მყოფთ საჭმელი გამოელევათ, თუ ღმერთი ასე ინებებს, ციხე-სიმაგრე იმ არამზადას ჩაუვარდება ხელში. ეს ორპირი მოღალატე ჯერ იყო და თავის კეთილისმსურველ ლუარსაბს გამოექცა და მისი უდიდებულესობის კარზე მივიდა, რამაც აურზაური და ჯანყი გამოიწვია და ამ ყოველივემ იმ ველაიათის მხრებზე გადაიარა და ახლა კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ მისმა უდიდებულესობამ მას დიდი წყალობა აჩვენა, მიენდო მას და თავისი სამფლობელოებიც მისცა სამართავად, მისი მორჩილების გზიდანაც გადაუხვია. ხოლო დაიწყო იმით, რომ უღალატა და გაანადგურა ამ ხალხის ერთ-ერთი პირველი მფარველი სიმონ ხანი. მისი ცხედარი დაწვა და ფერფლი მდინარე მტკვარს გაატანა. ამის შემდეგ, ხმალი იშიშვლა, ურჯულო ქართველებს დაესხა თავს და აიღო ციხე-სიმაგრე. თავისი მეომრები [კი] ნარიყალას გარეთ, ქალაქს რომ მყარად აკრავს სარტყლად, დააყენა. შემდეგ დახოცილების ქონება და სიმდიდრე ქართველებს გაუნაწილა. ამასობაში ქართლელმა ქართველებმა, კახელმა ლტოლვილებმა და ყარახალხანის ამბოხებულებმა მისი მეთაურობით ორ დღეში მოუყარეს თავი დაახლოებით 12 000 ცხენოსანს და 20 000 ქვეითს.

პირშავი მოურავის ფეიქარ ხანისკენ ხორნაბუჯის ციხის ასაღებად წასვლა

უმადურმა მოურავმა ციხე-სიმაგრის აღების იმედი დაკარგა. მთავარსარდლის ბანაკში ჩადენილი ხოცვა-რბევის შემდეგ გულდამშვიდებულმა ახლა ფეიქარ ხანის მხარეში გადაწყვიტა წასვლა. ეს უკანასკნელი რაღაც ხნით მთავარსარდალს და დანარჩენ სულთნებს დაშორებოდა და კახეთში შესაჭრელად წასულიყო რა, დაერბია და გაეძარცვა ქიზიყი, რომელიც იგრიმი დორთის საიალაღო, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

დარწმუნდა რა იმაში, რომ აჯანყების და არეულობის საშიშროება არ იყო, გადაწყდა, რომ ზარცვა-რბევის შემდეგ გულდამშვიდებული თან გაიყოლებდა რა აქლემებს, ცხენებს, ცხვრებს, ძროხებსა და დანარჩენ სიმდიდრეს, ასევე, 700 000 ცხვარს იგრიმი დორთის და დანარჩენებისგან, გადაკვეთდა მდინარე მტკვარს და ბარდავში გამოიზამთრებდა.

ქიზიყის განადგურების შემდეგ ლაშქარი აბასაბადში შევიდა და ტყვეები და ნადავლი დააბინავა. შემდეგ კი ზემოაღნიშნული მდინარის მიღმა მდებარე ალაზნისკენ დაიძრნენ. ოდესღაც ბრწყინვალებით და ხალხის მორჩილებით გამორჩეული ამ თავიანთი მიწების განადგურება კი [მართლაც] დიდად

ადარდიანებდა მას [ფეიქარს]. არ ჰქონდა რა სხვა გზა, გარდა ქვეყნიერების მბრძანებლის მორჩილებისა, ფიქრობდა, თუ რომელ მხარეს გაეგზავნა ეს ხალხი, ათასობით ოჯახი?! რა ბედი ეწეოდა მათ და მის ხალხს?!

საღამოს, როდესაც ახლობლებთან ერთად სუფთა ღვინოს მიირთმევდა, თოფჩიბაში ხალიფა ყურბან ყული შეშფოთებული დაბრუნდა. მან თქვა, რომ გზად ცხენზე ამხედრებული შირვანის ქალანთარი მალიქ შარიფი შეხვდა, რომელიც იმ ადგილიდან გამოქცეულიყო, სადაც მთავარსარდალი მოკლეს. და მას მოუყოლია ყველაფერი, რაც უკვე ზემოთ ითქვა.

ხოლო მოურავ ბეგი ფიქრობს [თურმე], რომ დიდებული დედოფალი, ქართლის მეფის, ლუარსაბ ხანის და, რომელიც მისმა უდიდებულესობამ ცოლად ფეიქარ ხანს გააყოლა, შესაძლოა, ქართლში იმყოფებოდეს.

ხანმა რომ ეს გაიგო, იფიქრა, ღმერთმა ნუ ქნას და ამ აჯანყების სულის ჩამდგმელი დედოფალი იყოს?! იქნებ და, იმ მოღალატე მოურავს და თავისი მხარის ქართველებს კაცი გაუგზავნა და არეულობისა და ამბოხის ატეხვა დაავალა და მე კი გამანადგურონო?! ის [ხანი] ჰარემში ქალბატონთან მივიდა და ყოველივე მოახსენა მას. ამ ქალს რამდენიმე წლის წინ მიეღო ისლამი და ყურანის კითხვის პატივით იყო განდიდებული. გამოირჩეოდა რა კეთილსინდისიერებით, გონიერებით, პატიოსნებით, მიზანდასახულობით და ქველმოქმედებით, ყოველწლიურად საკუთარი ხარჯებიდან 3 000 თუმანს გასცემდა უქონელთა ტანსაცმლისა თუ სხვა საჭიროებისთვის. მან ასევე უთხრა ქალბატონს, რომ მსახურმა, რომელიც სარგებლობდა დიდებული ყარჩიღა ხანის გულისხმიერებით და მის პურს ჭამდა, მოკლა რა თავად ყარჩიღა ხანი, თბილისში აჯანყებას დაუდო საფუძველი. დედოფალმა, რომელიც იმ დროის ყველაზე ბრეძი ქალი იყო, ეს რომ გაიგო, ბრძანა, მე და ჩემს მსახურ ქალებს ცხენები შეგვიკაზმეთ, აქედან მივდივარო! მერე კი, რაც გინდათ, ის გიქნიათო! აისხა ხმალი და კაპარჭი, მოიხვია თავსაბურავი, მოისხა აბრეშუმის მოოჭვილი მოსასხამი და განრისხებული, როგორც ამას შეიხ ნიზამი აღწერს, ძუ ვეფხვივით სახლიდან გავარდა:

თუმცა ქალი ვარ, არ ვარ უძლური,

ამქვეყნის ავანჩავანი მეც გამეგება

და მე თუ ძუ ლომი ვარ და შენ - ხვადი

ორივე ერთნაირად ესხმის თავს , როცა ამის დრო დგება.[116]

ფეიქარ ხანმა რომ გაიგო, დედოფალი არ იყო ამ გეგმის მონაწილე, გავიდა, რათა მისთვის ცხენი გაეგზავნა, მაგრამ თავლაში რომ შევიდა, არც შემკაზმველი და არც მეჯინიბე იქ არ დაუხვდა. ამ შემზარავი ამბის გაგების შემდეგ ყველანი თავიანთ შვილებთან გაქცეულან. ხანის მსახურებმა – თანმხლებმა ისმაილ ხან შეიხვანდმა და ქამრან ბეგ თალეშმა, რომელთაც არავითარი კავშირი ამ მიწასთან არ ჰქონდათ, შეკაზმეს ცხენები და ბეგუმი და მისი სეფე-ქალები შესვეს რა ზედ, იქიდან გაამგზავრეს. საღამოს ლოცვის დრო იდგა, როდესაც იქ მაცხოვრებლებმა, იქნებოდა ეს ქვეითი თუ ცხენოსანი, უქონელი თუ მდიდარი, დატოვეს თავიანთი სახლ-კარი და ქონება და არავის არავისი აღარ მოეკითხებოდა რა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. უმეტესობამ საკუთარი შვილები აკვანში მიატოვა.

ხორნაბუჯის ციხეში, წინდახედულობის მიზნით, სასახლის კუთვნილი აბრეშუმი, ხანებისა და მათი ახლობლების ძვირფასეულობა და სამკაული ინახებოდა. ახლაც იქ შეინახეს ქონება. რამდენიმე წლის წინ ეს ციხე გამოცდილ მეომარს, მოჰამმად აღა ჩაქერლუს და 50 მეომარს ჩააბარეს. მათი ოჯახებიც ამავე ციხეში იყვნენ. ციხეც წყლითა და საჭმლით საკმაოდ კარგად მოემარაგებინათ. ციხე მთაზე იმდენად მაღლა იდგა, რომ მის დასაცავად სამი შეიარაღებული კაციც კი საკმარისი იყო. გადაწყდა, რომ ბავშვებს მდინარეზე გადაიყვანდნენ და გულდამშვიდებული მეომრები (დაახლოებით 1000 კაცი) ციხის დასაცავად მობრუნდებოდნენ.

შუა ღამით მოინდომეს 50 კაცის მოგროვება ხანის დასაცავად, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან ყველა თავის შვილთან წასულიყო. ვიღაც უგუნურები ხალხის ქონებისა და ძვირფასეულობის მითვისებით იყვნენ დაკავებულები. მათ არ ედარდებოდათ ისინი, ვინც ძვირფასი აბრეშუმის მაღაზიების, დუქნების, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასეულობით სავსე სკივრების გადარჩენას ლამობდნენ. მხოლოდ ის აინტერესებდათ, რომ ეს ყოველივე თავად ჩაეგდოთ ხელში. და ასეთ ცოდვის ტრიალში, როგორსაც ვერცერთ მუსლიმს ვერ უსურვებს კაცი, ამ სტრიქონების ავტორმა, თქვენმა მონა-მორჩილმა, ჩემს უფროს ძმა მოჰამმად ბეგთან ერთად, 4 ცხენით, იმ საბედისწერო ღამეს 42 ბავშვი გავიყვანე. მათ უსაფრთხოებაზე თავად ვიყავი პასუხისმგებელი, მაგრამ ვაი იმათ, უქონლებსა და უპოვრებს, ვისაც არც ცხენი ჰყავდათ, არც გვერდში მდგომი!

ერთი სიტყვით, ამ ქაოსის შემდეგ ხალხმა დატოვა რა ქონება და საქონელი, იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ გადაერჩინათ თავი. ის კი არა და, მშობლებს სამი

[116] https://ganjoor.net/nezami/5ganj/sharafname/sh33.

ფარსახის მანძილზე ორი-სამი წლის და თოთო ბავშვებიც კი მიეტოვებინათ, რადგან მათი ტარების ძალა აღარ შესწევდათ. დილით კი მოურავ ბეგი ორ-სამ ათას ქვეით ჯარისკაცთან ერთად ხორნაბუჯის ციხესთან მივა, რომ გაიგოს, არის თუ არა შიგნით ვინმე. ეს მოღალატე და ურწმუნო, რომელიც ამხელა ძალისა და სიმამაცის პატრონი იყო, მიუახლოვდა რა ციხის გალავანს, შეეხო თუ არა, მაშინვე მიხვდა - თურმე ხანის წასვლის და მოსახლეობის და ტყვეების გაქცევის შემდეგ ციხესიმაგრე მოჰამმად აღას და ციხესიმაგრის მცველებსაც მიეტოვებინათ. მოურავმა იოლად აიღო რა ხორნაბუჯის ციხე, ასევე 50 ხარვარი აბრეშუმი და სხვა დანარჩენი ქონება ჩაიგდო ხელში. ხალხი აქლემებისთვის გააგზავნა, რომ მერე ეს ყოველივე თბილისში წაეღო.

იმ ღამეს უფლის ნებით ასე გადაწყდა, რომ მოურავს ციხის საორგანიზაციო საკითხებისთვის უნდა მიეხედა- ქონება, დაცვის დანიშვნა და მისთ. ამიტომაც ის ხანსა და მის ხალხს ვერ დაედევნა. ამას გარდა, მათ შორის ისეთი დიდი მდინარეები მოედინებოდა, როგორებიცაა მტკვარი, არაქსი, ალაზანი, იორი, მათი გადაკვეთა კი უნავოდ შეუძლებელია. ერთი სიტყვით, იმ ღამით ის ხალხი მტკვრის ნაპირთან მივიდა და დატოვეს რა თავიანთი ქონება, რამდენიმე ნავით განჯაში გადავიდნენ. მტკვარზე გადასვლის შემდეგ ფეიქარ ხანმა დიდებული ხალიფატის წინაშე ქედი მოიხარა რა, მოახსენა ყველაფერი, რაც ხდებოდა. შემდეგ კი მეჯინიბეთუხუცესი მეჰთარ მასუდი დიდებულ კარზე გაუშვა, ხოლო თვითონ განჯაში წავიდა. განჯის ბეგლარბეგმა მოჰამად ყული ხან ყაჯარმა ამ ამბების შესახებ რომ გაიგო, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოდან განჯაში მტკვრით გადაეყვანა ის ტყვეები, რომლებიც ცხენოსან ლაშქარს მოჰყვებოდნენ.

შირვანის ლაშქარმა რომ იუსუფ ხანის სიკვდილის შესახებ გაიგო, შირვანში დაბრუნდნენ, რათა ციხე-სიმაგრე და ქალაქი შემახა დაეცვათ. ამბოხისკენ მიდრეკილი შირვანელები აღელვებულები ელოდნენ პასუხს უმაღლესი ურდოდან. მალე ამბავი მოვიდა, რომ მოურავ ბეგმა ფეიქარ ხანის ქონება, კახელი ხალხი, ვაჭრები, უქონლები ჩაიგდო ხელში. ფეიქარ ხანის აზნაურთა რაღაც ნაწილმა, რომლებიც არ მონაწილეობდნენ თბილისის ამბებში და თავიანთ სახლებში იყვნენ, ძალა მოიკრიბეს და მოურავს თავს დაესხნენ. საბოლოოდ კი ხორნაბუჯის ციხე მოურავის თანამებრძოლებსა და ქართლელების გარკვეულ ნაწილს დარჩათ. ფეიქარ ხანის სახლები, მეჩეთი, შენობები, რომლებიც კახეთის აბასაბადში აშენდა, დაწვეს. მოურავმა ხელში ჩაიგდო კახეთის მართვა. ისინი, ვინც სიკვდილსა და ძარცვა-რბევას გაურბოდნენ, დააშოშმინეს. უხუცესები და მაღალჩინოსნები ტყვედ იგდეს. ამის შემდეგ ის [მოურავი] თბილისში დაბრუნდა და მივიდა აკლდამაში [სვეტიცხოველი] და ტრადიციისა და წესისამებრ, ალავერდელის და ქართლის მღვდლების

თანდასწრებით განუდგა ისლამს. ის ისლამისგან განდგომისკენ მოუწოდებდა ასევე ფარემუზ ბეგ ამილახვრის შვილს, ანდუყაფარ ბეგს.

ამ უკანასკნელმა უარი თქვა: ბავშვობიდან მისი უდიდებულესობის კარზე ვიზრდებოდი და არასდროს ვყოფილვარ გიაურის რჯულზე. ღვთის წყალობით, მომეცა შესაძლებლობა, წამეკითხა ყურანი და გავცნობოდი ისლამს. ჩემი ცოლი, იმამ ყული ხანის ქალიშვილი, მუსლიმია და ძირძველ მუსლიმთა გვარს მიეკუთვნება. ჩვენ არაფერი გვაკავშირებს ქართულ რელიგიასთან, არ ვიცნობთ მას! მიუხედავად მღვდლებისა და მოურავის მრავალი მცდელობისა, ისლამზე უარი ვერ ათქმევინეს მას. არავითარ სხვა გზას არ ეძებდა იგი, გარდა ხალიფას დინასტიის ერთგულებისა. მოურავ ბეგის ბრძანებით, ანდუყაფარ ბეგი თავისი ოჯახითა და შვილებით ხერთვისის ციხეში, არაგვის ხეობაში დაამწყვდიეს. მათ ასევე დაატყვევეს ერისთუ ბეგის, გუარამისა და ქაიხოსროს შვილები, დანარჩენი სიკვდილს გამოქცეული კახელი დიდებულებიც ქართლის სამეფო სამსახურში ჩამდგარიყვნენ.

პირშავი მოურავის დაბრუნება ყარაბაღის დასაპყრობად, იმ ველაიათის არეულობა და ქაოსი და საქართველოში დაბრუნება

ფეიქარ ხანი თავისი ოჯახით, შვილებითა და ხალხით, ასევე, მუჰამად ყული ხანი თავისი ხალხით, განჯაში მივიდნენ და მისი უდიდებულესობის კარიდან წერილს დაელოდნენ. მოჰამად ყული ხანმა ვერ გააკონტროლა ლაშქარი და ამის გამო ხანებმა და სულთნებმა დაახლოებით 22 დღე განჯაში ყოფნის დროს ვერ მოუყარეს თავი ლაშქარს.

სიმონ ხანი კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, თბილისის ციხე-სიმაგრიდან გამოიყვანეს და განჯაში წაიყვანეს. მისი ჩამოსვლის შესახებ შეატყობინეს დიდებულ კარს. ყველანი პასუხს ელოდნენ. ცოტა ხანში გაიგეს, რომ მოღალატე მოურავმა მტკვარი გადმოლახა და ყარაბაღზე აპირებს თავდასხმას. ჰყავს დიდი ქვეითი და ცხენოსანი ლაშქარი. ხანები უმოქმედოდ ვეღარ იდგებოდნენ და ორშაბათ დღეს, შაბანის თვის პირველ რიცხვში, დატოვეს რა ყარაბაღი, არდებილისკენ დაიძრნენ და დაიწყეს არაქსის გადაკვეთა. ფეიქარი არწმუნებდა მოჰამად ყული აღას, განჯაში

დავრჩეთ და თავდაცვას მივხედოთო, ლაშქარი შევაგროვოთ და ძალები გავაერთიანოთო, რაც დაახლოებით ხუთი ათასი კაცის ტოლფასი იყო. და ბეგლარბეგ მოჰამად ყული ხანი რომ შეყოვნებულიყო და ემეთაურა, კიდეც გადაუკეტავდნენ გზას მოურავს. ამის შემდეგ ხალხიც და საქონელიც მშვიდად მიაღწევდა მდინარე არაქსამდე. თუმცა მოჰამად ხანს არ ჰქონდა დარჩენის საშუალება.

ფეიქარ ხანს მხოლოდ სამასი მხედარი ჰყავდა, რომელთაც შეეძლოთ რაღაც ხანი მაინც გაეწიათ წინააღმდეგობა ქართველებისთვის. [თუმცა] არ იყო რა სხვა გზა, მანაც მუჰამად ხანთან ერთად განჯისკენ გასწია. ქალაქი, ხალხი, დაახლოებით ასი ათასი ოჯახი ქაოსმა მოიცვა. მეორედ მოსვლას ჰგავდა ეს ყოველივე. უქონლებმა და უპოვრებმა, რომლებსაც გაქცევის ძალა არ შესწევდათ, მელიქ იადგართან შეაფარეს თავი, ნაწილიც ტყეში გაიქცა.

მოღალატე მოურავმა დაუყოვნებლივ გადალახა მდინარე მტკვარი და განჯისკენ წავიდა. შამს ად-დინლუს, ყარამანლუს, მურჯიჰასანლუს, ყარაყლარისა და იმ მიდამოს დანარჩენი ხალხები, რომლებიც აღმოჩნდნენ მოურავის პირისპირ და გაქცევა ვერ შეძლეს, დანებდნენ მას. მიართვეს მას საჩუქრები, და პატიება და დაცვა ითხოვეს მისგან. მოურავმა მოწყალება გაიღო მათთვის და ანუგეშა ისინი. ტომთა მმართველებიც უხვად დააჯილდოვა, ხოლო აღჩაბადსა და მის მეზობელ მხარეებში, სადაც მალე თუთის მოსავალი უწევდა, მმართველები და ზედამხედველები დანიშნა. თავი მთელი ყარაბაღის დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა რა, ღიად განაცხადა, მის უდიდებულესობას, რომელსაც ეგონა, რომ შევთანხმდით, ღმერთმა არ ინება და ახლა ფარაჰ აბადშია იმედგაცრუებულიო.

ხანებიც ვერ შეეწინააღმდეგნენ მას და თავიანთი მიწები დათმეს. ჩემი მიზანი განა ამ მიწების განადგურებაა, პირიქით, გამყარება და ახალი მეფის დანიშვნაა ყარაბაღსა და ორივე საქართველოში. მხარეში, რომელიც ვალიების ადგილია. უზბეკებისა და ოსმალების შეჩერება ჩემთან არის კავშირში, თუმცა თუკი ჩემს დათრგუნვას შეეცდებიან, ჩემდათავად, ამის შეჩერებაც შემიძლია.

[მოურავის] ამგვარმა თავდაჯერებულმა, მბრძანებლურმა ლაპარაკმა იმ მხარის ხალხში „უკმაყოფილების კვამლი“ გამოიწვია, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ, გარდა მორჩილებისა. მოურავი დამოუკიდებლად შევიდა ქალაქ განჯაში, სამი ღამე შეყოვნდა, გააჩირაღდნა იქაურობა და მეფეთა სადარი წვეულება გამართა. ასევე დასძინა, რომ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებულ ხალხს მშვიდობიანად უნდა ეცხოვრათ და ეზრუნათ ამ მხარის კეთილდღეობაზე.

იქიდან ჩაიქანდის დასაპყრობად წავიდა. მელიქ იადგარმა და მუსლიმების და ქრისტიანების გარკვეულმა ჯგუფმა მასთან შეწინააღმდეგება გადაწყვიტa და ოთხი დღის განმავლობაში გამაგრებულ ადგილას შეყოვნდნენ.

და რადგანაც მან იცოდა გულის სიღრმეში, რომ მისი ბოროტი ბედი საბოლოო ჯამში გადაწყვეტილი იყო, აღარ გააგრძელა ბრძოლა და თბილისში დაბრუნდა. სულთნებმა რომ მისი უკან დახევის ამბავი შეიტყეს, არაქსით განჯისკენ გაემართნენ.

და რადგანაც ორი თვის განმავლობაში მისი უდიდებულესობისგან ამბავი არ მოსულა, ხოლო მოურავ ბეგზე თითქმის ყველა მხარეში ლაპარაკობდნენ, ძალიან შეშფოთებულები იყვნენ ისინი, ეს კარგს არაფერს მოიტანსო. ფეიქარ ხანმა თავისი შვილები და ნათესავები არდებილში გაუშვა, ხოლო თვითონ განჯაში, ხან ყაჯარის სამსახურში ჩადგა.

ყორჩიბაშის მოსვლა პირშავი მოურავის გადასაგდებად, მოურავის დამარცხება შაჰ ბანდე ხანის მიერ, მისი გაქცევა და ამირგუნე ხანის ირანში გაგზავნა

სულთნების ხალხი რამაზანის თვეში დაბრუნდა რა, სამართლიანობის კარიდან [მეფის კარიდან] სასიხარულო ამბავი მოიტანეს. მისმა უდიდებულესობა ქვეყნის მპყრობელმა შაჰმა თავისი ლაშქრის შეკრება ბრძანა. ასევე ბრძანა, რომ ლაშქარი უნდა ყოფილიყო მზად ისა ხან ყორჩიბაშისთან შესახვედრად, რომელსაც თავრიზის ბეგლარბეგ აბუშირვან შაჰბენდე ხანთან და გილანის და აზერბაიჯანის სულთნებთან ერთად საქართველოს მიწებიდან მოურავის გაგდება და მისი განადგურება ჰქონდა დავალებული. შირვანის ციხის მართვა თაბარაქის ციხის მცველ ყაზაყ ბეგ იუზბაშის გადაეცა. ეს უკანასკნელი შირვანში გააგზავნეს, ხოლო აწ განსვენებული იუსუფ ხანის ლაშქარს და შირვანელ სულთნებს ყორჩი ბაშის ლაშქართან შეერთება დაევალათ. მუსა სულთან აჯარლუს შვილს, სარუ ხან ბეგს დაევალა, გაქცეული სულთნებისა და ხანების საქმის ძირფესვიანი გამოკვლევა.

ამ ამბებით შეწუხებულმა ხანებმა ლაშქრის შეკრება დაიწყეს. რამადანის თვის 17 რიცხვში, 1033 წელს (ჰიჯრით), ყორჩი ბაში არდებილში ჩავიდა, მოილოცა დიდებული წინაპრის აკლდამა და ამის შემდეგ საქართველოს დასალაშქრად გამოემართა. გაუგზავნა რა შაჰ ბანდე ხანს კაცი, შეუთვალა, თავისი მეომრებითა და

სულთნებით ხოდააფერინის ხიდთან[117] შემოერთებოდნენ დიდებული ხანის ლაშქარს. და რადგანაც დაჭრილი შაჰ ბენდე ხანი ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულიყო, რაც უკვე ადრე ითქვა, მან თავის ვაქილ ყაითამაზ ბეგთან ერთად სულთნები და ერთგული მეომრები გააგზავნა, ხოლო თვითონ მოგვიანებით დაეწია მათ.

სულთნები ხოდააფერინის ხიდთან ყორჩიბაშის ლაშქარს შეუერთდნენ. ხანებმა და სულთნება ყორჩი ბაშის სთხოვეს, ორი-სამი დღით შეყოვნებულიყო მეტი მეომრის თავმოყრისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისმინა და დაადგა გზას ისე, რომ არცერთ ადგილას არ შეყოვნებულა და არც არავის მისცა შეყოვნების უფლება. მოურავმა რომ ყორჩიბაშის მოსვლის შესახებ გაიგო, თავდაცვისთვის და ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. ამირ გუნე ხანი ლორესა და ფანბაქის გზით მოვიდა. შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხანი - შაქიდან და თებედას მდინარესთან. ამ დროს ხმა დაიძრა, რომ მოურავი ოცი ათასი მხედრითა და ორმოცდაათი ათასი ქვეითით დიდებული ლაშქრის შესახვედრად წამოსულა. ყორჩიბაშიმ ამირგუნე ხანი, ფეიქარ ხანი და მოჰამად ყული ხანი ჩარხჩიებად დანიშნა, ხოლო ყარაბაღისა და ჩოხურ-საადის სულთნები, ასევე, ყაჯარები, თავიანთი ქვეშევრდომებით ამ საქმეს მიამაგრეს.

თუმცა ამირგუნე ხანმა მოახსენა, ჩარხჩიების [მეწინავეთა] უფროსობა ჩემი საქმე არაა და შესთავაზა, ამ ადგილზე რამდენიმე სულთანი და ალი ყული სულთან ესფერლუ დაენიშნათ. ამ ადგილზე მყოფისთვის არა აქვს მნიშვნელობა არც დამარცხებას და არც გამარჯვებასო. თქვა, რომ მცირე შეტაკებებში მონაწილეობა ყიზილბაშთა ტრადიციაა და მოაგვარებენ. ხოლო ჩემი მხრივ, მზად ვარ, დახმარება გავწიო, როცა ამის საჭიროება იქნება, მით უფრო, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ხმლის ქნევაში გავატარე და მტრისთვის ზურგი არასოდეს შემიქცევიაო! ყორჩი ბაში არ დათანხმდა და ავანგარდი ამირ გუნე ხანსა და ყაჯარ სულთნებს ჩააბარა. ამირგუნე ხანი იძულებული შეიქნა, ჩაებარებინა ავანგარდი და ქართველების წინააღმდეგ აზვირთებული ჯარი დააყენა. ლაშქარი ორივე მხრიდან გაწყობილიყო და იარაღი მოემართა. ხოლო იმ მამაცმა ხანმა, მსგავსად ალექსანდრეს ჯებირისა, გადაღობა გზა და ბრძოლაც გაჩაღდა. და როგორც ჩარხჩიების მეთურს ტრადიციულად შეეფერება, უკან არ დაუხევია, არ გაქცეულა და მყარად და მედგრად ამაგრებდა პოზიციას.

მოჰამად ყული ხანი და ფეიქარ ხანი შეეცადნენ, გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომები, შეუერთდნენ იმ გამარჯვების მომტან ხანს და დაიწყეს ბრძოლა.

[117] შუა საუკუნეების ხიდი მდინარე არაქსზე.

შუა დღის სამ საათამდე ებრძოდნენ ქართველებს. მალე დამხმარე ძალით გამაგრება დასჭირდათ, თუმცა მთავარსარდალს არ გაუგზავნია მათთვის დახმარება. ამირგუნე ხანმა ცხრა ქართველი გადმოაგდო ცხენიდან, ხოლო ფეიქარ ხანმა, იმის შიშით, არ მოვკვდე და უზენაესის წინაშე სირცხვილით არ წარვსდგეო, შეუტია რა მტერს, დააზიანა ისინი შუბის დარტყმით და იმ სისხლისღვრიდან უვნებლად გამოვიდა.

მოურავმა რომ ნახა, თუ როგორ სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდნენ ამირგუნე ხანი და ყაჯარი ხანები, ხოლო მისი ჩარხჩიები უძლურები არიან, შეძახილით, როგორც ეს ქართველებს სჩვევიათ, დაესხა თავს ამირგუნე ხანის ჯარს, რამდენიმე მხრიდან ალყა შემოარტყა და ყაზაყის, სარუ ხან თალეშის, ქასგარის მმართველი იუსუფ სულთნის, ალიყული სულთნის მოსვლამდე, რომლებსაც დახმარება უნდა გაეწიათ ყიზილბაში ჩარხჩიებისთვის, ამირგუნე ხანი ორ ადგილას დაიჭრა და თავში მიყენებული ჭრილობის გამო ბევრი სისხლი დაკარგა. მისმა 70-წლიანმა გამოცდილებამაც კი ძლივს გაუძლო ამ დემონური ჯგუფის დარტმებს. ის არ იხევდა უკან და არ ტოვებდა ბრძოლის ველს. საუბედუროდ, ერთი აზნაურის შუბმა მებრძოლ, მამაც ხანს სასიკვდილო ზიანი მიაყენა. ღრმა ჭრილობის გამო დასუსტდა და ცხენიდან ჩამოვარდა. მამაცი ხანის ერთგულმა და მამაცმა ყაჯარმა ახალგაზრდებმა ფარები აიფარეს და თავდასასხმელად შეიჭრნენ. 84 მათგანი დაიღუპა, თუმცა მოახერხეს ხანის ამ სისხლისმღვრელი ბრძოლიდან გამოყვანა და მისი ახლომდებარე ეკლესიაში შეყვანა. მოღალატე მოურავმა რომ ამირგუნე ხანი დაჭრილი და, შესაძლოა, მკვდარიც კი ნახა, ფეიქარ ხანი და მოჰამად ყული ხანი არად ჩააგდო და გახარებული შევარდა ლაშქარზე თავდასასხმელად.

ლაშქარში რომ ამირგუნე ხანის სიკვდილის ამბავი გავრცელდა, ყიზილბაშები, რომლებიც ამ მამაცი ხანის შემყურეები და მის იმედად იყვნენ, დაიფანტნენ. ყორჩიბაშიც გორაკზე ავიდა, რომელიც მარჯვენა მხარეს იყო. მასთან ერთად კი დაახლოებით ორი-სამი ათასი კაცი იმყოფებოდა. მოურავი ქართველებთან ერთად ყიზილბაშთა ბანაკში შევიდა და ძარცვა-რბევა დაიწო. მოჰამად ყული ხანი და ფეიქარ ხანი, რომლებიც ქართველთა ჯარს ჩამორჩენოდნენ, უთვალთვალებდნენ მტრის ქვეით ჯარს, რომელიც ბრძოლის დღეს ცხენოსნებზე ძლიერად იბრძოდა. ამ უკანასკნელებმა მათგან [ამ ლაშქრიდან] რამდენიმე კაცი მოკლეს.

აყჩეყოინლუს ყაჯარმა მეომრებმა, რომლებიც ამირგუნე ხანის ხალხისგან იყვნენ, თავი მოიყარეს თავიანთი პატრონის და კეთილისმყოფელის ირგვლივ,

ფიქრობდნენ, რომ მოურავის დაბრუნების შემდეგ ქართველები ვერ მიიღებდნენ რა დახმარებას ყორჩიბაშისგან, სიცოცხლეს ვეღარ შეინარჩუნებდნენ.

ამირგუნე ხანმა ჭრილობები შეიხვია, დაისვენა და ახალგაზრდები გაამხნევა, უთხრა: მშვიდად იყავით, ნუ ღელავთ, თუკი უფალს გადაწყვეტილი აქვს, მეტხანს ვიცოცხლოთ, მაშინ აუცილებლად გამოჩნდება საშველი და თუ არა, განა რაა იმაზე დიდი პატივი, ვიდრე 70 წლის ასაკში ამაყად მოკვდე?! ყორჩიბაშის არც საბრძოლველად შესწევდა ძალა და ვერც უკან დაიხევდა, ვინაიდან ქართველები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, იქ იწყებდნენ ძარცვა-რბევას. შეამჩნია რა დრაკონის გამოსახულებიანი თურქმანთა დროშა, რაც არაერთხელ უნახავს მოურავს მის უდიდებულესობასთან ერთად, გაიფიქრა, რომ ყორჩიბაშის გაქცევა და ყიზილბაშების დამარცხება ეშმაკური გეგმა იყო, რომ ნაბდიანი ქართველები მოეტყუებინათ და ბანაკის ძარცვა-რბევით დაეკავებინათ ისინი. თავად მისი უდიდებულესობა კი ჩასაფრებული იყო და აი, ისიც გამოჩნდაო!

შეშინებულმა ქართველებმა დაყარეს რაც კი რამ ნაძარცვი ჰქონდათ და ცხენებზე შემოხტნენ. რაღაც ნაწილმა მიატოვა კიდეც ლაშქარი და გაიქცა. ნაწილიც მოურავ ბეგთან ერთად დარჩა ბანაკთან შორიახლო და იმედოვნებდნენ, რომ გადაურჩებოდნენ სიკვდილს და შეინარჩუნებდნენ ძალას. ყორჩიბაშმა დაინახა რა ასეთი მოულოდნელი დახმარება და მტრის ასეთი უეცარი დაბნევა და გაფანტვა, კაცი გააგზავნა იმის გასაგებად, თუ საიდან ისმოდა ყიზილბაშების ქარნის ხმა და საიდან მოვიდა ეს ლაშქარი მათი სიცოცხლის გადასარჩენად. მოახსენეს, რომ ეს ანუშირვან შაჰ ბენდე ხანია, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, რომელიც თავისი ლაშქრითა და სულთნებით მოდის. ის აღელდა, როდესაც ყორჩიღა ხანის მუქარა შეიტყო. ეს უკანასკნელი მთავარსარდალია და ამავდროულად მისი უდიდებულესობის სიძე, ხოლო მისი უხასიათობა ცნობილი ამბავია. ამან დააფიქრა შაჰბენდე ხანი, ღმერთმა ნუ ქნას და შეურაცხყოფა მომაყენოს ან დამამციროსო.

და როდესაც ამირგუნე ხანის სიკვდილის და ყორჩიბაშის დამარცხების შესახებ შეიტყო, აღელდა. და თავის რვაას ახალგაზრდა თურქმან მეომარს, მეგობრებს მიმართა: აქამდე ჩემი ცხონებული მამის სახელითა და ლოცვით გავიდა ჩემი ცხოვრება. ახლა, როცა უკვე 28 წელი შემისრულდა, ხოლო აქედან 11 წელი, მისი უდიდებულესობის წყალობით, მამაჩემის ადგილას ვზივარ, ჯერ არცკი დამიმტკიცებია ჩემი სიმამაცე და თავდადება. ღმერთმა ქნას, ამ ბრძოლის ველზე ან გმირულად მოვკვდები, ან კიდევ გავთავისუფლდები რა მამაჩემის დიდების ჩრდილისგან, სიმამაცეს გამოვიჩენ! ახლა კი დადგა დრო, ავწიოთ ჩვენი თეთრი ალამი

და მოვემზადოთ საბრძოლველად! და მან ბრძანა, გაეშალათ თეთრი დროშა, რომელიც ასევე ეკუთვნოდა მის უდიდებულესობას, როგორც თურქმანთა ტახტის მემკვიდრეს. ეს დროშა, რომელზეც ორი კვიპაროსია გამოსახული, ამაყად დაჰფრიალებდათ მათ თავზე ბრძოლის დროს. და მან ბრძანა, აეფრიალებინათ ეს დროშა, ჩაებერათ ქარნა, რათა ყველას შეეტყო ამ დიდებული ლაშქრის შესახებ.

თავიანთი მეთაურის ამგვარი ქედმაღლობით შეწუხებული, გაქცეული ახალგაზრდა ყიზილბაშები ანუშირვანთან შეხვედრის შემდეგ მობრუნდნენ და დროშის ქვეშ დადგნენ. და დაახლოებით ხუთი-ექვსი ათასი მეომარი, რომლებიც ხანს ვერ ტოვებდნენ, შეგროვდნენ და როდესაც ბანაკი ქართველების ხელში აღმოჩნდა, ეშმაკი მელიები ლომებივით დაესხნენ თავს [ქართველებს]. ასეთმა მძლავრმა შეტაკებამ დაფანტა ქართველთა რაზმი და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

მოურავმა ეს რომ დაინახა, უკან დაიხია. ანუშირვანი და მისი ახალგაზრდა მეომრები დამწუხრებულები იყვნენ, რომ გამარჯვება ვერ აჩვენეს და უკან დაედევნენ დაფანტულ ქართველებს. ქართველებიც მოტრიალდნენ და ბრძოლა განაგრძეს. ორივე მხრიდან ბევრი ადამიანი მოკვდა, გაჩაღდა ბრძოლა და ბრძოლის ველიც ქაოსმა მოიცვა. ამის შემდეგ, ბრძოლის ველიდან გაქცეულები უკან, თავიანთ კარვებში, მობრუნდნენ. ქონება, რომელიც ხელუხლებელი იყო და ის, რაც ნაწილობრივ დარჩენილიყო, დაიბრუნეს და დაიწყეს ახალი ცხოვრება. ლოცულობდნენ და ადიდებდნენ უფალს.

ზემოხსენებული ყორჩიბაშის ბანაკთან, ბრძოლის ველიდან ერთი ფარსახის მანძილზე, წყლის პირას გაჩერდა. ბრძანა, კარვებიც იქ გაეშალათ და ის ღამე იქ გაათია. დილით კი სარუ ასლანთან ერთად შეხვდა ხანს, რომელიც სიმამაცის სიმბოლო იყო. ამირგუნე ხანმაც გამოამჟღავნა რა პატივისცემა შაჰბანდე ხანისადმი, თავ-თავიანთი კარვებისკენ წავიდნენ. მოურავ ბეგს სხვა გზა არ დარჩენოდა, ვერ დარჩებოდა მდინარე მტკვრის ამ მხარეს, გადავიდა მეორე მხარეს, თბილისიდან მაღლა და გორისკენ და ახალციხის საზღვართან, სურამისკენ და ქართლისკენ წავიდა. შაჰ ბენდე ხანი დილით თავის მამაც ხალხთან ერთად, რომელთაც კიდეც დაანახვეს თავიანთი სიმამაცე ხალხს, ამხედრდა და ყორჩი ბაშისთან წავიდა. ემირგუნე ხანსა და ყაზაყ ხანს, რომლებიც აღიარებდნენ თავიანთ ბრალეულობას პირველი შეტაკების დროს, პატივისცემა გამოუხატა. ყორჩიბაშიმაც გამოხატა რა მათ მიმართ კეთილგანწყობა და პატივისცემა, ერთად მოითათბირეს არსებულ ვითარებაზე, რათა შემდეგ მისი უდიდებულესობისთვის მოეხსენებინათ.

მისი უდიდებულესობის ყურამდე ფარაჰაბადში დაცემის ამბავი რომ მივიდა, ძალიან დადარდიანდა იმის გამო, რომ უმადურმა მოურავმა თავხედობა გამოიჩინა.

თუმცა ხანების არზებმა მას გუნება გამოუსწორა და ბრძანა, გაეგზავნათ ძვირფასი ხალათები და სხვა ძვირფასი სამოსი, შეკაზმული ცხენები, გვირგვინი, ჯიღა და ასევე რაყამი ანუშირვან მეორისთვის, მისი დროის გმირისთვის და აზერბაიჯანის ბეგლარბეგისთვის, ადრე რომ თავრიზის ჰაქიმს უწოდებდნენ. შაჰის ეს ქმედება გახდა მიზეზი იმ ბანაკში მყოფთა სიხარულისა და ბედნიერების. ყორჩიბაში იმ საზღვრების მმართველად და სარდლად დაინიშნა და ასევე მისი უდიდებულესობისგან მიიღო მითითება, რომ ყველა საქმე ხანებთან შეთანხმებით გადაწყდებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვართან სიტუაცია დალაგდა, დაჭრილი ამირგუნე ხანი ყორჩიბაშის დაეთხოვა და ბანაკი დატოვა. ეს გადაწყვეტილება კი იმიტომ მიიღო, რომ თუკი ხმები მისი [ამირგუნე ხანის] სიკვდილის შესახებ ფაშას ყურამდე მიაღწევდა, მაშინ ამ უკანასკნელის მესაზღვრეებს, შესაძლოა, ჩოხურსაადზე თავდასხმა გადაეწყვიტათ. თავისი ხალხი ამირგუნე ხანმა უფროს ვაჟს, პატივცემულ ადამიანს, იუზბაშ საფიყული ბეგს ჩააბარა, ხოლო თავად ერევნის ციხისკენ გაემართა. მისი უდიდებულესობის კარზე კი არზა გააგზავნა, რომელშიც ეწერა: „მთელი ჩემი ცხოვრება ბრძოლის ველზე დაღუპვაზე ვოცნებობდი და არა ქალივით - სახლში. თუმცა ამ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ შევეცადე, ღვთის ნება ყოფილა და დამჭრეს და აწი არც მაქვს გადარჩენის იმედი! იმას გთხოვთ, რომ თაჰმასბ ყოლი ჩოხურსაადში გაგზავნოთ, ჩემთან ერთად იყოს და საზღვრის საქმეები მოაგვაროს და თუკი ღმერთის ნებით კიდევ ვიცოცხლებ, მტერი ამ საზღვარზე ვერ შემოვა და ხალხს ვერ მიაყენებს ზიანს! შემდეგ კი, თუ უფლის ნება იქნა და მისი უდიდებულესობაც ინებებს, ჩემსავე სიცოცხლეში გადავცემ მას ციხეს, ძალაუფლებასა და მმართველობას. მე კი სუფიების წმინდა აკლდამაში წავალ, რათა დარჩენილი სიცოცხლე მეფის ხელისუფლებისა და სიცოცხლისთვის ლოცვაში გავატარო.''

ყორჩი ბაშის, შაჰბანდე ხანის ყაზაყ ხანისა და მირზა ყული ხანის გაგზავნა და მათი დამარცხება. შაჰბანდე ხანის მოკვლა ყაზაყ ხანის შეპყრობა ქართველებისგან

ზემოხსენებული ამბების შემდეგ და მოურავის გაქცევის შემდეგ ისა ხან ყორჩიბაშიმ ხერთვისის ციხეში დატყვევებული ანდუყაფარ ბეგის და მისი ხალხის გასათავისუფლებლად და ციხის ასაღებად ჯგუფი გაგზავნა. შირვანის ბეგლარბეგმა ყაზაყ ხანმა ორმოცი დღე თავის მხარეში დაჰყო და შემდეგ ჯარით დაიძრა

საქართველოსკენ. მოიწვია მაჯლესი, სადაც გადაწყდა, რომ თავისი ხალხის გარკვეულ ნაწილთან ერთად ამ დავალების შესასრულებლად წავა.

ზემოაღნიშნული მხარეების გზაზე ოთხი ფარსახის სიგრძის ხეობაა, სადაც ორივე მხრიდან მთების სიმაღლე ორი ათას გაზს,[118] ან მეტსაც, აღწევს. ღმერთმა არ ქნას და მთის წვერიდან ერთი ქვაც რომ დაიძრას, ათასობით ქვას ჩამოიყოლებს, რამაც, შესაძლოა, მთელი ლაშქარი მიწაში ჩაიყოლოს. ხეობის სიგანე დაახლოებით ორმოცდაათი ზერაია და გასწვრივ კი დაახლოებით ოცი ზერაი სიგანის ღრმა მდინარე მოედინება. მთის მწვერვალებზე უღრანი ტყეა და თავშესაფრისთვის ზედგამოჭრილი მრავალი ადგილია, ასე, ასი ათასი ადამიანი რომ შეაფარებს თავს.

როდესაც მისმა უდიდებულესობამ, ქვეყნიერების მპყრობელმა და მბრძანებელმა, ყოვლისშემძლე თემურ ლენგმა [*თიმურ გურქან*] ქართლის ხანი ლავასან ხანი დაამარცხა, მიიერთა მისი მიწები და მასთან დაზავდა, ხანი [სწორედ] აქ, არაგვის ხეობაში, აფარებდა თავს. და რადგანაც ეს გზა ძალიან საშიში და რთული იყო, რაც თავადაც ნახა კახეთში მივლინებულმა ამ სტრიქონების ავტორმა, შეუძლებელი აღმოჩნდა იქ ლაშქრობა, ვერაფერს გახდებოდნენ. ამიტომაც, გადასახადებზე და ხარკზე დაყაბულდნენ, უკან დაიხიეს და ამ მხარის მმართველობა მისსავე ძველ მმართველს დაავალეს. ხანებისა და სულთნების გამგზავრების შემდეგ, თანაც, აქლემების გადაადგილება იმ მთებში თითქმის შეუძლებელი იყო, გადაწყდა, რომ იმ რთულ გზაზე, რომელსაც აქამდე არ ენახა ამბოხებულები, ახალგაზრდა მეომრები წავიდოდნენ. და ორი-სამი დღის შემდეგ მზადება დაიწყეს. ხანები სულთნებთან ერთად იმ რკინის ციხე-სიმაგრისკენ გაემართნენ და უფალს შეწევნასა და გამარჯვებას სთხოვდნენ.

ქართველები, ისე რომ არაფერი უეჭვიათ, ხეობაში, მთებსა და ტყეებში შევიდნენ და მიუხედავად სირთულისა, ეს გზა მთვარის შუქზე გაიარეს. იმ საშინელი ადგილიდან ვაკეზე [რომ] გამოვიდნენ, თავისუფლად გააჭენეს ცხენები.

ერთი სიტყვით, თავი დააღწიეს ამ გზას. დილით შაჰბენდე ხანმა, რომელსაც თავის მოკლე სიცოცხლეში არცერთი დღე არ გაუტარებია ნამაზის წაკითხვის გარეშე, ღამის ლოცვა წაიკითხა. დილის ნამაზის დროს კი უფალს იღბალი და ანდუყაფარ ბეგისა და მისი ნათესავების, რომელთა შორისაც ასევე იყო ამირათა ამირას, იმამ ყული ხანის, ქალიშვილი, გათავისუფლება შესთხოვა. შირვანის ბეგლაბეგ ყაზაყ ხან მირშექარბაშისთან და სულთნებთან ერთად ცხენზე ამხედრდა და ვიდრე

[118] სიგრძის საზომი ერთეული- 1 გაზი, დაახლ. 105 სმ.

ქართველები გონს მოვიდოდნენ და მოემზადებოდნენ, ხერთვისის ციხეს ალყა შემოარტყა.

ციხის მცველები მიხვდნენ, რომ თავდამსხმელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. მიუხედავად ციხის სიმყარისა, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მალე ის სულთნებისა და ემირების ხელში გადავიდოდა. [ამიტომაც] ანდუყაფარ ბეგი ერთ-ერთი კოშკიდან გაიყვანეს, ხოლო მისი შვილები და ნათესავები მისსავე ნათესავებს მიაბარეს. ერთ-ერთი მათგანი, არაგვის ხეობის მმართველის, ერისთავის დისშვილი, საქართველოს მნიშვნელოვანი ფიგურა, ამილახვარი, იყო. ასევე, იყვნენ ალავერდი ხანის ნათესავები საბარათიანოდან. თავად მეციხოვნეები კი დაიმალნენ.

ციხის ძირას მისულ ხანებს ანდიყაფარ ბეგის ნათესავებმა გაუღეს კარი და შაჰბენდე ხანს და ფარაღ ხანს პატივისცემით მოახსენეს, რომ ანდუყაფარ ბეგი ციხე-სიმაგრიდან გაიყვანეს. ხანებს გაუხარდათ ანდუყაფარ ბეგის ნათესავების ხელში ჩაგდება და რადგან არ იცოდნენ, თუ რომელ მხარეს წაიყვანეს ანდუყაფარ ბეგი, ჩათვალეს, რომ სიფრთხილე მართებთ და ციხეც უბრძოლველად აიღეს. ანდუყაფარ ბეგის ნათესავებს სასწრაფოდ გადასცეს ცხენები და ეშიკაღასიბაშ ბაირამ ბეგთან, ხუთას ქამანდართან და ორას თოფანგჩისთან ერთად გაუშვეს. თავად კი ციხე-სიმაგრის დანგრევა მიიჩნიეს მახვილგონივრულად.

და იმ დღეს ამ ციხის მიწასთან გასწორება და თავიანთი სახელის ისტორიაში შეტანა გადაწყვიტეს. ბაირამ ბეგი კი ანდუყაფარის ნათესავებთან ერთად დაადგა გზას. მთელი დღე და ღამე ანგრევდნენ მეომრები ციხეს. დილისკენ კი, დაასრულეს რა ეს საქმე, ცხენები შეკაზმეს, რათა დაბრუნებულიყვნენ. ერთი ფარსახი ექნებოდათ გავლილი, რომ ქართველმა ქვეითებმა გადაუღობეს გზა. ეს უკანასკნელნი მთებსა და გზებზე გამაგრებულიყვნენ. ახალგაზრდა მუსლიმი მეომრებისთვის შეუძლებელი იყო ასეთ ვითარებაში ბრძოლის ქვეითად გაჩაღება და მშვილდ-ისრებსა და იარაღს სტაცეს ხელი.

მიუხედავად მცდელობისა, ყიზილბაშების ნაწილი დაიღუპა, რადგან ისინი ისეთ ადგილას იდგნენ, სადაც განძრევაც კი შეუძლებელი იყო. გაიარეს რა კიდევ ერთი ფარსახი, აქ ოდნავ მაინც იყო ცხენით მოძრაობის საშუალება, და მიადგნენ მიხვეულ-მოხვეულ და რთულად გასავლელ გზას. ამასობაში, ქართველებმა მთებიდან ქვების, ისრებისა და თოფის სროლა დაიწყეს. საბოლო ჯამში, ახალგაზრდა მეომრებმა თავი ვერ გამოიჩინეს.

შირვანის აღდაშის ჰაქიმს [მმართველს] ალფავოთ სულთნის ცხენს მთის ფერდობიდან ჩამოგორებული ქვა დაეცა და მთებში გადაიჩეხა, ხოლო შაჰბენდე ხანის ცხენს ტყვია მოხვდა. იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს სიარული არ შეეძლო, დავარდნილი ისროდა მშვილდ-ისრიდან. ალი ყული ხანისა და თეიმურაზის შეტაკების დროს მოკლული სულთან სალმასის შვილმა, ნიაზ სულთანმა, რომელსაც ახლა მამის ადგილი ეკავა, თავის ცხენზე შესვა ხანი და უთხრა: ჩემი საქმე არაა ცუდად, ვინაიდან, თუკი მე მოვკვდები, ჩემი ძმაცა და შვილებიც ხანის მფარველობის ქვეშ დარჩებიანო. ხანის, რომელიც რამდენიმე ათასი ადამიანის იმედი და მფარველი და აზერბაიჯანის მიწების უსაფრთხოების გარანტიაო! ქართველებმა რომ ეს დაინახეს, თავს დაესხნენ ამ უკანასკნელთ, ცოტა ხანში ხანის ხალხიც მოვიდა და გაჩაღდა ბრძოლა და მოგერიება.

ნიაზ სულთანი თავის ბეგლარბეგს შეეწირა. ხანსა და მის ხალხს აღარ ჰქონდათ არც დახმარების და არც გადარჩენის იმედი. მიუხედავად ამისა, ბრძოლას განაგრძობდნენ და თანაც თვალწინ საკუთარი მოწამეობრივი სიკვდილი და განკითხვის დღე ედგათ. და ამ დროს, თითქოს ბედისწერა იყო, გავარდა ტყვია და შაჰბანდე ხანს შიგ მკერდში მოხვდა. და ეს ხანი, წყარო სიუხვისა, სიმამაცისა და ვაჟკაცობისა, დავარდა და სული დალია.

ყაზაყ ხანმა ამ სამართლიანობის მაგალითი ხანის ირგვლივ მყოფები დაბნეულები რომ დაინახა, სასწრაფოდ მისკენ [ხანისკენ] გაემართა. ხელში აიტაცა ჯერ კიდევ თბილი მეგობარი, ჭეშმარიტი ხანი და თავის ცხენზე დაასვენა. უკან შემოუჯდა რა, მდინარის გადალახვას ლამობდა, რათა იქით ნაპირზე სულ ცოტა ხნით მაინც ჰყოლოდა იგი დაცული, როგორც მას შეეფერებოდა, ისე. ძლივს გადაიყვანა ცხენმა ეს ორი ძლევამოსილი ხანი იქით ნაპირას. ყელამდე დასველებული ყაზაყ ხანი გამოვიდა თუ არა წყლიდან, ქართველებს შეეჩეხა. მას უკვე აღარ შესწევდა შეწინააღმდეგების ძალა და ბედისწერის ტყვე აღმოჩნდა. ქართველები ვერ იაზრებდნენ რა იმას, რომ მათ წინაშე თავიანთი დროის ანუშირვანი იდგა, თავი წაეცალეს იმ მამაც, ყველასთვის საყრდენ და მრავალი ადამიანის გადამრჩენელ ხანს. ამის შემდეგ კი ყაზაყ ხანი დააბეს და უკან გაბრუნდნენ. იარაღი რომ შეათვალიერეს, მიხვდნენ, რომ ორივე ტყვე მაღალჩინოსანთა რიგებს მიეკუთვნება.

ქართველებმა ყაზაყ ხანს ჰკითხეს: ვინ იყო შაჰ ბანდე ხანი და შენც ვინა ხარო? თვალცრემლიანმა უპასუხა: თავი, რომელიც ტანს გააშორეთ და მოედანზე დააგდეთ, იმ კეთილშობილი ხანისაა, მე კი მისი ერთგული მსახურთაგანი ვარ, რომელსაც მსურდა, გამეღო საკუთარი სიცოცხლე მისთვის, თუმცა არ გამომივიდა და ახლა ცოცხალი, თქვენს ხელთ ვარო!

ქართველებმა რომ შაჰბენდე ხანის სიკვდილის ამბავი გაიგეს, გაიხარეს და მისი მოჭრილი თავი თავიანთ სარდალს მიართვეს. ისინიც [ქართველები] დაღლილიყვნენ ბრძოლით და თავიანთ ალაგას დაბრუნდნენ. ვისაც ძალა შესწევდა და შეძლო, გაიქცა და დააღწია თავი იმ საშინელ ადგილს. ხოლო იმათ, ვისი „სიცოცხლის ფიალაც გადავსებულიყო, "სიკვდილის შარბათი იგემეს". ქართველებმა ყაზაყ ხანი მოურავს მიჰგვარეს და თანახმად ამ მოღალატის ბრძანებისა, ბელაქნის ციხეში გამოამწყვდიეს, ხოლო აწგარდაცვლილის მოკვეთილი თავი, ნიშნად მსახურებისა, ოსმალეთის სულთანს გაუგზავნეს. თუმცა, ყაზახ ხანის გაგზავნა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბების შემდეგ ანდუყაფარ ბეგი უვნებლად ჩავიდა დიდებულ ბანაკში და ერგო პატივი, ემსახურა დავუდ ბეგ იუზბაშთან და თავის დიდებულ ბიძასთან, საბოლოო ჯამში, ამხელა დანაკლისის გამო ბანაკის მკვიდრნი დიდად დადარდიანებულები იყვნენ. იქნებოდა ეს მამაცი ხანის დაღუპვა თუ ყაზაყ ხანის ტყვეობა, რომლის სიმამაცეც გახდა მიზეზი გულისწყვეტისა და დარდის. და ეს ამბები უმაღლეს კარს მოახსენეს.

თეიმურაზ ხანის საქართველოში ჩამოსვლა და პირშავი მოურავის ოსმალეთში გაქცევა

ზემონახსენები ამბების შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ საქართველოს ყოფილმა ვალიმ, თეიმურაზ ხანმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ შაჰის რისხვას გაერიდა, ოსმალეთს შეაფარა თავი, ელოდა, რომ, თუკი აზერბაიჯანი აღარ დაექვემდებარებოდა ხალიფატს, საქართველოც მათ დაექვემდებარებოდა და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა რა თავად, ასეთი რამ ნაკლებად შესაძლებელი იყო, თეიმურაზი ღვთის წყალობის იმედად იყო და ელოდა, რომ დაბრუნდებოდა თავის ქვეყანაში, სადაც იგი დიდებას მიაღწევდა. მას სჯეროდა, რომ სასოწარკვეთას იმედი მოსდევს და ბნელ ღამეს – ნათელი დღე. და ამ დროს მან შეიტყო უმადური მოურავის ჯანყის შესახებ.

წლის ბოლოს სასწრაფოდ წამოვიდა იმერეთში, რომელიც საქართველოს მხარეა, ხოლო მისი მმართველი მანუჩარ ხანი ოსმალეთს ექვემდებარება. თეიმურაზი იმერეთისა და ქართლის საზღვარზე, სურამის ციხის ძირას, გაჩერდა.

როდესაც ქართველი აზნაურები და დიდებულები, არ ჰქონდათ რა მათ სხვა გზა, თავიანთ მსგავს, და შესაძლოა ნაკლებ, მოურავ ბეგს დაემორჩილნენ, გაიგეს რა

კახეთის მმართველის, ქართლის სულთნის ბიძაშვილის, დავითის მოდგმის თეიმურაზ ხანის დაბრუნების შესახებ და ასევე, იმის შესახებ, რომ ლუარსაბ ხანის და, რომელიც არის ერთადერთი მემკვიდრე ამ მხარის და იმყოფება თეიმურაზ ხანის სახლში, დაუყოვნებლად გაეშურნენ მის დასახვედრად. მისმა დაბრუნებამ მათ ახალი სიცოცხლე მოუტანა. მოურავმა რომ თეიმურაზ ხანის, ლუარსაბის დისა და დანარჩენი ქართველების მოსვლის ამბავი გაიგო, იფიქრა, ცოცხალს არ დამტოვებენო. განა თავად არ იყო თავი და თავი ამ მხარის ჩამოქცევის?! და თავის რამდენიმე ნათესავთან ერთად, ლორეს გავლით სასწრაფოდ გაიქცა ახალციხეში, საიდანაც შემდეგ ოსმალეთში წავიდა და ასე „გზააბნეული დაიარებოდა უდაბნოში“.

თეიმურაზ ხანმა მთლიანად აიღო ქართლში სადავეები. დაწერა არზა, რომელშიც აღიარებდა თავის შეცდომებს. ხოლო ყორჩიბაში და ადგილობრივი ფეოდალები შუამდგომლად დააყენა რა, მრავალი საჩუქარი გააყოლა მათ, მორჩილება გამოხატა და პატიება ითხოვა. მიუხედავად უმადურობისა და ჩადენილი თავხედობისა, იქნებ გამოიჩინოს გულისხმიერება და მაპატიოს მისმა უდიდებულესობამ და მმართველობა გადმომცესო - ითხოვდა თეიმურაზი. არასდროს ხალიფას კარს აღარ გავეკარები, მაგრამ, გთხოვთ, დამეხმაროთ ყოველთვის, როცა კი ოსმალეთის სულთანს ამ მხარეში შემოსვლა მოუნდებაო! მე ვიქნები ის, ვინც გახდება ახალციხის მიდამოების, იმერეთის და ასევე ქართლსა და კახეთში მათი მიწების ამღები-დამბრუნებელი! თეიმურაზი დაჰპირდა, რომ კვლავ იქნებოდა ერთგული მსახური დინასტიისა და არავის შემოუშვებდა ამ მიწაზე ოსმალეთიდან. ასევე, მისი უდიდებულესობის ხოტბისა და მონეტების გამავრცელებელი იქნებოდა, რათა მათი ძალაუფლება გავრცელებულიყო. თეიმურაზს მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, დაებრუნებინა ის მდგომარეობა, რომელიც მას ადრე ჰქონდა.

მისმა უდიდებულესობამ, გამოიჩინა რა დიდი გულისმიერება, შეუნდო მას ცოდვები და საპატიო ხალათი გაუგზავნა. ყორჩიბაშს კი დაავალა, რომ თბილისის ციხეს გადასცემდნენ დავით ბეგს და გაამყარებდნენ დაცვას. სულთნების შთამომავალი სიმონ ხანი თბილისის შემოგარენის, სომხითის, საბარათიანოს, მმართველად დაინიშნა, ხოლო გორი და მისი შემოგარენი, ასევე, მთელი კახეთი, თეიმურაზ ხანს გადაეცა. თეიმურაზ ხანი და ლუარსაბის და, დედოფალი, ძვირფასი ხალათებით დაასაჩუქრა და თავად გაბრუნდა.

დავით ბეგი ციხე-სიმაგრეში დარჩა, ხოლო ძლევამოსილი ლაშქარი და სულთნები გაუშვეს. თავად ყორჩიბაში დიდებულ ბანაკში მივიდა, სადაც პატივი ერგო, შეხვედროდა მის უდიდებულესობას. თეიმურაზ ხანი კი მორჩილებითა და

მსახურებით, სრულიად გულდამშვიდებული, ზემოხსენებული მხარის მართვას და იმ მიწების შემოერთებას შეუდგა, რომლებზედაც აქამდე არცკი უოცნებია.

დამოწმებული ლიტერატურა

ალექსიძე, მ. (2016). საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. არტანუჯი, თბილისი.

კუცია, კ. (1974). არაქელ დავრიჯეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი: „მეცნიერება“.

კუცია, კ. (1972). ისფაჰანის ქართველი ტარუღები. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები II. „მეცნიერება“ .

კუცია, კ. (1966). *სეფიანთა ირანის ქალაქები.* ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი.

ლეკვეიშვილი, თ. (2022). *ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანის ურთიერთობების შესახებ (მე-17 საუკუნის დასაწყისი)*, ახალი მასალები საქრთველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. თბილისი: გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

მაედა, ჰ. (2009). XVII საუკუნის ახალაღმოჩენილი სპარსული ქრონიკის ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ (შესავალი) (ფაზლი ხუზანის ქრონიკა „აფზალ ათ-თავარიხ“). ისტორიანი.

სვანიძე, მ. (1965). ქართველი ქალი - დიპლომატი, ცისკარი #3, თბილისი.

ფუთურიძე, ვ. (1961). სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვეთი 1, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ფუთურიძე, ვ. (1977). სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. საქართველოს ისტორიის წყაროები 3. წიგნი I, ნაკვეთი 4. თბილსი, „მეცნიერება“.

ფუთურიძე, ვ. (1955). ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები; საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა; თბილისი.

ფუთურიძე, ვ. (1969). *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*; თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ხულორდავა გ. (2023). საადი შირაზელი, ბუსთანიდან, შესხმა უფლისა; განთიადი, ლიტერატურული ჟურნალი, #5-6. ქუთაისი; ; 138-144.

Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015). *A chronicle of the reign of Shah ‘Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. „Gibb Memorial Trust“.

Древнетюркский словарь. (1969). Академия наук ссср.Институт языкознания.Издательство "Наука", Ленинград.

Смирнова, Л.П. (2000). *Хроника воскрешения царей* ,Малик Шах-Хусайн Систани. Перевод с Персидского, предисловие, коментарий и указатели, Смирновой. Москва: "Восточная дитература", РАН.